03.

გ. ნაჭაჭურიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6.064
4

ბურის აჯანყება

1841 წელს

სახელმწიფო გამომცემლობა

ბ. ხაჭაპურიძე

9(ᲡᲥ23)
1841

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ
1841 ᲬᲔᲚᲡ

R 6.064
4

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ—1931

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელგამის 1 - ლი სტამბა
პლეხანოვის გამზ. № 91.
შეკვეთა 676. მთავლ. 950
ტირაჟი 5100.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

40-იანი წლების გურიის სოციალ-ეკონომიური დახასიათება

რუსეთთან საქართველოს „შეერთების“ შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ცალკე ნაწილებში ადგილი აქვს გლეხთა მთელ რიგ დიდ ამბოხებაგამოსვლებს. ეს გამოსვლები მიმართულია ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ. გლეხთა მოძრაობამ განსაკუთრებულ სიმძლავრეს მიაღწია გურიაში 1905 წელს. გურიის მოძრაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეფის რუსეთის საერთო რევოლიუციურ მოძრაობასთან. მაგრამ მისი თავისებურება ის იყო, რომ იქ ადგილი ჰქონდა მასობრივ შეიარაღებულ აჯანყებას; იქ პირველად სცადეს რევოლიუციური თვითმმართველობის შემოღება. იქ უფრო სრულად განხორციელდა—სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით — პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირი. ბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გლეხობამ დაამტკიცა საკმარისი სიმწიფე პოლიტიკური მხრით და შესძლო ასე თუ ისე მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა თავისი სოციალ-ეკონომიური საპროგრამო მოთხოვნები.

გურიის გლეხობის განსაკუთრებულ რევოლიუციურობას, მის გამოყოფას საქართველოს გლეხთა მოძრაობის საერთო ფონზე თავისი მიზეზები და თავისი რევოლიუციური ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 1841 წელს გურია მოიცვა „საყოველთაო ამბოხებამ“. ამ ამბოხებამ ფეხზე დააყენა მთელი კავკასიის მართებლობა, რადგან მას ჩინებულად ესმოდა, რომ „თუ გურიაში პირველი სროლის ხმა გაისმება, უკანასკნელი შეიძლება გაისმას ანაპასა და კასპიის ზღვის ნაპირებზე“*), რუსეთის თვითმპყრობელობის შეტევითს პოლიტიკას აღმოსავლეთში ბევრი რამ უსიამოვნება მიაყენოს.

ვიდრე თემის უშუალოდ მოთხრობას შევუდგებოდეთ, გავიხსენოთ საქართველოს საერთო მდგომარეობა მე-XIX საუკუნეში და რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკა ჩვენში.

აღმოსავლეთი საქართველო რუსეთს „შეუერთდა“ მე-XIX ს. დამდეგსვე. განსაკუთრებულ მანიფესტში ამ აქტს „უანგაროს“ უწოდებენ. ნამდვილად კი „საქართველოს შეერთება“ „ეს იყო ანექსია, ნამდვილი ძალმომრეობითი მიტაცება სრული თავისი ფორმით. რუსები იცავდენ საქართველოს, მის დასაცავად

*) საქ. ცენტრ. არქივი. გამოუქვეყნ. ფონდი. გურიის საქმეები. № 28. ანრეპის მოხსენება. ფურც. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდენო—ასეთი ლაპარაკი ისეთივე მტკნარი სიცრუე და ფარისევლობაა, როგორადაც ის, რომ ჩვენ ვიცავდით ბულგარეთს“ *).

„შეერთება სრულებითაც არ მომხდარა „ნებაყოფლობით“. პირიქით, ეს **იყო ნამდვილი ძალდატანებითი მოქმედება, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მთელი რიგი ძალდატანებითი მოქმედებათა,** რომელსაც თან ახლდა, ერთის მხრით, დატყუილება და სიცრუე, მეორეს მხრით კი, სასტიკი, სისხლისმღვრელი ომები“ **).

საქართველო რუსეთს სჭირდებოდა როგორც ოსმალეთ-სპარსეთის საწინააღმდეგო შეტევითი პოლიტიკისთვის სტრატეგიული პუნქტი. საქართველოს დასაპყრობად ფრიად მოხერხებული დრო შეარჩიეს და რუსეთს ეს დაპყრობა საგარეო პოლიტიკაში დიდ რაიმე გართულებად არ დასჯდომია. როგორც ვიცით, რუსეთმა ჯერ ქართლ-კახეთი „შეიერთა“. ასეთივე ბედი მალე უნდა სწეოდა დასავლეთ საქართველოსაც, სადაც არსებობდა იმერეთის სამეფო და სამთავროები—სამეგრელო, სვანეთი, გურია.

გურიამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო 1811 წელს მთავარ მამია გურიელის დროს. მისი სიკვდილის შემდეგ 1826 წ. გურიის მთავრად დაამტკიცეს მისი შვილი—დავითი. დავითის მცირეწლოვანობის გამო საქმეებს განაგებდა დედამისი სოფიო; მაგრამ მისი ხელისუფლება შეზღუდული იყო იმით, რომ დაარსეს საბჭო, რუსეთის თვალსაზრისით კეთილსაიმედო პირებისაგან შემდგარი.

სოფიო უკმაყოფილო იყო ამ გარემოებით; მან არა ერთხელ ითხოვა, მომანიჭეთ სრული დამოუკიდებლობა გურიის მმართველობაშიო. რაკი მიზანს ვერ მიაღწია, სოფიომ გადასწყვიტა დახმარებისთვის ოსმალეთისთვის მიემართნა. რუსეთ-ოსმალეთის ომის წინ (1828-29წ). სოფიო შვილითურთ და რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილო მთელ რიგ მსხვილ ფეოდალებთან ერთად—ოსმალეთს გაიქცა.

ოსმალეთმა სოფიოს იმედი ვერ გაუმართლა და გურიის დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდა. სოფიო გარდაიცვალა ოსმალეთში გარდახვეწილი. სოფიოს გაქცევის შემდეგ, გრაფ პასკევიჩის განკარგულებით, გურიაში შემოიღეს „დროებითი მმართველობა“ რუსის შტაბ-ოფიცრის თავმჯდომარეობით. უკვე აღარავითარი ნატამალი გურიის დამოუკიდებლობის, ან ავტონომიისა—აღარ არსებობდა. რუსეთის თვითმპყრობელობა გურიაში იმავე პოლიტიკას, იმავე ხაზს ატარებს, როგორსაც დანარჩენ საქართველოში.

რუსეთის თვითმპყრობელობის ნამდვილი ზრახვები საქართველოში მალე გამოაშკარავდა. დაიწყო ჩვენი ქვეყნის რუსიფიკაცია და კოლონიად გადაქცევა ყველა იმ შედეგითურთ, რაც ამას მოსდევდა. რუსეთის ბატონობის პირველ წლებში საქართველო ეკონომიკის გარეითად ძარცვა-გლეჯის ასპარეზი გახდა. შემდგომ ხანებში ამას ის გარემოება დაემატა, რომ საქართველო რუსეთის მრეწველობის ნედლეულის ბაზად და გასაღების ბაზრად იქცა.

თავის „Записки о моей жизни“-ში, გრეჩი, ნიკოლოზ პირველის სისტემის ეს დიდი თაყვანისმცემელი, უნებურად იძლევა მმართველობის ბატონყმური

---

*) Труды 1 Всесоюзн. конф. Истор.-марксистов. მ. პოკროვსკის გამოსვლა. 493—4 გვ

**) ჟურნ. „მნათობი“ № 2—1926 წ. ფ. მახარაძე, „საქართველო მე-XIX ს.“., გვ. 154.

სისტემის დაუნდობელ და მკაცრ შეფასებას. დეკაბრისტებისადმი მიძღვნილ თავში იგი სწერს: „ჩვენში ბოროტმოქმედება შეეზარდა საზოგადოებრივ ყოფაცხოვრებას, მის აუცილებელ ელემენტად იქცა. განა შეიძლება კეთილდღეობა არსებობდეს იმნაირ ქვეყანაში, სადაც სამოცი მილიონი ადამიანიდან შეუძლებელია აირჩეს რვა ჭკუიანი მინისტრი და ორმოცდაათი გუბერნატორი? სადაც ქურდობა, ძარცვა და მექრთამეობაა ყოველ ნაბიჯზე, სადაც სასამართლოებში სამართალს, მმართველობაში წესიერებას ვერ ჰპოებ? სადაც პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანები იტანჯებიან და იღუპებიან ბოროტმომქმედთა ანგარების და უნამუსოების გამო, სადაც არავის ერცხვინება არამზადებსა და მუხანათებთან მეგობრობა და თანაზიარობა, ოღონდ ფული კი ჰქონდეთ მათ? სადაც სიცრუე, მოტყუება, მექრთამეობა— ჩვეულებრივ და სრულიად არა დასაგმობ საქმედ ითვლება?“ *)

თუ ასეთი იყო საქმის ვითარება მეტროპოლიაში, ადვილად წარმოსადგენია, რა ხდებოდა განაპირა ქვეყნებში, რომლებიც ასე დაშორებული იყვნენ ცენტრს და სადაც რუსეთის თვითმპყრობელობა სრულიად მოურიდებლად იქცეოდა.

გენერლები და ათასგვარი სხვა მმართველები სრულიად არაფერს ერიდებოდენ. ანგარიშს არ უწევდენ საქართველოს ენას, კულტურას, ადგილობრივ სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს. პირდაპირ და უცვლელად გადმოჰქონდათ ჩვენში რუსული დაწესებულებანი. „ყველგან პირველობდენ რუსის მოხელეები, რომელთაც ქართული ენა არ იცოდენ, და საქართველოში მოხვედრილიყვნენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუტანელნი იყვნენ რუსეთში“ **).

სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო: აშკარა ძარცვა-გლეჯა, მექრთამეობა, ხელისუფალთა თვითნებობა, ბიუროკრატიზმი, ეროვნული ჩაგვრა, სასამართლოებში საქმის გაჭიანურება და მექრთამეობა, ბლეხობის დატვირთვა გადასახადებით და ათასგვარი ბეგარით, ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ პროტესტის განცხადების ცდის სისხლში ჩაღრჩობა.

საქართველოს მსხვილი ფეოდალები, სამეფო გვარეულობის წევრები და მათი ახლობელი პირები სავსებით ჩამოაშორეს მმართველობას და მთელი რიგი პრივილეგიები ჩამოართვეს. რუსეთის თვითმპყრობელობა ეძებს ჩვენში ისეთ სოციალურ ბაზას, რომელსაც უნდა დაეყრდნოს თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკის გატარების დროს. ასეთი დასაყრდენი მან ჰპოვა მემამულე-აზნაურების სახით, რომელთაც მთავრობამ ბევრი რამ დაუთმო და უწყალობა, განსაკუთრებით ბლეხთა საკითხში. ქართველი მემამულეები უფლებრივად გაუთანასწორეს რუსის აზნაურებს. ამის გამო ყმების მდგომარეობა საქართველოში არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ ფრიად გაუარესდა. ქართველ მებატონეებს საშუალება მიეცათ ურჩი ყმები ჯარში გაეგზავნათ, ან ციმბირს გადაესახლებინათ.

სრულიად მართალი იყო, ამ მხრით, სენატორი მეჩნიკოვი, როდესაც 1831 წელს იუსტიციის მინისტრს სწერდა: „მემამულეები საქართველოში შეადგენენ საუკეთესო და უერთგულესს პოლიციას, მრავალრიცხოვანს და ფართოს

*) Греч—„Записки о моей жизни“. Изд. „Академия“, 30 წ. გვ. 431.

**) Джавахов—Политич. и соц. движение в Грузии в XIX в. გვ. 11, გამოც. 1906 წ.

იმასთან შედარებით, რანაირიც კი მთავრობას შეუძლია იყოლიოს. ამიტომ საქართველოს მემამულეთა ყმებს ან სრულიად არ უნდა მივანიჭოთ თავისუფლება, ან ამ მხრით სულ მარტოოდენ აუცილებელს დავჯერდეთო“ *).

მეორე მხრით, მეფის ხელისუფლებამ, მთელი რიგი შეღავათების მინიჭებით მოახერხა და სომხის ბურჟუაზია თავის აგენტად, თავის მტკიცე ყავარჯნად აქცია. „სომხებიო (მხედველობაში ჰყავს, რასაკვირველია, არა მშრომელი მასები, არამედ ბურჟუაზია, **ავტ. შენ.**), სწერს მეფეს ვორონცოვი, მთელ ამ ქვეყანაში სავსებით ჩვენი ერთგულნი არიანო“ **).

საქართველოში თვითმპყრობელობის სოციალ-ეკონომიური პოლიტიკის, ნატურალური მეურნეობის რღვევის, სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების, ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგად—ჩვენ ვხედავთ გლეხთა მთელ რიგ მასობრივ აჯანყებას. ეს გარემოება დაგვეხმარება ავხსნათ აგრეთვე გურიის გლეხების 1841 წლის აჯანყებაც.

გურია შეიცავდა ტერიტორიას, რომლის სივრცე დაახლოებით 1900 კვ. ვერსს უდრიდა. ჩრდილოეთით მას საზღვრავდა სამეგრელო მდ. ფიჩორით, აღმოსავლეთით—სახვალეთის ქედი, რომელიც იმერეთის საზღვარს წარმოადგენდა, დასავლეთით—შავი ზღვა. მე-XV საუკუნემდე გურიის სამხრეთი საზღვარი ბევრად უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე შემდეგ ხანებში. იგი შეიცავდა მდ. აჭარისწყლის კალაპოტს, მდ. ჭოროხის ნაპირებს და აღწევდა სოფ. ხოფას და ვიწეს, რომლებიც ბათომიდან 40 და 60 ვერსით სამხრეთით მდებარეობენ.

მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ტრაპიზონი და სამხრეთ საქართველო დაიპყრეს (ახალციხის მხარე), მე-16 საუკუნეში, გურია ოსმალეთის მოსაზღვრე გახდა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გურიას ჩამოეჭრა მისი სამხრეთი ნაწილი, ახლანდელი აჭარა, სადაც ოსმალებმა საბოლოოდ ფეხი მოიკიდეს და მოახერხეს იქ მაჰმადიანობის გავრცელება. 1829 წ. ადრიანოპოლის ტრაქტატით ოსმალეთ-გურიის საზღვრად მიჩნეული იყო მდინარე ჩოლოქი.

გურიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი—რიონის ველის გაგრძელებაა. იგი განირჩევა ნოტიო ჰავით, ჭაობიანია, უხვი მცენარეულობა აქვს და ნიადაგი ნოყიერი. საერთოდ გურია მთაგორიანია და მთები დაფარულია ხშირი, გაუვალი ტყეებით. მთელი გურია უხვად ირწყვება მდინარეებით. მდინარეთა შორის უმთავრესებია: ფიჩორი, სუფსა, ნატანები, გუბაზეული, ბჟუჯი; ნავთმიმოსვლისათვის გამოსადეგია ზღვიდან 16 ვერსის მანძილზე მხოლოდ სუფსა. მიმოსვლა როგორც გურიის შიგნით, ისე მეზობლებთან ხდებოდა ნაკლებად ვარგისი გზებით, რომლებზედაც სიარული განსაკუთრებით საძნელო იყო ზაძთარსა და ავდარში.

40-იან წლებში გურია სავსებით სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას წარმოადგენდა. გურიის სოფლები როდი წარმოადგენდა განსაზღვრულ ადგილას შეჯგუფებულ მოსახლეობას, არამედ შესდგებოდა ცალკე სამოსახლოებისაგან, რომლებიც გაფანტულნი იყვნენ დიდს მანძილზე (ახლანდელ გურიაშიაც ასეა), თვითეულს კომლს სოფლის სამეურნეო ცხოვრებაში ეჭირა დამოუკიდებელი ადგილი,

*) История классовой борьбы в Закавказьи. გვ. 3. Изд. ЗКУ—30 г.
**) Акты т. X, გვ. 97.

წარმოადგენდა დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს. თვითეული კომლის მიწები შესდგება პატარ-პატარა ნაჭრებისაგან, რომლებიც აქა იქ იყო დაქსაქსულ-გაფანტული. ქალაქები იმ გაგებით, როგორადაც ჩვენ ახლა გვესმის, გურიაში არ ყოფილა. ოზურგეთი მხოლოდ ადმინისტრატიული ცენტრი იყო, სადაც წინად გურიის მთავრები ცხოვრობდენ. აქ იყო სამაზრო მმართველობა, პოლიცია, საკარანტინო-საბაჟო, საფოსტო განყოფილება და რუსის ჯარის გარნიზონი.

მთელ გურიაში იყო 4 ათასი კომლი, სულ ორივე სქესის 36 ათასი სული. ეს ცნობები დაახლოებითია, რადგან მოსახლეობის რაოდენობის ზუსტი, მეცნიერულად შემოწმებული ცნობები მთავრობას გლეხთა რეფორმის დროისათვისაც კი არ ჰქონია. სტატიაში „Разбор сведений о численности народонаселения Кутаисской губ. за 1864 г.“ რედაქტორი შენიშვნაში ამბობს: „სტატიის მთელ ინტერესს შეადგენს არა მოყვანილი ციფრების ღირსება, არა იქიდან გამოყვანილი დასკვნები, არამედ ერთადერთი ის, რომ ავტორი, ასე ვთქვათ, კეთილსინდისიერად ამჟღავნებს იმ კულისებსიქითა საიდუმლოებებს, რომელთა მიხედვითაც ადგენდენ იმ უსაბუთო ციფრებს, შემდგომ ჩვეულებრივად კომიტეტთა ცხრილებში რომ შეჰქონდათო“ *). არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო. ერთ წელიწადს სტატისტიკურ აღწერას რომ დაიწყებდენ, ათავებდენ მას რამდენისამე წლის შემდეგ. კამერალური აღწერანი, რომელსაც ახდენდენ იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ მობეგრე მოსახლეობის რაოდენობა, მემამულეთა რიცხვი და მათი უფლებანი გლეხებზე, საეჭვო მეთოდებით ტარდებოდა. ნდობის ღირსი არაა არც პოლიციის მიერ შეგროვილი ცნობები.

ყოველ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ იმ ხანებში, რომელსაც ჩვენ ვეხებით, ოზურგეთის მაზრა, სამეგრელოს შემდეგ, ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რაიონი იყო. მართალია, საშუალოდ ერთ კვადრატულ ვერსზე 19 კაცი მოდიოდა, მაგრამ აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მაზრის უდიდესი ნაწილი მთაგორიანია; იგი დაფარული იყო ჭაობებით, გაუვალი ტყეებით და ამიტომ დასახლება იქ ძნელი იყო.

გურული გლეხის მთავარი საქმიანობა—სოფლის მეურნეობა იყო. მცენარეულობათა შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა სიმინდს, შემდეგ ღომს, ქერს, ბრინჯს, ლობიოს, ცერცვსა და სხვ.

სოფლის მეურნეობის ტექნიკა გურიაში ფრიად ჩამორჩენილი იყო. გლეხი ხნავდა კავით, რომელსაც რკინისა მხოლოდ სახნისი ჰქონდა. ჰფარცხავდა წნელით დაწნული „ფარცხით“. ისეთ ადგილებს, რომლებიც მიუვალი იყო კავისთვის, ხელით სთოხნიდენ. თოხი იხმარებოდა აგრეთვე ყანების გასამარგლავად. გამარგვლა ხდებოდა ჩვეულებრივად 3-ჯერ.

გაზაფხულს ადიდებულ მდინარეებს შლამი მოაქვთ. ამიტომ ყველაზე ნაყოფიერი იყო ამ მდინარეთა სანაპიროს მიწები. დანარჩენ მიწებს გაპატიება ესაჭიროებათ. მაგრამ გურიაში ასეთს გაპატიებას არ მისდევდენ, რადგან გურულ გლეხებს არც საამისო ცოდნა ჰქონდათ, არც საშუალება. მეურნეობის სისტემა ცვლითი არის: რამდენისამე წლის განმავლობაში სთესენ მხოლოდ სი-

*) Сборник статистических сведений о Кавказе, ტ. I, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდს; როდესაც ნიადაგი იმდენად გამოიფიტება, რომ მოსავალს ადარ იძლევა, გლეხი მას თავს ანებებს და ასვენებს.

1822 წლიდან გურიაში დასახლდა ინგლისელი მარრი. მან მოაწყო ჩინებული მეურნეობა, შემოიღო მთელი რიგი ახალი კულტურები. მარრმა, სხვათა შორის, დასწერა მოხსენებითი ბარათი, სადაც ახასიათებს გურული გლეხების სამეურნეო მდგომარეობას: „გურიის მიწების უმეტესობა მხოლოდ საშუალო ნაყოფიერობისაა. გარდა შლამიანი მიწებისა მდინარეთა ნაპირებზე, დანარჩენს გაპატიება სჭირია. მაგრამ გლეხს თითქმის არა აქვს რა, რომ რითიმე გააპოხიეროს მიწა. არ მოეპოება მას თითქმის არავითარი სამიწათმოქმედო ცოდნა და არ იცის, რანაირი საშუალება იხმაროს მიწის გასაპატიებლად. ამიტომ სხვა არა დარჩენია რა, რომ მიატოვოს გამოფიტული მიწა. ეს გამოფიტვა კი, ჩვეულებრივად, სამი წლის თესვის შემდეგ ხდება“ *).

სოფლის მეურნეობის განვითარებას გურიაში ხელს უშლიდა ცხოველთმომშენებლობის სიმცირე და მუშა-საქონლის დიდი ნაკლებობა. უფრო მოგვიანებითი ცნობების მიხედვით, გურიაში თვითეულ სულზე მოდიოდა არა უმეტეს ერთი სული ცხოველისა. გარდა საერთო სოციალურ-ეკონომიური პირობებისა, ამის მიზეზია მიწის ნაკლებობა, საძოვრების უქონლობა, შინაურ პირუტყვთა უხეირო ჯიში.

სოფლის მეურნეობაში დამხმარე როლს თამაშობდა: მეფუტკრეობა, მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა, მებაღეობა, განსაკუთრებით მევენახეობა. გურიის ღვინო ფართოდ გადიოდა როგორც თვით გურიაში, ისე იმერეთსა და ახალქალაქის რაიონში. გურიაში ფართოდ იყო გავრცელებული მაღალი ხარისხის ყურძენი, რომელიც მაღალხარისხოვანსავე ღვინოს იძლეოდა. მაგრამ მეურნეობის სწორედ ეს დარგი 40-იან წლებში დაცემის გზაზეა შემდგარი, რადგან ჩნდება ვაზის სენი.

მოსახლეობა უმწეო იყო ვაზის დაავადებასთან ბრძოლაში. მაღალხარისხოვანი ყურძენი თანდათან ჰქრება. მის მაგივრად ვრცელდებოდა ოდესიდან მოტანილი ამერიკული ვაზი, რომელსაც ახლაც „ადესას“ უწოდებენ, მაგრამ რომელიც ღირსებით ძალიან ჩამოუვარდებოდა ადგილობრივს.

მაშასადამე,—ნიადაგის პრიმიტიული წესებით დამუშავების და მოსახლეობაში აგრონომიულ ცოდნათა უქონლობის გამო, სოფლის მეურნეობა სრულიად ვერ აკმაყოფილებდა გლეხთა არსებითს მოთხოვნილებებს. „გურიაშიო, — სწერს დ. მაჭუტაძე თავის მოხსენებაში, რომლითაც მან მიმართა მთავარმართებელს ნეიდგარტს,—სიღარიბე განვრცელებულ არს უკანასკნელ ხარისხად. ნაწარმოებნი ჩვენის ქვეყანისანი, ესე იგი სიმიდი და ღომი, ესეოდენ დიდსა მოითხოვენ მუშაკობასა, რომელ მუშაკობის ოცის თავი სარგებლობა მათგან არ გამოდის. დასასრულად ყოვლისა ამის, მოხდების რომელ მარტოხელთა მცხოვრებთა არა თუ ოდენ ხშირად ექნებათ თვით უკიდურესი ნაკლულევანება ტანისა და ფეხის სამოსში, არამედ არსებითსა საზრდოსა შინაცა და ამის გამო იძულებულ იქნე-

*) ც. არქივი. საქმე ქუთ. გუბ. გლეხთა მოწყობის საქმ. კანცელარიისა. მარრის მოხს.

ბიან ხელყოფად გასყიდვად უძრავისა მამულისა, წარმოებად პირუტყვთ ქურდობისა და სხვათა, უკანასკნელ განვიტოლვადცა სადმე“ *).

საერთოდ, აქ გლეხთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობის სწორი სურათიც მოცემული. შემდგომ ჩვენ დავინახავთ, რომ ამის მთავარი მიზეზია ბატონყმობის არსებობა და მემამულეთა ექსპლოატაცია.

აწარმოებდა რა კოლონიალურ პოლიტიკას ა/კავკასიაში, რუსეთის ხელისუფლება ნაკლებად ზრუნავდა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ამიტომ მან მხოლოდ მიკროსკოპიულად მცირე რამ გააკეთა უმდიდრესი ქვეყნის გასაუმჯობესებლად სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის მხრით.

ასე, მაგალითად, გურიაში მხოლოდ 40-იან წლებში სცადეს კარტოფილის კულტურის შეტანა, მაგრამ არც ის გავრცელებულა ფართოდ. 1845 წელს ოზურგეთში ჩაჰყარეს საცდელი ბაღი, დარგეს ხე-ხილი, ახალი ჯიშის ვაზები, სუბტროპიკული კულტურის სხვადასხვა ჯიშები. სცადეს აგრეთვე გურიაში ბამბის მოყვანაც, მაგრამ ამას უხეიროდ აწარმოებდა მხოლოდ რამდენიმე ოჯახი.

იძლევა რა ა/კავკასიის ეკონომიურ დახასიათებას, ავალიანი სწერს: „ბაზრების, მიმოსვლის ხეირიან საშუალებათა უქონლობა შესაძლებლობას არ აძლევდა იმ მიწათმფლობელებს, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაჭარბი ჰქონდათ, გაესაღებინათ ის. შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ რეფორმის წინა ეპოქაში მთელი ა/კავკასია, აღმოსავლეთი და დასავლეთი ა/კავკასია განსაკუთრებით, ცხოვრობდა ნატურალური მეურნეობის ტიპიურ ფორმათა ფარგლებშიო“ **).

თავის მემუარებში ცნობილი ქართველი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი რამდენსამე ფურცელს უძღვნის გურიის აჯანყებასაც.

თითქოს ავალიანის აზრის დასადასტურებლადო, ყიფიანი ხსენებული დროის გურიას გვიხატავს კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის ქვეყნად. მისი სიტყვით, იმ ხანებში გურიაში მხოლოდ ერთადერთი დაბა დვაბზუ იყო, სადაც საწვრილმანო ვაჭრობას ეწეოდა დაახლოებით ოცდაოდე ოსმალო. ფულის ტრიალი გურიაში ძალიან მცირე იყო და იხმარებოდა მხოლოდ ოსმალური ფულები (ფარა).

ერთადერთი თანხა, რომელიც შედიოდა რუსული ფულის სახით გურიაში, ეს იყო გურიის „დროებითი მმართველობის“ თავმჯდომარის, რუსის ოფიცრის ჯამაგირი 600 მანეთის რაოდენობით. მაგრამ არც ეს ფული რჩებოდა გურიაში. იგი მაშინვე მიდიოდა ქუთაისში, რადგან ხორბლეულის, ჩაის, ყავის, შაქრის და ტანსაცმელის შოვნა მხოლოდ იქ შეიძლებოდაო ***).

უახლოესი გამოკვლევანი მე-18 ს. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის და რუსეთთან შეერთების მოტივების შესახებ ****), გარკვეულ საბუთს იძ-

---

*) ც. არქივი. „გურიის საქმეები“, № 28. დ. მაჭუტაძის მოხსენება ნეიდგარტისადმი, 44 წ. ფ. 131—134.

**) Авалиани—Крестьянский вопрос в Закавказьи, ტ. I, გვ. 179.

***) დ. ყიფიანი—მემუარები. ტფილისი, 1930 წ. გვ. 24—25.

****) იხ. გ. ნათაძის და ს. კაკაბაძის სტატიები კრებულში „Ист. клас. борьбы в Закавказьи“. Изд. ЗКУ.

ლევიან იმის სათქმელად, რომ საქართველო მე-18 ს. მეორე ნახევარშიაც კი, წინააღმდეგ ტრადიციული წარმოდგენისა, უკვე აღარ წარმოადგენდა ჯარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის ქვეყანას. სავაჭრო კაპიტალი, განსაკუთრებით სომხური, საკმაოდ განვითარებული იყო. სავაჭრო ურთიერთობა, განსაკუთრებით რუსეთთან, წლითი-წლობით იზრდებოდა. საქართველოს აწვებოდა არა მარტო რუსეთის სავაჭრო კაპიტალი; ადგილობრივ სავაჭრო კაპიტალსაც, არღვევდა რა ფეოდალიზმს, რუსეთისკენ ეჭირა თვალი.

სავსებით გასაგებია, რომ გურიამ, რომელიც შავ ზღვას ეკრა და სამეგრელოსთან ერთად ოსმალეთის მოსაზღვრე ტერიტორია ეჭირა, „მოქალაქობრივობის და ვაჭრობის წარმატებით გაუსწრო შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების ყველა სხვა დანარჩენ მცხოვრებლებს“ *).

ქართლ-კახეთ-იმერეთის პალატის ანგარიშში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ამჟამად მარტო ერთ გურიის მაზრაში არსებობს 8 იარმუკობა და 4 ბაზრობა, რომლებზედაც გამოაქვთ საქონელი მთელი წლის განმავლობაში, დაახლოებით 20 ათასი მანეთისა ვერცხლით. უმთავრესი სავაჭრო საგნებია: პირუტყვი, პურეულობა, სხვადასხვანაირი ქსოვილები: აბრეშუმის, ბამბის, მატყლის და სხვა ნივთები, რომლებიც აუცილებელია მცხოვრებთა შინაობაში **).

გაცვლა-გამოცვლის განვითარების და ბაზრობის არსებობის შესახებ უფრო ადრინდელი ცნობებიც მოგვეპოება. აი, მაგალითად, თავის მიმართვაში 1837 წ. 21 თებერვალს ბარონ როზენი სწერს: „გურიაში, დაბა დვაბზუს, არის ბაზარი და სწარმოებს ყოველკვირეულად ვაჭრობა, რომელზედაც მოდიან იმერლები, გურულები, ქობულეთელი თურქები და სხვა მოსაზღვრე ხალხნი. დაბა ნაგომარსა და ლანჩხუთში იმართება ხოლმე წელიწადში ერთხელ ბაზრობა, რომელიც 8 დღემდე გრძელდება. არის ბაზარი სოფ. ვანის-ქედში და ჯუმათის მონასტერთან. ბაზრობაზე მოიპოება შაქარი, ჩაი, ყავა, რომი და სხვა სასმელები, ნაირნაირი აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, ადგილობრივი და მთებიდან მოტანილი შალი და სხვა. გურულებს პური, პირუტყვი და სხვა თავისი ნაწარმოები გააქვთ იმერეთსა და სამეგრელოშიაცო“ ***).

თვით ოზურგეთში ცხოვრობდა და ვაჭრობდა „50-ოდე ოსმალო, რომელიც 41 წლის აჯანყების დროს გაიქცნენ, გაიფანტნენ სოფლებში და მეამბოხეებს შეურთდენ“ ****).

გურიაში ვითარდება აგრეთვე საგარეო ვაჭრობა. გენერალი გოლოვინი, 1842 წლის იანვრის თავის მიმართვაში ვორონცოვისადმი, რომელიც იმჟამად ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის სრულუფლებიანი მეფისნაცვალი (ნამესტნიკი) იყო, სწერდა: „შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი უკვე 1838 წლიდან წარმომიდგენია, როგორც სავაჭრო მხრით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქვეყანა. ამასთანავე ჩემი წინამოადგილის საქმეებიდან მე დავინახე, რომ ჯერ კიდევ 1836 წ. ზოგიერთ გურულებს საიჯარო ხელშეკრულება

*) Акты, ტ. IX, გვ. 660.
**) ც. არქივი. ქართლ-კახ.-იმერ. სახაზინო პალატის ანგარიში 1841—1845 წ.
***) Акты, ტ. VIII, ს. № 138, გვ. 133.
****) ც. არქივი. ქართლ-კახ.-იმერ. სამოქ. გუბ. კანცელარია. ს. № 345. ფ. 245.

დაუდევთ სარდინიის ქვეშევრდომ პავლე ბოზოსა და ინგლისის ქვეშევრდომ იაკობ მოროსთან 40 ათასი მანეთის (ვერცხლით) მუხის ხის დამზადების შესახებ. ეს იმის დამადასტურებელია, ერთის მხრით, რომ პირველ შეხედვისთანავე აშკარა ხდება ამ ქვეყნის ხსენებული ნაწარმით ვაჭრობის სარფიანობა; მეორე მხრით, იმისა, რომ გურულებისთვის, ახლანდელ ნახევრადველურ მდგომარეობაშიაც კი, უცხო არ არის ვაჭრობისადმი მიდრეკილება და იჯარაც კი. ამ დაკვირვებაზეა დამყარებული ჩემი განზრახვა, რომ დავაარსო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე სავაჭრო კამპანია, რომლის ვაჭრობის საგანიც იქნება უმთავრესად საშენი, საშეშე ხე-ტყის გაზიდვა“ *).

როდი უნდა გვიკვირდეს, რომ გოლოვინი გურულებს ნახევრადველურებს უწოდებს. ეს ამპარტავანი კოლონიზატორების ჩვეულებრივი თვალსაზრისია. აქ საყურადღებო ისაა, რომ ზოგიერთ გურულს ისეთი დიდი თანხის ხელშეკრულება დაუდევთ, როგორიც არის 40 ათასი მანეთი. როგორც სჩანს, ეს არ ყოფილა რაიმე არაჩვეულებრივი ამბავი. გურიაში ბევრად უფრო მეტი ფული ტრიალებდა, ვიდრე ამას აქამდე ფიქრობდენ.

საზღვარგარეთ ხე-ტყის გაზიდვამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ უკვე მაშინ შეიქნა საშიშროება ძვირფასი ჯიშის ხეების გაჩანაგებისა. ყოველ შემთხვევაში 1837 წლის 3 თებერვალს მთავრობამ გამოსცა განკარგულება გურიიდან საზღვარგარეთ მუხის ხის გატანის აკრძალვის შესახებ. 1842 წლის აგვისტოში ასეთივე განკარგულება გამოსცა ფრიად ძვირფასი ნიგვზის ხის გატანის თაობაზე.

მიუხედავად ამ აკრძალვისა, ნიგვზის ხის გატანა მცირეოდენათ მაინც სწარმოებდა.

ასე, მაგალითად, შეკვეთილის (შემდეგ ნიკოლაევის) პორტიდან გატანილ

იქნა:	1842 წ.	179	კუნძი
	1843 „	1436	„
	1844 „	2932	„
	1845 „	3800	„

დარჩა გაუტანელი 1850 კუნძი. სულ 4 წლის განმავლობაში გასატანად გამზადებული იქნა 10.197 კუნძი. თვითეულ ხიდან გამოდიოდა არა უმეტეს $1^1/_2$ კუნძისა; ამიტომ საფიქრებელია, რომ იმ ხანებში გასატანად მოუჭრიათ დაახლოებით 7685 ნიგვზის ხე **). ვინაიდან ნიგვზის ხე უცხოეთის ბაზარზე ძალიან ძვირად ფასობდა, მარტო ამ ხე-ტყის გაზიდვისაგან მრავალი მოხერხებულ-თაოსანი გურული დიდძალ ფულს ღებულობდა, როგორც ამას ადასტურებს ზემოდ გოლოვინი. ხოლო გურიის გლეხობა ღებულობდა დამატებითს შემოსავალს თავის მეურნეობისადმი.

ამნაირად, გურიაში იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვეხებით, ვაჭრობა გავრცელებული იყო. მას ბევრნი მისდევდენ, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე გარედან მისულნი. „გურიაში ბევრია ოსმალეთის და რუსეთის ქვეშევრდომი, სწერს ანრეპი, რომელნიც მუდმივად იქ ცხოვრობენ და ვაჭრობენ, ხში-

*) Акты, ტ. XI, გვ. 58.
**) Акты, ტ. IX, გვ. 660.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უკანონოდაც. მცხოვრებლებს ვაჭრობის გარეშე თავის გატანა არ შეუძლიათო“ *).

ჩვენ საშუალება არა გვაქვს ცნობები მოვიყვანოთ 40 წლების გურიის საგარეო ვაჭრობის ოდენობის შესახებ. მის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას მოგვცემს უფრო მერმინდელი ცნობები. საგარეო ვაჭრობისთვის გურიაში გამართული იყო ორი საბაჟო: ერთი ხმელეთზე ოზურგეთში, საიდანაც მიდიოდა ლიხაურზე გზა ქობულეთისკენ და მეორე შეკვეთილის პორტთან, რომელიც გამართული იყო იმ ადგილას, სადაც ნატანები შავ ზღვას ერთვის. ორივე საბაჟოში ორი წლის განმავლობაში საქონლის ბრუნვა შემდეგი იყო:

	შემოტ. ფასი:	გატ. ფასი:
1843 წ.	111,610 მან.	17,805 მან.
1844 „	129,220 „	13,375 „

შემოჰქონდათ: ფოლადი, კალა, ბამბეული, საპონი, საკმეველი, ოსმალური თამბაქო, მარილი, დამარილებული თევზი, კაკალი, ხახვი, კომბოსტო, ზეთისხილი, ბრინჯი, პილპილი, ლობიო, ხის კასრები, აგური, საღებავები, სააფთიაქო საქონელი, რქიანი საქონელი, მატყლი და სხვა.

გაჰქონდათ: ბზა (სამშიტი), წიფლის და ნიგვზის ხე, აბრეშუმის ძაფი, აბრეშუმის და მატყლის ნაკეთობანი, ცხვრის მატყლი, აფთრის ტყავი, აფთრის და ხარის დამუშავებული ტყავი, თაფლი, ცვილი, თევზის ზეთი, ხიზილალა, სიმინდი და სხვა **).

რასაკვირველია, შეუძლებელია მოყვანილი ციფრების სიზუსტის თავდებობა ვიკისროთ. ეს ციფრები მხოლოდ დაახლოებითს წარმოდგენას იძლევა იმ სავაჭრო ბრუნვის შესახებ, რომელიც მაშინ გურიაში არსებობდა. ცხადია, ის საქონელი, რომელიც გურიის საბაჟოების გზით შემოდიოდა, მარტო გურიაში როდი გადიოდა; იგი გაჰქონდათ მეზობელ რაიონებში — სამეგრელოსა და იმერეთშიაც. გატანის დაცემა 1843 წ. 17.805 მანეთიდან 1844 წ. 13.375 მანეთამდე იმ გარემოებით აიხსნება, რომ სწორედ 1844 წელს გამოიცა განკარგულება საზღვარგარეთ სიმინდის გატანის აკრძალვის შესახებ.

ოფიციალური ცნობები საგარეო ვაჭრობის შედარებით სიმცირეზე სავსებით სწორი როდი არის. ნამდვილად ეს ვაჭრობა ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე ამას საბაჟოები გვიდასტურებენ. იმ პირთა მოწმობით, რომელნიც კარგად იცნობდენ 40 წლების გურიას, ბაჟგადახდილი საქონელი დაახლოებით მხოლოდ $^1/_3$ შეადგენდა იმ საქონელისას, რომელიც კონტრაბანდად შემოჰქონდათ. ბაზარზე ყოველთვის მრავლად იყო ისეთი ძვირფასი საქონელი, რომელიც მოდიოდა საბაჟოს გარეშე, კონტრაბანდის გზით, სახელდობრ: აბრეშუმის და ბამბეული საქონელი, ხავერდი, შამპანური ღვინო, რომი, ჭურჭლეულობა და სხვა***).

---

*) ც. არქივი. ანრეპის მოხსენება მე-4 სანაპ. ხაზის მდგომარეობაზე. ს. № 28. ფ. 3-17.
**) Лаврентьев. Статистич. описание Кут. губ. Ген. губ. СПБ. 1858г. ст. 117-119.
***) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრაბანდული ვაჭრობის გავრცელება რუსეთის მთავრობის საბაჟო პოლიტიკის შედეგი იყო.

როგორც ცნობილია, ასრულებდა რა რუსეთის ბურჟუაზიის მოთხოვნას, ნიკოლოზ I-ლის მონარქია, რუსეთის მრეწველობის განვითარების გულისთვის საკმაოდ მტკიცედ და გადაჭრით ატარებდა მფარველობითი ტარიფის სისტემას. დასავლეთ-ევროპის საქონელს ისეთი დიდი ბაჟი ჰქონდა დადებული რუსეთის ბაზარზე, რომ შეუძლებელი ხდებოდა მას რუსეთის მრეწველობის ნაწარმოებთათვის კონკურენცია გაეწია. ამის გამო რუსის მეფაბრიკე შინაურ ბაზარზე ერთადერთი მონოპოლისტი იყო.

ა/კავკასიაში თავისებური პირობები იყო. მფარველობითი საბაჟო პოლიტიკა თვითონ რუსის მთავრობისათვის არ იყო ხელსაყრელი, რადგან აქ მას შესანახი ჰყავდა დიდი ადმინისტრატიული აპარატი და ჯარი. რუსეთთან მიმოსვლისთვის კი ხეირიანი გზები არ არსებობდა, რუსეთის საქონლის ჩამოტანა ძვირად ჯდებოდა. მიუხედავად ამისა, ა/კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ტარდებოდა იმავე რუსის ბურჟუაზიის ინტერესების გულისთვის შემზღუდველი საბაჟო სისტემა. ცენტრალური რუსეთისაგან განსასხვავებლად, გენ. ერმოლოვის შუამდგომლობით, ა/კავკასიას მხოლოდ 1821 წელს მიენიჭა, ათი წლის ვადით, მთელი რიგი პრივილეგიები და უპირატესობანი. ასე, მაგალითად, ყოველგვარი უცხო საქონელი იბეგრებოდა მისი ფასის მხოლოდ 5% რაოდენობით.

ხანა 1821 წლიდან 1831 წლამდე—საქართველოსთვის ვაჭრობის გაცხოველების და გაფურჩქვნის ხანაა. ხსენებულ წლებში ტფილისელი ვაჭრები კავშირს აბამენ ევროპის ბაზრებთან, მსხვილ ვაჭრობას აწარმოებენ სპარსეთთან; ტფილისი კვლავ სატრანზიტო გზად იქცა ევროპიდან სპარსეთისაკენ. დიდი გაცხოველებაა ვაჭრობისა იმ ხანად დასავლეთ საქართველოშიაც. ქუთაისელი ვაჭრები, უმთავრესად ებრაელები და სომხები, დაიარებიან ლეიპციგის ბაზრობაზე, მუდმივი სტუმრები არიან ნიჟნინოვგოროდის ბაზრობისა, საიდანაც ყოველწლიურად გამოაქვთ საქონელი 80-დან 100 ათასამდე მანეთისა ვერცხლით.

1831 წ. ა/კავკასიაში შეღავათიანი ტარიფი მოსპეს და შემოიღეს 1822 წლის საერთო საიმპერიო კანონი. მანუფაქტურაზე იმაზე უფრო მეტი ბაჟი იქნა დადებული, ვიდრე შიდარუსეთში. არსებითად ეს იყო უცხოეთიდან მანუფაქტურის სრული აკრძალვა. ტფილისმა დაჰკარგა სატრანზიტო გზის როლი. ინგლისელებმა მაშინ სხვა გზა გამონახეს. თავიანთ საქონელს ისინი ეზიდებოდენ გემებით სტამბოლამდე, ხოლო იქიდან ტრაპიზონს; ტრაპიზონიდან კი გაჰქონდათ არზრუმის გზით სპარსეთში.

აკრძალვითს საბაჟო პოლიტიკას საქართველოსთვის საერთოდ ცუდი შედეგი მოჰყვა: იგი ხელს უშლიდა ჩვენი ქვეყნის თავისუფალ ეკონომიურ განვითარებას. ადვილად გასაგებია, თუ რა უარყოფითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოსთვის, კერძოდ გურიისთვის.

გურია ეკონომიურად მჭიდროდ დაკავშირებული იყო აჭარისტანის ოსმალეთთან. ტფილისიდან გურიაში საქონელი თითქმის სულ არ შედიოდა. მასობრივი მოხმარების ყოველგვარ საქონელს: რკინეულობას, მარილს, მანუფაქტურას და სხვას, გურულები ქობულეთსა და ბათომში ყიდულობდენ. მაღალმა

ბაეებმა უცხოეთის საქონელზე, უცხოეთის საქონლის შემოტანის ფაქტიურმა აკრძალვამ გურიის მოსახლეობა, განსაკუთრებით გლეხობა — აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა. ნეიდგარდტისადმი მიმართულ მოხსენებითს ბარათში აი, რას სწერს მაჭუტაძე: „გურიაში არ მოდის ბამბა, არ არის მატყლი, არ შესჩვევიან ჯერეთ კეთებასა აბრეშუმისა და ტილოისასა. ამისა გამო მცხოვრებნი გურიისანი იძულებულ იქნებიან მოპოებად ყოველთა ხელსაწყოთა სხვათა ადგილთაგან ფრიად დიდ ფასად, რომელთა გარდახდა მათ არ შეუძლიათ. და ესრეთ უდიდესი ნაწილი (იგულისმებიან გლეხები—გ. ხ.) მათგანნი ითმენენ თვით უკიდურესსა ნაკლულევანებასა ტანისა მისსა შინა იქამდე, რომე, როგორც მე პირდაპირ ვიცი, მრავალნი არიან ესრეთნი სახლობანი, რომელთა შინა დიდითგან ვიდრე მცირედმდე ყველანი შიშველნი არიან, ხოლო განსაკუთრებით გლეხიკაცის შვილები ვიდრე მეათე წლამდე, უკანასკნელი პერანგიც კი არ ეღირსებათ“. მაჭუტაძის აზრით, აუცილებლად ხელახლა ნებადართულ უნდა იქნეს საქონლის უბაჟოდ შემოტანა ქობულეთით, ვინაიდან „გურულნი მიჩვეულ არიან რა შემოსად სამოსლისა ოსმალო ხელმოქმედებისაგან და აქვსთ რა საზოგადო სახმარებლად შემოღებული თათრული ტანსაცმელი, რომელთაც იგინი კარანტინის განწესებამდე ყიდულობდენ ქობულეთს ფრიად იაფად, აწ და ესევე ამგვარისა ტანისამოსისა მიაჩნიათ როგორღაც იწროებასავით“ *).

აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ იაფფასიანი მანუფაქტურა, რომელსაც გურიის გლეხობა ყიდულობდა, ოსმალთა ნახელოვნევი კი არა, ინგლისური ფაბრიკების ნაწარმოები იყო. ინგლისური საქონელი შეხამებული იყო ადგილობრივ მცხოვრებთა გემოვნებასთან და ისინი აწვდიდენ ამ საქონელს მთელ შავი ზღვის სანაპიროებს, მათ შორის სამეგრელოს, გურიას, აფხაზეთსა და აჭარას.

გურიას ყოველწლიურად ესაჭიროებოდა 3600 ფუთი რკინეულობა, 1700 ფ. მარილი, 2200 ფ. მატყლი **).

ეს საქონელი, გამოტარებული რუსეთის ნავთსადგურებში, ძალიან ძვირად ფასობდა და გლეხობისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ასე, მაგალითად, მატყლი ღირდა ფუთი 4 მ. 50 კ., რკინა—2 მ. 30 კ., მარილი—55 კ., მაშინ როდესაც ოსმალეთიდან მოტანილი მარილი ფუთი სულ $32^1/_2$ კაპეიკად ჯდებოდა.

მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლი, უკვე გურიის აჯანყების შემდეგ, გენერალი გოლოვინი დაჟინებით სთხოვს ფინანსთა სამინისტროს, ნება დაგვრთეთ ოსმალეთიდან გურიაში ზიდონ მასობრივი მოხმარების თუნდაც მარტო ზემოხსენებული საგნებიო, რომელიც გურიის გლეხობას ძალიან ესაჭიროებოდა. ამ საგანზე მიმოწერა დიდხანს გრძელდებოდა. ფინანსთა სამინისტრო ბოლოს-დაბოლოს მხოლოდ დათანხმდა, რომ აქციზი დაეკლო იმ მარილისთვის, რომელიც რუსეთის ნავთსადგურებით შემოდიოდა. ამნაირად, ნება არ დართეს უბაჟოდ შემოეტანათ ოსმალეთიდან მარილი, მატყლი, რკინეულობა, მანუფაქტურაზე რომ არა ვთქვათ რა.

---

*) ც. არქივი. გურიის საქმეები, № 28.

**) იქვე.

გურული გლეხობისათვის, რასაკვირველია, უცხო იყო რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესები. განიცდიდა რა ფეხსაცმელის, ტანსამოსის, პირველი საჭიროების საგნების მწვავე საჭიროებას, გლეხობა მზად იყო ყოველგვარი საშუალებით ებრძოლნა რუსეთის საბაჟო პოლიტიკის წინააღმდეგ (ეჯანყებითაც კი), კერძოდ, მზად იყო მიემართნა უკანონო ვაჭრობისთვის. კონტრაბანდული ვაჭრობა გურიაში ძალიან გავრცელებული იყო. კონტრაბანდული საქონელი აქედან გადიოდა იმერეთს, სამეგრელოს, ხანდახან უფრო შორსაც.

კონტრაბანდისტთა საქმიანობას ხელს უწყობდა ოსმალეთის მოსაზღვრე ადგილების ბუნების პირობები. კონტრაბანდისტები თავისუფლად მოადგებოდენ ხოლმე თავისი ნავებით გურიის ნაპირებს, ხოლო ხმელეთით კონტრაბანდისტები მდ. ჩოლოქზე გადმოდიოდენ. ოსმალეთის მხარეს ქობულეთში და შეკვეთილის პორტში საკონტრაბანდო საქონლის მთელი საწყობები იყო გამართული.

არა ერთხელ ჩვენს მიერ ნახსენები ანრეპი კონტრაბანდული ვაჭრობის შესახებ ამბობს: „ოსმალებთან, ქობულეთის მცხოვრებლებთან კავშირის, ენის, ზნე-ჩვეულებათა ცოდნის და ნათესაური კავშირის გამო კონტრაბანდა გურიაში შემოდის ნავებით და განსაკუთრებით ხმელეთის სანაპიროებით. იგი გაძლიერდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელ წლებში ტრაპიზონს დაარსდენ ინგლისელთა კომპანიები და თავისი ფაქტორიები გაიჩინეს ბათომში, ე. ი. ჩვენი საზღვრიდან 30 ვერსის მანძილზე“ *).

გურიაში ჩვენ ვხედავთ, რომ საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებრივ შრომის განაწილება. თავის მოხსენებაში მაჭუტაძე, როდესაც გურული გლეხების სიღარიბეზე ლაპარაკობს, აღნიშნავს: „გურიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ გლეხის ოჯახის ერთი წევრი მიწათმოქმედებას, მევენახეობას მისდევს, ხოლო დანარჩენნი საშოვარზე არიან აქეთ-იქით გაფანტულნი, ზოგიერთნი კი ხელოსნობას მისდევენო“. გურიაში გავრცელებული იყო შემდეგი ხელოსნობა: მეჭურჭლეობა, მეჩუსტეობა, ხუროობა, დურგლობა, მჭედლობა და სხვა. ოზურგეთელი მჭედლების ნაკეთები ცულები, თოხები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები ახლაც კი განთქმულია მთელ დასავლეთ საქართველოსა და აჭარაში.

თავისებური ბუნებრივი პირობების და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, გურიაში არის ისეთი ბაზრები, რომლებსაც მარტო ვიწრო ადგილობრივი მნიშვნელობა როდი აქვთ. ამ ბაზრობაზე სავაჭროდ მოდიან ოსმალეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან; ჩამოდიან ტფილისელი ვაჭრებიც. გურული გლეხი ამ ბაზრობებზე გამოდის, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამყიდველი, ხელოსანთა ნაკეთობების, აგრეთვე საფაბრიკო საქონლისა და უმთავრესად ინგლისური ნაკეთობის მყიდველი. საგარეო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უშუალო დამამზადებელთა მეურნეობებს ეხება. სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მათ შორის უმთავრესი პროდუქტი — სიმინდი, სასაქონლო ხდება, უცხოეთს გასატან საგნად იქცევა.

---

*) ც. არქივი. გურიის საქმეები, № 28. ფ. 3-17.

ნატურალური გაცვლა უკვე ველარავის აკმაყოფილებს. ტრიალშია უკვე ფული. მისი მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება. მართალია, უმთავრესად ოსმალური ფარა (ფული) ტრიალებს, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ სცვლის.

რასაკვირველია, გზების უქონლობა და თვითმპყრობელობის ეკონომიური პოლიტიკა ხელს უშლიდა ქვეყნის თავისუფალ განვითარებას; მაგრამ ნატურალურ-პატრიარქალური მეურნეობის ნგრევის პროცესი, სასაქონლო-საფულადო ურთიერთობათა განვითარება, ხოლო ამასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის გასასაქონლოება, შრომის დიფერენციაცია გურიაში, უკვე დაწყებული იყო. ეს გარემოება მწვავე წინააღმდეგობას იწვევდა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რადგან გურიის გლეხობა ბატონყმობის უღელში იყო შებმული.

გურიაში, როგორადაც მთელ დანარჩენ საქართველოში, რუსეთის ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ადგილობრივი პრივილეგიური წოდება უფლებრივად გაუთანაბრეს რუსის აზნაურებს ბატონყმობის საკითხში. გურიის გლეხობა სავსებით აზნაურებს დაუმორჩილეს.

გურულ თავად-აზნაურობას შორის ერთგვარი დიფერენციაცია არსებობდა. ყველაზე პრივილეგიური ნაწილი თავად-აზნაურობისა—იყვნენ თავადები, ბატონიშვილები, ე. ი. ის პირები, რომელნიც გურიის მთავრის ჩამომავლებად და მათ ნათესავებად ითვლებოდენ. ამ წრეს ეკუთვნოდენ მსხვილი ფეოდალები, რომლებმაც რუსეთის შემოსვლის შემდეგ დაჭარგეს მთელი რიგი ფეოდალური პრივილეგიები და პოლიტიკური უფლებანი. სწორედ ამ წრეს ეკუთვნოდენ ის პირები, რომელთაც ჯერ კიდევ 1828 წელს დედოფალ სოფიოსთან ერთად მოინდომეს ოსმალების დახმარებით გურია რუსეთისთვის ჩამოეშორებიათ და დამოუკიდებლობა აღედგინათ.

ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ აზნაურები. აზნაურთა ნაწილი თითქმის სავსებით თავისუფალი იყო და აზნაურთა ყოველგვარი უფლებით სარგებლობდა (ესენი იყვნენ ეგრედწოდებული ტახტის აზნაურნი, რომელნიც წინად გურიის მთავარზე იყვნენ დამოკიდებულნი). აზნაურთა უმრავლესობა კი, თუმცა აზნაურად იყო აღიარებული, პირადად და მამულით დამოკიდებული იყო თავადებსა და ეკლესიაზე. აზნაურები თავადების და ეკლესიის წინაშე ასრულებდენ საპატიო მოვალეობას: თავადთა კარზე მოურავებად იყვნენ, თავადებს მოგზაურობის დროს თან ახლდენ და სხვა. აზნაურები ყმების ყოლის მხრით ყველა უფლებით სარგებლობდენ *).

გლეხები იყვნენ სახელმწიფო, საეკლესიონი და მებატონეებისა. უკანასკნელებთან შედარებით სახელმწიფო (სახაზინო) გლეხები, რომელნიც წინად მთავარს ეკუთვნოდენ, უეჭველად უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ.

ისინი არ იყვნენ დამოკიდებულნი მებატონეებზე, უშუალოდ სახელმწიფოს უხდიდენ ნატურალურ და ფულად გადასახადს და ასრულებდენ სხადასხვაგვარ

*) ოფიციალურ დოკუმენტებში პრივილეგიური კლასები ჩვეულებრივად ასე ნაწილდებოდა: 1) თავადები, 2) აზნაურები (მემამულეების ან ეკლესიის აზნაურები), 3) დვორიანები (თავისუფალი, ტახტის აზნაურები). ყველა ამ ჯგუფს ჩვენ შემდგომ ვუწოდებთ თავად-აზნაურობას.

ბეგარას: გზის შეკეთებაზე გადიოდენ, მუშა-საქონელი გამოჰყავდათ, მილიციაში მსახურობდენ და სხვა.

მებატონეთა გლეხები ნაწილდებოდენ შემდეგ კატეგორიებად: მსახურები, გლეხები, მოჯალაბეები. მსახურთ თვით სოციალური მდგომარეობით აზნაურთა და გლეხთა შორის შუათანა ადგილი ეჭირათ. ისინი ვერ სარგებლობდენ აზნაურთა პრივილეგიებით, მაგრამ რაიმე პირადი დამსახურების გამო, უმეტეს წილად ფულის საშუალებით,—მებატონეებისაგან ზოგიერთ უფლებებს შეისყიდიდენ ხოლმე. თვითეული მსახურის ოჯახი (კომლი) მოვალე იყო მებატონესთვის მიეცა სამსახურისთვის ერთი ვაჟი და, თანახმად ხელშეკრულებისა, აესრულებინა ფულადი და ნატურალური ბეგარა.

მებატონეთა გლეხებს შორის მსახურები ეკონომიურად ყველაზე უფრო წელმაგარნი იყვნენ და ყველაზე მეტი მიწა ჰქონდათ. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ მსახურები, სახელმწიფო გლეხების მსგავსად, როდესაც მუშახელი დასჭირდებოდათ, თავის მხრით ყიდულობდენ და ჰყავდათ ყმა-გლეხები.

ყმები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელთაც კისრად აწვათ მებატონეთა მთელი ჩაგვრა და ეკონომიური ექსპლოატაცია,—ესენი იყვნენ ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი გლეხებისა, ყმები ანუ გლეხები, მოჯალაბეები. თვითეული გლეხი ვალდებული იყო თავის მებატონისთვის შინაყმა მიეცა და აესრულებინა უამრავი ნატურალური და ფულადი ბეგარა.

4

მოჯალაბეები — ესენი იყვნენ ყმების ყველაზე დაბალი ფენა. მოჯალაბის მთელი ოჯახი ცხოვრობდა მებატონესთან, საესებით ემორჩილებოდა მის ძალაუფლებას და ასრულებდა ყოველგვარ სამუშაოს მის მეურნეობაში. გლეხთა ამ ჯგუფს საერთოდ არ ჰქონდა მიწა. როგორც გამონაკლისი, იყვნენ ისეთი მოჯალაბენიც, რომელთაც ერთი საწყლური სამოსახლო მოეპოებოდათ ხოლმე.

იმ პირებისაგან, რომელთაც მებატონეებს უგზავნიდენ გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები შინამოსამსახურეებად, სდგებოდა მებატონის შტატი: ხელზემოსამსახურენი, მზარეულები, ხაბაზები, მებაღეები, მწყემსები, მჭედლები, ხუროები, მეწისქვილეები.

წმინდა ადგილობრივ სპეციფიურ პირობათა გამო გურიაში ბატონყმობამ ფრიად მწვავე და მძიმე ფორმა მიიღო.

ამ პირობებს ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, მებატონეთა კლასის მრავალრიცხოვანება გურიაში და წვრილმამულიან აზნაურთა სიჭარბე.

მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიათა შეფარდების შეფასება შეგვიძლია 60-იანი წლების ცნობების მიხედვით, რადგან ამაზე ადრინდელი საიმედო ცნობები არ მოგვეპოება.

ოზურგეთის მაზრაში სულ იყო 49.955 სული ორივე სქესისა. ამათში აზნაურები 4197 (8,4%), სამღვდელოება 1380 კ. (2,8%), სახაზინო გლეხები 8453 (16,8%), მოქალაქენი და სახაზინო გლეხთა ნაწილი—1790 (3,6%), მებატონეთა გლეხები—30.346 (60,7%), საეკლესიო გლეხები 3789 სული (7,6%)*)

*) Сборн. статистич. сведений о Кавказе, ტ. I, გვ. 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათის სრულსაყოფად ავიღოთ კიდევ შემდეგი ცხრილი: ოზურგეთის მაზრაში იყო:

	მემამულეთა რიცხვი	მათი მამულების რაოდენობა.	მათი გლეხების კომლთა რიცხვი	ორივე სქესის მათი გლეხების რიცხვი
რომელთაც ჰყავდათ 20 სულამდე	689	818	1270	4602
21-დან 100-მდე . . .	141	214	1916	5294
101-დან 500-მდე . . .	17	96	1101	3824
501-დან 1000-მდე . .	1	14	161	588
1001 და მეტი	2	33	662	2292*)

რას მოწმობს ეს ციფრები? ტფილისის გუბერნიაში ყმათა მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 22%-ს, ქუთაისის გუბერნიაში კი ყმათა პროცენტი 63-ს აღწევდა. თუ ცალ-ცალკე მაზრებს ავიღებთ, ასეთ სურათს ვღებულობთ: ქუთაისის მაზრაში ყმები შეადგენდენ მოსახლეობის 56%-ს, რაჭისაში 67%, შორაპნისაში 66%-ს, ოზურგეთისაში კი (გურიაში) 68%-ს. ამნაირად, გურია ყმების რიცხვით ქუთაისის გუბერნიის ყველა დანარჩენ კუთხეს სჭარბობდა.

ტფილისის გუბერნიაში თვითეულ მემამულეზე მოდიოდა საშუალოდ 10 კომლი, ანუ 38 სული მამრობითი სქესისა. ქუთაისის გუბერნიაში კი თვითეულ მემამულეზე მოდიოდა საშუალოდ 5 კომლი, ანუ 20 სული მამრობითი სქესისა; ოზურგეთის მაზრაში, თუ ავიღებთ მემამულეთა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომლებიც ჰფლობდენ 20 ყმას, საშუალოდ მოვა 2 კომლზე ნაკლები ყმა თვითეულ მემამულეზე. საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი,—ეს არის მებატონეების მამულების ფრიად დიდი დაქსაქსულობა.

მებატონეთა მიწები და მათი ყმები ჩვეულებრივად გაფანტულნი იყვნენ სხვადასხვა სოფლებში, თემებსა და რაიონებში. ასე, მაგალითად, ოზურგეთის მაზრის ორ ყველაზე მსხვილ მემამულეს, რომელთაც ათასზე მეტი ყმა ჰყავდათ, ჰქონდათ 33 მამული, დაფანტული გურიის სხვადასხვა კუთხეში.

ვიმეორებთ, ჩვენ აქ მოვიყვანეთ 60-იანი წლების ცნობები. ვაჭრობის და სოფლის მეურნეობის განვითარებამ, ქალაქის მოსახლეობის ზრდამ—უეჭველია შესცვალა მოსახლეობის ცალკე ჯგუფთა თანაფარდობა, მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული ცნობები სწორ წარმოდგენას იძლევა 40-იანი წლების შესახებაც. ამას სათანადო დოკუმენტებიც ადასტურებს.

მიწის ნაკლებობა გურიაში უკვე 40-იან წლებში იქცა აქტუალურ საკითხად. საშუალოდ წვრილმამულიანი აზნაურები უფლობდენ 30, 50, 100 ქცევა მიწას (11, 18½ 37 დესეტინას). ყმა-გლეხების მიწის საშუალო ზომა უდრიდა

*) Сборн. статистич. сведений о Кавказе, ტ. I, გვ. 22.

3,5 ქცევას. ისეთი გლეხები, რომელთაც 10 ან 15 ქცევა მიწა ჰქონდათ, გურიაში შეძლებულებად ითვლებოდენ. ქართლ-კახეთ-იმერეთის პალატის ცნობებით, გურიაში 40-45 წლებში ყოფილა 659 კომლი სახაზინო გლეხი, რომელნიც სახელმწიფო გადასახადს იხდიდენ. გლეხთა ეს ჯგუფი დანარჩენებზე უფრო ძლიერი იყო ეკონომიურად და ჰქონდა სახნავ-სათესად გამოსადეგი მიწა, გარდა ტყისა, 763 დესეტინა, ე. ი. კომლზე თითო დესეტინაზე ცოტა მეტი მოდიოდა.

გარდა მიწის ნაკლებობისა, გლეხობის უბედურება კიდევ ის იყო, რომ მიწები დაფანტული იყო, ხანდახან ძალიან დაშორებულად ერთმანეთისაგან, ასე რომ გლეხისათვის ხანდახან სახეირო არ იყო ყველა მიწის დამუშავება.

გარდა ამ დაქსაქსულობისა, უნდა აღინიშნოს მიწების შემდგომი დაქუცმაცების პროცესი, რაც შედეგი იყო მოსახლეობის ზრდისა და სისტემატიურ გაყრებისა, რაც ძალიან ხელს უშლიდა და ძირს უთხრიდა გლეხთა მეურნეობას. აი, რატომ იყო, რომ თავადები თავის მოხსენებითს ბარათში 42 წელს, რომლითაც მიმართეს გოლოვინს, მოითხოვდენ: გამოიცეს კანონი, რომლის ძალითაც გათხოვების დროს ქალებს მიეცესთ რიგიანი მზითვი (ფული, ნივთები და არა მიწა, რასაკვირველია. **ავტ. შ.**) და შემდგომ ნულარ ექნებათ მემკვიდრეობის უფლებაო*). იმავე მიზეზით მაჭუტაძეც მოითხოვს: გლეხებს აღეკრძალოთ გაყრა და ქონების გაყიდვა, ვიდრე ოჯახის ყველა წევრი არ მოიყრის ერთად თავსო**).

დასავლეთ საქართველოს შემდეგი თავისებურება და კერძოდ გურიისა (რითაც იგი განირჩეოდა არა მარტო შიდარუსეთის გუბერნიების, არამედ ტფილისის გუბერნიისაგანაც) ის იყო, რომ „არც ერთს მემამულეს არ ჰქონია წესიერად მოწყობილი მეურნეობა ან ყანები, ეგრედწოდებული საბატონოდ სახნავ-სათესი... მემამულეებს არც დრო ჰქონდათ, არც საშუალება იმისა, რომ ხელი მოეკიდნათ ყველაფერ იმის მოწყობისთვის, რაც აუცილებელი იყო მეურნეობის წესიერად გაძღოლისთვის***).

შემდგომ ხანებში, როდესაც გლეხთა რეფორმის საკითხი წინასწარ უკვე გადაწყვეტილი იყო და შესამზადებელი მუშაობა სწარმოებდა, გურიის თავადაზნაურობა გენერალ-გუბერნატორისადმი თავის მოხსენებითს ბარათში გულახდილად სწერდა: „**მთელი ჩვენი არსებობა დამოკიდებულია გლეხებზე**, რომელთა შეძენისთვის ჩვენ დასაბამითვე სიცოცხლეს არ ვზოგავდით და მატერიალურ ქონებას ვხარჯავდით, რადგან მომავალი ვერ განვჭვრიტეთ; ამიტომ არ შევმზადებულვართ ამნაირი დიდი გადატრიალებისთვის არც განათლებით, არც ჩვენი ცხოვრების მოწყობითო“ ****).

გურიის მემამულეთა უზარმაზარი მასა არ მონაწილეობდა წარმოებაში, არ მოუწყვია საკუთარი მეურნეობა, არ მისდევდა ვაჭრობას ან სხვა რაიმე საქმიანობას. იგი მარტოოდენ გლეხთა შრომით ცხოვრობდა.

---

*) ც. არქივი. გურიის საქმეები, № 28, ფ. 131—4.

**) იქვე.

***) Авалиани. Крестьянск. вопр. в Зак., გვ. 437.

****) არქივი, Дело канц. по делам устройства крестьян в Кут. губ., № 33. ფ. 246

რათა მემამულეთა მთელი ამ ხროვის კვება შესაძლებელი ყოფილიყო, ყმეების შრომის ექსპლოატაცია უმაღლეს წერტილამდე აჰყავდათ. მარტო გლეხს უნდა ემუშავნა, რომ გამოეკვებნა, შეემოსა ასობით მუქთახორები, რომელნიც არაფერს აკეთებდენ, მხოლოდ ნადირობდენ, ყაჩაღობდენ, ლოთობდენ და გარყვნილებაში ამოსდიოდათ სული.

ტფილისის გუბერნიაში, გლეხის ის კომლი, რომელიც მებატონეს მსახურად გაუგზავნიდა თავის წევრს, თავისუფალი იყო დანარჩენ ბეგარათაგან. გურიაში თვითეული გლეხის ოჯახი, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნოდა, ვალდებულ იყო მიეცა მებატონისათვის შრომის უნარმქონე ერთი ვაჟი შინამოსამსახურედ და, გარდა ამისა, შეესრულებინა ათასგვარი შემთხვევითი, ან მუდმივი ბეგარა. ეს ბეგარა სხვადასხვანაირი იყო არა მარტო ცალკე რაიონებში, არამედ თითქმის თვითეულ მებატონისას. გლეხებს ბეგარა ეკისრებოდათ დამოუკიდებლად თავისი ქონებრივი მდგომარეობისა და მიწის ოდენობისა. თუ გლეხს ცოტა მიწა ჰქონდა, ან სულ არ ჰქონდა, იგი ვალდებული იყო სხვის მიწაზე ემუშავნა და დაწესებული ბეგარა მებატონისათვის უკლებლივ შეესრულებინა. ამნაირად, რაც უფრო სუსტი იყო გლეხი ეკონომიურად, მით უფრო მეტად იჩაგრებოდა იგი მებატონისაგან და მით უფრო აუტანელი იყო მისი მდგომარეობა.

მუდმივ ბეგარას იხდიდენ ფულად ან ნატურით; სახელდობრ, იხდიდენ: ღვინოს, სიმინდს, ღომს, ქერს, ლობიოს, ჩალას, თუთის ფოთლებს აბრეშუმის ჭიისთვის, თაფლს, ცვილს, შინაურ პირუტყვს, ფრინველს, თევზს და სხვა.

შემთხვევითს ბეგარას ისტუმრებდენ ფულად. ასე, მაგალითად, როდესაც გლეხის ქალი თხოვდებოდა, მებატონეს აძლევდენ 5-დან 30 მანეთამდე (საჩექმე), მეორედ გათხოვებისას—10-დან 20 მანეთამდე (საქვრივო); მებატონის ოჯახის რომელიმე წევრის დამარხვისას გლეხები იხდიდენ 2-დან 5 მანეთამდე. როდესაც მებატონე ვალს ისტუმრებდა, ან ახალ მამულს იძენდა, გლეხები იხდიდენ 5-დან 20 მანეთამდე.

შინაყმას თუ შინ გაუშვებდენ, ყოველწლიურად მისი ოჯახი იხდიდა 30-დან 70 მანეთამდე. ყმობიდან განთავისუფლებაში მიწით ან უმიწოდ — იხდიდენ 400-დან 4000 მანეთამდე*).

ყმა-გლეხების ვალდებულებანი მარტო ზემოხსენებული ბეგარით როდი განისაზღვრებოდა. „მეფე ვახტანგის სამართალისა და იმერეთ-გურიაში არსებული ადათების მიხედვით, ყველაფერი, რაც ყმას აქვს, ბატონისა არის (მეფე ვახტანგის კანონთა 260 მ. კარი I). გლეხს ნება არ ჰქონდა მებატონის დაუკითხავად თავისუფლად მოეხმარნა თავისი უძრავი ქონება, ცხენი, მუშა-საქონელი. გლეხს ნება არ ჰქონდა მიწა ჰქონოდა. თუ იგი უძეოდ გარდაიცვლებოდა, ან ვაჟიშვილი არ დარჩებოდა, აგრეთვე მაშინ, თუ იგი სხვაგან გადასახლდებოდა, მთელი მისი მიწა, ნაყიდიც კი, მებატონის განკარგულებაში გადადიოდა“ **).

თუ გლეხის ოჯახი გაიყრებოდა, მებატონეს ეძლეოდა მოძრავი ქონების ერთი მეათედი. გლეხის მამული, სულერთია, ნაწყალობევი იყო თუ შეძენილი,

*) ც. არქივი. Дело канц. по устр. крестьян Кут. губ., № 33.
**) იქვე.

შესაძლებელი იყო მებატონის ვალში გაეყიდნათ. გლეხებს უფლება არ ჰქონდათ იჯარა აეღოთ, ფულადი ვალდებულება ეკისრნათ ბატონის ნებადაურთველად. გლეხებს მხოლოდ ბატონის ნებართვით შეეძლოთ ერთი ადგილიდან მეორეს გადასახლება, ხელოსნობის გაწევა, ვაჭრობა და ამისათვის დაწესებულ ფულად გადასახადს იხდიდენ.

საქართველოში არსებობდა ასეთი ჩვეულება: თუ ყმა ტყვეობიდან დაბრუნდებოდა, ბატონის უფლებანი მასზე აღდგინდებოდა ხოლმე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბატონი გლეხს მამულს დაუბრუნებდა, ან თუ გლეხი თავის ყოფილ სახლში ერთ კვირაზე მეტს იცხოვრებდა. გურიაში ამ ჩვეულებას არ მისდევდენ. რამდენი ხანიც უნდა ყოფილიყო წასული გლეხი, დაბრუნებისას იგი კვლავ თავისი ძველი ბატონის სრულ ყმობაში ვარდებოდა.

თავადთა აზნაურების ყმები ასრულებდენ ყოველგვარ ბეგარას თავის ბატონის წინაშე. მაგრამ საქმე ამით როდი თავდებოდა. იმავე დროს ასეთი ყმები ვალდებულნი იყვნენ შეესრულებინათ ნატურალური და ფულადი ბეგარა იმ თავადისათვისაც, რომელსაც ეს აზნაურები ეკუთვნოდენ. აზნაურთა ყმები თავისუფალნი იყვნენ მხოლოდ იმ მხრით, რომ თავადებს შინაყმებს არ უგზავნიდენ. დანარჩენი მხრით — მათ ორმაგი უღელი ედგათ კისერზე — თავადებისაცა და აზნაურებისაც.

საჭირო არაა ცალკე ვილაპარაკოთ საეკლესიო ყმების მდგომარეობაზე. ეკლესია შეზღუდული იყო მებატონეთა უფლების მხრით მხოლოდ ჩამორთმევის საქმეში. სხვაფერ, საეკლესიო გლეხებს ისეთივე პირადი და ათასგვარი ნატურალური და ფულადი ბეგარა ეკისრებოდათ, როგორც მებატონეთა გლეხებს. 1838 წლის ცნობებით, გურიაში ორი მონასტერი იყო: შემოქმედის და ჯუმათისა; ეკლესია იყო — 77, არქიმანდრიტი — 3, იღუმენი — 1, დეკანოზი 1, ბერმონაზონი — 23, მღვდელი 152, დიაკონი — 91, იეროდიაკონი 4, მწირი — 2 *). მონასტრებს ზოგი რამ შემოსავალი ჰქონდათ. მაგალითად, მონასტრებთან წელიწადში 2-ჯერ იმართებოდა ბაზრობა და მონასტრის სასარგებლოდ იხდიდენ ბაჟს. ჯუმათის მონასტერს ჰქონდა ბორანი სუფსაზე და სხვა. საერთოდ კი მონასტრების და სამღვდელოების შენახვა ყმა-გლეხებს აწვათ კისრად.

გურული ყმა ეკონომიურად მებატონის სრული მონა-მორჩილი იყო. ყმას ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლო ბატონის ნებადაურთველად. ბატონი სრული განმკარგულებელი იყო თავის ყმებისა. მას უფლება ჰქონდა მათი დასჯისა, დაჯარიმებისა, საპყრობილეში ჩასმისა, ცალკე და მთელი ოჯახობით გაჩუქებისა.

ზ. ჭიჭინაძის წიგნში ბატონყმობის შესახებ თავმოყრილია უხვი მასალა ყმათა მდგომარეობის შესახებ, დაწყებული მე-19 საუკუნის დამდეგიდან გლეხთა რეფორმამდე **). ამ წიგნში განსაკუთრებით დიდძალი მასალა მოიპოვება გურიის ბატონყმობაზე. მასალები გვიხატავენ ბატონყმობის და თვითნებობის, ადამიანის პიროვნების და ღირსების ფეხქვეშ გათელვის შემაძრწუნებელ სურათს.

---

*) Акты, ტ. VIII, გვ. 442.

**) ზ. ჭიჭინაძე — საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტ. 1 — 6

გურიის თავად-აზნაურთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც თავისი სიმკაცრით არაფრად ჩამოუვარდებოდა მე-18 საუკუნის ბატონყმური რუსეთის სახელგანთქმულ სალტიჩიხას.

განსაკუთრებით მძიმე იყო შინაყმა-ქალების მდგომარეობა. ჩვეულებრივი ამბავი იყო მათი გაუპატიურება, ძალადობა, ნაბიჭვრების გაჩენა. ადმინისტრაცია და სასამართლო მთლად მებატონის მხარეზე იყვნენ. ყმა სამართალს ვერასოდეს ვერ ეწეოდა. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. სოფ. შემოქმედის ყმაგლეხი მაზრის ხელისუფლებას დაახლოებით შემდეგს სწერს: „მე ვიყავი აზნაურ მამულაიშვილის ყმა, რომელმაც სულ პატარა ბავში მიყიდა. გასულ 1839 წ. მე უკანონოდ და ძალით წამიყვანა თავადმა ელისაბედ გურიელმა. ჩემს გამო ჩემს წინანდელ ბატონსა და გურიელს შორის ასტყდა დავა. თვითონ მე ფრიად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარ, რადგან არც სამოსახლო მიწა მომეპოება, არც სახნავი. ერთადერთი ცხენი მყავდა და ისიც კნეინამ წამართვა; ამით არსებობის უკანასკნელი საშუალება მომისპო. ორჯერ მივეცი განცხადება მსაჯულ ვაჩნაძეს, ვთხოულობდი საქმის გარჩევას და ცხენის დაბრუნებას, მაგრამ ვაჩნაძემ მეორედაც ასე მითხრა: რა ვქნა, შენს ბატონს უფლება აქვს, რაც მოენებება, ის გიყოსო! *).

ბახვის რაიონის სოფ. კვირიკეთში ცხოვრობდენ გლეხი ლომინაძეები. მათში განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა ოთარ ლომინაძე, რომელიც გურიის აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. მებატონეთა თვალსაზრისით ლომინაძე მოუსვენარი ელემენტი იყო. ის ყოველგვარი საშუალებით ებრძოდა მემამულეებს, აქეზებდა ბრძოლისთვის სხვა გლეხებსაც იმ თავად-აზნაურების წინააღმდეგ, რომელნიც განსაკუთრებით ავიწროებდენ ყმებს და ჰყიდდენ მათ. რათა თავიდან მოეშორებინათ ოთარი, თავად-აზნაურობამ მას ქურდობა დასწამა და ადმინისტრაციამ იგი დააპატიმრა. მიუხედავად მთელი სოფლის შუამდგომლობისა, მაინც ვერ მოხერხდა ოთარ ლომინაძის განთავისუფლება, ვინაიდან სასამართლო და ადმინისტრაცია მთლად გაბატონებული კლასის მხარეზე იყვნენ **).

ყველაზე აღმაშფოთებელი ამბავი გურიაში — ეს იყო ყმების გაყიდვა. სულ ჩვეულებრივი ამბავი იყო ყმების ბავშების, შინაყმა ქალების შვილების გაყიდვა, მოზრდილ ქალ-ვაჟთა მოტაცება — ტფილისს, თვით გურიას და განსაკუთრებით კი ოსმალეთში (ბათომსა და ქობულეთს) გასაყიდად. იშვიათი იყო ისეთი მსხვილი და წვრილი თავადი თუ აზნაური, რომ ამ საქმეს არ დასდგომოდა.

1840 წლებში მაჰმადიან ქართველთა შორის განთქმულნი იყვნენ, როგორც ყმების ვაჭარნი, არიფ-ფაში-ოღლი და იუსუფ-ბეშქი-ოღლი. მათ მთელი ორგანიზაცია ჰქონდათ; ყიდულობდენ გურულ თავად-აზნაურებისაგან ყმებს, განსაკუთრებით ბავშებს და ეზიდებოდენ ოსმალეთში. ქობულეთში ყაჩაღთა ბრბოს მეთაურობდა ხავთასი, რომელიც ყმათა გაყიდვასაც მისდევდა. ოსმალეთში ყმების გაყიდვა გრძელდებოდა გლეხთა რეფორმამდეც კი. ასე, მაგალითად, 60-იან

*) ზ. ჭიჭინაძე — ტ. 2 და 3. გვ. 123.
**) ზ. ჭიჭინაძე, ტ. 4, გვ. 68.

წლებში ლევან გურიელმა რამდენიმე თავისი ყმა გააპარა და ბათომში გაჰყიდა. ზურაბ ერისთავმა თავის ერთ ყმას ორი ქალიშვილი წაართვა და ოსმალეთში გაყიდა, ხოლო თვითონ ყმა სახლში შინაყმად მოიყვანა. ამ ყმამ ბატონს მერმე სამაგიერო გადაუხადა: ბატონი მოჰკლა და ოსმალეთს გაიქცა. საჭირო არაა ყველა იმ მემამულეთა ჩამოთვლა, რომელნიც ფულის სიხარბით გატაცებულნი, ამ სამარცხვინო ხელობას მისდევდენ. ძალიან იშვიათი იყო ისეთი თავადი ან აზნაური, რომლისათვისაც უცხო რამ იყო ყმების გაყიდვა. საკმარისია, ბოლოს, გავიხსენოთ, რომ 1856 წ. მუჰამედ-ფაშამ, რომელიც მაშინ ბათომს ცხოვრობდა, სტამბოლს გაჰგზავნა გემი, გურული ქალ-ვაჟებით დატვირთული, იქ გასაყიდად *).

გურიაში ახლაც მოიპოვებიან მოხუცები, რომელთაც ოსმალეთს ყმების გაყიდვის მრავალი ფაქტი ახსოვთ. მაგალითად, დავასახელებთ ლიხაურის რაიონის გლეხ ალექსანდრე სურგულაძეს. მან გვიამბო: დედაჩემი პელაგია ახალგაზრდობისას გაიტაცეს და ქობულეთში გაჰყიდეს. ნათესავებმა ძლივძლივობით მიაგნეს მის კვალს და გამოისყიდესო. იმავე რაიონის სოფ. ჭანიეთში 1926 წ. მოკვდა 132 წლის მოხუცი შევარდენ ლომჯარია. მიუხედავათ თავის ხნოვანებისა, მას უკანასკნელ დღეებამდე შერჩენოდა ნათელი მეხსიერება და დიდი ენერგია. შევარდენ ლომჯარია, რომელიც ერთ საუკუნეზე მეტს ცხოვრობდა, ცოცხალი ისტორია იყო, ძალიან მჭევრმეტყველური თხრობა იცოდა წარსული ამბებისა და საინტერესო ფაქტებისა. 7 წლისა ყოფილიყო შევარდენი, როდესაც იგი შინაყმად წაეყვანა ადგილობრივ მებატონეს ქაიხოსრო თაყაიშვილს. მებატონის სახლში შევარდენი ფრიად მძიმე სამუშაოს ასრულებდა და დღედაღამე მოსვენება არ ჰქონდა. ხშირად, სულ მცირეოდენი დანაშაულობისათვის, მკაცრად სჯიდენ ხოლმე. მებატონის წაქეზებით შევარდენმა ახალგაზრდობიდანვე ხელი მოჰკიდა კონტრაბანდისტის სახიფათო ხელობას. 1841 წელს შევარდენმა სხვებთან ერთად მიატოვა მებატონის სახლი და ფრიად აქტიური მონაწილეობა მიიღო გურიის აჯანყებაში.

ხსენებული ლომჯარიას სიტყვით, 1840-იან წლებში ქობულეთის რაიონში ცხოვრობდა ცნობილი აჭარელი ოქროპირ-ოღლი. იგი გურიიდან იტაცებდა ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალებს, აგრეთვე ბავშებს და მიჰყავდა გასაყიდად ბათომის ბაზარზე. და აი, ერთერთი თავდასხმის დროს ოქროპირ-ოღლიმ მოიტაცა შევარდენის უფროსი და — ძილიხანი.

ძილიხანსაც ის ბედი მოელოდა, რაც სხვებს: მას გაჰყიდიდენ და დაიღუპებოდა სამშობლოდან სადმე შორს, გადაკარგულში. მაგრამ ძილიხანი თავისი სილამაზით ისე მოეწონა ოქროპირ-ოღლის დედას, რომ შვილს ხვეწნა დაუწყო: ამ გურულ ქალს ნუ გაჰყიდი, ცოლად შეირთეო. ოქროპიროღლიმ დედას დაუჯერა და მართლაც ცოლად შეირთო ძილიხანი. გარდა ამისა, მას ისე შეუყვარდა იგი, რომ თავი მიანება თავის სამარცხვინო ხელობას, მოძებნა ცოლის ნათესავები, შეურიგდა მათ და ძილიხანს ნება მისცა ქრისტიანად დარჩენილიყო. ხანგამოშვებით ოქროპირ-ოღლი დადიოდა ცოლშვილით გურიაში ცოლის ნათესავებთან. იმ დროს, როდესაც ძილიხანი ეკლესიაში შევიდოდა სალოცავად, ოქროპირ-ოღლი გალავანში

*) ზ. ჭიჭინაძე, ტ. 4. გვ. 188.

უცდიდა და გურულებს ებაასებოდა. ქობულეთის რაიონში ახლაც არიან ძილიხანის შვილიშვილები და შვილის შვილიშვილები. მათ ახსოვთ თავიანთი წინაპრები და ლომჯარიებთან ახლაც ნათესაური დამოკიდებულება აქვთ.

შევარდენს ჰყავდა მეორე და — ეკა (ეკატერინე). ერთხელ, როდესაც იგი დაახლოებით 16 წლისა იყო, შევარდენის შინ არყოფნისას, მათ ეწვიათ ახლო ნათესავი ლევან ვასაძე. შევარდენის ცოლს მათას ლევანმა სთხოვა, ეკა გამოუშვი სოფ. აჭში თხილის საკრეფადაო.

მათას ეჭვი არაფრისა ჰქონია და დათანხმდა. ლევანმა მოტყუებით გადაიყვანა ეკა აჭარის ამავე სახელწოდების სოფელში და იქ გასაყიდად გადასცა აჭარელ ქვაზი-ოღლის. შევარდენმა ძლივძლივობით, დიდი გაჭირვებით მიაგნო დის კვალს და მხოლოდ ადმინისტრაციის საშუალებით დაიბრუნა იგი.

დიაღ, მკაცრი დრო იყო, — ხშირად იგონებდა შევარდენი. ჩვენს ბავშებზე, როგორც ქორი წიწილებზე, ნადირობდენ აჭარლები, ჩვენებურივე თავადაზნაურნი, ხშირად გლეხებიც, რომელთაც თავის ხელობად გაეხადნათ ეს შემაძრწუნებელი საქმე. ვცხოვრობდით ჭაობებში, ხშირ, გაუვალ ტყეში. საკმაო იყო ბავშვი სახლს ოდნავ დაშორებოდა, ან დაყოვნებულიყო რისთვისმე, სტაცებდენ ხელს, გადამალავდენ ტყეში და მერე ჰყიდიდენ ოსმალეთში. როდესაც ბავშვები ძახილზე არ გაგვაგონებდენ, პირველად ესევე აზრი მოგვივიდოდა ფიქრად — ხომ არავინ მოიტაცაო. მახსოვს ამნაირი შემაძრწუნებელი ამბავი. დაახლოებით 1858 წლებში ჩვენს სოფელში ასტყდა ერთი ალიაქოთი, ყიჟინა და ხმაური. დღისით, მზისით, დაიკარგა ერთი გლეხის 12 წლის ბიჭი. ბევრი ვეძებეთ, მთელი არემარე მოვიარეთ, მაგრამ ბავში ვერსად ვიპოვნეთ. მხოლოდ 40 წლის შემდეგ, სოფ. ქაქუთში (იმავე ლიხაურის რაიონში, ოსმალეთის საზღვართან) სიკვდილის წინ ცოდვები მოინანია საჯაროდ გლეხმა გრიგოლიამ. იგი გამოტყდა: ახალგაზრდობაში ბავშვებს ვიტაცებდი და ვყიდდი, და სწორედ მე მოვიტაცე ის ბიჭიო. შემეშინდა მდევრებისა, ბავშვს პირში ბუერთი ჩავჩარე და ტყეში ხეზე მივაბიო. რადგან ადრე მისვლა შეუძლებელი იყო, მხოლოდ მე-12 დღეს ვნახე ბავშვი. ჩემდა შესაძრწუნებლად, ბავშვი ადამიანს აღარ ჰგავდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყოო. თავისი ჯალათის დანახვაზე ბავშვს ცრემლის ღვრა დაუწყია და მორჩილად თავი დაუხრია. ამას ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია გრიგოლიაზე, რომ იქ ველარ გაჩერებულა და უკანმიუხედავად მოუკურცხლავს.

ყმების გაყიდვა, განსაკუთრებით ოსმალეთს, კანონით სასტიკად აკრძალული იყო, მაგრამ ფაქტიურად ძალიან იყო გავრცელებული, რადგან ყმა ყველაზე მეტად ფასობდა.

მებატონეთა შორის გავრცელებული იყო ჩვეულება ერთმანეთისთვის სხვადასხვა შემთხვევათა გამო ყმების ბავშვთა ჩუქებისა. ყმების ბავშვებს საჩუქრად ღებულობდენ გურულ მებატონეთაგან ხშირად რუსის ოფიცრები და მოხელეები. რუსეთს წაყვანილი ასეთი ბავშვები უკან ველარასოდეს ვერ ბრუნდებოდენ. ბუნებრივია, რომ უუფლებობას, სასამართლოს თვითნებობას, სასტიკ ეკონომიურ ექსპლოატაციას — ყმათა მხრით წინააღმდეგობა უნდა გამოეწვია. მემამულეთა და ყმათა შორის, „მშვიდობა“ არასოდეს არსებულა. 1841 წლამდე ჩვენ არ ვიცით ანტიბატონყმური მასობრივი გამოსვლა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ

გლეხები თავისი ბედის კმაყოფილნი იყვნენ. ჩვეულებრივი ამბავი იყო სასტიკი ბატონების მოკვლა, სახლკარის გადაწვა, აჭარაში გარდახვეწა, იქ მაჰმადიანობის მიღება. ისეთი შემთხვევებიც იყო, რომ ბევრი აზნაური, რომელსაც მთავალი ყმა ჰყავდა, ჰკარგავდა ყმებს, რადგან ისინი აჭარას გარბოდენ. ცენტრალარქივის საქმეებში მრავალი დოკუმენტი მოიპოება იმის შესახებ, რომ გურული თავად-აზნაურები ცდილობდენ ხოლმე რუსეთის კონსულის საშუალებით ბათომში — უკან დაებრუნებინათ გაქცეული ყმები, მაგრამ ეს იშვიათად ხერხდებოდა. იმ გლეხების დაბრუნება, რომელნიც საზღვარს გადავიდოდენ და მაჰმადიანობას მიიღებდენ, უკვე შეუძლებელი იყო.

მივმართოთ ერთ ოფიციალურ საქმეს*).

ქუთაისის გუბერნატორსა და კავკასიის მეფის ნაცვლის (ნამესტნიკის) დიპლომატიურ კანცელარიას შორის, ოზურგეთის მაზრის უფროსის პატაკის მიხედვით, სწარმოებს მიმოწერა იმაზე, რომ სოფ. გურიანთიდან აჭარას გაქცეულა თავად გ. ნაკაშიძის ყმა-ქალი ჯუფანა მუჯირი. ოსმალეთიდან გარდმოხვეწილ გოგია დახჭირიშვილის დახმარებით, მუჯირს მოუხერხებია წაეყვანა თავისთან შვილები: ალექსანდრე, ფილიპე, პელაგია, სესიკო და ბარბალე.

რასაკვირველია, ნაკაშიძე არ ურიგდება ამდენი ყმის დაკარგვას და რუსის ადმინისტრაციის საშუალებით ყოველგვარად ცდილობს მათს უკან დაბრუნებას. რამდენიმე თვის შემდეგ (ცხადი არ არის დოკუმენტებიდან, თუ რამდენი ხნის შემდეგ), არ ვიცით, ქობულეთში მყოფ რუსეთის აგენტის კაპიტან ბოზოს მოთხოვნით, თუ იმ დროს, როდესაც პელაგია მუჯირი ცდილობდა აჭარიდან კვლავ გურიაში გადასულიყო, იგი დაიჭირეს და გ. ნაკაშიძეს დაუბრუნეს.

დაკითხვის დროს დედა გამოტყდა, რომ მისი ქალიშვილები ბარბალე და სესიკო იმალებიან სოფ. ცხეთპასქოში ჰუსეინ და ახმედ თურქ-ოღლებთან, ვაჟიშვილი ფილიპე და ქალიშვილი პელაგია კი სოფ. მეძებანში აჭარელ ჰოლგუსუსთან, ხოლო ალექსანდრე — ს. ხოფში ბეგ ახმედ უზუულ-ოღლისთან. დოკუმენტებიდან არა სჩანს, მოახერხა თუ არა რუსის ადმინისტრაციამ ხსენებული პირების დაბრუნება გურიაში. ჩვენთვის კი ერთი რამ არის აშკარა: ალბად განსაკუთრებით აუტანელი იყო ბატონყმობის უღელი, რომ მუჯირმა მშობლიური სოფელი მიატოვა, თავი გასწირა, აჭარაში გაიქცა და თავისი შვილები დასამალად სხვადასხვა სოფელში დაფანტა. ალბად ეს უფრო უკეთესად მიაჩნდა, ვიდრე მკაცრი ბატონის ხელში ყოფნა.

გურული თავად-აზნაურობის ცხოვრების ნათელსაყოფად მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც ალსახულია მხატვრულ ლიტერატურაში.

40-იან წლებში გურიაში ცხოვრობდა ერთ-ერთი მსხვილი თავადთაგანი — დათა გურიელი, უკანასკნელი მთავრის ძმისწული, გურიის მთავრის ტახტის პრეტენდენტი, ცნობილი პოეტის მამია გურიელის მამა.

პოეტის ბიოგრაფიიდან და მის ავტობიოგრაფიულ ლექსიდან „დედასთან მიწერილი ტფილისიდგან“ ჩვენ ვტყობილობთ შემდეგს: გურიელების სასახლე

---

*) ც. არქივი. Дело дипломат. Канц. наместн. Кавказского, № 143 (არქივი — № 1716). „საქმე ოსმალეთში თავად გ. ნაკაშიძის გაქცეულ გლეხის ჯუფანა მუჯირის და მისი ბავშვების მოძებნის და უკან დაბრუნების შესახებ“.

და მამული მოთავსებული იყო სოფ. ლესაში. გურიელს დიდი სასახლე ჰქონდა, სადაც ცალკე და ფართო შენობა იყო აზნაურების და ჩამოსული სტუმრებისთვის; ჰქონდა აგრეთვე სპეციალური კარის ეკლესია. უზარმაზარ ეზოში მრავალი სამეურნეო შენობა იყო აგებული. მათ შორის აღსანიშნავი იყო საჯინიბო, სადაც გურიელს, სხვა ცხენებთან ერთად, ება არაბული მერანი, ოსმალეთის ფაშის ნაჩუქარი.

გურიელის სასახლეს შინაყმათა უზარმაზარი შტატი ჰყავდა. მათ შორის იყვნენ: ხელზემოსამსახურეები, ძიძები, მსახური ქალები, ბაზიერები, მეჯინიბეები, დალაქები, მცველები.

პოეტი მამია გურიელი დაიბადა 1836 წელს. მას ძველი ტრადიციის მიხედვით ზრდიდენ. „სასახლის აზნაურები რიჟრაჟზე უკვე ფეხზე იყვნენ და ახალგაზრდა მამიას გაღვიძებას უცდიდენ. ერთი მათგანი ჩააცმევდა, მეორე პირს აბანინებდა, მესამე დილის საუზმეს უმზადებდა, მეოთხე სუფრაზე ემსახურებოდა“. მამია ბავშვობიდანვე ტრიალებს სასახლის გარყვნილ ამალაში, მონაწილეობს ბურთაობასა და ჯირითში.

დათა გურიელის ოჯახში სტუმრები მუდამ გამოულეველნი იყვნენ: აზნაურები, რუსის ოფიცრები, მოხელეები, სასულიერო პირები, დიდგვარიანები სამეგრელოდან, იმერეთიდან. ეს უამრავი ხალხი, რომელიც სასახლეში ტრიალებდა, სრულიად არაფერს აკეთებდა. დროს ატარებდენ შემდეგნაირად: ეძინათ, ნარდს ან ჭადრაკს თამაშობდენ, ბურთაობდენ, ჯირითობდენ, ნადირობდენ.

სადილად სტუმრები უამრავ ღვინოს სვამდენ; ორი ძროხა არ ჰყოფნიდათ და იმღეროდენ, სადღეგრძელოებს ამბობდენ. ხშირად შეხურებული მოსადილენი ჩხუბს დაიწყებდენ. ასტყდებოდა ხანჯლების ტრიალი. გაცხარებული მოჩხუბარნი იქ მყოფებს აღარ ერიდებოდენ და ერთმანეთს წამოსძახებდენ: ქურდი ხარ, ყაჩაღობ, გლეხებს ოსმალეთში ჰყიდიო და სხვა. მხოლოდ დათა გურიელის მრისხანე შეძახება შეაჩერებდა ხოლმე მოჩხუბრებს.

ასეთი ცხოვრება, რასაკვირველია, დიდძალ ქონებას ნთქავდა. წვრილი თავად-აზნაურობაც ცდილობდა გურიელისთვის მიებაძნა. დათა გურიელს 5 ათას ყმაზე მეტი ჰყავდა. მას ემორჩილებოდა 80 აზნაური თავთავიანთი ყმებით. გურიელის სამფლობელო შეიცავდა 17 ვერსს შავი ზღვის ნაპირიდან. იგი ბაჟს აროთმევდა ყოველგვარ გემს, რომელიც კი გრიგოლეთს, ან მალთაყვას მიადგებოდა.

გურიელი დიდძალ ფულადს ხარკს და ბეგარას ადებდა თავის ყმებს. გარდა ამისა, რათა თავისი გამოცალიერებული ხაზინა შეევსო, იგი ხშირად ჰყიდდა ყმებს როგორც გურიაში, ისე ოსმალეთში.

მრავალ სხვა მოგონებათა შორის აი, რას გადმოგვცემს ზ. ჭიჭინაძე გურიელის შესახებ: „დათა გურიელი ცნობილია, ვითარცა უდიერი მებატონე და მტანჯველი ყმათა. იგი ავიწროებდა არა მარტო თავის ყმებს, არამედ სხვებისასაც, საეკლესიო გლეხებს ძალით თვით იყმობდა ხოლმე... სწორედ ასე მოექცა ჯუმათის საეკლესიო ყმებს კვაჭაძეებს. 1854 წ. დაეცა თავის ყაჩაღი აზნა-

ურის და გლეხიშვილებით ამ ყმის ოჯახს, აიკლო მისი ოჯახი, წაართვა ყოველივე და უკანასკნელ თვით გლეხი დააპატიმრა და ჰგვემა სასტიკად...

...მან ხარკის თხოვნას და ყმობასაც გადააბიჯა და თვით შვილების წართმევაც დაუწყო გლეხებს. მაშინ გლეხებმა ვეღარ მოითმინეს, ტყუილმოდავე მებატონეს დავა აუტეხეს და საქმე გამოსაძიებლად გადასცეს... მას არც რუსის მთავრობა უკრძალავდა (რასმე), ამას როგორც სურდა, ისე სტანჯავდა, მთავრობაც ამის სრულ ნებას აძლევდა“ *).

---

*) ზ. ჭიჭინაძე. საქართვ. ბატონყმობის ფაქტიური მასალები. ტ. მე-4. გვ. 176-177.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

აჯანყების უშუალო მიზეზები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 40-იან წლებში გურიაში ვითარდებიან სავაჭრო-ფულადი ურთიერთობანი, იზრდება ბაზრები, სოფლის მეურნეობა სასაქონლო ხდება. გურია ეკონომიურად ტფილისთან ნაკლებად იყო დაკავშირებული. მას უფრო აჭარისა და ოსმალეთისკენ ჰქონდა მიდრეკილება. გურიის მოსახლეობას არ შეეძლო მათთან ვაჭრობის გარეშე გაძლება. თუმცა კონტრაბანდას სატიკად სდევნიდენ, კონტრაბანდა აუცილებელი იყო, რაგინდ დიდ საფრთხესთან ყოფილიყო იგი დაკავშირებული. რუსეთის ნაციონალური მრეწველობის „მაღალი" ინტერესები ნაკლებად ხვდებოდა გურულების გულს. ამიტომ მათთვის ოსმალეთთან ვაჭრობის თავისუფლება, საზღვრების გახსნა — ფრიად აქტუალური საკითხი იყო.

ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით იზრდება თავად-აზნაურობის მოთხოვნილება-საჭიროებებიც. ბაზრებზე ჩნდება ფუფუნების საგნები: ძვირფასი ჭურჭლეულობა, ძვირფასი ქსოვილები, შამპანიური, რომი და სხვა საქონელი. ეს საგნები, რასაკვირველია, გაბატონებული კლასების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო დანიშნული. მათ საყიდლად საჭირო გახდა ფული და აი, ფულის მოთხოვნილება მებატონეებში ძალიან იზრდება.

მებატონეებს არ ჰქონდათ თავისი ყანები, წესიერად მოწყობილი მეურნეობა, თუნდაც ბატონყმური მეურნეობა. ამიტომ მათ არ შეეძლოთ სხვანაირად ფულის შოვნა, თუ არა ყმების ექსპლოატაციის გაძლიერებით, ნატურალური გადასახადის გადიდებით და მისი შეცვლით ფულადი გამოსაღებით.

სულ უფრო და უფრო ხშირდება მებატონეთა მამულების დავალიანება და გაყიდვა, გაყიდვა ყმებისა როგორც კომლობრივ, ისე ცალცალკე.

გურული თავად-აზნაურობა სრულიად უსწავლელი იყო, შრომის უნარი არ ჰქონდა და მუქთახორულ ცხოვრებას ეწეოდა. მხოლოდ მცირედი ნაწილი თუ ახერხებდა სახელმწიფო სამსახურში, უმთავრესად რუსის ჯარსა ან ადგილობრივ მილიციაში შესვლას.

გლეხის მეურნეობამ ველარ გაუძლო ორმაგ ჩაგვრას: ერთი მხრით მას აწუხებდა სულ მზარდი ფეოდალური-ბატონყმური ბეგარა, მეორე მხრით — ნატურალური და ფულადი გადასახადი მეფის ხაზინის სასარგებლოდ. ყველა ამ ფაქტების ზეგავლენით იზრდება გლეხთა წვრილი მეურნეობების გაპარტახება, გამოფიტვა და დავალიანება. გარდა ამისა, როგორც წინად აღვნიშნეთ, გლეხს აწუხებდა მიწის ნაკლებობა, მიწების დაქსაქსულობა, დამუშავების ძველებური ფორმები: მან სამცვლითი სისტემაც კი არ იცოდა.

ჩვენ ვიცით, რომ სახაზინო გლეხები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ და ეკონომიურად სჯობდენ ყმა-გლეხებს. მაგრამ სახაზინო პალატის ცნობებით, მათ შორის იზრდება დავალიანება. ასე, მაგალითად, სახაზინო გლეხებისაგან 41 წელს უნდა შემოსულიყო 4,105 მ. 42 კ. ნამდვილად კი შემოვიდა 3.715 მ. 48 კ. ამნაირად, დავალიანება დარჩა 389 მ. 94 კ. ამავე წელს საერობო გამოსაღები უნდა შემოსულიყო 1.547 მ. 70 კ., შემოვიდა—608 მ. 91 კ. დარჩა გადაუხდელი—935 მ. 79 კ.

ა/კავკასიაში ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად თვითმპყრობელობის საგადასახადო პოლიტიკაც იცვლება. გურიაში 1841 წლამდე ფულად გადასახადს იხდიდა 4. 812 სული, ე. ი. იგივე პირები, რომელნიც გადასახადს უხდიდენ გურიელსაც. დანარჩენ გლეხებს ედვათ ათასგვარი ნატურალური და საერობო ბეგარა: მილიციაში სამსახური, გზების გაყვანა და სხვა. შეეცადენ ყველა გლეხისთვის თანაბარი გადასახადი დაედვათ, მაგრამ, თვითონ მთავრობისვე მოწმობით, ეს ვერ მოხერხდა, რადგან გლეხობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა.

1841 წლიდან საგადასახადო სისტემაში მკაცრი გარდატეხა ხდება. გურიაში პირველად შემოიღეს **სულობრივი გადასახადი** და ყველა ნატურალური თუ საერობო ბეგარა შეიცვალა ერთი ფულადი გადასახადით. პროდუქტების და მიწის ნაყოფთა მაგიერ სახელმწიფო გლეხებს უნდა გადაეხადათ თვითეულ სულზე 1 მ., ხოლო მებატონეთა და საეკლესიო გლეხებს—50 კაპეიკი ვერცხლად. გარდა ამისა, საერობო ბეგარათა მაგივრად სახაზინო გლეხებს უნდა ეხადათ კომლზე 35., ხოლო მებატონეთა და საეკლესიოებს—9 კაპეიკი.

როდესაც 1841 წ. გურიის აჯანყებაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივად ყველა ავტორს მის უმთავრეს მიზეზად 25 კ. გადასახადის შემოღება მიაჩნია. მაგალითად, ფ. მახარაძე ამბობს: „აჯანყების საბაბი იყო ნატურალური ბეგრის მაგივრად 25 კ. ოდენობის ფულადი გადასახადის შემოღება“ *).

რასაკვირველია, ფ. მახარაძე სავსებით მართალია, როდესაც აჯანყებაში ახალი გადასახადის შემოღების როლს აღნიშნავს. მაგრამ გადასახადი ნამდვილად ბევრად უფრო მძიმე და რთული იყო, ვიდრე პირველი შეხედვით მოგეჩვენებათ. გარდა ამისა, რომ გადასახადი 25 კ. აღემატებოდა, იგი უნდა გამოეღო მთელ მოსახლეობას, თვითეულ სულს.

ახალი გადასახადი მძლავრად მოხვდა გლეხთა ეკონომიურ ინტერესებს, მძიმე ტვირთად დააწვა მათ მეურნეობას. ყმა-გლეხების დატვირთვა ხაზინის სასარგებლოდ, უეჭველია, უკმაყოფილებას და ოპოზიციურ განწყობილებას ჰბადებდა თავად-აზნაურებშიაც, ვინაიდან გლეხობა ვეღარ ახერხებდა მებატონეთადმი ვალდებულების შესრულებას. თავად-აზნაურობას სურდა გლეხები ეყვლიფნა მხოლოდ თვითონ და მარტოდ-მარტოს. ამიტომ შემდგომ ხანებში გურიის თავად-აზნაურობამ აღძრა საკითხი: „სულობრივ გადასახადის მაგივრად დააწესეთ კომლობრივი, მცხოვრებთა შეძლების მიხედვით, რაც უფრო შეეფერება

*) Труды 1 Всесоюзн. конф. Ист.-Марксистов. Доклад Ф. Махарадзе—„Грузия в XIX в.“. გვ. 487.

მათ ჩვეულებასა და ზნესაო“ *). ფორმალურად, ერთიანი ფულადი გადასახადის შემოღების შემდეგ, გლეხები თუმცა უნდა განთავისუფლებულიყვნენ საერობო ბეგარათაგან, მაგრამ რუსის ადმინისტრაცია ნაკლებად ზრუნავდა ამისთვის. „ზემორე განცხადებულსა გლახაკობითსა მდგომარეობასა თანა გურიის მცხოვრებთასა, მათზედა დადებულ არს დაცვა კორდონის საყარაულოებისა, რომელსაცა ზედა მიჩენილ არს მოუცილებლად თვისის ანგარიშით სამას ორმოცდაათი დაიარალებულნი კაცნი,—სწერს თავის მოხსენებაში მაჭუტაძე.—მსახურებასა ამას აღასრულებენ გაანგარიშებით და რიგით ყოველთა წოდებათა გლეხნი კაცნი. შეხვდებათ ასე, რომ მარტოხელს მცხოვრებს შეემთხვეს რიგი ისეთს დროს, რომ მან უნდა დაკარგოს შემთხვევა დათესვისა ანუ გაბარვისა, ანუ მოწევისა წლიურისა თვისისა მოსაელისა, და ამისა გამო მთელს წელს ოჯახობითურთ თვისით უნდა დაშთენ მშიერნი. შესამსუბუქებლად ამისასა ხალხი მოუწოდს მხოლობითსა შემბრალეობასა მთავრობისასა, პატივისდებასა უკიდურესის თვისისა სიღარიბისასა, რათა საყარაულოებზედ ექმნესთ შემსუბუქება, თუ სამარადისოდ არა, ნახევრობით მაინც რეგულიარნის ჯარის დაყენებით“ **).

ოსმალეთში სოფიოს გაქცევის შემდეგ (მსხვილ ფეოდალებთან ერთად), გურია, თუმცა საბოლოოდ შეუერთეს რუსეთს (იქ იდგა რუსის ჯარი, ჰკრებდენ გადასახადებს), მაგრამ ადგილობრივი არისტოკრატია სავსებით როდი ჩამოუშორებიათ ხელისუფლებისათვის. გურიას განაგებდა „დროებითი მმართველობა“ რომელშიაც შედიოდენ მდივანბეგები: ვახტანგ ერისთავი, სიმონ გუგუნავა, გიორგი ნაკაშიძე, გიორგი ერისთავი. გურიის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე იყო რუსის პოლკოვნიკი კოლუბიაკინი. მმართველობა განაგებდა პოლიციას, სასამართლოს და ფინანსებს.

ყოველგვარი საქმე წყდებოდა ადგილობრივი კანონების და ადათების მიხედვით, მშობლიურ ენაზე. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს წარმოადგენდენ ისევ მოურავები.

მაგრამ თვითმპყრობელობა განაგრძობდა თავის შეტევითს სოციალურ და ეკონომიურ პოლიტიკას. მას სურდა სწრაფად განეხორციელებინა ის, რაც სრულიად გულახდილად გამოსთქვა ჯერ კიდევ იმპერატორმა პავლემ: „მსურს საქართველო გუბერნიად ვაქციო“.

ამ პოლიტიკის ყველაზე მეტად თანმიმდევრობითი განმხორციელებელი იყო სენატორ განის კომისია. მან გადასწყვიტა: მთელ საქართველოში შემოვიღოთ სრულიად უცვლელად ყველა ის კანონი და დაწესებულებანი, რომლებიც ცენტრალურ რუსეთში მოქმედებენო.

ადმინისტრატიული, საფინანსო, სამოსამართლო რეფორმა ჩაატარეს არაჩვეულებრივი სისწრაფით, სულ ერთ წელიწადში (1840 წ.). „ერთი წელიწადიც არ გასულა, რომ სენატორის სიბრძნეს საყოველთაო უკმაყოფილება მოჰყვა: თანაბრად სჩიოდენ მოხელეებიც, ხალხიც. ეს იყო კანცელარიობისა და ფორმალობათა მეფობა. აშკარა დამნაშავეს შეეძლო გამოსულიყო და გამოდიოდა კი-

*) ც. არქივი. გურიის საქმეები, № 28, ფ. 134—137.
**) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევაც სასამართლოდან გამართლებული, თუ კანონით გათვალისწინებული ფორმალური ხასიათის საბუთები არ ჰქონდათ მის წინააღმდეგ. გამართლებულთ, თანახმად ბრძანებისა, მაინც ციხეში ამყოფებდენ. მთელი მმართველობა შესდგებოდა მხოლოდ მწერლობისაგან, პირდაპირი მოქმედება კი არ ყოფილა. უმაღლეს ინსტანციით დაწყებული უდაბლეს საპოლიციოთი დათავებული — ყველანი მხოლოდ სწერდენ და ერთმანეთს ფორმალურ ქაღალდებს უგზავნიდენ" *).

თავის მემუარებში დ. ყიფიანი ადასტურებს ზემოხსენებულ ფაქტებს. მას სამსახურის ხაზით მოუხდა ქუთაისის სამაზრო სამმართველოს საქმეების გამოკვლევა 1841 წელს. აღმოჩნდა, რომ 1 იანვრიდან სექტემბრის დამლევამდე სამაზრო სამმართველოს განუხილავს 4000 საქმე; შემოსულ ქაღალდთა რიცხვი ამ დროის განმავლობაში ყოფილა 12.800, გასულის—13.000. ქაღალდის ასეთი ნიაღვარი იყო აჯანყებამდე გურიის მმართველობაშიაც. განის რეფორმა გურიაშიაც განახორციელეს. „დროებითი მმართველობა" გააუქმეს და 1840 წლის 10 აპრილს გურია შეუერთეს, როგორც ერთერთი მაზრა, ქართლ-კახეთ-იმერეთის გუბერნიას. შემოიღეს რუსული სასამართლო, რუსული კანონები და საქმეთა წარმოება რუსულად.

მოხელეთა ბიუროკრატიული აპარატი ფრიად გააფართოეს და გაართულეს. „დროებითი მმართველობის" თავმჯდომარეს ეძლეოდა წელიწადში 600 მანეთი, ხოლო 1841 წ. 10 აპრილის შტატით გურიის მმართველობა უკვე 13.195 მან. ჯდებოდა.

განახორციელა რა განის რეფორმა გურიაში, თვითმპყრობელობამ ანგარიში არ გაუწია ადგილობრივი ცხოვრების თავისებურებას. ეს იყო ბრმა პოლიტიკა, რომელსაც არ შეიძლებოდა მძიმე შედეგები არ მოჰყოლოდა. ამაზე აშკარად ლაპარაკობს ანრეპი. „ამბოხების მიზეზი იყო სამოქალაქო მმართველობის ფორმები, ხალხისთვის კანონიერი და საკეთილო, მაგრამ ისეთი, რომელიც არ შეეფერებოდა ამა ოლქის ზნე-ჩვეულებებს და ცხოვრების პირობებს, რადგან იგი ამისთვის შემზადებული არ არის განათლებით და სამოქალაქო მმართველობის საჭიროებანით.

როდესაც გურიაში სამოქალაქო მმართველობა შემოიღეს, როგორადაც ა/კავკასიის სხვა შინაპროვინციებში, მგონია მხედველობაში არ მიუღიათ ამ ოლქის მოსაზღვრე მდებარეობა და ის გავლენა, რომელიც შეუძლიათ მოახდინონ მასზე ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფ მეზობელ ტომებს" **).

რუსის ოფიცერი, დაკვირვებული ადამიანი ანრეპი, საერთოდ მართებულად უკავშირებს 41 წ. აჯანყებას განის რეფორმას. მეორე მხრით, იგი, რასაკვირველია, თვალთმაქცობს და სრულიად მართალი არ არის, როდესაც აღნიშნავს, სამოქალაქო მმართველობა ვითომც საკეთილო ყოფილიყოს ა/კავკასიის თუგინდ რომელიმე პროვინციისთვის. როგორც ვიცით, კანონებს, ცხადია, ყველაზე ნაკლებად ხალხისთვის სწერდენ.

---

*) Джавахов. Полит. и соц. движение в Грузии в XIX в., гг. 32.

**) ც. არქივი. გურიის საქმეები. № 28. ანრეპის მოხსენება 4 სანაპ. ხაზის მდგომ. შესახებ. ფ. 3-17.

რუსული მმართველობის შედეგები გურიაში საერთოდ ისეთივე იყო, როგორადაც დანარჩენ საქართველოში: მოსულები ადგილობრივ გლეხებს უყურებდენ, როგორც ველურ მასას, ამის შედეგი იყო ახალი ჩაგვრა, უცხო და გაუგებარი ადმინისტრატიული აპარატი, სასამართლოებში საქმეთა გაჭიანურება, მექრთამეობა, თვითნებობა. ბუნებრივია, რომ გურიის გლეხობამ არა თუ პროტესტი განუცხადა, არამედ აქტიურადაც გამოვიდა ახალი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

ამბობენ, თვითონ ნიკოლოზ I (პალკინი), ბატონყმობის ერთგული ნაგაზი, როდესაც 1837 წ. ა/კავკასია ინახულა, იძულებული იყო გამოტეხით ეთქვა: „პირდაპირ საკვირველია, როგორ არ გამქრალა მონარქის პიროვნებისადმი ერთგულების გრძნობები იმ უმსგავსი მმართველობის გამო, რომელიც, ჩემდა სამარცხვინოდ, ასე დიდხანს აწევს ამ მხარესაო“ *).

რასაკვირველია, ნიკოლოზ I სინიდისის და სირცხვილის შესახებ დაეჭვება გვმართებს. მაგრამ მისი დამქაშების მოქმედება ა/კავკასიაში ისეთი იყო, რომ მონარქის პიროვნებისადმი რაიმე ერთგულებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. იქ, სადაც დაჩაგრულმა კლასებმა შესძლეს შეკავშირება და დარაზმვა, ისინი შეეცადენ რუსეთის მონარქიის საშინელი უღლის გადაგდებას.

გურიის „დროებითი მმართველობის“ ლიკვიდაციას და განის ადმინისტრატიულ რეფორმას სხვა შედეგებიც მოჰყვა. რუსეთის მთავრობა გურიაშიაც იმ პოლიტიკას მისდევს, როგორც დანარჩენ საქართველოში. მსხვილ ფეოდალებს, გურიის მთავართა გვარეულობას, აშორებენ ხელისუფლებას და ფეოდალურ უფლებებს უკვეცენ.

რუსის მთავრობა პირველ ხანებში ანგარიშს უწევდა გურიის თავად-აზნაურობის სიმრავლეს, მათს კავშირს აჭარის ბეგებთან და ამიტომ ფრთხილად იქცეოდა. ფორმალურად გურიის არისტოკრატია მონაწილეობდა ქვეყნის მმართველობაში. ბუნებრივია, რომ გურიის გადაქცევამ ჩვეულებრივ მაზრად, მმართველობისგან არისტოკრატიის სრულიად ჩამოშორებამ—არისტოკრატიის წინააღმდეგობაც გამოიწვია. ხალხის მასების უკმაყოფილება რუსეთის მთავრობის პოლიტიკით—ეს გაბატონებული კლასების წისქვილზე წყლის მიშვება იყო.

თავის პირველ ეტაპშიო, სწერდა გოლოვინი სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვს, „აჯანყება გურიისა, რომელიც სულ ახლახან ცალკე სამთავროს წარმოადგენდა, **კერძო კი არა, საყოველთაო** იყო. იგი არ განისაზღვრებოდა ადგილობრივი ხელისუფლებისადმი უბრალო ურჩობით. ამბოხების დამწყებთ, რომელთა შორის ისეთი თავად-აზნაურებიც არიან, რომელთაც სამხედრო ოფიცრების ჩინები აქვთ, გამოაცხადეს იმპერატორის ჯარების და გურიაში მყოფ ყველა რუსთა გაჟლეტის აუცილებლობაო“ **).

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „საყოველთაო აჯანყება“ დიდხანს როდი გაგრძელებულა. გაბატონებულ კლასთა და ყმა-გლეხების ინტერესები ერთმანეთს მალე დაშორდენ. გლეხები ბოლომდე განაგრძობენ გურიიდან რუსთა განსადევ-

*) Г. Чулков. „Императоры“, გვ. 275, გამოც. რუს. სახელგამისა.

**) ც. არქივი. Дело Штаба Отд. Кавк. корпуса. აღწერით № 311, ფ. 56.

ნად ბრძოლას. ოზურგეთის გარემოცვის დროს ისინი გენერალ ბრუსილოვს უგზავნიან „მღვდელ მაქსიმე ქიქოძეს წინადადებით, რომ რუსებმა დასტოვონ გურია“. ამასთან ერთად გლეხები აყენებენ ამაზე არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას — ბატონყმობის უღლის გადაგდებას, შინაური კლასობრივი ბრძოლისაგან, მებატონეთაგან განთავისუფლების საკითხს. როდესაც გლეხები რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაებნენ, როდესაც ისინი იარაღით ხელში სწყვეტდენ საკითხს, — მებატონესა და გლეხს, ყმათა და ბატონთა შორის ურთიერთდამოკიდებულების შეცვლის პრობლემას — ამას ყველა სხვა ამოცანა უნდა დაეჩრდილნა.

რასაკვირველია, მსხვილ თავად-აზნაურობას ეს როდი სწადდა. საუკეთესო შემთხვევაში ისინი ოცნებობდენ გურიიდან რუსთა განდევნაზე, ძველებური თავისი ძალაუფლების დარუნებაზე. უკიდურეს შემთხვევაში მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსის ადმინისტრაცია თვითონვე გახდებოდა იძულებული გაეფართოებინა მათი უფლებები. როდესაც მოძრაობის ხელმძღვანელობა ხელიდან გაუსხლტათ თავადებსა და მსხვილ აზნაურებს; როდესაც გლეხებმა ბატონყმობის საწინააღმდეგო მოთხოვნები წამოაყენეს; როდესაც ბატონყმობა ფაქტიურად მოსპობილ იქნა, ვიდრე ყმები აღარ ასრულებდენ მებატონეთა ბეგარას, ხოლო შინაყმებმა მემამულეები მიატოვეს, — გაბატონებულმა კლასებმა თითზე იკბინეს. ისინი მიხვდენ, თუ რას უქადდა მათ აჯანყება: ამიტომ მათ მიატოვეს გლეხთა ლაშქარი და გადავიდენ რუსის ჯარის მხარეზე; მათ რუსის ჯარის ხიშტებს შეაფარეს თავი იმ მიზნით, რომ აჯანყების დათრგუნვაში მონაწილეობით გამოესყიდათ თავიანთი პირვანდელი შეცოდება. თავად-აზნაურობას იმედი ჰქონდა, რომ რუსებისადმი ერთგული სამსახურის და გლეხთა საქმის ღალატისთვის ჩინებს და საჩუქრებს მიიღებდენ და ზოგიერთ ძველ პრივილეგიას აღიდგენდენ.

თანამედროვენი გურიის გლეხთა აჯანყებისა ჩვეულებრივად ჩქმალავენ 1841 წლის აჯანყების ბატონყმობის საწინააღმდეგო ხასიათს. ცნობილი დ. ყიფიანი, მსხვილ მემამულეთა ინტერესების წარმომადგენელი (რაც მან დაამტკიცა თავისი მოქმედებით 60-იან წლებში, ტფილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლად ყოფნისას, საგლეხო რეფორმის გატარების დროს), აჯანყებას ხსნის „კარტოფილის ამბოხებით“, ფულადი გადასახადის შემოღების საწინააღმდეგო პროტესტით და გურულების ფიცხი ხასიათით. თავისთავად ცხადია, რომ დ. ყიფიანი კრინტსაც არ სძრავს აჯანყების ბატონყმობის საწინააღმდეგო ხასიათის შესახებ. ყოვლად შეუძლებელი იყო ეს მას ვერ შეენიშნა. მაგრამ გაბატონებული კლასების ინტერესს სრულიადაც არ შეადგენდა ლაპარაკი მებატონეთა მხრით ექსპლოატაციაზე, ბატონყმობის სამარცხვინო მოვლენებზე.

ვლაპარაკობთ რა გლეხთა მიერ ხაზინის და მებატონეთა წინაშე ათასგვარ ბეგარათა ასრულებაზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ბეგარაც, რომელიც გლეხობას ედვა სამღვდელოების სასარგებლოდ. დაბალი სამღვდელოება (სოფლის მღვდლები) აღმოსავლეთ საქართველოში 1807 წლამდე მებატონეთა ყმად ითვლებოდა. გურიის სამღვდელოება კი განთავისუფლებული იყო ყმობისაგან მხოლოდ 1838 წლის ბრძანებით. მაგრამ, როგორც 1839 წელს საქართველოს ეკზარხოსი ევგენი სწერს გენ. გოლოვინს, „გურიაში მღვდლები გაუნათლებელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან, რადგან იქ სასწავლებლები არასოდეს არ ყოფილა, გარდა ამისა, იქაური სამღვდელოება აქამდე და ახლაც ყმა არის მებატონეებისა. მათი განთავისუფლების შესახებ თუმცა თქვენის მხრით უკვე გაცემულია განკარგულება, მაგრამ იგი ჯერ არ შეუსრულებიათ" *). ეს სამღვდელოება „შეპყრობილია ყოველგვარი ბიწიერებით, ქურდობასაც კი ეწევა, ყალბ დოკუმენტებს ადგენს იმ მამულთა შესახებ, რომლებიც ხაზინას ეკუთვნის და რომლებიც თვითნებურად მას მიუთვისებიაო". სამღვდელოებას სახელმწიფოსაგან არაფერი ეძლეოდა. გლეხები ვალდებულნი იყვნენ ეძლიათ მათთვის ფასი ფულად, ან ნატურით მღვდელმსახურებისათვის. სამღვდელოების თვითნებობისათვის, რომლის გაუმაძღრობას საზღვარი არ ჰქონდა, ფართო ასპარეზი არსებობდა. მღვდლები „ვაჭრობდენ ქორწინების, დაკრძალვის და სხვა ქრისტიანული მღვდელთმსახურების ასრულებისათვის" **).

სწორედ ამ ნიადაგზე გლეხობასა და სამღვდელოებას შორის მრავალი გაუგებრობა, მტრობა და დავიდარაბა იყო ატეხილი.

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ რუსის ადმინისტრაციის აზრი ამის შესახებ საერთოდ, რომ გურულები საერთოდ რელიგიას დიდი პატივით როდი ეპყრობოდენ. იმავე ეკზარხოს ევგენის მოხსენებაში ვკითხულობთ: „გურიის მრავალნი მცხოვრებნი, თავადებიც და აზნაურებიც კი, არ ასრულებენ ქრისტიანობრივ მოვალეობას, ძალიან იშვიათად ეზიარებიან... ეკლესიებში შედიან ნაბდიანები, სასროლიარაღიანი, ჩიბუხით. წირვის დროს ლაპარაკობენ, ილანძღებიან და იგინებიანო" ***).

1841 წლის აჯანყებას შემთხვევითი აფეთქების ხასიათი როდი ჰქონდა. მას სერიოზულად ამზადებდენ. აჯანყების ხელმძღვანელებს შეუძლებელი იყო არ სცოდნოდათ, რომ გურიიდან რუსის ჯარის განდევნა, განსაკუთრებით კი გამარჯვების და გურიის დამოუკიდებლობის განმტკიცება — შეუძლებელი იყო მძლავრი მეზობელი სახელმწიფოს დაუხმარებლად. ისიც უნდა ითქვას, რომ გურულებს იმედი ჰქონდათ: გურიაში რომ აჯანყება იფეთქებს, რუსეთის საწინააღმდეგო ასეთივე მოძრაობა მოედება იმერეთს, სამეგრელოს და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების მთიელებსო, რომელთა დაპყრობა ჯერ კიდევ არ იყო მოთავებული და სადაც კვლავ ბრძოლა სწარმოებდა. როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, გურულებს უმთავრესად ოსმალეთის დახმარების იმედი ჰქონდათ. აჯანყების შემზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ აჭარელი ბეგები, რომელთა შორის ყველაზე მეტი აქტიობა გამოიჩინა ჰასანბეგ თავდგირიძემ. იგი გურიის თავადიშვილების ჩამომავალი იყო. ჰასანის მამა გადასახლდა ქობულეთს, სადაც მიიღო მაჰმადიანობა და მალე ქობულეთის ბეგობაც ებოძა. საფიქრებელია, რომ ჰასან თავდგირიძე თავისი პირადი ინიციატი-

---

*) Акты, ტ. IX, გვ. 107. საქ. ეკზ. ევგ. მიმართვა გოლოვინისადმი 1839 წ. 27 ოქტ.
**) იქვე.
***) იქვე.

ვით და რისკით არ მოქმედებდა. ცხადია, მის მოქმედებას ოსმალეთი უწევდა ხელმძღვანელობას.

რუსების მიერ გურიის დაპყრობა, რუსების შემდგომი შეტევის შესაძლებლობა, საზღვარზე შემზღუდველი კორდონების მოწყობა, თავისუფალი ვაჭრობის მოსპობა, გურიის მოსაზღვრე სოფლების თავისუფლად ძარცვის შეუძლებლობა, რაც მრავალი აჭარელი ბეგის ხელობას შეადგენდა,—ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ოსმალეთს არაფრად ესიამოვნებოდა.

1841 წლის აჯანყების წინახანებში ჰასან თავდგირიძე დაიარებოდა გურიაში ვითომ ნათესაურ კავშირთა აღსადგენად და საიდუმლო მიმოწერას აწარმოებდა გურიის თავადებთან. რუსის ხელისუფლების ცნობებით, „გურულები პარტიობით, ოც-ოცი კაცი, გადადიოდენ ოსმალეთს, ქობულეთში. იქაური ბეგი ჰასან თავდგირიძე უმასპინძლდებოდა მათ, აწვდიდა ტყვია-წამალს და ჰპირდებოდა ხალხით დახმარებას“ *).

ოზურგეთის გარემოცვის დროს თავდგირიძეს გადმოლახა გურიის საზღვარი და ძლიერი რაზმით ოზურგეთთან დაიბანაკა. იგი არწმუნებდა აჯანყებულებს, მონაწილეობას მივიღებ რუსის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაშიო.

ქობულეთლები, გურიის მიერ ნიკოლოზის სიმაგრის დაპყრობის შემდეგ, უზიდავდენ ნავ-გემებით გურულებს სიმინდს, სხვადასხვა სურსათ-სანოვაგეს, აგრეთვე იარაღს და ტყვია-წამალს. რათა ხელი შეეშალა ამისთვის, რუსის ჯარის სარდლობა იძულებული გახდა სამხედრო გემებით შავი ზღვის გურიის ნაპირების სასტიკი დაცვა მოეწყო.

გურულებში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი, რომ ოსმალეთი უშუალოდ დაეხმარებოდა მათ გურიიდან რუსების განდევნაში. ნამდვილად ცნობილია, რომ ორი გურული წავიდა აჭარის გზით არზრუმს, რათა ოსმალეთის სარდლობისათვის ეთხოვნა დახმარება **).

გენერალ გოლოვინისადმი მიმართვაში გენ. კოცებუ სწერს: „ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ (ამბოხების) წაქეზებაში მონაწილეობდენ საზღვარგარეთელი თურქებიც, შეიძლება სხვა უცხოელნიც, რომელთაც სურთ ა/კავკასიის ჩვენს პროვინციებში შფოთი ჩამოაგდონ და ამით მთავრობას დაბრკოლება შეუქმნანო“ ***).

ეს დოკუმენტი იმით არის საყურადღებო, რომ ის უცხოელნი, რომელნიც აქ აშკარად არ არიან დასახელებულნი,—იყვნენ ინგლისელი აგენტები. ინგლისი უკვე დიდი ხანი იყო, რაც უკმაყოფილობით ადევნებდა თვალყურს რუსეთის წინსვლას სტამბოლისაკენ და ოსმალეთის და სპარსეთის ბაზრების ხელში ჩასაგდებად მის მისწრაფებას. ამ ორ ქვეყანას შორის ატეხილ ეკონომიურ ბრძოლას მოჰყვა შეიარაღებული შეტაკება ყირიმის ომის დროს.

მაგრამ ეს ბევრად უფრო გვიან მოხდა. იმ დროს კი ბათომში იჯდა ინგლისის ვიცე-კონსული ფრიდრიხ გარაჩინო. ჯერ კიდევ 1839 წ. მან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ჩამოიტანა 900 გირვანქა გვარჯილა და იგი მთიუ-

*) Акты, ტ. IX, დოკ. № 197, გვ. 168.

**) Акты, ტ. IX, დოკ. 198. გენ. კოცებუს მიმართვა გენ. გოლოვინისადმი.

***) იქვე № 198.

ლებს მიაწოდა. გარაჩინო საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა მთიულებთან და აქტიურად ხელს უწყობდა მთიელთა დამოუკიდებელი ტომების ბელადებს, რომელნიც რუსის ჯარს ებრძოდენ. ბუნებრივია, რომ ინგლისის ვიცე-კონსული უნდა ჩასჭიდებოდა გურიის აჯანყებასაც, რათა რუსეთისთვის დროებითი დაბრკოლებანი შეექმნა. იგი დაეხმარა აჯანყებულებს, რომ მათ სამხედრო მოწყობილება მიეღოთ ტრაპიზონიდან. ისიც უნდა ითქვას, რომ ბრიტანეთის კონსული არზრუმში, ვიცე-კონსულები ტრაპიზონსა და ბათომში (ე. ი. გარაჩინოც) მარტო კონსულის მოვალეობას როდი ასრულებდენ. ისინი იმავე დროს სავაჭრო ოპერაციებსაც აწარმოებდენ *). რუსეთის საბაჟო პოლიტიკა მათს პირადს ინტერესებსაც ვნებდა.

მაშასადამე გურიის აჯანყებას ერთგვარად სულს უდგამდენ და ხელს უწყობდენ გარეშე ძალებიც. სწორედ ამ დახმარების წყალობით აჯანყებულ გურულებს ბლომად ჰქონდათ იარაღიც, თოფი-წამალიც. ამიტომ იყო, რომ მათ შესძლეს გადამწყვეტი შეტევა დაეწყოთ რუსის რეგულიარული ჯარის, იმერელთა და მეგრელთა მილიციის წინააღმდეგ. საგარეო დახმარების იმედი და აჯანყებულთა შორის შეიარაღებულ ოსმალთა ყოფნა, უეჭველია, აჯანყებულთა სულისკვეთების ამაღლებას ხელს უწყობდა, ჰმატებდა იმ რწმენას, რომ შესაძლებელი იყო გამარჯვება.

აჯანყების დამარცხების ერთერთი მიზეზი სწორედ ისიც იყო, რომ გარეშე ძალების დახმარების იმედი (გარდა იარაღის მიწოდებისა) არ გამართლდა. საერთო პოლიტიკური სიტუაცია ისეთი გამოდგა, რომ ვერც ინგლისმა, ვერც ოსმალეთმა გურულებს აშკარად მხარი ვერ დაუჭირეს.

გურულები მოატყუა უშუალო წამქეზებელმა ჰასან თავდგირიძემაც. რუსეთმა იძულებული გახადა ჰასანბეგი განეხოციელებინა შემდეგი ღონისძიებანი: 1) დაეწესებინა სასაზღვრო რაზმი, რათა არც ოსმალებს, არც გურულებს საზღვარი არ გადაელახნათ; 2) მოესპო ოსმალეთიდან გვარჯილას, ტყვია-წამლის მიწოდება; 3) გაეცა ის გურულები, რომელნიც ტყვეებს ჰყიდდენ და უკან დაებრუნებინა ტყვეები; 4) უკან წაეყვანა ის ოსმალნი, რომელნიც გურულთა შორის იყვნენ და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდენ **).

ფრიად საინტერესოა გავიგოთ, თუ ვინ იყვნენ ის პირები, რომელთაც აჯანყება მოაწყეს და გლეხების მასიურ მოძრაობას ხელმძღვანელობას უწევდენ. აჯანყების შემდეგ სამართალში მიცემული იყო 50 კაცი; გარდა ამისა, აჯანყების აქტიურ ხელმძღვანელთაგან—10 კაცმა მოასწრო ოსმალეთს გაქცევა.

ამ ხელმძღვანელთა შორის განსაკუთრებით აქტიურ როლს თამაშობს ახალგაზრდობა. ასე, მაგალითად, 50 ბრალდებულში (რომელნიც ქუთაისის ციხეში ისხდენ), 18 კაცი არის 16-20 წლამდე ჰასაკისა. როგორი იყო მათი სოციალური მდგომარეობა? ჯერ ერთი, ბრალდებულთა შორის სამი თავადიშვილია: ამბაკო შალიკაშვილი, ქაიხოსრო გუგუნავა (ყასიმ გუგუნავას უკანონო შვილი) და დათა გუგუნავა.

---

*) ც. არქივი. გურიის საქმეები, № 28. ანრეპის მოხსენება.

**) Кавказский сборник, ტ. XIV, გვ. 258.

თავადი ამბაკო შალიკაშვილი, შემოქმედის მცხოვრები, მოძრაობის ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი იყო. მას სამხედრო მომზადება ჰქონდა და რუსის არმიის პრაპორშჩიკად ითვლებოდა. უკვე ხანში შესული (48 წლისა), ფრიად გამოცდილი ამბაკო შალიკაშვილი ოზურგეთის გარემოცვის დროს მილიციონერთა შორის იყო. იგი გაიტაცა საყოველთაო მოძრაობამ, გაიქცა ოზურგეთიდან, გადავიდა აჯანყებულთა მხარეს და მათი ბელადი შეიქმნა. რაკი მოძრაობას ერთგულობა შეჰფიცა, შალიკაშვილი ბოლომდე მიჰყვა გლეხებს და არ ულალატნია მათთვის. სასამართლოში იგი ფრიად მაკრად იყო და ყველაზე სასტიკი სასჯელი მიუსაჯეს.

ჩვენ საკვლევით ზუსტად არ ვიცით, თუ რამ გახადა იძულებული ეს კაცი, რომ თავის კლასს ჩამოშორებოდა და გატანჯულ გლეხთა მასების მხარეს გადასულიყო. ის კი ვიცით დანამდვილებით, რომ იგი შეძლებული მემამულე არ ყოფილა. სასამართლოს დადგენილებით მისი მამული კონფისკაციაქმნილ იქმნა, მაგრამ იგი იმდენად ნაკლებად ფასიანი გამოდგა, რომ ამით აღებული ფული სასამართლოს ხარჯებსაც კი ვერ აუვიდოდა.

მოგონებათა და მისი გმირობის ამბების შესახებ თქმულებების მიხედვით, ამბაკო შალიკაშვილი ფრიად შესანიშნავი მსროლელი იყო, გლეხებს ადამიანურად ეპყრობოდა და ამ მხრით ძალიან განსხვავდებოდა სხვა მებატონეებისგან. იმის ამბავს, თუ როგორ დაბრუნდა შალიკაშვილი სასჯელის მოხდის შემდეგ ციმბირიდან, შემოქმედის და ლიხაურის თემთა გლეხებში ახლაც გაიგონებთ.

თავადი ქაიხოსრო გუგუნავაც ოზურგეთის მილიციაში მსახურობდა, იქიდან გამოიქცა, აჯანყებულებს შეუერთდა და შალიკაშვილთან ერთად მათს მოქმედებას ხელმძღვანელობას უწევდა. ცნობილია, რომ უკანონო შვილები ხშირად ატარებდენ თავისი თავადიშვილის გვარს, მაგრამ მათი მდგომარეობა ნაკლებად განსხვავდებოდა ყმათა მდგომარეობისაგან. საკვირველი როდია, რომ ქაიხოსრო გუგუნავა აჯანყებულებს მიემხრო და მათს ბანაკში იყო.

რაც შეეხება დათა გუგუნავას, ისიც თავდაპირველად ოზურგეთში იყო. როგორც ძიებამ გამოარკვია, ის ნებადაურთველად გამოქცეულა სახლში, რადგან ავად ყოფილა და ადგილობრივ ჰოსპიტალში ვერ უვლიდენ თურმე. გუგუნავა გზაში გლეხებმა დაიჭირეს, დააფიცეს, მაგრამ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. პირიქით, არლუთინსკის მეთაურობით რუსის ჯარი რომ ჩავიდა, დათა გუგუნავა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჯანყების დათრგუნვაში. სასამართლომ გუგუნავა სასჯელისაგან განათავისუფლა!

ბრალდებულთა შორის სულ 7 აზნაური იყო. ერთი მათგანი, სიმონ ქარცივაძე თუმცა მიემხრო აჯანყებულებს, მაგრამ მერე გაიქცა რუსებისკენ, არლუთინსკის რაზმში იყო, გასცა აჯანყებულნი და ეხმარებოდა მას აჯანყების მეთაურთა დაჭერაში. დანარჩენ 4 აზნაურებს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და სასჯელისაგან განათავისუფლეს.

ღვდლის შვილები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდენ აჯანყებაში, სულ ორი კაცი იყო. მათ შორის ერთი გამოძიების დროს გარდაიცვალა, მეორე კი სასჯელისაგან განათავისუფლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი ბრალდებული იყო სულ 38 კაცი. ისეთთა შორის, რომელნიც საზღვარგარეთ გაიქცნენ და სასამართლოს წარუდგნენ, 1 თავადი იყო, 2 აზნაური და 6 გლეხი.

ამნაირად, აზნაურთა ჯგუფი, რომელიც ბოლომდე ერთგულად დარჩა მოძრაობისა და მისთვის არ ულალატნია, ძალიან მცირერიცხოვანი იყო. ბევრი აზნაური აჯანყებულთა რიგებში იძულებით იყო ჩათრეული. გლეხები მათი სურვილის წინააღმდეგ აფიცებდენ მათ. ბევრი აზნაური, აჯანყებულ გლეხთა შორის მყოფი, მოღალატეობას და ჯაშუშობას ეწეოდა, რუსის ჯარის სარდლობას თვითონ, ან საიმედო პირთა საშუალებით, ატყობინებდა აჯანყებულთა განზრახვებსა და გეგმებს. ასეთები იყვნენ: სიმონ ქარცივაძე, გლახუნა ძნელაძე, ლიხაურელი აზნაური ქაიხოსრო თაყაიშვილი, რომლის შესახებაც რუსის ჯარის სარდლობის საქმეებში ნათქვამია: „ყოველგვარ ხმებს გვატყობინებდაო“. ასეთს პირებს ეკუთვნის აგრეთვე თავადი ელისაბედ გურიელი. მის შესახებ ცნობებია, რომ აჯანყების ერთი აქტიური შემამზადებელთაგანი იყო. მიზნად ჰქონდა დასახული გურიიდან რუსების განდევნა და თავისი შვილის გამთავრება. როდესაც მოძრაობის ხასიათი ნათელი გახდა, ელისაბედ გურიელი რუსების მხარეს გადავიდა და სხვა როლის თამაში ამჯობინა. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კნეინას იმედი აქვს თავისი შრომის დაჯილდოებისა და ხელისუფლებას უგზავნის შუამდგომლობას, რომელშიაც, სხვათა შორის, იგი სწერს: „მე ვაკავებდი ჩემს გლეხებს ამბოხებისაგან... თვითონ მე ცნობებს ვაწვდიდი ოზურგეთში არღუთინსკის საშუალებით ბრუსილოვს და ამ დროს ჩემს სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებდიო“.

თვითმპყრობელობამ სავსებით სწორად შეაფასა თავად-აზნაურობის როლი გურიის აჯანყებაში. ახასიათებს რა გურიის აჯანყებას, გენერალი გოლოვინი სწერს: „თუმცა მეთაურთა შორის ცოტაოდენი გურული თავად-აზნაურნიც იყვნენ, მაგრამ საერთოდ ეს კლასი თავისი მოვალეობის ერთგული დარჩა და გაგზავნილ ჯარებთან ერთად ხელს უწყობდა ჯერ ამბოხების დაწყნარებას, შემდეგ კი მეთაურთა დაჭერასო“ *).

ისტორიულ სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება იმის თქმა, რომ მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელები თვითონ გლეხთა წრიდან იყვნენ გამოსულნი. ამბაკო შალიკაშვილი და დათა გუგუნავაც კი გლეხებს მას შემდეგ მიემხრნენ, როდესაც აჯანყების ტალღა აზვირთებული იყო, როდესაც აჯანყებულთა რაზმები გარს შემოერტყნენ გურიის გულს—ოზურგეთს.

აჯანყების განვითარების პროცესში გურიის თვითეულ რაიონში თვითონ გლეხთაგან გამოიყოფოდა ხოლმე საკუთარი აქტივი. ჩნდებიან მათ შორის საკუთარი ხელმძღვანელნი, ავტორიტეტიანი პირები, რომელთაც პირადი ღირსებების გამო დიდი გავლენა აქვთ თანამოძმეებზე. მაგალითად, ლიხაურის რაიონში, როგორც გამოძიებამ გამოარკვია, გლეხები ოთარ თოიძე, გოგიჩა გორდელაძე „ისეთი ადამიანები იყვნენ, რომელთა სიტყვას მთელი სოფელი გაჰყვებოდა“. თავის რაიონში მოძრაობას სწორედ ხსენებული გლეხები ჩაუდგნენ სათავეში.

---

*) ც. არქივი. Дело штаба Отд. Кавк. Корпуса. აღწერის № 311, ფ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა სახელით მათ პირველებმა განუცხადეს სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენელს—გადასახადზე უარს ვამბობთო.

აკეთის რაიონში მოძრაობის ხელმძღვანელნი იყვნენ გლეხი ენუქა, ანთან და გოგია ვადაჭკორიები, ასკანისაში — მამუკა ანთაძე, მახარობელ დოლიძე (სამოცი წლის მოხუცი). ისინი „აღელვებდენ გლეხებს და ურჩევდენ, არ შეიტანოთ საერობო გადასახადიო“. მამუკა ანთაძე „პირველი იყო, რომ მივიდა ასკანელ და სხვა მეამბოხეებთან, აღელვებდა მცხოვრებთ და იბრძოდა ჩოხატაურთან“. დოლიძე „ასკანიდან პირველი წავიდა ლიხაურელ მეამბოხეებთან, მოიყვანა ისინი ასკანას. ააღელვა ამ სოფლის მცხოვრებნი, გაემართა მათთან ერთად ნაგომარს, შემდეგ ჩოხატაურს და მერე საჯავახოს“. ჩიბათის რაიონში „სიტყვით მოქმედებდა და მცხოვრებთ აღელვებდა“ 58 წლის მოხუცი იასე შეწირული.

თავისი გმირობითა და მოძრაობისადმი თავგანწირული ერთგულობით განირჩეოდა აბესა ბოლქვაძე. იგი ღარიბი, უმნიშვნელო, მებატონისაგან დამოკიდებული აზნაური იყო მიქელგაბრიელის თემისა. აბესა „ერთერთი ის შეურიგებელი მეამბოხეთაგანი იყო, რომლის მეთაურობითაც ბრბომ 9 აგვისტოს დააკავა პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი სოფ. გოგორეთთან, გაძარცვა ტრანსპორტი, ნიკოლოზის სიმაგრე, კარანტინი და საბაჟოები... აბესა ორჯერ დასჭრეს გოგორეთსა და ოზურგეთის გარემოცვის დროს. მან მძიმედ დასჭრა პრაპორჩიკი ლოლობერიძე. დაჭერის დროს იგი თავგანწირულად იცავდა თავს. არ შემდრკალა მაშინაც კი, როდესაც ყოველი მხრით გარშემორტყმული იყო. თოფის სროლით იგი ნელნელა იხევდა ხშირ ტყისაკენ და ბოლოს დაჭერილ იქნა“*).

ჯერ კიდევ 1841 წ. დამდეგს გლეხთა მასებში ხმა გავარდა ახალი გადასახადის შესახებ და ლაპარაკობდენ მთავრობის და მებატონეთა მიერ ჩაგვრაზე. სადაც კი შეიკრიბებოდა გლეხობა, იქნებოდა ეს ვისიმე ქორწილი, დაკრძალვა, საეკლესიო უქმე, ნადობა—ლაპარაკი უეჭველად ამ საკითხებზე ჩამოვარდებოდა ხოლმე. თანდათან ვითარდებოდა და მტკიცდებოდა იმის აზრი, რომ აუცილებლად შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ, არ შეესრულებინათ რუსის ხელისუფლების მოთხოვნები და არ გადაეხადნათ ახალი გადასახადი.

მას შემდეგ, რაც მოძრაობას ხელმძღვანელები გამოუჩნდენ, იწყება აქტიური შესამზადებელი მუშაობა. გურიის ყველა სოფელში გლეხობა იკრიბება კონსპირატიულად, ღამღამობით, უმთავრესად ეკლესიის გალავანში. გურიაში ეკლესიები ჩვეულებრივად სოფლიდან მოშორებით, სადმე გორაკებზეა აშენებული, ტყეში და საიდუმლო კრებებისთვის ძალიან მოხერხებულ ადგილს წარმოადგენს. ამ კრებებზე კითხულობდენ ხელმძღვანელთა მიმართვას, აყალიბებდენ გლეხთა მოთხოვნებს, შეიმუშავებდენ ხოლმე მოქმედების პროგრამას. ყველა მონაწილეს აფიცებდენ წმ. გიორგის ხატზე, რომელსაც დიდი პატივი ჰქონდა გურიაში. თვითეულს მონაწილეს უნდა დაეფიცნა, რომ არ უღალატებდა საერთო საქმეს და საჭიროების დროს არაფერს დაზოგავდა, თავს გასწირავდა მისთვის.

მართლაც, გლეხებმა არა ერთხელ ცხადჰყვეს, რომ მათ შეეძლოთ მოცემული ფიცის ასრულება. მაგალითად, აკეთის თემში, სადაც პირველად დაიწყო

*) Кавказский сборник. ტ. XIV. Чудинов. Восстание гурийцев в 41 году, გვ. 299.

მოძრაობა გადასახადის აკრების ნიადაგზე, მაზრის უფროსმა იაცენკომ გლეხებს მოსთხოვა—დაუყოვნებლივ დამისახელეთ მეთაურები, თქვენ კი დაიშალენითო. გლეხებმა ამაზე ერთხმად და კატეგორიულად უპასუხეს: „თუ ჩვენს შორის დამნაშავე არის ვინმე, ასეთნი ყველანი ვართო“. ასევე მოიქცნენ ლიხაურელები. როდესაც პორუჩიკმა ჭილაევმა მოითხოვა დაიშალენით, სახლში წადით, დაწყნარდითო, გლეხთა სახელით ოთარ თოიძემ და გოგიჩა გიორდელაძემ განაცხადეს: „ვიდრე გურიანთის მცხოვრებნი არ დაწყნარდებიან და გადასახადს არ შემოიტანენ, ჩვენ არ მივატოვებთ მათ, რადგან ფიცი გვაქვს მიცემული, ყოველგვარად დავეხმარებით და არც გადასახადის შემოტანას ვფიქრობთო“.

რუსის ადმინისტრაცია მოძრაობის პირველსავე დღეებში იძულებული იყო აღეარებინა: ოსმალეთის საზღვარი გაშიშვლებულია, რადგან „კორდონზე მდგომმა გლეხებმა განაცხადეს, ჩვენ ვერ დაუშლით გურულებს საზღვარს გადასვლას, ვინაიდან **შეფიცული გვაქვს მათთან კავშირი საერთო საქმისთვის**“ *).

საბრალმდებლო აქტში აკეთის თემის გლეხებს ენუქა, ათან და გოგია ვადაჭკორიას აბრალებენ არა მარტო იმას, რომ ისინი „ამბოხების მთავარი წამქეზებელნი იყვნეს“, არამედ იმასაც, რომ „**ითვლებოდენ განსაკუთრებულ ბრბოში, რომელთაც ფირალი ერქვათ და რომელიც თვითონ შეადგინეს მოწვეული მცხოვრებლებისაგანო**“ **).

გლეხთა ორგანიზაციების როლი იმდენად დიდი იყო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მათთვის. ასე, მაგალითად, გენერალ-მაიორმა კოხანოვმა, როდესაც გლეხთა უკმაყოფილების მიზეზების გამოსაკვლევად გურიაში სპეციალურად ჩავიდა, რამდენ-რამდენიმე კაცი მოიწვია მოსალაპარაკებლად არა სოფლის წარმომადგენლების, არამედ სწორედ „**თვითეული პარტიის**“ წარმომადგენელთა სახით.

ყველა ეს ცნობა ადასტურებს, რომ გურიის აჯანყება ეს იყო არა ბრბოს საქმე, რომელიც ამბოხებულა, როდესაც იგი აუტანელ მდგომარეობაში ჩაუგდიათ; აქ საქმე გვაქვს განსაზღვრულ ორგანიზებულობასთან, კავშირთან, რომელიც თავის წევრებს მოქმედების პროგრამით და მკაცრი დისციპლინით აკავშირებს. მოძრაობის ხელმძღვანელნი და გლეხთა რაზმები მოქმედებდენ არა მარტო დაჯერებით, პროპაგანდით, არამედ ძალიან ხშირად მიმართავდენ ზეგავლენის უფრო ძლიერ მეთოდებსაც. ყოველი მოძრაობის დროს ბევრი გამოჩნდება [illegible], მერყევი, პასიური, რომელიც არ მოინდომებს საერთო საქმისთვის რაიმე მსხვერპლის გაღებას. ასეთ პირებს მოძრაობაში ითრევდენ ძალით, ემუქრებოდენ სახლკარის გადაწვას და სერიოზულ სასჯელს.

გენერალ კოხანოვს ასკანის სამოურაოს მცხოვრებლებმა განუცხადეს: „ჩვენ თანახმანი ვართ საერობო გადასახადი შემოვიტანოთ მაშინ, როდესაც მის შემოტანას აკეთლები დაიწყებენ. აკეთლებმა ამბოხში ძალით ჩაგვითრიეს და ახლა გვეშინია, თუ მათზე ადრე დავიწყეთ ფულის გადახდა, **ისევ იძულებული** გავ-

*) Акты, IX, დოკ. № 197, გვ. 168.

**) ც. არქივი. Дело шт. Отд. Кавк. Корпуса, აღწერით № 311, ფ. 81.

ხლებით მათი ძალდატანებით კვლავ წინააღმდეგობა გაუწიოთ ფულის შემოტანასაო“ *). ამავე მიზეზით, მაგალითად, ჩოჩხათლებმა, ვაკისჯვარელებმა, თუმცა უკვე შეიტანეს საერობო გადასახადი, მოძრაობაში მაინც მონაწილეობდენ, რადგან აჯანყებული გლეხების მხრით შურისძიებისა ეშინოდათ.

სწორედ იმისთანა ორგანიზატორების და ხელმძღვანელების წყალობით, როგორნიც იყვნენ ამბაკო შალიკაშვილი, ქაიხოსრო გუგუნავა, ოთარ თოიძე, გაბილა ბაქანიძე, აბესა ბოლქვაძე, გოგიჩა გორდელაძე, მამუკა ანთაძე, მუხარბეკ დოლიძე, ენუქა, ათან და გოგია ვადაჭკორიები, იმის წყალობით, რომ არსებობდა გურიის გლეხთა საერთო კავშირი ყველა რაიონში, სადაც კი ძლიერი რაზმები იყო — მოძრაობა ასეთი დიდი გაქანების და მასობრივი ხასიათის გამოდგა.

მოძრაობამ გამოჰყო საერთო ხელმძღვანელობა: დაარსდა, ასე ვთქვათ, თავისებური შტაბი. შტაბს ჰქონდა საკუთარი კანცელარია, სადაც იწერებოდა „საამბოხო წერილები“. საბრალმდებლო აქტში გლეხს გაბილა ბაქანიძეს ბრალად ედება ის, რომ „აწარმოებდა მეამბოხეთა მიმოწერას და თხზავდა საამბოხო წერილებს“. ლევან ჭყონიასაც იმას აბრალებდენ, რომ, მონაწილეობდა რა აჯანყებაში, „ებარა მიმოწერის ნაწილი“. ეს საამბოხო წერილები იგზავნებოდა გურიის, იმერეთის, სამეგრელოს ყველა რაიონში. წერილები გაატანეს იმ გურულებსაც, რომლებიც არზრუმს ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს.

გურულებს მუშაობის ფართო გეგმა ჰქონდათ. რათა მოძრაობის წარმატება უზრუნველეყოთ, მათ მთელი რიგი ღონისძიებანი იხმარეს. სხვათა შორის, ქუთაისის მაზრის უფროსი (როგორც სჩანს, არც მთლად უსაბუთოდ) ატყობინებდა ქართლ-კახეთ-იმერეთის გუბერნატორს სკალონს: „აქ ხმა გავარდა, რომ რამდენიმე კაცია ჩამოსული **გურული მეამბოხეების** პარტიიდან (მოხსენებულია არსებობა გურიაში სწორედ პარტიისა — **ავტ. შენიშვნა.**) ქუთაისში. მათ ვითომ განზრახვა აქვთ მოხერხებული დრო შეარჩიონ და შეიჭრან საარტილერიო პარკში, სადაც თოფიწამალი ინახებოდა და **თავის გაწირვით** ააფეთქონ იგიო“ *).

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ აღმოჩენილა არც ერთი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც გამოსული იყოს აჯანყებულთა ბანაკიდან. ამის გამო მთელი რიგი საკითხები მოძრაობისა გაუშუქებელი რჩება. ჯერჯერობით ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტებით ვისარგებლოთ: გამოძიების მასალებით, რუსის მოხელეების და სამხედრო ხელისუფლების მოხსენებით. ბუნებრივია, რომ ეს დოკუმენტები, დაწერილი ბლაგვი ენით, აშკარად ტენდენციურია. მათ გურული გლეხობის მოძრაობა მიაჩნიათ „ამბოხად“, „ბუნტად“; მოძრაობის ხელმძღვანელებს და მონაწილეებს „გახელებულ ბრბოს“, „უვიცებს“, „ყაჩაღებს“, „ბოროტმოქმედთ“ უწოდებენ. ცხადია, ამნაირი დოკუმენტების საშუალებით ძნელია მოძრაობის ნამდვილი სურათის წარმოდგენა.

იმის გამო, რომ აჯანყებულთა „საამბოხო წერილებს“ ჩვენამდე არ მოუღწევია, შეუძლებელია ითქვას, თუ როგორ ჩამოაყალიბეს აჯანყებულებმა თავი-

*) იქვე, ფ. 78.

*) ც. არქივი. Канц. Груз.-Имерет. Гражд. Губ., № 345, ф. 203.

ანთი მოთხოვნანი. იმის მიხედვით, რაც ოფიციალურ დოკუმენტებში აქაიქ გაფანტულია, შეიძლება დასკვნა გამოვიტანოთ, რომ აჯანყების დაწყებას თვითონ გლეხები შემდეგი მიზეზებით ასაბუთებდენ:

1. 1840 წ. შემოიღეს მძიმე სახელმწიფო ბეგარა, რომელთა ასრულება გლეხების ძალღონეს აღემატებოდა.

2. ნატურალურ საერობო ბეგარათა მაგივრად შემოიღეს ერთიანი ფულადი გადასახადი.

3. შემოიღეს სულობრივი ფულადი გადასახადი.

4. ხაზინა გადასახადში ღებულობდა მხოლოდ რუსულ ფულის ნიშნებს, გურიაში კი უმთავრესად ოსმალური ვერცხლის ფული იყო გავრცელებული.

5. ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელნი ავიწროებდენ გლეხებს, უხეშად ექცეოდენ, აპატიმრებდენ და ციხეში ალპობდენ უდანაშაულო პირებს.

6. გლეხთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული აზრი: რუსის მთავრობას განზრახვა აქვს გურიაში ჯარისკაცები (რეკრუტი) შეჰკრიბოსო.

7. სამღვდელოება უზომო ფულს თხოულობდა მღვდელთმსახურების ასრულებისათვის.

8. გლეხები გაბოროტებულნი იყვნენ მებატონეთა წინააღმდეგ, ათასგვარ შევიწროების, მკაცრი მოპყრობის, ბეგარის მომატების გამო.

მოძრაობის განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია, რომ გლეხთა მოთხოვნებიც იზრდებოდა. თუ თავდაპირველად ისინი მხოლოდ ფულადი გადასახადის მოსპობას მოითხოვდენ, შემდგომ ხანებში თავისი რწმუნებულის, მღვდელ ქიქოძის პირით მოითხოვდენ: გურია უნდა დასცალონ რუსებმაო.

გარდა ამისა, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა საკითხი, რომელიც ყველაზე გასაგები და ახლო იყო ყველა ყმისათვის — ეს იყო ლოზუნგი ბატონყმობის, სამარცხვინო მონობის მოსპობისა. ამ ლოზუნგმა მოძრაობას საბოლოოდ ჩამოაშორა პრივილეგიური კლასები. აჯანყებულები აღფრთოვანებით მზად იყვნენ დაეწერნათ თავის დროშაზე: „ძირს მემამულეთა ბატონობა. აღარ გვინდა მონად ყოფნა. დაე, ყველამ თავისი შრომით იცხოვროსო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე

აჯანყება

გურიის აჯანყების პირველი ნაპერწკალი გაჩნდა ლანჩხუთის რაიონში. როდესაც გადასახადთა ამკრებნი (22 მაისს), თანახმად ახალი კანონისა, შეუდგნენ საერობო გადასახადების მოგროვებას, სოფ. ლანჩხუთის გლეხებმა კატეგორიული პროტესტი განაცხადეს და სოფლიდან დაიფრინეს.

ადგილობრივმა საუბნო მსაჯულმა ბარათაშვილმა ამ ფაქტს დიდი ყურადღება როდი მიაქცია. თვითონ იგი წავიდა გადასახადის ასაკრებად სხვა სოფლებში, სხვათა შორის, სოფ. აკეთშიაც. როგორც მებატონეთა, ისე სახაზინო გლეხებმა თ-დ ბარათაშვილს განუცხადეს: მომზადებული არა ვართ ფულადი ბეგრის გადასახდელად, ცოტაოდენი გვადროვეთო. ბარათაშვილი არ დათანხმდა. მაშინ გლეხებმა „მისცეს საწინდრად ნივთები, ხოლო ვინც სახლში არ დახვდა, მათი ნივთები წამოიღო პატრონთა დაუკითხავად და უცნობელად“.

გავიდა ორი დღე ზემოხსენებული ამბის შემდეგ. 24 მაისს აკეთელმა გლეხებმა ენუქა. გოგია, ათან ვადაჭკორიებმა, დათა მეგრელიძემ და მარტინ ლანჩაბაძემ, გაიგეს რა, ს. ლანჩხუთის გლეხებს უარი უთქვამთ საერობო გადასახადის გამოღებაზეო, თავს დაესხნენ ხელოსანს (გადასახადთა ამკრეფს) გოგოსი დოროძეს, კეტებით თავპირი დაუსისხლიანეს და წაართვეს 11 მანეთი ვერცხლის ფული.

მსაჯულმა თავადმა ბარათაშვილმა შეჰკრიბა თავადი შალიკაშვილები, რამდენიმე აზნაური, აკეთის ნაცვალი და გაემართა აკეთისკენ ურჩთა დასაპატიმრებლად და დამნაშავეთა დასასჯელად, როდესაც რაზმი ზემოხსენებული გლეხების სახლებს მიუახლოვდა, ისინი ყველანი გაიქცნენ. ბარათაშვილმა უბრძანა ხელოსნებს ხსენებული გლეხების გადასახადის ანგარიშში წამოეღოთ სამი ქვაბი და ორი ძროხა წამოეყვანათ. ვიდრე ბარათაშვილი სახლის ნივთებს აგროვებინებდა, შეიკრიბა 50-მდე აკეთელი გლეხი — ენუქა, ათან და გოგია ვადაჭკორიების მეთაურობით.გლეხები შეიარაღებულნი იყვნენ ხანჯლებით და თოფებით. ისინი საშინლად გაბოროტებულნი იყვნენ, სიკვდილით დაემუქრნენ ბარათაშვილს, გააქციეს და მისდიეს მას და მის ხალხს სახლამდე; ქვების სროლა დაუწყეს სახლს, კარფანჯრები ჩაულეწეს; განზრახვა ჰქონდათ შიგ შეეჭრილიყვნენ და სახლი მთლად გადაებუგათ, მაგრამ მერე ამ უკანასკნელ განზრახვას თავი ანებეს.

შეტაკების დროს ხანჯლით თავში დასჭრეს აზნაური ალექსანდრე ჯაყელი და ხელში კიდევ — გლეხი გაბრიელ ჩხაიძე. გლეხებმა წანართმევი ნივთები დაი-

ბრუნეს და ტყეში წავიდენ. წასვლის წინ განაცხადეს: საერობო გადასახადს არ გადვიხდითო.

28 მაისს, იმავე სოფლების — ლანჩხუთის და აკეთის გლეხები შეიკრიბნენ, სულ 300 კაცამდე, ხელთ თოფები და კეტები ეჭირათ, მიადგენ მსაჯულ ბარათაშვილის სახლს, გამოიწვიეს ბარათაშვილი და სთხოვეს, შეატყობინე მაზრის უფროსს შემდეგი ჩვენი მოთხოვნანი:

1) გაბათილებულ იქნას ახალი ფულადი გადასახადი;

2) ეპატიოთ დანაშაული იმათ, ვინც წინააღმდეგობა გაუწიეს გადასახადის ამკრებთ, რადგან ყველანი თანაბრად დამნაშავენი არიან;

3) დაუყოვნებლივ გადააყენეთ აკეთის ნაცვალიო.

მაზრის უფროსი იაცენკო თავისებურად მოიქცა. იმის მაგივრად, რომ გლეხთა სამართლიანი მოთხოვნები აესრულებინა და, უწინარეს ყოვლისა, დაესაჯნა ადგილობრივი ხელისუფლების ის წარმომადგენელნი, რომელთაც თავისი ბოროტი მოქმედებით: შინაური საქონლის, ნივთების ჩამორთმევით, ხალხისადმი უხეში მოპყრობით ააღელვეს გლეხები, — იაცენკომ უბრალოდ გადასწყვიტა ბოლო მოეღო მღელვარების წამქეზებლებისთვის, „რათა სხვებს სამაცთურო მაგალითი არ მიეცესთო“. იაცენკომ საქართველოს მოსაზღვრე ბატალიონიდან გამოითხოვა რაზმი, რომელშიაც იყო 8 უნტეროფიცერი, 2 მემუსიკე და 100 ჯარისკაცი პორუჩიკ სტეპანოვის მეთაურობით. მათთან ერთად იგი გაემართა სოფ. აკეთს.

შეიარაღებული ძალისთვის გლეხებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. იაცენკომ მოიარა სოფ. აკეთი და ზომლეთი და მოითხოვა გადასახადის დაუყოვნებლივ გადახდა. გლეხები თითქოს დაემორჩილნენ მთავრობის მოთხოვნებს. ბევრმა იქვე გადასცა გადასახადი ხელოსნებს და კვლავ ჩვეულებრივ თავის საყანო მუშაობას შეუდგა. ტყეში იმალებოდა მხოლოდ 7—8 კაცი, რომელთაც წინად ყველაზე მეტი აქტივობა გამოეჩინათ. შეიძლება სწორედ ამ გაქცეულთა გავლენით იყო, რომ 30 მაისს გადასახადზე უარი სთქვეს სოფ. ვანის გლეხებმა. იაცენკომ მყისვე გადაიყვანა იქით ჯარისკაცთა როტა და დაბანაკდა სოფელთან. აღსანიშნავია, რომ **„ჯარისკაცებს აკრძალული ჰქონდათ მცხოვრებლებთან ყოველგვარი ურთიერთობა“**. „ხიშტების მფარველობის ქვეშ“ იაცენკომ ბრძანა გლეხთა შეკრება და გამოაცხადა: ამიერიდან გლეხებმა გადასახადი ფულად უნდა შემოიტანოთ და სხვა აღარაფერი ნატურალური ბეგარა დაგედებათო. ვანელი გლეხები, როგორადაც სხვა სოფლები, გარეგნად თითქოს კმაყოფილნი დარჩნენ მაზრის უფროსის განცხადებით, იკისრეს გადასახადთა შეკრება და აღარაფერი ურჩობა აღარ გამოუჩენიათ.

შეუძლებელი შეიქმნა მხოლოდ ურჩობის მოთავეთა დაპატიმრება, რადგან ისინი ტყეში იმალებოდენ. ამიტომ იაცენკომ (რომელსაც მცირეოდენი ძალებით ლანჩხუთის რაიონში წასვლისა ეშინოდა) მშვიდობიანობა აღდგენილად, "ამბოხება საკვლევით მოსპობილად" მიიჩნია და 31 მაისს თავისი რაზმით ოზურგეთს დაბრუნდა. ამით გათავდა გურულების პირველი „ამბოხება“.

არ გასულა რამდენიმე დღე და გლეხთა მღელვარებამ ხელახალი ძალოვანებით იფეთქა. ამჯამად მას უფრო ორგანიზაციული და მასობრივი ხასიათი

ჰქონდა. იმავე აკეთის თემში გაჩნდა კარგად შეიარაღებული რაზმი 200 კაცის შემადგენლობით. მათ ბელადობდა სამი გლეხი — ძმანი ვადაჭკორიები. ეს რაზმი გადავიდა სუფსაზე და ოზურგეთისკენ გაემართა. რაზმი საათობით ბრძოლებოდა, რადგან თანახმად წინასწარ შეპირებისა და გეგმისა, რაზმის ხელმძღვანელები სოფლებში გავლის დროს საყვირის ძახილით მოუწოდებდენ თანამოაზრეებს და გლეხთა საერთო კავშირის წევრებს. გლეხები ყველგან თავს ანებებდენ მუშაობას, იარაღდებოდენ წინასწარ შემზადებული თოფებით და მთავარ რაზმს უერთდებოდენ. საღამოს აჯანყებულებმა ოზურგეთს მიაღწიეს, მაგრამ მათ გვერდი აუხვიეს მას და დაბანაკდენ სოფ. შემოქმედში, რომელიც კნეინა ელისაბედ გურიელს ეკუთვნოდა.

აჯანყებულებმა მოითხოვეს მოსალაპარაკებლად მაზრის უფროსი, რათა მისთვის თავიანთი მოთხოვნები წარედგინათ. მაგრამ იაცენკომ თავის მაგივრად გამოგზავნა 4 მოხელე. მოძრაობის ხელმძღვანელებმა არ ინდომეს ხსენებულ პირებთან ლაპარაკი.

იმ ცნობათა მიხედვით, რომელიც მაზრის უფროსს ჰქონდა, აჯანყებულებს განზრახული ჰქონდათ მოეგლოთ გურიის ყველა სოფელი, მთელი თავისი ძალები დაეგროვებინათ ოსმალეთის საზღვარზე და აქ შეემუშავებინათ თავიანთი მოთხოვნები სამაზრო ხელისუფლებისადმი. თუ ეს მოთხოვნები ასრულებული აო იქნებოდა, აჯანყებულნი დაიწყებდენ აქტიურ მოქმედებას. ის ვერსია, რომ აჯანყებულნი ფიქრობდენ ოსმალეთის საზღვარზე შეგროვებას (მდ. ჩოლოქთან) საეჭვოთ დასაჯერებელია და აი, რატომ: გავიხსენოთ, რომ გურულებს იმედი ჰქონდათ ოსმალების მხრით აქტიური დახმარებისა, უშუალო მოლაპარაკებას აწარმოებდენ ქობულეთელ ჰასანბეგ თავდგირიძესთან, მისგან თოფ-იარაღს და სხვა მოწყობილობას ღებულობდენ. აჯანყებულებს, როდესაც სამხედრო მოქმედებას ჩოლოქის მხრიდან დაიწყებდენ, ზურგი უზრუნველყოფილი ექნებოდათ. მართლაც, აჯანყებულნი შემოქმედიდან გაემართნენ ლიხაურისკენ, სადაც ისინი 4 ივნისს მივიდენ. აქ მათ მიემატათ ახალი რაზმები გლეხების ოთარ თოიძის, გოგიჩა გორდელაძის, თავად მიხეილ მაქსიმელიმეილის, აზნაურების გიტო გოგორიკიძის და სიმონიკა გოგოლიშვილის მეთაურობით.

როგორც სჩანს, პირვანდელი გეგმა აქ შესცვალეს, რადგან იმის მაგივრად, რომ მდ. ჩოლოქისაკენ წასულიყვნენ, აჯანყებულნი შემობრუნდენ ისევ ოზურგეთისაკენ. გლეხთა ცალკე რაზმებმა გადასწვეს ოზურგეთის საბაჟო კარანტინი, ჩახერგეს და გაუვალი გახადეს ოზუგეთიდან მიმავალი გზები, რომელთაგან ერთი ნიკოლოზის სიმაგრისკენ მიდიოდა, ხოლო მეორე ნაგომარით და ჩოხატაურით — იმერეთისკენ.

ოზურგეთის მაზრის უფროსის და სამხედრო სარდლობის განკარგულებაში იმდენად მცირეოდენი სამხედრო ძალები იყო, რომ მათ ვერ გაბედეს აჯანყებულთა წინააღმდეგ რაიმე გადამწყვეტ ღონისძიებათა ხმარება. მეორე მხრით, აჯანყებულნიც მოერიდენ სამხედრო ძალებთან აშკარა შეტაკებას. მათ მეორეჯერ ჩაუარეს გვერდი ოზურგეთს და გურიანთის თემისაკენ გაემართენ.

აქ იყო მამული ცნობილი მსხვილი თავადიშვილის გიორგი ნაკაშიძისა. გურიის ყმა-გლეხებს ძლიერ სძულდათ იგი, რადგან ნაკაშიძე ძალიან მკაცრი

მებატონე იყო და გლეხებს ავიწროებდა. თვითონ სამაზრო ადმინისტრაცია იძულებული იყო აღეარებინა: გიორგი ნაკაშიძე „ითვლებოდა ჩვენი მთავრობის ფრიად ერთგულ ადამიანად, მაგრამ ერთ-ერთი პირველთაგანია იმ პირთა შორის, რომელნიც ხალხის სიძულვილს იწვევენო“ *). ფრიად დამახასიათებელია რომ პირველი დიდი და სერიოზული შეტაკება მოხდა აჯანყებულებსა და მსხვილ მებატონეს შორის. მოძრაობის ანტიბატონყმურმა რაობამ პირველ ნაბიჯებთანავე იჩინა თავი.

გიორგი ნაკაშიძეს აჯანყებულთა მიახლოვება დროზე შეატყობინეს და თავისი საიმედო პირების საშუალებით მან მოახერხა მდ. სკურბუბის ხიდი აეღო. გარდა ამისა, მაზრის უფროსმა გაუგზავნა მას დასახმარებლად გურული თავადაზნაურობის ძლიერი რაზმი გამოცდილი პოდპოლკოვნიკის თავად მაჭუტაძის მეთაურობით. ნაკაშიძისადმი სიძულვილი ისეთი დიდი იყო, რომ გლეხთა ცალკე რაზმები ყოველგვარად ცდილობდენ მდინარეზე გადასვლას. ასტყდა დიდი სროლა, რომლის დროსაც გლეხთა ერთი უმთავრესი ბელადთაგანი დასჭრეს. ამან აჯანყებულთა შორის არევ-დარევა გამოიწვია და მტრისაგან დევნილმა გლეხებმა ტყისკენ დაიხიეს. აჯანყებულთა უმთავრესმა ბირთვმა ტყეს შეაფარა თავი, ხოლო დანარჩენმა გლეხობამ ჯერ-ჯეროობით, დროებით, ახალ სიგნალამდე, სახლს მიაშურა. ოფიციალური ცნობებით, ამ შეტაკებაში მოჰკლეს სახაზინო გლეხი როსტომ მეავანაძე და გოგია მენაბდე.

18 ივნისს გლეხთა მღელვარებამ თავი იჩინა ჩოხატაურის რაიონში, თავად ერისთავთა და ელისაბედ გურიელის მამულში. გლეხთა რაზმში დაახლოებით 600 შეიარაღებული კაცი იყო. შტაბსკაპიტანი ღოღობერიძე, რომელიც სამხედრო რაზმით იდგა ჩოხატაურში, 100 ჯარისკაცით და ადგილობრივი მილიციონერებით მღელვარების ადგილას ჩავიდა. აჯანყებულებს მეთაურობდენ გლეხები როსტომ მაშაქაშვილი და გიორგი მაშაქაშვილი. ღოღობერიძემ მოითხოვა, რომ გლეხები დაშლილიყვნენ. გლეხებმა უპასუხეს, სროლას აგიტეხთო. როდესაც თავადმა ანტონ ერისთავმა მოინდომა გლეხთა ერთი ბელადის დაპატიმრება, იგი სახეში დასჭრეს. ღოღობერიძე დაბრუნდა ჩოხატაურს სრულიად უშედეგოდ. ამასობაში აჯანყებულთა რაზმის რაოდენობა 1500 შეიარაღებულ კაცამდე ავიდა. ისინი დაიარებოდენ სოფლებში, საყვირის ხმით იწვევდენ გლეხებს და საყოველთაო აჯანყებისათვის მოუწოდებდენ.

მოძრაობის მეორე ეტაპში გლეხთა მღელვარება და გამოსვლები გურიის ფარგლებს გასცილდა. გლეხთა მღელვარებამ იფეთქა ქუთაისის მაზრაში, იმერეთის ოთხ სოფელში, რომლებიც მდ. რიონის ნაპირს, აჭარა-ახალციხის ქედის დასავლეთ ფერდობებზე მდებარეობენ. 3 ივნისს სოფელ ონჯოხეთის, გადიდის, უხუთის და დვალის მცხოვრებლებმა, რომლებშიაც მებატონეთა 300 კომლი გლეხი იყო და რომელთაც რამაზია და სეხნია დვალიშვილები მეთაურობდენ, გამოაძევეს როგორც მოურავი, ისე გადასახადთა ამკრებნი. საბექოს საუბნო მსაჯულმა მაზანდაროვმა ეს ამბავი რომ გაიგო, დაუყოვნებლივ გაემგზავრა ხსენებულ სოფლებისაკენ. მაზანდაროვი შეეცადა მიახლოვე-

*) Кавказский Сборник, ტ. XIV, გვ. 227.

ბოდა აჯანყებულებს, დაერწმუნებინა, რომ დაშლილიყვნენ, დამორჩილებოდენ ხელისუფლებას და დაუყოვნებლივ გადაეხადნათ გადასახადი. რაზმმა მისგან ოცი საქენით დაიხია და გლეხებმა, „უთითებდენ რა თოფებზე, რომლებიც ხელთ ეჭირათ, ერთხმად შესძახეს: ერთ დღეს დავბადებულვართ და ერთს დღესვე დავიხოცებით, ხოლო იმ ფულს, რომელსაც ჩვენგან მოითხოვთ, არ მოგცემთ; თუ შენ (მაზანდაროვი) ან შენგან გამოგზავნილები ახლოს მოხვალთ, აუცილებლად საიქიოს გაგისტუმრებთო“ *).

აჯანყებულებმა იქვე განაცხადეს: უარს ვამბობთ გადასახადთა მოცემაზე, რადგან ძალიან ვიჩაგრებით მებატონეებისაგან, მათ სასარგებლოდ ბეგარათა შესრულებით; ის საერობო ნატურალური ბეგარა, რომელსაც თქვენ მოითხოვთ, მაგალითად: მუშა-კაცების, ურმების გამოყვანა, მოსაზღვრე საკორდონო რაზმის შენახვა. ჩვენთვის ძალიან სამძიმოაო და სხვა“. საბექოს უბნის გლეხთა აჯანყებას შემთხვევითი და დამოუკიდებელი ხასიათი არ ჰქონია. ისინი შეთანხმებულნი იყვნენ გურულებთან. იმავე მაზანდაროვს განუცხადეს აჯანყებულებმა: ჩვენ იარაღს არ დავყრით და საერთო ბეგარას არ შევასრულებთ, სანამ ამას გურულები არ იზმენო.

ვინაიდან ადგილობრივი პოლიციის ძალებით გლეხთა მოძრაობის ჩაქრობა შეუძლებელი შეიქმნა, ამ საქმისთვის გაჰგზავნეს ქუთაისის მაზრის უფროსი გ. ლიაშჩენკო საგანგებო რწმუნებულობით. მას დაავალეს: „თავშივე ჩაჰკალ კანონიერ ხელისუფლებისადმი გლეხთა დანაშაულობრივი წინააღმდეგობა, თუ შესაძლებელია, პირადი ჩაგონების საშუალებით, ხოლო თუ ამან ვერ გასჭრა, პოლიციური ღონისძიებებით... თუ ამ საქმეში მან (ლიაშჩენკომ) ვერა გააწყო რა, პირველ მის შეტყობინებისთანავე დაუყოვნებლივ გაიგზავნოს მასთან ურჩთა დასაწყნარებლად **სამხედრო რაზმი**“ *).

გურიის და იმერეთის ამბებმა ძალიან შეაშფოთა ქართლ-კახეთ-იმერეთის როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება. გურიაში ივნისის განმავლობაში ორჯერ იყო სამოქალაქო გუბერნატორი გენერალ-მაიორი კოხანოვი. რათა გამოერკვიათ მღელვარების მიზეზები, მან მოიარა გურიის მთელი რიგი რაიონები, მოლაპარაკება ჰქონდა ცალკე „პარტიათა“ წარმომადგენლებთან, მოისმინა ადგილობრივი ადმინისტრაციის და მებატონეთა მოქმედების და მჩაგვრელობის შესახებ საჩივრები და გლეხთა მოთხოვნანი. სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთ იმედი არა აქვთ, რომ მშვიდობიანი გზით შესძლებენ მოსახლეობის დამორჩილებას. ამიტომ ისინი ენერგიულად ცდილობენ გურიაში თავი მოუყარონ საკმარის სამხედრო ძალებს, რათა საჭიროებისამებრ, შესძლონ მოძრაობის ჩაქრობა იარაღით. 3 ივნისს რედუტ-ყალადან გურიას გაიგზავნა ჯარისკაცთა როტა 140 კაცის შემადგენლობით და 2 ზარბაზნით. 4 ივნისს ქუთაისიდან გურიისაკენ გაემართა ქვეითა ჯარის რაზმი 167 კაცის შემადგენლობით და 50 დონელი ყაზახი. ამ ძალების დასამატებლად

*) ც. არქივი. Дело канц. Груз.-Имерет. гражд. губ. ქუთაისის მაზრის უფროსის მოხსენება, № 345, ფ. 13.

*) ც. არქივი. იქვე.

ქუთაისიდან კიდევ გამოითხოვეს 100 ჯარისკაცი და 2 ზარბაზანი. სამეგრელოს მთავარს დადიანს და ახალციხის მაზრის უფროსს ალი-ბეგს სამას-სამასი მილიციონერი უნდა გამოეყვანათ. ქუთაისში, რეზერვად უნდა მდგარიყო ასეთივე გამზადებული ერთი ბატალიონი; მეორე ბატალიონი უნდა დამდგარიყო გურია-იმერეთის საზღვარზე, რათა პირველ საჭიროებისთანავე სალაშქროდ დაძრულიყო.

ყველა იმ სამხედრო ძალების სარდლად, რომელთაც გურიაში უნდა ემოქმედნათ, დანიშნეს ახალციხის სამხედრო საოლქო უფროსი — პოლკოვნიკი თავადი არღუთინსკი-დოლგორუკოვი. არღუთინსკის იმედი ჰქონდა, რომ გურიას მალე დააწყნარებდა. იგი ოზურგეთს ჩავიდა 13 ივნისს. იქ, ადგილობრივად გამოირკვა, რომ გურიის და საბექოს უბნის მცხოვრებნი უკვე დაწყნარებულიყვნენ, რომ უმრავლესობას უკვე შეეტანა გადასახადი და მშვიდობიანად მუშაობდა ყანებში, რადგან სწორედ გაცხარებული მუშაობის ხანი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ დაღისტნიდან დაბრუნდა იმერეთ-გურიის სამხედრო ნაწილის მმართველი პოლკოვნიკი ბრუსილოვი. კავკასიის I კორპუსის უფროსი გენ. გოლოვინის მიწერილობით ბრუსილოვმა იკისრა გურიაში მყოფი სამხედრო ძალების უფროსობა, ხოლო არღუთინსკი ისევ ახალ ციხეს დაბრუნდა.

ბრუსილოვი გაეცნო გურიის საქმეთა ვითარებას და ისიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ამბოხება ჩაქრობილია“, „გაუგებრობანი მოსპობილია“ და მაზრაში ნორმალური ცხოვრება აღდგენილია. მომხდარმა ამბებმა მაზრის ადმინისტრაციას სრულიად ვერავითარი ჭკუა ვერ ასწავლა. მებატონეები კვლავ განაგრძობდენ ყმების ჩაგვრას, ადმინისტრაცია კვლავინდებურად ბოროტად ხმაროობდა თავის ძალა-უფლებას. მებატონეებს და მილიციას უნდა დაეჭირათ და მაზრის ხელისუფლებისათვის გადაეცათ მოძრაობის დამწყებნი და მეთაურნი. ერთადერთი შეღავათი, რომელიც მოჰყვა გლეხთა გამოსვლას გურიაში, ეს იყო ის, რომ ნება დართეს გლეხებისაგან გადასახადის შეტანის დროს, თუ ეს აუცილებელი იქნებოდა, რუსული ფულის მაგივრად დღის კურსის მიხედვით — ოსმალური ფარაც მიეღოთ.

— . —

პირველი ამბოხების შემდეგ ჩამოვარდნილი სიწყნარე გურიაში ხანმოკლე და მოჩვენებითი აღმოჩნდა. მიუხედავად მრავალი ღონისძიებისა, „ამბოხის“ ვერც ერთი „წამქეზებელი“ ვერ დაიჭირეს და არც ერთი მათგანი არ გაუცია ხალხს. ისინი თავისუფლად დაიარებოდენ სოფელ-სოფელ და გაძლიერებულ მუშაობას ეწეოდენ ახალი აჯანყების შესამზადებლად, ძალებს იკრებდენ და ახალ შეიარაღებულ ძალებს რაზმავდენ.

ძირითად ამოცანასთან ერთად — რუსის თვითმპყრობელობის მოშორების ამოცანის გარდა, მდელ გურიაში ფრიად პოპულარულ ლოზუნგად იქცა ბატონყმობის ლიკვიდაცია, მებატონეთა ექსპლოატაციის მოსპობა. აჯანყებულთა აზრით, თუ რუსის ჯარზე გაიმარჯვებდენ, უნდა დაცემულიყო მებატონეთა ძალა-უფლებაც, რადგან იგი რუსეთის ხიშტებს ეყრდნობოდა.

ანგარიშს უწევენ რა პირველი გამოსვლის გაკვეთილებს და გამოცდილებას, მოძრაობის ბელადები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ გამარჯვების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შეთანხმებული ხელმძღვანელობით, მოქმედების მთლიანი გეგმით და გარეშე ძალის დახმარებით. გურიასთან ერთად უნდა აჯანყებულიყვნენ იმერეთ-სამეგრელოს ყმა გლეხები.

აჯანყებულებმა გადასწყვიტეს უცაბედი თავდასხმით ხელთ ეგდოთ რუსის ჯარის გარნიზონით დაკავებული გამაგრებული პუნქტები და მერე გაეხსნათ ოსმალეთის საზღვარი, რათა მიმოსვლა იქით და აქეთ თავისუფალი ყოფილიყო.

ყველაზე ძნელი საქმე ოზურგეთის აღება იყო. მასთან უნდა შეგროვილიყვნენ აჯანყებულთა მთავარი ძალები. რადგან ოზურგეთის აღება ძნელი იყო, გადასწყვიტეს მისი გარემოცვა, მისი სავსებით მოწყვეტა; ისე უნდა მოეწყოთ საქმე, რომ ოზურგეთს ვერ მიეღო სურსათ-სანოვაგე, დაეკეტნათ იმერეთ-სამეგრელოს საზღვარი, რათა გარემოცულ გარნიზონს დახმარება ვერსაიდან მისვლოდა.

აჯანყებულებს იმედი ჰქონდათ, რომ ოზურგეთს ან ბრძოლით აიღებდენ, ან შიმშილობით შეწუხებული გარნიზონი იძულებული გახდებოდა ნებაყოფლობით დანებებოდა.

ახალი აჯანყების ნიშნებმა თავი იჩინა უკვე ივლისის დამლევს. გადასახადის ნიადაგზე კვლავ დაიწყო მღელვარება აკეთის თემის გლეხობაში. მას მიჰყვნენ თავად ერისთავთა გლეხები ჩოხატაურის რაიონში. როდესაც მღელვარებით მოცულ რაიონებში მივიდენ მღვდელი და მოხელეები, გლეხთა უკმაყოფილობის მიზეზის გამოსაკვლევად გაგზავნილნი, გლეხებმა განაცხადეს: ჩვენ მოგვატყუეს; დაგვპირდენ ფულადს გადასახადს აღარ მოგთხოვთო, ახლა კი ფულის ამკრებნი დაიარებიან და გადასახადს თხოულობენო.

ამავე მიზეზით მღელვარება დაიწყო ოზურგეთის თემის სოფ. თხინვალში. ახალი აფეთქების აუცილებლობა ყველასთვის აშკარა შეიქმნა. შეშინებულმა თავად-აზნაურობამ მიატოვა თავისი სახლკარი და მთელი თავისი ოჯახებით მიაშურა ოზურგეთს, რუსის ჯარის გარნიზონის ხიშტების მფარველობას.

აგვისტოს დამდეგს საყოველთაო აჯანყების აშკარა ნიშანი მისცეს სხვებს სოფელ გურიანთის გლეხებმა. მათ მაგალითს მყისვე მიჰყვნენ ლიხაურელები. აჯანყებულთა ძირითად ბირთვს ემატებოდენ რაზმები გურიის ყველა რაიონიდან. აჯანყებულებმა აღარ დააყოვნეს და მალე დაიწყეს აქტიური შეტევა რუსის ჯარის წინააღმდეგ. მათი უმთავრესი მიზანი იყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოზურგეთის ყოველმხრივ გარემოცვა. გურიის ადმინისტრატიულ და მთავარ გამაგრებულ ადგილას, ოზურგეთს, პოლკოვნიკ ბრუსილოვის განკარგულებაში შემდეგი სამხედრო ძალები იყო: 21 არტილერისტი, 46 დონელი ყაზახი, 46 უმწყობრო რაზმელი, 601 ქვეითა ჯარისკაცი, 3 ზარბაზანი. ცალკე სოფელსა და გამაგრებულ ადგილებში იდგნენ რაზმები, სულ 674 კაცი. გარდა ამისა, გურიაში იყო, თუმცა არა საკმარისად საიმედო, გურიის და იმერეთის მრავალრიცხოვანი მილიცია.

9 აგვისტოს ორასი აჯანყებული თავს დაესხა ტრანსპორტს, რომელსაც პროვიანტი მიჰქონდა ოზურგეთიდან სოფ. გურიანთას. ამ შეტაკებაში მოკლულ იქნა 4 ჯარისკაცი, 2 ტყვედ წაიყვანეს. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ტრანსპორტი სურსათ-სანოვაგითურთ, 5 თოფი და ვაზნები. ამავე დღეს აჯანყებულთა მეორე რაზმი თავს დაესხა ჩოლოქის ყაზახთა პოსტს, დაარბია იგი და ტყვედ წამოიყვანა 12 ყაზახი, ხელთ იგდო ცხენები და იარაღი. გარდა ამისა, იმავე რაიონში, ოსმალეთის საზღვარზე დაარბიეს საბაჟო პოსტი, კარანტინი და ტყვედ წამოიყვანეს მისი მცველები. მესამე რაზმი, გოგია ქარცივაძის მეთაურობით, თავს დაესხა ნატანების პოსტს, დაარბია იგი, ხელთ იგდო მთელი იარაღი და ქონება და დაანგრია მდ. ნატანებზე გადასასვლელი. ამის გამო მიმოსვლა რედუტ-ყალასა და ნიკოლოზის სიმაგრეს შორის შესწყდა.

ბოლოს, იმავე 9 აგვისტოს მოხდა პირველი დიდი შეტაკება აჯანყებულთა და ბრუსილოვის რაზმს შორის. რაკი გაიგო, რომ აჯანყებულები ოზურგეთთან იყრიდენ თავს და განზრახვა ჰქონდათ მოეწყვიტნათ იგი ნიკოლოზის სიმაგრისაგან, ბრუსილოვმა მოინდომა დაესწრო აჯანყებულებისათვის. იგი დილაადრიან გაემართა ნიკოლოზის სიმაგრისაკენ 200 ჯარისკაცით და ორი ზარბაზნით. 500 შეიარაღებული აჯანყებული უცდიდა რუსის რაზმს სოფელ გოგორეთთან. აჯანყებულებს მეთაურობდა აბესა ბოლქვაძე.

გოგორეთიდან ორი ვერსის მანძილზე ბრუსილოვი გაჩერდა მინდორზე, ხოლო წინ გაგზავნა კაპიტანი გაბაშვილი 100 ჯარისკაცით. მთავარ რაზმს გაბაშვილი ასი ნაბიჯითაც კი არ იყო დაშორებული, რომ აჯანყებულებმა მას სროლა აუტეხეს. ბრუსილოვი დაუყოვნებლივ გაეშურა არტილერიით მოწინავე რაზმის დასახმარებლად. ასტყდა ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლა, რომელმაც 4 საათს გასტანა. ადგილმდებარეობის კარგად მცოდნე აჯანყებულებმა, ჩირგვებიდან და ხეებიდან ბრუსილოვის ჯარს სეტყვასავით დააყარეს ტყვია. გლეხები ისე იყვნენ გააფთრებული, რომ ხშირად უშიშრად გამოდიოდენ საფარებიდან, ხანჯალამოღებულნი პირის-პირ ეკვეთებოდენ ხოლმე მოწინააღმდეგეს. ბრუსილოვს 20-დე ჯარისკაცი და 3 ცხენი მოუკლეს და დაუჭრეს. მან 60 ზარბაზნის უუმბარა გაისროლა, თოფის ვაზნები თითქმის მთლად დასცალა. ამიტომ იგი იძულებული გახდა სასწრაფოდ დაეხია ოზურგეთისაკენ. აჯანყებულებმა სდიეს მას 12 ვერსის მანძილზე. აჯანყებულთა მხრით ამ ბრძოლაში დაიღუპა 15 კაცი და დაიჭრა 40*). დაჭრილთა შორის იყო აჯანყებულთა მეთაური აბესა ბოლქვაძე.

ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ აჯანყებულთა შორის რევოლიუციური სულისკვეთება ძალიან გაძლიერდა. ბრუსილოვის უკან დახევის და აჯანყებულთა გამარჯვების ამბავი მყისვე მთელ გურიას მოედვა და ხალხს გამარჯვების იმედი გაუღვიძა. გოგორეთი აჯანყებულებმა მტკიცედ დაიკავეს, რის გამოც სრულიად მოწყვეტილ იქნენ ერთმანეთს ოზურგეთის გარნიზონი და ნიკოლოზის სიმაგრე. გურიაში მყოფ ჯარებს სურსათი ნიკოლოზის სიმაგრის საწყობებიდან ეძლეოდათ. ამიტომ აჯანყებულთა ამ გამარჯვებას მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

Акты, ტ. IX, ს. № 196. ბრუსილოვის მოხსენება კოცებუსადმი.

10 აგვისტოს 2000 შეიარაღებული აჯანყებული (ოფიციალური ვერსიით) ჩვენთვის უკვე ცნობილი აბესა ბოლქვაძის მეთაურობით თავს დაესხა ნიკოლოზის სიმაგრეს. მცირეოდენი სროლის შემდეგ გარნიზონი იძულებული გახდა დამორჩილებულიყო. აჯანყებულებმა საშუალება მისცეს ჯარისკაცებს და მცველებს ნავ-გემებით რედუტ-ყალას წასულიყვნენ. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს დიდძალი თოფ-იარაღი, ტყვია-წამალი, სახაზინო ქონება და 2 ათასი ჩეტვერტი ფქვილი. ნიკოლოზის სიმაგრის აღებით აჯანყებულებმა ხანგრძლივად უზრუნველჰყვეს თავი სურსათით და გააუმჯობესეს თავიანთი ტეხნიკური შეიარაღება.

ამის შემდეგ აჯანყებულებმა საჩქაროდ მოშალეს მდ. მალთაყვას და სუფსაზე გადასასვლელი, ნიკოლოზის სიმაგრიდან ვიდრე მდ. სუფსამდე დააყენეს ძლიერი მოდარაჯე რაზმები და ამით შეჰკრეს სამეგრელოდან გურიას მომავალი გზა.

აჯანყებულნი ცდილობდენ მთელი თავისი ძალები შემდგომ მოეხმარებინათ ოზურგეთის აღებისათვის. ამიტონ ისინი ცდილობდენ ზურგის გამაგრებას. 11 აგვისტოს მათ ალყა შემოარტყეს გურიანთაში თავად ნაკაშიძეების მამულს, რომელიც გურიაში ერთ-ერთ სერიოზულ სიმაგრედ ითვლებოდა და სადაც იდგა ჯარისკაცთა ერთი როტა პორუჩიკ თავად მიქელაძის უფროსობით. გარნიზონი სრულიად მოკლებული იყო სურსათს. წყალიც კი არ ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ სროლის ქვეშ მოეტანათ იგი. შიმშილ-წყურვილით შეწუხებულმა და დახმარებას მოკლებულმა მიქელაძემ (გლეხები ფულადაც არაფერს აძლევდენ მას) 13 აგვისტოს ღამით მოახერხა გურიანთიდან გაპარვა. თავად ნაკაშიძეებითურთ აჯანყებულებისაგან თავისუფალი პატარა ბილიკით იგი ჩავიდა თავისი როტით ოზურგეთს.

გურიანთა მთლად აჯანყებულთა ხელში იყო. ამიტომ შეიკრა გზა ოზურგეთსა და ფოთს შორისაც. 13 აგვისტოს დაეცა ლიხაურის პოსტიც. რაზმმა, რომელიც ერთი უნტერ-ოფიცრის და 8 ჯარისკაცისაგან შესდგებოდა, მოახერხა ღამით გაპარვა ოზურგეთს. მათი გზის მაჩვენებელი იყო ლიხაურის მოურავის ქაიხოსრო თაყაიშვილის დედა. ამ საქმისთვის ბრუსილოვმა მას 10 მ. ვერცხლი აჩუქა.

15 აგვისტოს აჯანყება უკვე მთელ გურიას მოედო. აჯანყებულთა რაზმები მოქმედებდენ ფოთის და რედუტ-ყალას მიდამოებში და მათ აღებას ფიქრობდენ. ფოთიდან ქუთაისს სურსათის გზავნა შეუძლებელი შეიქმნა. ამ დროს შეიარაღებულ აჯანყებულთა რიცხვი 7200 კაცს აღწევდა. ამათგან 400 კაცი ოზურგეთსა და ფოთის რაიონში იყო, 500 გამაგრდა საბექოს თემსა და სოფ. კოპატში, ხოლო 2700 კაცი ჩახატაურის რაიონში *).

ბრუსილოვის ცნობებით აჯანყებულნი ორჯერ აპირებდენ ოზურგეთზე თავდასხმას, 11 და 15 აგვისტოს, მაგრამ ორჯერვე კოკისპირულმა წვიმამ შეუშალათ ხელი. 14 აგვისტოს აჯანყებულებმა დაიკავეს ოზურგეთ-ქუთაისის გზა, რომელიც სოფ. საჯავახოზე გადიოდა. მეორე დღეს დაიკავეს ნასაკირალის მთა.

*) Кавказский сборник, ტ. XIV, გვ. 274.

ამნაირად, შეკრულ იქნა ნაგომარის მნიშვნელოვანი გზა. ოზურგეთი მთელ ქვეყანას მოწყვეტილი იყო და სურსათ-სანოვაგე არ მოეპოებოდა არც გარნიზონისათვის, არც მოქალაქეთათვის.

ამ დროს გურიაში (გარდა ოზურგეთისა) რუსული კანონები უკვე აღარ მოქმედობდა. ერთადერთ ხელისუფლებას წარმოადგენდა აჯანყებულთა „მთავარი შტაბი“, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა გურიის გლეხობის რევოლიუციურ მოძრაობას.

ვიდრე ოზურგეთის შეუპოვარი გარემოცვა გრძელდებოდა, გურულებმა კიდევ ორ სერიოზულ გამარჯვებას მიაღწიეს. პოლკოვნიკ ბრუსილოვის მოთხოვნით მის საშველად გამოეშურნენ ერთის მხრით — იმერეთის მილიცია პოლკოვნიკ თავად წერეთლის მეთაურობით, ხოლო ფოთის მხრით — სამეგრელოს მთავარი დადიანი. წერეთელს ჰყავდა 400 მილიციონერი. ეს რაზმი გააძლიერეს გურიის თავად-აზნაურებმა. მიუხედავად ამისა, წერეთელმა დიდი გაჭირვებით მიაღწია ჩოხატაურის პოსტს. 16 აგვისტოს იგი აქ შეუერთდა პორუჩიკ ლევინსკის რაზმს, რომელსაც 200 ჯარისკაცი ჰყავდა და 2 ზარბაზანი ჰქონდა. მას დიდი ხანი იყო აჯანყებულები შემორტყმოდენ და გასაქანს არ აძლევდენ.

მიუხედავად ახალი ძალების მომატებისა, არტილერიის საუკეთესო ტექნიკური შეიარაღებისა, წერეთელმა და ლევინსკიმ არა თუ ვერ მოახერხეს აჯანყებულთა გაფანტვა, ოზურგეთის გზის განთავისუფლება, ოზურგეთისადმი მიშველება, არამედ დიდი გაჭირვებით იგერიებდენ აჯანყებულთა თავდასხმას. ჩოხატაურის პოსტზე აჯანყებულთა შეტევა დღითი-დღე ძლიერდებოდა. გარშემორტყმული რაზმი სურსათის დიდ გაჭირვებას განიცდიდა და შეტაკებებში ხალხი ეღუპებოდა (ოფიციალური ცნობებით, პირველ შეტაკებაში წერეთელს მოუკლეს 7 და დაუჭრეს 22 კაცი). წერეთელმა ძლივძლივობით მოახერხა 27 აგვისტოს იმერეთისკენ დახევა, იგი დაბინავდა ჩოხატაურის პოსტიდან 21 ვერსის მანძილზე, დ. ეწერში, რის შემდეგაც აჯანყებულებმა აიღეს უკანასკნელი გამაგრებული პოსტები ნაგომარსა და ჩოხატაურში.

ოფიციალური ცნობებით, დადიანს ჰყავდა 1000 მილიციონერი, რომელთა შორის იყვნენ ცხენოსნებიც და თავად-აზნაურთა სპეციალური რაზმი. ჰქონდათ ზარბაზნებიც. სძლიეს რა მედარაჯე რაზმები, მეგრელებს შეტაკება ჰქონდათ აჯანყებულთა მთავარ ძალებთან ძლიერად გამაგრებულ გრიგოლეთთან. ბრძოლა სამს დღე-ღამეს გრძელდებოდა. დადიანი შემდეგ გენერალ კოცებუს ამ ბრძოლის შესახებ სწერდა: „მეგრელები ხელმწიფისა და სამშობლოსადმი ერთგულების დასამტკიცებლად თავს არ იზოგავდენ, ყოველ ღონეს ხმარობდენ გურულთა წინააღმდეგ, არ არჩევდენ არც ახლობლებს, არც ნათესავებს და მიისწრაფოდენ თავისი უქვეშევრდომილესი მოვალეობის შესრულებასო“ *). მიუხედავად ამისა, დადიანი იძულებული იყო სამარცხვინოდ უკან დაეხია; მას 40 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს და იძულებული გახადეს სამეგრელოს გაბრუნებულიყო.

---

*) Кавказский сборник. Чудинов. Восстание гурийцев 41 г. зз. 264.

ოზურგეთის მაზრის უფროსის ცნობით, დადიანი „მნიშვნელოვნად დაზარალდა“. მაგრამ ეს ოფიციალური ვერსია უეჭველად აკნინებს მეგრელ-შებატონეების დამარცხების ხასიათსა და ზარალს, რომელთაც თავიანთი ყმები ძმათა სისხლის ღვრაში ჩაითრიეს.

ხალხური გადმოცემის მიხედვით, რომელიც მხატვრულად დაამუშავა ცნობილმა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა თავის რომანში „ჯანყი გურიაში“, გურულებმა სასტიკად დაამარცხეს მეგრელები. ბრძოლა რამდენსამე დღეს გრძელდებოდა. ყოველი მხრიდან გარშემორტყმული მეგრელები იძულებულნი გახდენ იარაღი დაეყარნათ და გამარჯვებულთა წინაშე ქედი მოეხარათ. გურულებმა ტყვეები დასაჯეს უძველესი ჩვეულების მიხედვით: მეგრელები დადიანსა და სხვა აზნაურებთან ერთად ალაიაში გააძვრინეს (გადაჯვარადინებულ თოფებს ქვეშ) *).

აგვისტოს დამლევი გურიაში ის მომენტი იყო, როდესაც „ამბოხება სავსებით გაჩაღებული იყო და მოედო მთელ ამ ქვეყანას, ხოლო ჩვენი (რუსეთის) პუნქტების და გარნიზონების მდგომარეობა ჭეშმარიტად რომ სასოწარმკვეთი იყო“ **).

გურულ აჯანყებულთა გამარჯვების და იმ მოწოდებათა ზეგავლენით, რომლებსაც აჯანყებულნი ჰგზავნიდნენ აქეთ-იქით, მოძრაობა იმ დონეზე იყო, რომ გურიის საზღვრებს უნდა გასცილებოდა. აგვისტოს დამლევს ამბოხების ნაპერწკალი უკვე ედებოდა მთელ სამეგრელოს და იმერეთს, სადაც „ერთადერთი პირები, რომელნიც რუსის მთავრობის ერთგულნი დარჩნენ, მხოლოდ თავად-აზნაურთა ოჯახები იყვნენ ***).

დადიანის მეგრული მილიცია სავსებით გაიხრწნა. თვითონ მთავარი იძულებული იყო აღეარებინა, რომ მისი „ქვეითი ჯარი არაფრად არ ვარგოდა და ამიტომ სარდლობას სთხოვდა მიეცა მისთვის რუსის ოფიცრები“. როდესაც რუსის სარდლობამ განკარგულება გასცა, რომ მეგრელთა მილიცია პორუჩიკ თავად მიქელაძის მეთაურობით წასულიყო ნიკოლოზის სიმაგრისაკენ, რათა იქითკენ მიექცია აჯანყებულთა ყურადღება, მილიციონერებში აშკარა ამბოხებამ იჩინა თავი. 67 კაცმა დაიტაცა იარაღი, ტყვია-წამალი, მიატოვა ბანაკი, ძალით გადავიდა ბორანზე და თავიანთ სახლს მიაშურა. არა მარტო გლეხი მილიციონერები, არამედ თავად-აზნაურებიც არ ემორჩილებოდენ რუსის სარდლობას და უარს ამბობდენ ნიკოლოზის სიმაგრისკენ წასვლაზე, რადგან რუსის რეგულიარული ჯარის დაუხმარებლად მათ ეშინოდათ „მეამბოხე გლეხებთან“ შეხვედრის ****).

სამეგრელოში, სოფ. ჯვარში, შეგროვდა რაზმი, რომელშიაც 1000 კაცი ითვლებოდა და განზრახვა ჰქონდა სასწრაფოდ მიშველებოდა გურულებს.

---

*) ასეთივე ჩვეულება ჰქონდათ გლეხებს გერმანიაში გლეხთა დიდი ომიანობის დროს. „გლეხები მაშინ ჰბუ»ავდენ თავად-აზნაურთა კოშკებს, ხოცავდენ თავად-აზნაურებს, ან, როგორც მაშინ ჩვეულება ჰქონდათ, გადაჯვარადინებულ შუბებ ქვეშ გაატარებდენ ხოლმე“ (ენგელსი — „გლეხთა ომი გერმანიაში“, გვ. 7).

**) Кавказский сборник, ტ. XIV, გვ. 266.

***) იქვე.

****) Кавказский сборник ტ. XIV, გვ. 280.

მუხარბეგ დოლიძის მეთაურობით გურულების რაზმი „გადავიდა გურიის მაზრის საზღვარს ქუთაისის მაზრაში და შეუდგა იმერელი დაბალი ხალხის დაფიცებას, რათა მათ გურულებისამებრ ემოქმედნათ“ *). აჯანყება მოედო მთელ საბექოს უბანს, რომლის მოსახლეობამ აშკარად იწყო რუსის ხელისუფლებისადმი ურჩობა. გურულების მსგავსად გლეხები აფიცებდენ ერთმანეთს მოძრაობის ერთგულებაზე. საჯავახოს ხევის სოფლების უმეტესობა გურული აჯანყებულების ხელში იყო და აჯანყება იმერეთში გავრცელდა სოფ. კოპატამდე. აჯანყებულთა გამარჯვებას სხვა შედეგებიც მოჰყვა. „უნებური მოწმე (სწერს ანრეპი), მე ვხედავდი, თუ რა სწრაფად მოედო გურიის აჯანყების ამბავი მთელ აღმოსავლეთ სანაპიროებს (შავი ზღვისას), თუ რა დიდი სიმპატია და იმედები აღძრა მან არა მარტო ჯერეთ დაუმორჩილებელ ერებში, არამედ იმათშიაც კი, რომელნიც დიდი ხანია სარგებლობენ ჩვენი მთავრობის ფრთათა ქვეშე მოქალაქეობის ყველა სარფიანობით“ **).

რუსის ჯარები იმ დროს წარმატებით უტევდენ ჯერეთ დაუმორჩილებელ მთიელთა ტომებს. უბიხები, საშეს ტომი, მთიელ ჯიქელთა საზოგადოებანი იძულებულნი გახდენ მოლაპარაკება დაეწყოთ, რათა რუსეთის იარაღს დამორჩილებოდენ; მაგრამ აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის ისტორიკოსის ვოლკონსკის თქმით, ყველაფერი ეს „ელვისებური სისწრაფით ჩაიფუშა“ ***). „საქმის ასეთი მოულოდნელი მოტრიალებაო, განაგრძობს იგივე ისტორიკოსი, აიხსნება იმ აჯანყებით, რომელიც გურიაში მოხდა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელ აღმოსავლეთის სანაპიროებს და ჩვენთვის ფრიად საზარალო გადატრიალება მოახდინა ხალხთა გონებაში“... ****) გურიისავე აჯანყების ბრალი იყო ის, რომ იმ რაზმში, რომელშიაც უნდა გამოცხადებულიყო 100 სვანი მილიციონერი მთიელთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად, გამოცხადდა მხოლოდ 60 კაცი. 600 სამურზაყანოელის მაგივრად რუსის სარდლობამ ძლივძლივობით შეაგროვა მხოლოდ 336 კაცი. აფხაზეთში სრულიად ვერ მოახერხეს შეეყარნათ მთიელთა წინააღმდეგ მეგრელთა, იმერთა და გურიის მილიცია. მათ მაგივრად აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს მილიციონერები უნდა შეეკრიბა აბჟივას ოლქში, მაგრამ ეშინოდა; მან ანრეპს უთხრა, „მეშინია, რომ აბჟიველები არ დამემორჩილებიანო“ *****).

შავი ზღვის სანაპირო ხაზის მე-3 განყოფილების უფროსი ანრეპი გენერალ გოლოვინისადმი თავის მოხსენებაში აცხადებდა: „გურულთა დაწყნარება, უბიხთა დაპყრობა და დასჯა და ჯიქელთა მორჩილების განმტკიცება ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებული საკითხებია. ამ ორი უკანასკნელის გადაწყვეტა პირველის სწრაფსა და საბოლოო მოთავებაზეა დამოკიდებულიო“. ანრეპმა გან-

*) ც. არქივი. Дело канц. Груз. — Имерет. гражд. губ.. № 345. — ქუთაისის მაზრის უფროსის მოხსენება.

**) ც. არქივი. გურიის საქმეები, № 26. შავი ზღვის სანაპ. ხაზის უფროსის მოხსენება.

***) Кавк. сб. ტ. XIII, „1840, 1841, 1842 гг. на Кавказе“ — Н. Волконский, 421.

****) იქვე.

*****) Кавказский сб., ტ. XIII, „1840, 1841, 1842 гг. на Кавказе“ — Н. Волконский, გვ. 121.

კარგულება გასცა, რომ სამხედრო წესისამებრ განემზადებინათ ადლერის რეიდზე სამხედრო გემი, 3 ფრეგატი, ორი ბრიგი, შხუნები, ორი უბრალო გემი და 4 ბატალიონი ქვეითა ჯარი ზარბაზნებით. თვითონ ანრეპი ამის შემდეგ 1 სექტემბერს გაემგზავრა რედუტ-ყალაში, იქიდან კი ნაგომარს, რათა ადგილობრივ გასცნობოდა საქმის ვითარებას და, თუ ეს აუცილებელი იქნებოდა, უშუალო მონაწილეობა მიეღო გურიის აჯანყების დათრგუნვაში.

აგვისტოს ამბებს გურიაში, აჯანყებას იმერეთში და მოძრაობის ფართო გაქანებას არ შეიძლება არ შეეშფოთებინა ტფილისში მყოფი ხელისუფლებაც. ტფილისელ ხელისუფლების აზრით, ერთად-ერთი გამოსავალი იყო მსხვილ სამხედრო ძალების გადაგზავნა გურიისკენ, რათა მძლავრი დარტყმით დაეთრგუნათ გლეხთა მოძრაობა. რაიმე დათმობაზე, აჯანყებულთა რაიმე სამართლიან მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე — ლაპარაკიც არ ყოფილა.

ტფილისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი გენ. ბრაიკო სწერს გენ. კოხანოვს: საჭიროა გურიაში გადაჭრით იმოქმედოთ ურჩთა წინააღმდეგ. სავსებით ხელი უნდა აიღოთ დარწმუნების მეთოდებზე, ვინაიდან არსებული მდგომარეობის დროს მას შესაძლებელია უფრო უარესი შედეგები მოჰყვესო.

როდესაც გენ. გოლოვინის მოხსენებით ნიკოლოზ I გაეცნო გურიის აჯანყების ამბავს, ეჭვი გამოსთქვა: „ალბად ადგილობრივი უახლოესი ხელისუფლების ბოროტმოქმედებამ გამოიყვანა გურულები მოთმინებიდანაო“, „უეჭველად საჭიროა ამბოხების ნამდვილი მიზეზის გამორკვევაო“. მიუხედავად ამისა, მან ბრძანა: „მეამბოხეთა დასაწყნარებლად ეხმარათ ფრიად გადაჭრილი და მკაცრი ღონისძიებანი“, „საესებით დაემორჩილებინათ გურულები და დაესაჯნათ ამბოხების მთავარი დამნაშავენი“ *).

13 აგვისტოს გურულ აჯანყებულთა წინააღმდეგ მომქმედ ყველა შეიარაღებულ ძალთა უფროსად ხელმეორედ დანიშნეს არღუთინსკი-დოლგორუკოვი, როგორც ისეთი „ადამიანი, რომელიც სარგებლობდა მთავრობის ნდობით და ხალხზე გავლენით“. აღუთინსკის საგანგებო უფლებები მიანიჭეს და სამხედრო მოქმედებათა დასრულებამდე სამხედრო და სამოქალაქო მხრით დაუმორჩილეს: ქუთაისის, ახალციხის და გურიის მაზრები. არღუთინსკი ახალციხიდან გამოვიდა 15 აგვისტოს. სექტემბრის დამდეგამდე იგი იმერეთს, გურიის საზღვართან იყო. იგი იქ, საზღვართან აგროვებდა სამხედრო ძალებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან არღუთინსკის განკარგულებაში იგზავნებოდა.

გურიის მდგომარეობა ფრიად სერიოზულ საქმედ მიაჩნდათ და არც აჯანყების სწრაფი ლიკვიდაციის იმედი ჰქონდათ. ეს აშკარაა იმის გამო, რომ ქუთაისს და ფოთში ეზიდებოდენ და აგროვებდენ სურსათს, საარტილერიო ყუმბარებს, ზარბაზნებს ა/კავკასიის სხვადასხვა რაიონიდან და სევასტოპოლიდან.

რეზერვს გარდა, გურიის საზღვარზე არღუთინსკის 2 სექტემბერს ჰყავდა: გრენადერთა პოლკის $2^1/_2$ ბატალიონი, საქართველოს პოლკის 1 და 2 ბატალიონი, სამეგრელოს პოლკის 2 როტა, სულ 2064 კაცი. გარდა ამისა, არღუთინსკის ჰყავდა იმერეთის მილიცია 1500 კაცი და 250 გურული, რომელნიც

*) Акты, ტ. IX. თავად ჩერნიშოვის მიმართვა გენერალ გოლოვინისადმი. დოკ. № 5, 637.

უმთავრესად ჩოხატაურის რაიონის თავად-აზნაურობისაგან შესდგებოდა! *) რაკი ხელთ ამდენი ძალა ჰყავდა და ასეთი ტექნიკური ბაზა ჰქონდა, არღუთინსკიმ გადასწყვიტა აღარ დაეყოვნებინა და ნამდვილი ომი დაეწყო გურიის გლეხებთან, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდენ განთავისუფლებისათვის. 3 სექტემბერს, გათენებისას, არღუთინსკიმ მთელი თავისი სამხედრო ძალებით გადალახა იმერეთის საზღვარი და ლაშქრული წესით მიადგა ნაგომრის ხიდს, სადამდისაც მისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

დავუბრუნდეთ ახლა იმ ამბებს, რომლებიც ოზურგეთის გარშემო ხდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ოზურგეთის ნამდვილი გარემოცვა დაიწყო 15 აგვისტოს. აჯანყებულებმა მას მჭიდრო ალყა შემოარტყეს. ბრუსილოვს თავისიანებთან მხოლოდ შემთხვევითი კავშირი ჰქონდა რამდენიმე გურული თავადაზნაურის მეოხებით. აგვისტოს დამლევს გურიის ყველა გამაგრებული ადგილები აჯანყებულთა ხელში იყო. იმერეთსა და სამეგრელოს გზებს აჯანყებულთა ცალკე რაზმები იცავდენ, ოსმალეთის საზღვარი კი მოშიშვლებული იყო. ჰასანბეგ თავდგირიძე გადმოვიდა საზღვარს და ძლიერი რაზმით ოზურგეთს ახლო დაბანაკდა. მართალია, რუსის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში მას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ აჯანყებულებს მუდამ ჰპირდებოდა: ოზურგეთის წინააღმდეგ იერიშის დროს დაგეხმარებითო.

აჯანყებულები წუთი-წუთს მოელოდენ დახმარებას სამეგრელოდან და იმერეთიდან. გლეხთა შორის დიდი აღფრთოვანება და რევოლიუციური აღტყინება იყო. თითქმის ყველას სწამდა, რომ გურია მალე განთავისუფლდებოდა როგორც რუსეთის, ისე მემამულეთა ბატონობისაგან.

ოზურგეთის გარემოცვას უშუალოდ ხელმძღვანელობდენ: შალიკაშვილი, აბესა ბოლქვაძე, თოიძე და ბაქანიძე. გარნიზონი ჩაიკეტა ოზურგეთის ცენტრალურ ადგილას, ეგრედწოდებულ ციხეში, სადაც წინად გურიის მთავარი ცხოვრობდა ხოლმე. ციხესვე შეაფარა თავი სხვადასხვა რაიონებიდან ოჯახებით გამოქცეულმა თავად-აზნაურობამ. ბრუსილოვის რაზმში ბევრი დაავადმყოფდა, დიდი ნაკლებობა იყო სურსათ-სანოვაგისა. გარემოცულთა სულიერი განწყობილება ფრიად ცუდი იყო. გურიის მილიცია, რომელსაც პოლკოვნიკი მაჭუტაძე მეთაურობდა, დღითი-დღე დნებოდა, ვინაიდან ყოველ ღამე მილიციონერები იპარებოდენ ოზურგეთიდან და აჯანყებულებს უერთდებოდენ. ბრუსილოვის მოთხოვნით მილიციონერები ხელმეორედ დააფიცეს ერთგულობაზე, რათა გაქცევა აღარ შესძლებოდათ.

აჯანყებულებმა გადასწვეს გარნიზონის კუთვნილი შენობები, კარანტინი, საბაჟო და ციხეს იმდენად მიუახლოვდენ, რომ მოედანზე ვერავინ ჩნდებოდა: იგი უეცველად ტყვიის მსხვერპლი გახდებოდა. 23 აგვისტოდან აჯანყებულებმა მოაწყეს ბატარეა ერთი ზარბაზნით და დაუწყეს ციხეს სროლა. 1 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, საყვირებით და ზარბაზნის გასროლით ნიშანი მისცეს:

---

*) რაზმს ჰქონდა 10 ზარბაზანი, 50 ათასი ვაზნა, 332 ზარბაზნის ყუმბარა, 150 ჩეტვერტი გრანატა, 67 კარტეჩი (44 შორი დისტანციის და 23 ახლოსი), 115 ყუმბარა, $62^1/_2$ ფ. ტყვია და 50 ფუთზე მეტი თოფის და ზარბაზნის წამალი. („Кавк. сборник", ტ. XIV, გვ. 288)

აჯანყებულებმა გუგუნავს და აბესა ბოლქვაძის მეთაურობით იერიში მიიტანეს ციხეზე. დაიწყო მედგარი და შეუპოვარი ბრძოლა ორთავე მხრიდან. აჯანყებულებს ჰქონდათ ის უპირატესობა, რომ ხალხი ბევრი ჰყავდათ და თვითეული გლეხი გმირულად იბრძოდა. მაგრამ გარნიზონის უპირატესობა იყო: არტილერია, სამხედრო დისციპლინა და სტრატეგიული მომზადებულობა. მოერიშეებს ზარბაზანს ესროდენ კარტეჩით ათი ნაბაჯის მანძილზე. ძალიან აზარალებდენ და არეულობა შეჰქონდათ მათ რაზმებში.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც აჯანყებულებმა 200-მდე კაცი დაჰკარგეს (მოკლული და დაჭრილი), ისინი იძულებულნი გახდენ უკან დაეხიათ. სროლა მაინც საღამომდე გრძელდებოდა. აჯანყებულთა რაზმს, რომელიც ნიკოლოზის გზიდან უნდა მოსდგომოდა ციხეს, საქართველოს სახაზო ბატალიონმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია და ხელი შეუშალა მთავარ ძალებს შეერთებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი იერიში მოგერიებულ იქნა, ოზურგეთის გარნიზონის მდგომარეობა სახარბიელო როდი იყო. მათ შორის ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს, ძალა თანდათანობით ელეოდათ. საჭირო იყო აჯანყებულებს მეორე დღესვე განეახლებინათ შეტევა, საშუალება არ მიეცათ მტრისათვის დასვენებისა და ახალი ძალებით შევსებისა. მაგრამ არც ორს, არც სამს, არც ოთხს სექტემბერს იერიში არ განახლებულა. განაგრძობდენ მხოლოდ გამუდმებულ სროლას. გურულ აჯანყებულთა შტაბი, იმის მაგივრად რომ პირველი დამარცხების შემდეგ ძალღონე მოეკრიბა, დაეწყო გადამწყვეტი შეტევა და მოესრისნა ძალღონეგამოლეული გარნიზონი, 2 სექტემბერს ჰგზავნის ბრუსილოვთან მოსალაპარაკებლად მღვდელ მაქსიმე ქიქოძეს; ისინი წინადადებას იძლეოდენ: რუსებმა ნებაყოფლობით დასტოვონ ციხე და გურიაო. ბრუსილოვს თავისი მზვერავებისაგან უკვე ჰქონდა იმის ცნობა, რომ დახმარება ახლოს იყო, რომ რუსის ჯარები არღუთინსკის მეთაურობით უკვე მოადგნენ ნაგომარის ხიდს, რომ აჯანყებულთა მეთაურებს შორის უთანხმოება და მერყეობაა; ამიტომ მან კატეგორიულად უარი სთქვა აჯანყებულთა წინადადების შესრულებაზე. ამასობაში შესაფერისი დრო უკვე ხელიდან გაუშვეს. არღუთინსკის ჯარის მიახლოვების ამბავი გაიგო აჯანყებულთა შტაბმაც. ახლა მათი ამოცანა იყო არა ოზურგეთის აღება, არამედ არღუთინსკის ჯარის შეჩერება, რათა იგი გურიაში არ შეჭრილიყო. გურიის ბედი არღუთინსკისთან შებრძოლების შედეგზე იყო დამოკიდებული. ამიტომ შტაბმა გამოჰყო საუკეთესო თავისი ძალები გუგუნავას მეთაურობით და გაჰგზავნა იმ აჯანყებულთა მისაშველებლად, რომელნიც იმერეთის საზღვართან იდგნენ.

როდესაც არღუთინსკი-დოლგორუკოვი ნაგომარის ხიდს მიადგა, აჯანყებულებმა დასწვეს ხიდი, უკან დაიხიეს და დაიჭირეს წინასწარ შემზადებული პოზიციები ნასაკირალის ხეობაში. ამ ხეობაში გადის ვიწრო შოსე. ამ გზას ერთის მხრით მივუალი, მაღალი კლდეები აკრავს, მეორე მხრით ძირს, ხევში მდინარე ბახვისწყალი მოშხუის. გარდა იმისა, რომ აჯანყებულთა მიერ დაკავებული ადგილი ბუნებრივი პირობების გამო მიუვალი იყო, მათ ხელოვნურადაც გაამაგრეს იგი: გზა ჩახერგეს, 6 ადგილას ფრიად ღრმად გათხარეს იგი და სხვა. ნასაკირალი — ეს ის ადგილია, სადაც 1905 წლის რევოლიუციის დროს

მოხდა ცნობილი შეტაკება გურიის რევოლიუციურ რაზმსა და მაზრის უფროს ლაზარენკოს შორის, რომელსაც სტრაჟნიკების რაზმი და 120 ყაზახ-პლასტუნი ჰყავდა. 1905 წ. ბრძოლაში, გარდა რამდენიმე კაცისა, მეფის თვითმპყრობელობის ყველა დამცველი დაიღუპა. რევოლიუციური გურია გამარჯვებას დღესასწაულობდა. მაგრამ 1841 წელს რუსის ჯარსა და გურულ აჯანყებულთა შორის ბრძოლა აქ არ მომხდარა.

არღუთინსკი მოერიდა ნასაკირალის ხეობაში გურულებთან შებრძოლებას, რადგან იცოდა, რომ სიმაგრის აღება ან სრულიად შეუძლებელი იყო, ან დიდს მსხვერპლს მოითხოვდა. ადგილობრივ მცხოვრებთა — თავად ერისთავების, წულუკიძეების და სხვათა რჩევით, არღუთინსკიმ ეშმაკურ სტრატეგიულ ხერხს მიმართა. მან გადასწყვიტა ღამით შემოევლო აჯანყებულთათვის და იმ მხრიდან დასხმოდა თავს, საიდანაც ისინი თავდასხმას ყველაზე ნაკლებად მოელოდენ. რათა მოწინააღმდეგეთათვის თვალი აეხვია, არღუთინსკიმ უბრძანა თავად წერეთელს, კარაბინელთა ერევნის პოლკის ორი როტით, სამასი იმერელი მილიციონერით და ორი ზარბაზნით — გაელაშქრა გურულთა წინააღმდეგ. თვითონ კი დანარჩენი ძალებით, საღამოს 9 საათზე, 4 სექტემბერს, უკან წამოვიდა. გაიარა რა 7 ვერსი, არღუთინსკიმ თავისი ძალები წაიყვანა მარჯვნივ, სასოფლო გზაზე. ღამის ძნელი გადასვლის შემდეგ, 5 სექტემბრის დილის 8 საათზე არღუთინსკის ჯარი ოზურგეთს მიადგა.

აჯანყებულთა შტაბმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი საუკეთესო ძალები გუგუნავას მეთაურობით, ნაგომარის რაზმის გასაძლიერებლად გაგზავნა. რუსის ჯარის გამოჩენა უბრძოლველად, ნასაკირალის გზის შემოვლით, თითქმის თვით ოზურგეთთან, მოულოდნელი იყო და აჯანყებულებში არევ-დარევა შეიტანა. მიუხედავად ამისა, რუსის ჯარსა და გურულებს შორის დაიწყო ბრძოლა. აჯანყებულებს ორი მხრით ესროდენ ზარბაზნებს კარტეჩით. მათ წინააღმდეგ მოქმედებდა რევოლიარული ჯარის დიდი ძალები. აჯანყებულები მედგრად იბრძოდენ, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებულნი გახდენ მოეხსნათ ოზურგეთისათვის ალყა, მერე კი განეთავისუფლებინათ მისი მიდამოებიც.

გურიის აჯანყების ბედი გადაწყვეტილი იყო. რუსეთის თვითმპყრობელობას და გურიის თავად-აზნაურობას შეეძლოთ ეზეიმათ გურულ გლეხობაზე გამარჯვება. აჯანყებულთა მსხვილი ნაწილი თუმცა კიდევ იყო ნასაკირალის ხეობაში, მაგრამ რაკი იქაურმა რაზმებმა ოზურგეთთან დამარცხების ამბები გაიგეს, მიატოვეს პოზიციები, ზოგმა მათგანმა სახლს მიაშურა, ზოგმა კი ტყეს შეაფარა თავი. არღუთინსკისათვის უკვე ძნელი აღარ იყო დაენგრია აჯანყებულთა სიმაგრეები, გაეწმინდა გზა და აღედგინა მიმოსვლა გურიასა და ქუთაისს შორის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

დამარცხება და აჯანყების შედეგები

რაკი აჯანყებულთა მთავარი ძალები დაამარცხა, არღუთინსკისთვის უკვე ძნელი როდილა იყო მთელი გურიის დამორჩილება. 1905 წ. გენ. ალიხანოვ-ავარსკიმ და პოლკოვნიკმა კრილოვმა სისხლით მორწყეს და სასტიკი რეპრესიებით დაარბიეს იმერეთის, სამეგრელოს და გურიის რევოლიუციური გლეხობა. არღუთინსკის, როგორც მათს წინამორბედს, მათზე ნაკლები სიმკაცრე როდი გამოუჩენია.

დამსჯელ რაზმებს სასტიკი დირექტივა ჰქონდათ მიცემული: ნურავის დაინდობთო. მათ თვალნათლივ უნდა დაემტკიცებინათ, რომ „რუსის ჯარისკაცებისათვის ტყე, მთები, ჭაობები და თვით მტერიც კი — არ შეიძლება დამაბრკოლებელი იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება დამნაშავეთა დასჯას, ან ურჩთა დაწყნარებას“ *). ძლიერმა რაზმმა, უწინარეს ყოვლისა, მორჩილება გამოაცხადებინა „გურიის გულს“, გურიანთას, რომლის მცხოვრებნიც აჯანყებაში ყველაზე მეტს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ და რუსის ჯარს ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწიეს. მეორე რაზმი გააგზავნეს ლიხაურის რაიონის გლეხობის „დასაწყნარებლად“. რუსის ჯარმა თანდათანობით დაიჭირა გურიის გამაგრებული ადგილები და იმერეთის აჯანყებული ნაწილები.

გურიის აჯანყების კულმინაციის დროს, გენ. გოლოვინის ხელმოწერით გამოშვებულ იქნა მოწოდება გურიის მოსახლეობისადმი: იარაღი დაჰყარეთ და ნებაყოფლობით დაემორჩილეთ რუსეთის მთავრობას; მოსახლეობას არავითარი რეპრესიები არ მოელის და დამნაშავეებსაც სასჯელი ეპატიებათო. მაგრამ ეს დაპირება ცარიელ სიტყვებად დარჩა. მისი შესრულება სერიოზულად არც უფიქრნია ვისმე. აჯანყების ზარალი მთლად კისრად დააწვა გურიის გლეხობას. გლეხებს უნდა მოეზიდნათ მასალა აჯანყების დროს გადაწულ და დარბეულ შენობათა აღსადგენათ, ხიდების ხელახლა ასაგებად; მათვე უნდა გაეწმინდათ და აღედგინათ ყველა გზები.

სამი დღის განმავლობაში გლეხებს უნდა შეეტანათ 41 წლის ყველა გადასახადთა ნაშთი და საერობო გადასახადები. არღუთინსკიმ ბრძანება გასცა, მთელ გურიაში ყველასათვის ჩამოერთმიათ საყვირები, რომლითაც გლეხებს აჯანყების დროს მოუწოდებდენ ხოლმე. ხელოსნებს აუკრძალეს მომავალში ამნაირი

*) Кав. сборник“: ტ. XIV გვ. 296.

საყვირების კეთება. ყველგან აღადგინეს რუსული ადმინისტრატიული აპარატი და კვლავ იწყო მოქმედება რუსის კანონებმა. რათა „სისუსტედ არავის მიეჩნია“, გურიისა და იმერეთის სამოქალაქო მმართველობაში არავითარი ცვლილების მოხდენას არ აპირებდენ. ერთად-ერთი დათმობა — ეს იყო იმ პირთა გადაყენება, რომელთაც თავისი ბოროტმოქმედებით უეჭველად ხელი შეუწყეს მოსახლეობის აჯანყებას. გადააყენეს ოზურგეთის მაზრის უფროსი იაცენკო, საბექოს უბნის მოურავი ბესო ლორთქიფანიძე, რომლის შესახებ „ეჭვი ჰქონდათ, რომ საბექოელებს იმაზე მეტს გადასახადს სთხოვდა, რამდენიც მათ დადებული ჰქონდათ“ და სხვა.

არლუთინსკი, რათა თავიდან აეცილებინა გურიაში კვლავ რაიმე არეულობის განმეორება, განსაკუთრებით ჩქარობდა გურიისთვის მოეშორებიათ აჯანყების მეთაურნი. მან მოიწვია გურიის თავად-აზნაურობა, რომელნიც მისი აზრით, „ყოველთვის განირჩეოდენ მთავრობისადმი ერთგულობით“ და წინადადება მისცა მათ, მონაწილეობა მიეღოთ მოძრაობის მეთაურების დაჭერაში. თავადაზნაურობამ ხალისით იკისრა ეს საქმე და თავად მაჭუტაძეების, ნაკაშიძეების, ერისთავების, გუგუნავების, აზნაურ თაყაიშვილების და ბერიძეების აქტიური დახმარებით და მონაწილეობით — „სავსებით გაამართლა ნაკისრი მოვალეობა“.

არლუთინსკიმ გასცა დირექტივა: „აჯანყების მთავარი დამნაშავენი და ხელმძღვანელები როგორმე მოიტყუეთ, რათა ოსმალეთს გაქცევა ვერ მოასწრონ ან ტყეს არ შეაფარონ თავი. ისინი როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში მავნებელნი იქნებიან საზოგადოებრივი მშვიდობიანობისათვის. დამნაშავენი და ხელმძღვანელნი რაც შეიძლება სასტიკად უნდა დავსაჯოთ: **ზოგი ჩამოვაღრჩოთ, ზოგი მწყობრში გავატაროთ, ხოლო ზოგიერთნი საპყრობილეში ჩავსვათ, ან ჯარისკაცად გავიყვანოთო**“ *).

გურულთა საბედნიეროდ, არლუთინსკის ეს ბოროტი განზრახვა, რომ ბოლო მოეღო მოძრაობის ხელმძღვანელთათვის, მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. როგორც შემდგომ დავინახავთ, რუსეთის თვითმყრობელობა იძულებული იყო ერთგვარად თავი შეეკავებინა და აჯანყების მეთაურებს იმაზე იოლად მოქცეოდა, ვიდრე ეს არლუთინსკის და მის მსგავსთ სურდათ.

დაჭერის დროს მოჰკლეს ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელთაგანი, იმვიათი ვაჟკაცი და გლეხთა საქმის ერთგული — **აბესა ბოლქვაძე**. ლიხაურის რაიონის მოძრაობის 10 აქტიური მონაწილე თავის დროზე გააფრთხილეს თანამოაზრეებმა. მათ მოასწრეს გაქცევა და მიმალვა. დიდხანს ცდილობდენ მათ დაჭერას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ნოემბრის დამდეგს, ლიხაურის მოურავის ქაიხოსრო თაყაიშვილის პირით არლუთინსკიმ უკანასკნელად გააფრთხილა მცხოვრებნი: „დამნაშავენი“ გაეცით, ოზურგეთში მომგვარეთ „ან მკვდარი, ან ცოცხალი“. „ხოლო თუ სამოურავოს რომელიმე მცხოვრები, განაგრძობდა არლუთინსკი, დამალავს რომელსამე ზემოხსენებულ დამნაშავეს, ან თუ ნახავს, არ იხ-

*) Кавк. сборник, ტ. XIV, გვ. 294.

მარს არავითარ ღონისძიებას მათ დასაჭერად, ან არ მოჰკლავს მათ; ერთი სიტყვით, პირდაპირ თუ არა პირდაპირ დახმარებას გაუწევს მათ, მიაწოდებს პურს და სხვა, **ამას მივიჩნევ მთელი სამოურაოს მხრით დამნაშავეებისადმი თანაზიარობად და ამ თანაზიარობას დავსვამ ისე, რომ სავსებით გადავბუგავ სახლებს, ბაღებს და მთელ მათს ქონებასო"** *).

მიუხედავად ამ მუქარისა, 10 კაციდან დაიჭირეს მხოლოდ ერთი. დანარჩენებმა მოასწრეს საზღვარს გადასვლა და ქობულეთში მიიმალნენ. ნოემბრის შუა რიცხვებისათვის მთელ გურიაში დაიჭირეს აჯანყების 50 ყველაზე მეტად აქტიური მონაწილე. ყველანი ისინი, ეს პირველი გურული პოლიტიკური დამნაშავენი, გაძლიერებული მცველებით ჯერ ოზურგეთს ჩამოიყვანეს, ხოლო მერე ჩოხატაურს და საჯავახოს გზით — ქუთაისს.

აჯანყება გურულ გლეხობას დიდძალ მსხვერპლად დაუჯდა. გოგორეთთან ბრძოლის, მეგრელებთან შეტაკების და ოზურგეთის იერიშის და სხვ. დროს — აჯანყებულებს ასობით ხალხი დაუხოცეს და დაუჭრეს. არ დარჩენილა გურიაში არც ერთი სოფელი, სადაც დედებს, დებს, და საერთოდ ნათესავებს — აჯანყების მსხვერპლი არ ჰყოლოდათ საგლოვი. მთელი გურია მოიფინა ახლადგათხრილი საფლავებით, მოსახლეობა გლოვამ მოიცვა.

თვითმპყრობელობის საამებლად, გურიის სამღვდელოება, არღუთინსკის ბრძანებით, რუსის ხიშტების მფარველობის ქვეშ, შეუდგა მთელი გურიის გლეხობის დაფიცებას რუსეთის თვითმპყრობელობის ერთგულებაზე. გურიის გლეხობამ გულში ჩაიმარხა რუსის ადმინისტრაციის და მებატონეთადმი სიძულვილი, მაგრამ გარეგნად თითქმის ყველაფერი დაწყნარდა და ცხოვრება თანდათანობით ძველ კალაპოტში ჩადგა. არღუთინსკის შეეძლო ციინიკურად ეცნობინა მთავრობისათვის: „მცხოვრებნი სავსებით დანდობილად თავის ჩვეულებრივ საქმიანობას მისდევენ, მათ აღარ ემჩნევათ ურჩობის სულიო".

გლეხთა მოძრაობამ გურიაში დიდი მსხვერპლი შეიწირა არა მარტო აჯანყებულთა მხრით. მან დიდი მსხვერპლი გააღებინა და დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა მთავრობასაცა და გურიის თავად-აზნაურობასაც. ტყუილად კი არ იყო, რომ თავად-აზნაურობა ასე სასტიკად იძიებდა შურს გლეხობაზე და ერთსულოვნად მხარს უჭერდა რუსის ადმინისტრაციას.

გლეხთა ბრძოლას, როგორც ეს ცხადჰყო ენგელსმა, ყველგან ერთნაირი ხასიათი აქვს: ცეცხლის წაკიდება, აგრარული მკვლელობანი და დარბევა. ასევე იქცეოდენ გურული გლეხებიც. მათ გაანადგურეს ყველა კორდონი ოსმალეთის საზღვარზე, გადასწვეს ოზურგეთის კარანტინი, გაანადგურეს ნიკოლოზის სიმაგრე და ყველა მისი საწყობი, ყველგან მოსპეს საბაჟო და ყაზახთა პოსტები, გადასწვეს ჯარის საბატალიონო და როტების ხუტორები, რომლებიც გურიაში მოიპოებოდენ, გაანადგურეს აგურის ორი ქარხანა და სხვა.

გარდა ამისა, რამდენადაც მოძრაობას ძლიერი ანტიბატონყმური ხასიათი ჰქონდა, გლეხები ცეცხლს უკიდებდენ, არბევდენ და ანადგურებდენ მებატონეების სახლკარს. მოვიყვანთ ამის რამდენიმე მაგალითს.

---

*) ც. არქივი. Дело штаба отд. Кавк. корпуса, № 311, ф. 160.

აგვისტოს დამდეგსო, სწერს თავის მოხსენებაში მაზრის უფროსი იაცენკო, ჩემთან მოვიდა აზნაური მამუკა ქარცივაძე და განმიცხადა: მეამბოხენი თავს დამესხენ, სახლკარი ამიკლეს, ოჯახი გამომიგდეს და სხვა უწესობას სჩადიოდენო *). ქართლ-კახეთ-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის საქმეებში აღმოჩნდა ფრიად საინტერესო დოკუმენტი. როგორც ირკვევა, ჩვენთვის უკვე ცნობილი ინგლისელი მარრი, რომელიც ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბუკისციხეში ცხოვრობდა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გურიის აჯანყების ჩაქრობაში. იგი „ერთგულად ეხმარებოდა პოლკოვნიკ წერეთელს, რომელსაც ჩოხატაურის პოზიცია ეჭირა, აწვდიდა მას სოფ. ბუკისციხიდან სურსათ-სანოვაგეს და იცავდა ამ სოფელს აჯანყებულთაგან“. საამისოდ პოლკოვნიკ წერეთელს მიუცია მისთვის 30 მილიციონერი; ამ რაზმს მან მიუმატა 15 თავისი ერთგული კაცი. მარრის აშკარა გალაშქრებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ იმდენად გააბრაზა ეს უკანასკნელნი, რომ მთავრობისადმი მისი ერთგულებისთვის მათ გადასწვეს მისი შენობები, აიკლეს და დაარბიეს ყველაფერი, სავსებით გაანადგურეს, რაც ჰქონდა **). ამ ფაქტს ადასტურებს ცნობილი სტატისტიკოსი დუნკალ-ვოლინგი, რომელმაც 1853 წელს გურია მოიარა. ლაპარაკობს რა მარრთან შეხვედრის შესახებ, ავტორი ამბობს: „მარრის მიწებს და ბაღს გურულები ამუშავებდენ. გურიის ამბოხების დროს, მცხოვრებლებმა გაანადგურეს მისი ინდიგოს პლანტაციები, რომელიც მან დიდი გაჭივრებით და შრომით გააშენაო“ ***). მთავრობამ მარრის ზარალის გამოსარკვევად ცალკე კომისია დანიშნა. მან გამოიანგარიშა, რომ მარრის ზარალი უდრიდა 1824 მ. 24 კ. ვერცხლით.

ცხოვრობდა რა ისეთ ქვეყანაში, სადაც ბატონყმობა მეფობდა, მარრი გლეხებს უყურებდა, როგორც მონებს, ავიწროებდა მათ და თავის მამულში მათი შრომის ექსპლოატაციას ეწეოდა.

ცხადია, აჯანყების დროს მარრს აქტიური დახმარება უნდა გაეწია რუსის ხელისუფლებისათვის, რისთვისაც აჯანყებულებმა სამაგიერო მიუზღეს. თავის რაპორტში გენ. ნეიდგარდტი სწერს; „1841 წლის ამბოხების დროს მთელი გურიის მცხოვრებთაგან მხოლოდ 114 კაცი დარჩა მთავრობის ერთგული. მათ მიატოვეს საკუთარი სახლ-კარი და ოჯახები, შემოუერთდენ ჩვენს ჯარს და მასთან ერთად იცავდენ ოზურგეთს მეამბოხეთა წინააღმდეგ. მთელი მათი ქონება აიკლეს აჯანყებულთა ბრბოებმა, რომელთა რიცხვი ადიოდა 600-დან 700 კაცამდე. ზოგიერთმა (ე. ი. ჩვენმა ერთგულმა. **ავტ. შენ.**) ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ცხოვრების ყოველგვარი საღსარი დაჰკარგაო“ ****).

გენ. ნეიდგარდტის პატაკში (რაპორტში) აშკარა შეცდომაა. გურიაში იმ დროს თავად-აზნაურთა 500-ზე მეტი ოჯახი იყო. ამათში მხოლოდ სულ მცირეოდენი პროცენტი მიემხრო აჯანყებულებს, თუმცა, შესაძლებელია, ამა თუ იმ მიზეზით, ქონებრივად მხოლოდ 114 კაცი დაზარალდა; ზარალი, რომელიც

*) ც. არქივი, საქმე № 345. მაზრის უფროს იაცენკოს მოხსენება კახანოვისადმი.

**) ც. არქივი. Дело Канц. Груз-Имерет. гражд. губ. 1842 წ. № 164/85.

***) გაზ. „Кавказ“, 1853 წ. № 87.

****) Акты, ტ. IX, დოკ. № 617 გვ. 728.

გურიის გაბატონებულ კლასს დააწვა 41 წელს, გამოანგარიშებული იყო 18.743 მანეთის ვერცხლად. პირველ ხანებში ფიქრობდენ ეს თანხა გადაეხდეინებინა: თვითონ გლეხებისთვის და თვითეულ კომლისთვის დაედვათ ოთხ-ოთხი მანეთი. მაგრამ რუსის ადმინისტრაციას ახალი მღელვარებისა ეფიქრებოდა და ვერ გაბედა ამ განზრახვის შესრულება. გადასწყვიტეს თავად-აზნაურობა დაეკმაყოფილებინათ ნაწილობრივად ხაზინის ხარჯზე. ნიკოლოზ I განკარგულებით 1844 წლის 7 ნოემბერს, გურიის თავად-აზნაურობას მიეცა 7.795 მ. 26 კ. იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მას აჯანყებულმა გლეხებმა მიაყენეს.

მთავრობამ არა თუ იკისრა თავად-აზნაურობის ზარალის კომპენსაცია, არამედ უფრო შორსაც წავიდა. რათა გურიის თავად-აზნაურობა მოესყიდა, გადაექცია იგი რუსეთის ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენად, თვითმპყრობელობამ უხვად გასცა „წყალობანი მონარქისანი". არქივის საქმეებში მოიპოება კარგა მოზრდილი საქმეები „გურიის ამბოხების გამო უმაღლეს ჯილდოთა გამოცხადების შესახებ". ვინაიდან აჯანყებულ გლეხთა მხარეზე მხოლოდ რამდენიმე თავადი და აზნაური აღმოჩნდა, გურიის თავად-აზნაურობამ მიიღო: ზოგმა ჩინი, ზოგმა ოფიცრობა, ზოგმა რაიმე ღირსება, ზოგმა ფულადი ჯილდო ან მუდმივი პენსია *).

თვითმპყრობელობას გურიის საქმე სერიოზულ სამხედრო ოპერაციად მიაჩნდა და აჯანყების დათრგუნვას დიდ მნიშვნელობას აწერდა. ამიტომ მან დააჯილდოვა რეგულიარული ჯარის ოფიცრებიც ზოგი ჯვარ-მენდლებით, ზოგი ჩინის მომატებით, ზოგიც ფულადი საჩუქრით **).

— . —

როგორ მოეპყრო თვითმპყრობელობა აჯანყების ხელმძღვანელებს?

ქუთაისს გაგზავნეს და იქ ჰაუპტვახტში ჰყავდათ 50 ბრალდებული. სამი ბრალდებული (ბეჟან ქუთაძე, ოთარ თოიძე, ლაზარე ჟოჟიაშვილი) სასამართლომდე გარდაიცვალა. აჯანყებულთა საქმე შეუფარდეს სამხედრო დადგენილებათა შემდეგს პარაგრაფს: სამხედრო სასამართლო ასამართლებს სისხლის სამართლის დანაშაულობისთვის შემდეგ პირებს: „იმ გლეხებს, რომელნიც ამბოხებულან თავის მებატონეების წინააღმდეგ და საზოგადოდ ყველა გლეხს, როგორც

*) ც. არქივი. Дело штаба Кав. округа — „об об'явлении высш. награды по Гур. возмущению" აღწ. № 150.

ასე, მაგალითად, მამუკა გუგუნავას მიეცა 240 მ. პენსია, ალექ. მაჭუტაძეს 250 მ. პენსია, დიმიტრი ერისთავს 250 მ., მიხ. ერისთავს 215 მ., დავით მაჭუტაძეს წელიწადში 500 მ. პენსია და 250 მ. მომატება, პოდპოლკოვნ. თავდგირიძეს 400 მ. ჯამაგირი წელიწადში, პრაპ. ერისთავს 350 მ., ქაიხოსრო თაყაიშვილს პრაპორჩიკის ჩინი, ივანე ერისთავს — 250 მ. ჯამაგირი, ამალლობელს — პრაპორშჩ. ჩინი; ბესო ლორთქიფანიძეს 250 მ. პენსია; დ. მიქელაძეს შემდგომი ჩინი, ს. წულუკიძეს 515 მ. ჯამაგირი და ა. შ. საერთოდ გურიის თავად-აზნაურობას წელიწადში ეძლეოდა 6830 მ. პენსია.

**) გენ. კოხანოვმა მიიღო 2500 მ. ერთდროული დახმარება, ბრუსილოვმა და არლუთინსკიე ვლადიმირის ორდენი მე-3 ხარისხისა, ბაგრატიონ-მუხრანსკიმ პოდპოლკოვნიკის ჩინი; პოდპ. დადიშქელიანმა სტანისლავის ორდენი მე-3 ხარისხისა; მიქელაძემ — ანნას ორდენი მე-3 ხარისხისა; გაბაშვილმა — სტანისლავისა; 2776 ჯარისკაცს თითო ვერცხ. მანეთი დაურიგეს.

სახაზინოებს, ისე სხვა სახელწოდებისებს, თუ ისინი არ დაემორჩილებიან თავის უფროსებს და წინააღმდეგობას გაუწევენ მათ დასაწყნარებლად გაგზავნილ სამხედრო ძალებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელნიც საამისოდ აქეზებენ მათ". გამოძიების და სამართლის წარმოებისთვის დანიშნეს სპეციალური სამხედრო კომისია შემდეგი პირებისაგან: თავმჯდომარე პოლკოვნიკი შჩეპინი, წევრნი—პოლკოვნიკი ჩერნიკოვი, მაიორი პიშკინი, 1 შტაბის და 3 ადგილობრივი ოფიცერი. გამოძიების და სასამართლოს მთელი პროცედურა რუსულ ენაზე სწარმოებდა: კომისიას ქართული ენის მცოდნე მხოლოდ ერთი თარჯიმანი ჰყავდა. საბრალმდებლო ოქმის შედგენის დროს სამხედრო-სამოსამართლო კომისია ეყრდნობოდა ქუთაისის და გურიის მაზრის უფროსთა მიმოწერას, მოწმეთა ჩვენებებს და იმ დამატებითს ცნობებს, რომლებიც კომისიის წევრებმა ადგილობრივად შეაგროვეს.

ნიკოლოზის სასამართლო ცნობილია, როგორც ფარისევლური, მუხანათური, შერჩეული პირებისაგან შემდგარი სასამართლო. ასეთივე იყო ის სასამართლო, რომელიც გურიის მოძრაობის ხელმძღვანელებს ასამართლებდა. სასამართლოს მთელი პროცედურა ჩატარდა დახურულ კარებში და ფრიად საიდუმლოდ. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ გამოძიება შედარებით სწრაფი ტემპით მიდიოდა, რაც უჩვეულო იყო რეფორმის წინახნის სასამართლოსთვის. სასამართლო დაიწყო 3 თებერვალს და დამთავრდა 1842 წლის 13 მარტს. განაჩენი დასამტკიცებლად გაეგზავნა კავკასიის ცალკე კორპუსის უფროსს გენერალ გოლოვინს იმავე წლის აპრილის 14-ს. გენერალი გოლოვინი გურიის ამბოხების ყველა გარემოების გათვალისწინების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ამბოხების უპირველესი საბაბი იყო საერობო ბეგარათათვის ფულადი გადასახადის შემოღება. ეს გადასახადი, თავისთავად უმნიშვნელო, საგრძნობელი იყო იმნაირი ხალხისთვის, რომელიც ღარიბია და არავითარ მრეწველობას არ იცნობსო". „არ შეიძლება იმის უარყოფაც, განაგრძობს გოლოვინი, რომ ადგილობრივი ხელისუფლება საერობო ბეგრის ფულადი გადასახადის მოთხოვნით და ამ საქმეში გადამეტებული და უგნური დაჟინების გამოჩენით, აშფოთებდა ამ (გურიის) ხალხს, რომელსაც ჯერ კიდევ იარაღი არ დაუყრია და რომელიც ყოველთვის მზად არის ეს იარაღი ველური, თვითნებური აღტყინების დროს მოიხმაროსო". მაშადამე, როგორც თვით გოლოვინი ადასტურებს, აჯანყების მიზეზი ყოფილა აუტანელი გადასახადის შემოღება, ადგილობრივი ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებანი და თვითნებობა, რის გამოც გლეხთა უკმაყოფილობით ისარგებლეს „ბოროტგანმზრახველმა წამქეზებლებმა". როგორც ვიცით, ამნაირ „წამქეზებელთა" შორის იყვნენ გურული მსხვილი თავად-აზნაურნიც; ისინი გლეხების ასაჯანყებლად პროვოკაციას ეწეოდენ; საუკეთესო შემთხვევაში მათ იმედი ჰქონდათ გურიის დამოუკიდებლობის აღდგენისა, ხოლო თუ საქმე ცუდად წავიდოდა, მოელოდენ მთავრობისაგან თავის პრივილეგიათა და უფლებათა გაფართოებას, ან, როგორც ეგნატე ნინოშვილის რომანის „ჯანყი გურიაში"-ს ერთერთი აზნაურთაგანი ამბობს, უნდოდათ ესარგებლნათ არეულობით და „მღვრიე წყალში თევზი ეჭირნათ".

მიუხედავად დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებისა, მიუხედავად იმისა, რომ „იოლად უცქერდენ გურულთა უვიცობას და „უგნურებას“, ეგეფლი ვინს მაინც საჭიროდ მიაჩნდა შემდეგი: „კანონიერი ხელისუფლებისადმი ურ-ჩობა, რომელსაც თან სდევს სამხედრო ძალებისადმი აშკარა შეიარაღებული წინააღმდეგობა და ბოროტმოქმედება, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი წარმო-შობილი და რა მიზნითაც უნდა სწარმოებდეს, არავითარ შემთხვევაში არ შეი-ძლება გამართლებულ იქნას და დამნაშავეთა სახით უსათუოდ მკაცრად უნდა დაისაჯოსო“.

გოლოვინი მართლაც ამ თავისი თვალსაზრისის ერთგული დარჩა. მან და-ამტკიცა სასამართლოს ფრიად მკაცრი განაჩენი. ეს განაჩენი ჩვენ მოგვყავს „დამნაშავეთა“ თანრიგებად და ხარისხებად დაყოფითურთ.

	სახელები და მეტსახელები	რა სასჯელი დაედვათ
	1 თანრიგის დამნაშავენი:	
	პირველი ხარისხისა:	
1	პრაპორშჩიკი თავადი ამბაკო შალიკაშვილი.	
	აზნაურები:	
2	სიმონ ჭყონია	
3	სიმონ ქარცივაძე	
4	ქაიხოსრო გუგუნავა (თავად ყასიმ გუგუნავას უკანონო შვილი).	
		თავად შალიკაშვილს, აზნაურ ჭყონიას და ქაიხოსრო გუგუნავას აეყაროთ ყოველგვარი ღირსება. პირველს ჯალათის მიერ თავზე გადაემტვრეს ხმალი, ხოლო ქაიხოსრო გუგუნავა დაისაჯოს შპიცრუთენებით ორჯერ ხუთას კაცში გატარებით. სამივე გაიგზავნოს ციმბირს საკატორღო მუშაობისთვის: შალიკაშვილს და ჭყონიას ჩამოერთვათ ხაზინის სასარგებლოდ ქონება. აზნაური სიმონ ქარცივაძე კი განთავისუფლებულ იქნას სასჯელისაგან და გამოშვებული თავდებისადმი ჩაბარებით *).
	მეორე და მესამე ხარისხისა:	
	გლეხები:	
5	ესიკა მამულაიშვილი	
6	გოგია ჯიბლაძე	
7	მახარობელ ჯიბლაძე	
8	ესიკა ჯიბლაძე	
9	ნიკოლოზ თოიძე	
10	გოგიჩა გორდელაძე	
11	მამუკა ანთაძე	
12	მახარობელ დოლიძე	
13	იასე შეწირული	
14	სიმონ ჭყონია	
		ყველა ხსენებული ბრალდებული, გარდა ესიკა ჯიბლაძისა, დაისაჯოს შპიცრუთენებით თვითეული ხუთას კაცში ორჯერ გატარებით და გაიგზავნოს ათი წლით არესტანტთა როტაში ბობრუისკს; ხოლო ესიკა ჯიბლაძე, მისი სიახალგაზრდავის გამო, დაისაჯოს ასოცი წკეპლით და გაიგზავნოს იმავე არესტანტთა როტაში ათი წლით.

*) ქარცივაძე დროზე გადავიდა რუსების მხარეზე, მონაწილეობდა აჯანყების ჩაქრობასა და ბრალდებულთა დაჭერაში. ავტ. შენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

	მეორე თანრიგისა.
	პირველი ხარისხის:
15 ენუქა ვადაჭკორია	ენუქა ვადაჭკორია, გოგია ვადا-
16 ათან ვადაჭკორია	ჭკორია, მათია ჩინჩაბაძე დაისაჯონ
17 ნიკოლოზ ვადაჭკორია	შპიცრუთენებით ხუთას კაცში ორჯერ
18 გოგია ვადაჭკორია	გატარებით თვითეული და გაიგზავნონ
19 დათიკა მეგრელიძე	სევასტოპოლს არესტანტთა როტაში
20 მათია ჩინჩაბაძე	10 წლით; ათან და ნიკოლოზ ვადა-
	ჭკორია, დათიკა მეგრელიძე, სიახალ-
	გაზრდავის გამო, დაისაჯონ ასოც-ას-
	ოცი წკეპლათი თვითეული და გაიგ-
	ზავნონ არესტანტთა როტაში ბრესტ-
	ლიტოვსკს ათი წლით.
	მეორე ხარისხისა:
21 ნიკოლოზ ჩინჩაბაძე	
22 ლაზარე ვადაჭკორია	გლეხი ნიკოლოზ ჩინჩაბაძე გატა-
	რებულ იქნას ხუთას-კაციან მწყო-
	ბრში ორჯერ, ლაზარე ვადაჭკორია,
	სიახალგაზრდავისა გამო, დაისაჯოს
	ასოცი წკეპლით ორივე გაიგზავნოს
	ბობრუისკს არესტანტთა როტაში ათი
	წლით.
	მესამე ხარისხისა:
23 გიორგი კვაჭანტირაძე	
24 ესიკა ხუხუნაიშვილი	გრიგოლ კვაჭანტირაძე, ესიკა ხუხუ-
25 ივანე ნიკ-ძე მახარაძე	ნაიშვილი, ივანე გრიგოლის ძე მახარაძე,
26 ივანე გრიგ.-ძე მახარაძე	ესიკა გელაძე და გოგია დუმბაძე დაი-
27 ესიკა გელაძე	საჯონ შპიცრუთენებით ხუთას კაცში
28 გოგია დუმბაძე	ორჯერ გატარებით და გაიგზავნონ სე-
	ვასტოპოლს არესტანტთა როტაში შვი-
	დი წლით; ივანე გრიგოლის ძე მახარა-
	ძეს, სიახალგაზრდავის გამო, დაეკრას
	ას ხუთი წკეპელა და გაიგზავნოს
	იმავე არესტანტთა როტაში შვიდი
	წლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

	მესამე ხარისხისა:	
	აზნაური:	
29	ალექსანდრე ნაკაიძე	აზნაურ ნაკაიძეს აეყარის ყოველ-გვარი ღირსება, გაიგზავნოს ციმბირს საკატორღო მუშაობაზე, ხოლო მამული ჩამოერთვას ხაზინის სასარგებლოდ.
	გლეხები:	
30	ესიკა კვაჭანტირაძე	გლეხი ჯორბენაძე, მისი სიახალგაზრდავისა გამო, დაეკრას ა'ა ხუთი წკეპლა
31	ბუჩა ჩხატარაიშვილი	და გაიგზავნოს ბრესტლიტოვსკს არესტანტთა როტაში შვიდი წლით.
32	მაქსიმე ჯორბენაძე	
33	გაბილა ბაქანიძე	
34	დათო ღლონტი.	

ტიებას ყველას, ვინც მსჯავრდადებულია ამ საქმის გამო, გარდა პრაპორჩიკის თავადის ამბაკო შალიკაშვილისა, რომელიც იმყოფებოდა რა მილიციონერთა შორის, გაიქცა ოზურგეთიდან და იკისრა რა მეამბოხეთა უფროსობა, აშკარად ჩაიდინა ბოროტგანზრახვითი ღალატი*). ბრალდებულთაგან მხოლოდ ერთადერთი ამბაკო შალიკაშვილი დასაჯეს: ჩამოართვეს მას ყოველგვარი სამხედრო ღირსება და ციმბირს კატორღაში გაგზავნეს.

ნიკოლოზ I მეფობა უკიდურესი რეაქციის თარეშობის ეპოქა იყო. ნიკოლოზ I იყო შემქმნელი და სულისჩამდგმელი პოლიტიკური ძიების ორგანოსი — ცნობილი მე-III განყოფილებისა. ცნობილია, თუ როგორ სასტიკად გაუსწორდა იგი დეკაბრისტებს, როგორი „იოლი ღონისძიებანი“ იხმარა მან პეტრაშევცების მიმართ. მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საწრეო მუშაობას ეწეოდენ, მათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. პეტრაშევცებს „პატიება“ გამოუცხადეს მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც ჯალათებმა უკვე სუდარა წამოაფარეს თავზე და სვეტებზე მიაკრეს. ეს „პატიება“ ის იყო, რომ ისინი ციმბირს გაგზავნეს.

ცნობილია აგრეთვე, თუ როგორ დათრგუნა მთავრობამ პოლონეთის აჯანყება 1831 წელს; ისიც ვიცით, თუ როგორ უსწორდებოდა ნიკოლოზ I ცენტრალურ რუსეთში გლეხთა ამბოხებებს**), რომელთაც ანტიბატონყმური ხასიათი ჰქონდათ. მეფის პოლიცია გლეხებს უმკაცრესად უმასპინძლდებოდა.

ამიტომ ძალიან ძნელია დაჯერება ნიკოლოზ I-ის გულწრფელობისა, დაჯერება იმისი, რომ იგი განიმსჭვალა „მაღალხელმწიფური სათნოებით“ „საწყალი, ჯერეთ გაუნათლებელი ხალხის მიმართ“, იმ ხალხის, რომელიც იარაღით ხელში აღსდგა რუსის ხელისუფლების და ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ. აქ საქმე გვაქვს აშკარა ფარისევლობასთან, ნიკოლოზის მთავრობის მოხერხებულ პოლიტიკურ ნაბიჯთან. ამ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება კავკასიის ადგილობრივ მმართველებზე უფრო შორს გამჭვრეტი აღმოჩნდა.

მართალია, თვითმპყრობელობა იძულებული იყო გამოტეხილიყო, რომ გურიის გლეხობის აჯანყება გამოიწვია მართვა-გამგეობის თვით სისტემამ (ბუნებრივია, რომ ეს სისტემა, თუმცა ამაზე როდი ლაპარაკობდენ, ხელს უწყობდა მემამულეთა ბოროტმოქმედებასაც), მაგრამ იგი როდი შეჩერდებოდა იმის წინაშე, რომ უმკაცრესად გასწორებოდა მეამბოხე გლეხობას, სხვებისათვის მაგალითის საჩვენებლად. ნიკოლოზ I გულკეთილობა და რისამე დათმობის სურვილი არ გამოუჩენია არც პოლონეთის, არც ცენტრალური რუსეთის გლეხობისადმი, თუმცა ისინი სავსებით კანონიერი მოთხოვნებისათვის იბრძოდენ.

საქმე ისაა, რომ გურულ აჯანყებულებთან გასწორებისათვის უხერხული დრო იყო. გურია ის-ის იყო შეერთებოდა რუსეთს. იგი მდებარეობდა სწორედ ოსმალეთის საზღვარზე. სამეგრელო ფორმალურად ჯერ კიდევ ავტონომიური

---

*) Дело Шт. Отд. Кавк. Корпуса, გენ. ჩერნიშოვის მომართვა გოლოვინისადმი. ფ. 144, ს. № 311.

**) ნიკოლოზ I-ს მეფობაში რუსეთს იყო გლეხთა 712 ამბოხება, მოჰკლეს ინდივიდუალური ტერორის საშუალებით 144 მემამულე.

იყო. ჯერეთ დაუპყრობელი იყო აგრეთვე შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები. ჩვენ კი ძალიან კარგად ვიცით, თუ რა თანაგრძნობით და იმედით უყურებდენ მთიელები გურული გლეხების აჯანყებას.

თვითმპყრობელობა მიხვდა, რომ გურულების სასტიკად დასჯას, შესაძლებელი იყო ფრიად უარყოფითი გავლენა მოეხდინა. ამიტომ გულისტკივილით, თავისი სურვილის წინააღმდეგ, მან საუმჯობესოდ მიიჩნია გულკეთილობა გამოეჩინა, რათა მერე გურული გლეხობა უფრო მაგრად ჩაეგდო ხელთ და მომავლისთვის გადაედო თავის ნამდვილ განზრახვათა განხორციელება.

ნიკოლოზ I-ს სურდა კავკასიის ურჩ ერებს და გურიის გლეხობას მოსჩვენებოდა, როგორც მეფე მწყალობელი, მეფე გულკეთილი. თვითმპყრობელობას სურდა გრძნობებზე ემოქმედნა. მას იმედი ჰქონდა: „ასეთი დიდი მოწყალება იმ პირთადმი, რომელნიც აღმოჩნდენ დამნაშავენი ამ საქმის გამო, არა თუ აღავსებს მათ გულს უცხოველესი მადლობითა და მოკრძალებით მონარქის მოწყალებისადმი, არამედ შთააგონებს ყველა მათ თანამოძმეს მხურვალე ერთგულებას, რათა შეურყევლად დაიცვან მათ მიერ მიცემული ფიცის სიწმინდე და ემსახურონ ერთგულებითა და სიმართლით ტახტსა და სამშობლოსო“.

საინტერესოა, რომ „უმოწყალესი პატიების“ „ზეიმით“ გამოსაცხადებლად პეტერბურგიდან ქუთაისს ჩავიდა ცნობილი ჯალათის, ჟანდარმთა შეფის და მე-III განყოფილების უფროსის ძმა — შტაბს-როტმისტრი გრაფი ბენკენდორფი.

რაც შეეხება ოსმალეთს გაქცეულ 10 კაცს, ერთი მათგანი საზღვარზე გადასვლის დროს მოღალატურად დაჭერილ იქნა და სხვებთან ერთად გაასამართლეს.

საერთო პატიების შემდეგ, მიხეილ მაქსიმელაშვილმა, გიტო გოგორიკიძემ და და სიმონ გოგოლიშვილმა თავისი და 6 დანარჩენი გლეხის სახელით თვითონ, თუ სანდო პირის საშუალებით ლიხაურის ეკლესიის კარზე მიაკრეს თხოვნა. ისინი ლიხაურის საზოგადოებას სთხოვდენ, გვიშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რომ გვეპატიოს დანაშაულიო, „ჩვენ თქვენზე მეტი დანაშაული არ მიგვიძღვის, სწერდენ ისინი თხოვნაში; ამიტომ ვთხოვთ ხელისუფლებას პატიებას; ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ამის შესახებაც გვაცნობეთ, რომ შევძლოთ საბოლოოდ გარდავიხვეწოთო“. გოლოვინმა ნება მისცა მათ გურიაში დაბრუნებისა, ოღონდ ყოველგვარი პირობის მიცემის გარეშე.

არქივის მასალებში არ მოიპოვება ცნობა, დაუბრუნდენ თუ არა სამშობლოს ხსენებული გურულები. ხალხის გადმოცემით, ცხრავე ოსმალეთში დარჩენილა.

რაც შეეხებათ გლეხებს — რამაზია და სეხნია დვალიშვილებს, რომელნიც იმერეთში საბექოს უბნის გლეხთა მოძრაობას ხელმძღვანელობდენ, ისინი დიდხანს ჰყავდათ ქუთაისის ჰაუპტვახტაში დაპატიმრებულნი. შემდეგ ხანებში, გოლოვინის განკარგულებით, ისინი თავიანთ სოფელში გაჰგზავნეს, „აქ მათ, სხვების შესაშინებლად და მაგალითის მისაცემად, ას-ასი წკეპლა დაჰკრეს. ეს იმისათვის რათა მათთვის და ყველა სოფლისთვის ჩაენერგათ ის აზრი, რომ მათი მაღალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილშობილება უკვე აღარ აპატიებთ, თუ კვლავაც ამნაირ დანაშაულობას ჩაიდენენო*).

— . —

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ გურიის რევოლიუციურ მოძრაობის შესახებ?

რუსეთის თვითმპყრობელობის რეჟიმის და იმ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ნიადაგზე, რომელთაც ნერგავდენ საქართველოში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, აქ მთელი რიგი გლეხთა მოძრაობა წარმოიშვა. განსაკუთრებით მძლავრი ხასიათი ამ მოძრაობას მიეცა გურიაში და ეს შემთხვევითი როდია.

სწორედ გურია იყო ის კუთხე, სადაც მეფის ხელისუფლების პოლიტიკას განსაკუთრებით მავნე შედეგები მოჰყვა. სწორედ აქ, — კლასობრივმა და ფეოდალურ-ბატონყმურმა ექსპლოატაციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

განსაზღვრავს რა ეროვნულ აჯანყებას, ლენინი ამბობს: „ყოველი ეროვნული ჩაგვრა იწვევს წინააღმდეგობას ხალხის ფართო მასებში, ხოლო მოსახლეობის ეროვნული ჩაგვრის ყოველი წინააღმდეგობის ტენდენცია არის — ეროვნული აჯანყება“**).

ლენინის დებულება იმპერიალიზმის ეპოქას ეკუთვნის.

გურიის გლეხობა მოქმედებდა, როდესაც ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა ჯერ კიდევ მძლავრი იყო. მას არავითარი ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, რამდენადაც მოძრაობა მიმართული იყო ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა რუსების განდევნას გურიიდან, პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას — გურიის აჯანყება ეროვნული ხასიათისაც იყო (სულ სხვა საკითხია — შეეძლო თუ არა პატარა გურიას, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შორის იყო ჩაჭედილი, შეენარჩუნებინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა).

გურიაში 40-იან წლებში არ არსებობდა ქალაქის ბურჟუაზია; ხელოსანთა ხვედრითი წონა შედარებით პატარა იყო. არ ყოფილან არც თავისუფალი გლეხები, არც ყმა მუშები (როგორც ასეთნი იყვნენ, მაგალითად, პუგაჩოვის მოძრაობაში). არის მხოლოდ ზოგიერთ ავტორთა არაპირდაპირი მითითებანი იმაზე, რომ გლეხთა შორის ერთგვარი დიფერენციაცია არსებობდა და ყველა ფენა ერთნაირად როდი უყურებდა მოძრაობას.

მაგალითად, ზემოდ ციტირებული დუნკელ-ველინგი ამბობს: „გურიის ამბოხების დროს სახაზინო გლეხები, ბოროტგანმზრახველი ადამიანებისაგან აღელვებულნი, მასში უხალისოდ იღებდენ მონაწილეობასაო“ ***).

არლუთინსკიმ აჯანყების დათრგუნვის შემდეგ გურიაში დაიტოვა, რეგულიარულ ჯარის გარდა, მილიცია, რომელიც უფრო მეტად შეეფერებოდა მის

*) ც. არქივი. საქმე № 345. ქუთ. მაზრის უფროსის რაპორტი ქართლ-კახეთ-იმერეთის სამოქ. გუბერნატორისადმი, ფ. 261.

**) ლენინი, ტ. XIX, მე-2 გამოც., გვ. 222.

***) გაზ. „Кавказ„ 1853 წ., № 87.

შემდგომს მიზნებს, რადგან თავად-აზნაურების და **შეძლებულ გლეხებისაგან** შესდგებოდა*).

მართლაც, გურიის გლეხობაში სხვადასხვა კატეგორიები იყვნენ: მსახურნი, გლეხნი, მოჯალაბენი, სახაზინონი. მსახურთა და სახაზინო გლეხთა მდგომარეობა უეჭველად უფრო უკეთესი იყო, ვიდრე ყმებისა და განსაკუთრებით მონების — შინაყმებისა.

მაგრამ საერთოდ გლეხთა შორის დიფერენციაციის პროცესი ჯერჯერობით სუსტი იყო და სერიოზულ როლს ვერ თამაშობდა.

აჯანყების პირველი ეტაპის დროს თავად-აზნაურობა ერთგვარ როლს თამაშობდა, წამქეზებლად გამოდიოდა, რამდენადაც გურიის დამოუკიდებლობის აღდგენის, რუსთა განდევნის საკითხი იდგა. მაგრამ, მოძრაობის განვითარების პროცესში, იგი ჩამოშორდა მათ და გლეხთა აჯანყებისადმი აშკარა მტრული პოზიცია დაიკავა. ეს იმიტომ, რომ მოძრაობაში უკვე ანტიბატონყმური ნაკადი სჭარბობდა, გლეხთა მოძრაობა მიმართული იყო არა მარტო რუსეთის მონობისაგან განთავისუფლებისაკენ, არამედ თავად-აზნაურთა ჩაგვრისაგან განთავისუფლებისკენაც.

გურიის აჯანყების მამოძრავებელი ძალა იყო გლეხობა მთლიანად. გურიაში არ არსებობდა იმ დროს სხვა რევოლიუციური კლასი, რომელსაც შესძლებოდა გლეხთა მოძრაობის მეთაურობა. გლეხთა უფრო დიდი ომების დროსაც არ ყოფილა (მაგალითად, რაზინის, პუგაჩოვის აჯანყებანი) რევოლიუციური კლასი—ჰეგემონი, რომელსაც შესძლებოდა მეთაურობა გაეწია გლეხთა მოძრაობისათვის. ამიტომ ეს მოძრაობანი ვერ გადიქცნენ რევოლიუციად და მათი დამარცხება აუცილებელი იყო. ასევე, გურიის გლეხების აჯანყებაც განწირული იყო და არ შეიძლებოდა გამარჯვების იმედი ჰქონოდა.

გურიის აჯანყებაზე შეიძლება გავიმეოროთ ლენინის სიტყვები; „წვრილი ბურჟუაზიის და კერძოდ გლეხობის ყოველი ცდა, შეეგნო თავისი ძალა, თავისებურად წარემართა ეკონომიკა და პოლიტიკა, — თავდებოდა მარცხით“ **).

გურიის გლეხობის აჯანყებას სტიქიური ხასიათი არ ჰქონია. იგი არ ყოფილა უბრალო სასოწარკვეთილების გამოხატულება (როგორც განსაზღვრავს ეაკერიას კაუცკი). აჯანყებულებს ჰქონდათ ორგანიზებულობის ელემენტები, სწარმოებდა შესამზადებელი მუშაობა, არკვევდენ მოქმედების პროგრამას, აყენებდენ განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოძრაობის მიზნებს; არსებობდა გლეხთა კავშირი, როგორც ორგანიზაცია. მიუხედავად ამისა, როგორც ტიპიურ გლეხურ მოძრაობას, მას ახასიათებდა ყველა ის ნაკლი, რასაც არა ერთხელ აღნიშნავდენ მარქსი და ენგელსი. გერმანიის გლეხთა ომის უმთავრეს ბოროტებად ენგელსს მიაჩნია: „რევოლიუციურ ძალთა დაქსაქსულობა, დაქუცმაცება, რაიც მთავრობის ერთსა და იმავე ჯარს შესაძლებლობას აძლევდა ერთმანეთზე მიყოლებითა და ცალ-ცალკე დაემარცხებინა აჯანყებანი“ ***).

*) Кавказский Сборник. ტ. XIV, გვ. 298.

**) ლენინი, ტ. XVIII, ნ. I, გვ. 178, 1923 წ. გამოც., ტრანსპორტის მუშათა სრ. რუსეთის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა.

***) ენგელსი. სტატიები 1871—1875 წ. 1919 წ. გვ. 30.

ბერნშტეინისადმი მიმართულ წერილში 1882 წ. ენგელსი სწერდა: „ირლახ-დიის გლეხთა მოძრაობა ვერასოდეს ვერ მიიღებს პოლიტიკური ბრძოლის საერთო ფორმას, ვინაიდან, თავისი ბუნებით იგი ლოკალური და დაქსაქსულია. აჯანყების გასაოცარი ნიშნეულობა ის იყო, რომ აჯანყებულნი ვერ სცილდებოდენ თავიან გალავანს. გლეხები ცდილობდენ განეთავისუფლებიათ მხოლოდ თავისი მშობლიური ადგილებიო*).

გურიის აჯანყებაც, არსებითად, „თავის გალავანს“ არ გასცილებია. გურულები ცდილობდენ ღონისძიება ეხმარნათ იმისთვის, რომ მოძრაობაში ჩაებათ სამეგრელო, იმერეთი, მთიელი ტომები. მაგრამ გლეხთა დაქსაქსულობას, მათს დაფანტულობას შედეგად ის მოჰყვა, რომ მათ ვერ შესძლეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნა.

იმერეთი მღელვარებდა, მაგრამ მოძრაობა საბექოს უბანს არ გასცილებია. ათასმა შეიარაღებულმა მეგრელმა მოიყარა თავი ჯვარში გურულების მისაშველებლად, რომელნიც იმ დროს ოზურგეთს შემორტყმოდენ გარს, მაგრამ წასვლა ვერ მოახერხა. ადგილობრივმა მსხვილმა აზნაურმა გიორგი ნიკოლაიშვილმა ადვილად დაარწმუნა გლეხები: აჯანყება ჩაქრობილია, გურულებმა უკვე დაჰყარეს იარაღიო.

ხელმძღვანელობა აკლდა, მერყეობა ეტყობოდა აჯანყებულთა რევოლიუციურ შტაბსაც, რომელიც მოძრაობას და ოზურგეთის გარემოცვას უწევდა ხელმძღვანელობას.

ოზურგეთის გარემოცვა დაიწყო 15 აგვისტოს. მისი გარნიზონი გაჭირვებული იყო. აკლდა სურსათი, ყუმბარები; მილიცია მორალურად გაიხრწნა. მიუხედავად ამისა, აჯანყებულებმა შეტევა დაიწყეს და ოზურგეთის აღება სცადეს მხოლოდ 1 სექტემბერს.

პირველი მარცხის შემდეგ აჯანყებულებმა თავისი უმოქმედობით საშუალება მისცეს გარნიზონს შეესვენა, დახმარება მიეღო. სწორედ მერყეობის და ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის უქონლობის გამო ვერ აიღეს აჯანყებულებმა გურიის ცენტრი.

გარნიზონის უფროსს ბრუსილოვს ჩინებული ინფორმაცია ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა არსებობდა აჯანყებულებში. მას შეეძლო ეცადნა არღუთინსკის მოსვლისთვის. „ბრბოს გაუბედავი მოქმედების მიზეზი იყო, სწერს ჩუდინოვი, მზვერავ-ჯაშუშების სიტყვით, ერთსულოვნობის უქონლობა, ბელადის უყოლობა და უთანხმოებანი მეამბოხეთა შორის. ზოგნი მომხრენი იყვნენ ოზურგეთის რაც შეიძლება მალე აღებისა; ზოგნი, მათზე უფრო გონიერნი, ჰფიქრობდენ, რომ ეს არ შეეფერებოდა გარემოებას. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ისინი ერთმანეთს ხანდახან იარაღით ემუქრებოდენო“**).

გურიის აჯანყების ჩაქრობაში თვითმპყრობელობამ განსაკუთრებული სისწრაფე და გაბედულობა გამოიჩინა.

---

*) კ. მარქსის და ფ. ენგელსის არქივი, წ. I, გვ. 315.
**) „Кавк. Сборник“ ტ. XIV, გვ. 257.

მიუხედავად გზების უხეიროობისა, შედარებით მცირე ხნის განმავლობაში, მან გურიის საზღვარზე თავი მოუყარა მაშინდელი დროისთვის დიდძალა ჯარს. წვრილმა, დაქსაქსულმა გლეხობამ ვერ შესძლო რეგულიარული ჯარების მოგერება.

არღუთინსკიმ მოხერხებული სტრატეგიული შემოვლით დაამარცხა აჯანყებულთა მთავარი ძალები ოზურგეთთან. ამის შემდეგ მისთვის უკვე ადვილი იყო გურიის ცალკე რაიონების და საბექოს უბნის დამორჩილება. სწორედ იმ ხანებშივე რუსის ჯარებმა გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს მთიელთა ურჩი ტომების წინააღმდეგ.

ლაპარაკობს რა გლეხების მოძრაობათა სისუსტეზე, ლენინი აღნიშნავს: „გლეხთა მოძრაობაში ბევრია შეუგნებლობა, უვიცობა; გლეხკაცის უვიცობა, უწინარეს ყოვლისა, ისაა, რომ მას არ ესმის მოძრაობის პოლიტიკური მხარე; მას არ ესმის, მაგალითად, რომ თუ მთელი სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ძირითადი დემოკრატიული გარდაქმნა არ მოხდა, ისე ყოვლად შეუძლებელია მიწათმფლობელობის გაფართოვების გზაზე რაიმე მტკიცე ნაბიჯის გადადგმაო“*).

ასეთი სუსტი მხარეები ახასიათებს გურიის აჯანყებასაც. მოძრაობა ძალიან ვიწრო ფარგლებში იყო მოქცეული. მთელი სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ძირითადად გარდაქმნის გარეშე განა შეიძლებოდა გლეხობა განთავისუფლებულიყო მებატონეთა ხელისუფლებისაგან, მიეღო პოლიტიკური დამოუკიდებლობა? ამიტომ მოძრაობა თავიდანვე განწირული იყო.

— : —

აჯანყებას სრულიად არ მოჰყოლია გლეხობის მდგომარეობის რაიმე გაუმჯობესება. რასაკვირველია, არ შეცვლილა არც თვითმპყრობელობის სოციალ-ეკონომიური პოლიტიკა. თვითმპყრობელობა ყველაზე ნაკლებად — გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქებისთვის ზრუნავდა. იგი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ რაც შეიძლება თავისთან მტკიცედ დაეკავშირებინა თავად-აზნაურობა. ამიტომ მეფის ხელისუფლება ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა თავად-აზნაურობის მიმართ, მთელ რიგ შეღავათებს და პრივილეგიებს ანიჭებდა, რათა მასში საბოლოოდ მოესპო ყოველგვარი ოპოზიციური სული, თავის საიმედო ყავარჯნად გაეხადა იგი.

40-იანი წლების შემდეგ გურიის თავად-აზნაურობამ, პენსიებით მომადლიერებულმა, მიაშურა სახელმწიფო სამსახურს. მას მხოლოდ იმის უნარი შერჩა, რომ „უქვეშევრდომილესი შუამდგომლობანი“ აღეძრა ხოლმე და ტფილისისაკენ დელეგაციები ეგზავნა. ასე, მაგალითად, 1842 წელს გურიის თავად-აზნაურობა სთხოვდა გოლოვინს: აღადგინეთ გურიაში ადგილობრივი ადათები და ვახტანგ მეფის კანონები, აღუკრძალეთ მებატონეთა ყმებს აზატობის (თავისუფლების) ძიების შესახებ თხოვნების მიცემა, აღუკრძალეთ საერთოდ მებატონეთა წინააღმდეგ საჩივარიო. რასაკვირველია, თვითმპყრობელობა რაიმე პოლიტიკურ დათ-

*) ლენინი, ტ. VI, 23 წ. გამოც. გვ. 116.

მობაზე არ ჰფიქრობდა, მაგრამ იგი ყოველგვარად ეხმარებოდა თავად-აზნაურობას ბატომყმურ ურთიერთობათა გაძლიერებაში*).

ყმათა შრომის ექსპლოატაცია წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამიტომ ამ ნიადაგზე მებატონეთა და ყმების ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა. გლეხთა უკმაყოფილება იზრდებოდა. გახშირდა გლეხთა გაქცევა ოსმალეთს, ტეროორი მებატონეთა წინააღმდეგ.

ამას ემატებოდა ის, რასაც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი აღნიშნავდა ოზურგეთის მაზრაში გლეხთა რეფორმის ჩატარების სამზადისის დროს. „საერთო სიძნელეთა გარდა უნდა აღვნიშნოთ გურიის გლეხობის მებრძოლი და ურჩი ხასიათი, რომელიც არა ერთხელ გამოხატულა მებატონეთა ძალა-უფლების საწინააღმდეგო აშკარა ამბოხებებშიო“ **).

ერთი ასეთი ამბოხება მოხდა 1862 წელსაც. 7 აგვისტოს დიდი ბაზრობის შემდეგ აჯანყდენ თავად დიმიტრი გურიელის გლეხები. მეორე დღეს მათ მიჰყვნენ თავად ნაკაშიძის და სხვა აზნაურთა ყმები. ორმა შეიარაღებულმა რაზმმა (ერთში 300, ხოლო მეორეში 500 თუ 600 კაცი იყო) — დაიკავა ორი გამაგრებული პოზიცია. „ეს გარემოება, თუ მხედველობაში **მივიღებთ მებატონეთა გლეხების საერთო განწყობილებას**, გვაფიქრებინებს (და ეს ფიქრი, როგორც ახლა გამოირკვა. არც თუ უსაფუძვლოა), რომ ეს ნაწილობრივი არეულობა შედეგი იყო საყოველთაო ამბოხებისათვის შეთქმულობისაო“ ***).

ამბოხების რაიონისაკენ სასწრაფოდ გაგზავნეს ძლიერი სამხედრო ძალები. გლეხებმა თუმცა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მოძრაობა ვერ გადაიქცა მთელი გურიის აჯანყებად და შედარებით მალე იქნა ჩაქრობილი. ამ საქმის გამო დააპატიმრეს 8 გლეხი, მოძრაობის ინიციატორები და ხელმძღვანელნი. უმრავლესობა მათგანი კატორღაში გაგზავნეს.

ხსენებულ აჯანყებაში არავითარი გარედან მოტანილი მოტივი არ ყოფილა. გლეხები გარკვევით აღსდგნენ თავის კლასობრივი მტრის — მებატონეთა წინააღმდეგ. ეს ცხადი იყო ქუთაისის საგუბერნიო ხელისუფლებისთვის. ქუთაისის გუბერნატორი, რომელიც მონაწილეობდა „ამბოხების“ ჩაქრობაში, იძულებული იყო აღენიშნა: „გურიის გლეხობის ნაწილმა გამოაშკარავა აქაურ წოდებრივ ურთიერთობათა მერყეობაო.“ მან ოზურგეთში მიიწვია თავად-აზნაურობის და გლეხთა წარმომადგენელნი. იგი არწმუნებდა მათ „მათი (ე. ი. გლეხების) განთავისუფლება შეუძლებელია დაუყოვნებლივ და ახლავე მოხდეს. მაგრამ, მეორე მხრით, საჭიროა დავარწმუნოთ როგორც გლეხები, ისე მებატონეები, რომ პირველთა ბედი შეუძლებელია მივანდოთ უკანასკნელთა სრულს თვითნებობასაო“ ****). მებატონეთა და გლეხთა ურთიერთ-დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად გუბერნატორმა შეადგინა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია გლეხთა ვალდებულებანი და დაეწესებინა კონტროლი, რომელსაც უზრუნველ უნდა ეყო „ორივე მხარის ინტერესები“ *****).

*) 1842 წ. გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც ყმები სავსებით ემორჩილებოდენ მებატონეებს.

**) ც. არქივი. საქმე № 34. ქუთ. გუბ. მებატონეთა გლეხების ცხოვრების მოწესრიგების შესახებ.

***) Акты, ტ. XII, დოკ. № 176, გვ. 250.

****) იქვე.

*****) Акты, ტ. IIX, დოკ. 176, გვ. 250.

ეს ხდებოდა გლეხთა რეფორმის წინ საქართველოში. რეფორმის ჩატარების დროს თვითმპყრობელობა ყოველგვარად შეეცადა უზრუნველეყო არა „ორივე მხარის“ ინტერესები, არამედ მხოლოდ თავად-აზნაურობის ინტერესები. რეფორმა ჩატარდა სწორედ თავად-აზნაურობისთვის ფრიად ხელსაყრელ პირობებში და გლეხობა კაბალურ ურთიერთობათაგან არ განუთავისუფლებია.

გლეხთა მეურნეობა ჩიხში მოაქციეს. სწორედ გლეხთა ეგრედწოდებული „განთავისუფლების“ შემდეგ დაიწყო გლეხობის მიერ მიწების დაკარგვის მძლავრი პროცესი, დაიწყო მათი ძალმომრეობითი პროლეტარიზაცია.

სოფლად კლასობრივი წინააღმდეგობები უფრო გამწვავდა. ის, რის წინააღმდეგაც გურიის გლეხობამ იარაღი აღმართა: მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, თვითნებობა ადმინისტრაციისა, ეროვნული ჩაგვრა, სამღვდელოების ბოროტმოქმედება და სხვა, — რეფორმის შემდეგაც კვლავ დარჩა.

აი, რატომ იყო, რომ როდესაც მეფის მთელ იმპერიაში შეიქმნა უშუალო რევოლიუციური სიტუაცია, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ამოქმედდა კლასი ჰეგემონი და ორგანიზატორი — პროლეტარიატი, რომელსაც უნარი ჰქონდა გლეხობა აეყოლებინა კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, — გურიის გლეხობამ, ჰქონდა რა წარსული რევოლიუციური გამოცდილება და ტრადიცია, 1902—1906 წლებში განსაკუთრებული რევოლიუციურობა გამოიჩინა.

1841 წ. გურიის გლეხობის მოძრაობის შესწავლას კიდევ ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ცხადჰყოფს ჩვენთვის მე-19 საუკუნის ა/კავკასიაში გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის არსებობას. იგი ცხადჰყოფს აგრეთვე, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ხიშტებით დაპყრობილი ერები არ ემორჩილებოდენ თავიანთ დაჩაგრულ მდგომარეობას. მიუხედავად თავისი ჩამორჩენილობის, უმეცრებისა, რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში მათ მაღალი რევოლიუციური აღტყინება გამოიჩინეს და იარაღით ხელში ცდილობდენ თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვას.

— : —

ძირითადი წყაროები:

1. Кавказский сборник, ტ. XIV. ჩუდინოვის სტატია — „Востание Гурийцев в 1841 г.“. ჩუდინოვი თავისი სტატიის დაწერის დროს სარგებლობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის, მთავარი შტაბის მეორე განყოფ. არქივის უხვი ცნობებით 1841 წ., № 76 და 102.

სამწუხაროდ ეს საარქივო მასალები ამჟამად ცენტრარქივში არ აღმოჩნდა.

2. Дело Канцелярии Грузино-Имеретинкского гражд. губернатора „По докладу Гурийского уездного начальника об оказании некоторыми жителями его уезда сопротивления и явного возмущения при взыскании податей.“

1-ლი მაგიდის № 20. აღწერით № 345.

3. Дело штаба Отдельного Кавказского Корпуса. Отделение судное 3/X.

Возмущение в Гурии 1841 г. и о предании виновных суду. აღწერით № 311.

4. გურიის საქმეები. აღწერით № 28.

---

*) Акты, ტ. XII, დოკ. 176, გვ. 250.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

ანრეპის მოხსენებიდან

მოხსენებითი ბარათი
სამეგრელოს და გურიისაგან
სანაპირო ხაზის მე-4 განყოფილების შედგენის შესახებ.

№ 60

1842 წლის 22 აპრილი.

ასლი ასლიდან.

...გურიის ნაწილი რუსეთმა შემოიერთა ოსმალეთთან დადებულ ადრიანოპოლის ზავის ძალით; მეორე ნაწილი კი (ქობულეთი) მდ. ნატანებიდან მდ. ჭოროხამდე (ჭოროხ-სუ) ანუ ქ. ბათომამდე თანჩათვლით, ოსმალეთის ხელშია. გურიის ორივე ნაწილი სულ ახლახან იყო, რომ ერთს მთლიანს ერთეულს წარმოადგენდა. ორივე ნაწილის მცხოვრებთ მჭიდროდ აკავშირებს სარწმუნოების, წარმოშობის და ზნე-ჩვეულებათა იგივეობა, ნათესაური კავშირი, სავაჭრო სარფიანობა და ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც დასაბამიდანვე განმტკიცებულან. ქობულეთი, ანუ გურიის ოსმალური ნაწილი, ითვლება არზრუმის სერასკირის ხელქვეითად, მაგრამ არსებითად არც მას ემორჩილება, არც ტრაპიზონის ფაშას. ქობულეთის ქვეშევრდომობას ოსმალეთის ხონთქრისადმი — მეკობარი და მოყაჩაღე ტომების — ლაზების და აჭარლების მეზობლობა თითქმის ნომინალურს ხდის. გურიას ქობულეთიდან ჰყოფს სულ პატარა მდინარე ნატანები, რამდენიმე ამაზე კიდევ უფრო მცირე მდინარე და ბოლოს მთიანი და ხშირი ტყეებით დაფარული ხმელეთი.

ქობულეთიდან გურიაში ორი მთავარი გზა მიდის: ბათომიდან კინტრიშით და მუხაზეთათით წმ. ნიკოლოზის ციხისკენ და მუხაზეთათით ოზურგეთისკენ, გურიის მთავარ ადგილისკენ. გარდა ამისა, მთებსა და ტყეებში მრავალი ბილიკია ქვეითათა და ცხენოსანთათვის მით უფრო სახერხო, რომ მათ ხეირიანად თვალყურს ვერ ადევნებენ საკარანტინო და საბაჟო რაზმები. შეიძლება ითქვას რომ გურიაში გზა ხსნილია შავი ჭირის და კონტრაბანდისათვის.

აფხაზეთსა, სამეგრელოსა და გურიაში ბევრი თურქი მოიპოვება, როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის ქვეშევრდომი. ისინი მუდმივად ცხოვრობენ იქ და ვაჭრობას (ხშირად უკანონოსაც) მისდევენ. ამ ოსმალებს დიდი ხნის კავშირი აქვთ ქობულეთის, ბათომის და ტრაპიზონის მცხოვრებლებთან; მათს ვაჭრობას ხელს უწყობს ის, რომ მათ იციან ამ ქვეყნების ენა, ჩვეულებები, ზნენი, ნათესაობაც აქვთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ამან განამტკიცა მათი ვაჭრობა ა/კავკასიის მხარის სამხრეთ-დასავლეთის პროვინციებში; ასე რომ, აფხაზეთის, სამეგრელოს და გურიის მცხოვრებთ უმათობა არც შეუძლიათ. კონტრაბანდა

თავისუფლად შემოდის გურიაში ნავებით და განსაკუთრებით ხმელეთის საზღვრით. იგი გაძლიერდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელ წლებში ტრაპიზონს და არსდა ინგლისის სავაჭრო კომპანია და თავისი ფაქტორია გაიჩინა ბათომს ე. ი. ჩვენი საზღვრიდან 30 ვერსის მანძილზე.

იმედი მაქვს, რომ თქვენი ბრწყინვალება არ ინებებს და ჩემს ნათქვამს არ მიიჩნევს ადგილობრივი ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებათა შესახებ დაბეზღებად. თვითონ ამ ქვეყნის მდგომარეობა არის ისეთი, რომ იგი მიზეზად ხდება ამ ბოროტებისა. გარდა შავი ჭირის შემოტანის სამიშროებისა, მცირე აზიიდან აღმოსავლეთ სანაპიროებზე კონტრაბანდას ფრიად დიდი პოლიტიკური მავნებლობა მოაქვს. ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, რომ ფარული სავაჭრო ურთიერთობანი, რომელსაც ადგილი აქვს აღმოსავლეთის სანაპიროების როგორც დამორჩილებულ, ისე ურჩ ტომებს შორის, ხელს უწყობს მთიელებში ჩვენს მიმართ მტრულ განწყობილებას, ხელს უშლის მთავრობის განზრახვებს მშვიდობიანობისადმი; კვლავ გრძელდება ტყვეების ვაჭრობა, რაიც თავის მხრით, ხელს უწყობს თვით ამ ვაჭრობას, ამაგრებს ჩვენდამი მტრულად მომართულ ოსმალეთის გავლენას.

ტრაპიზონში ინგლისელთა სავაჭრო კომპანიის და მისი ფაქტორიის დაარსება ბათომში, ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა და ყოველი მხრით მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. აშკარაა, ამ კომპანიას მხედველობაში აქვს ვაჭრობა არა მარტო ღარიბ, ნახევრად ველურ აჭარლებსა და ლაზებთან, არამედ მთელ ჩვენს ა/კავკასიასა და **შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროებთან.**

გურია, სამეგრელო და აფხაზეთი თითქმის დაუბრკოლებლად ღებულობენ ინგლისური ფაბრიკების საქონელს, რომლებიც ადგილობრივი მცხოვრებლების გემოვნების და ჩვეულებათადმი შეხამებულად არის დამზადებული. იქიდან კონტრაბანდა ფრიად ადვილად ვრცელდება ადიგეს ტომში. საეჭვოა, რომ ამ ბოროტების მოსპობა შეიძლებოდეს საბაჟო თვალყურისდევნების გაძლიერებით გურიის სახმელეთო საზღვარსა და აღმოსავლეთის სანაპიროებზე. გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ სამხედრო გემების ზვერვაც საამისოდ საკმარისი არაა. ყოველშემთხვევაში სრულიად ხსნილია კონტრაბანდისთვის ის გზა, რომელიც კანონიერ ფორმებს ამოჰფარებია.

აღმოსავლეთ სანაპიროებზე ვაჭრობა სწარმოებს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პატარა, სწორფსკერიან გემებით (ოსმალები აკეთებენ მას), რომლებსაც ხმელეთზე გადმოათრევენ ხოლმე. ამნაირი გემისთვის გასაჩერებლად ყოველგვარი ადგილია გამოსადეგი: მათ ღუზა როდი სჭირდებათ. თუ ასეთი გემი გადიტანს კარანტინს, გადიხდის ბაჟს რედუტში და ბილეთს აიღებს ანაპის, კერჩის, ფეოდოსიის ან, ნოვოროსიის მსარის სხვა რომელიმე პორტისკენ, ივლის რა დაუბრკოლებლად ნაპირთან ახლოს, იგი ადვილად შესძლებს ამოარჩიოს ისეთი მოხერხებული ადგილი, საიდანაც კრეისერები შორს იქნებიან, მიადგეს ნაპირს და იქ თავისი საქონელი მთიელებზე გაასაღოს. ამნაირად, კონტრაბანდის რისკი თითქმის სავსებით ჰქრება, ხოლო ამასთან შეფარდებით — იზრდება მოგებაც. ამას უნდა დავუმატოთ საბაჟო დაწესებულებათა აუცილებელი ბოროტმოქმედე-

ბანი. ისინი ხშირად უშვებენ ისეთ საქონელსაც, რომლის შემოტანა აკრძალულია...

...ცხადია, ამ ბოროტების (კონტრაბანდის) საწინააღმდეგოდ საჭიროა ორი საშუალება: 1) მთლიანობა ღონისძიებათა, უფრო პოლიციურ და მთავრობისეულ ღონისძიებათა, ვიდრე საშუალო ღონისძიებისა, მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე და 2) შემოღება რუსეთის ვაჭრობისა მთელ სანაპიროზე იმნაირი უპირატესობით, რაიც საშუალებას მოგვცემს სავაჭრო შექიშპებით მოვსპოთ კონტრაბანდა. ამ მხარის აწინდელი მდგომარეობის დროს სანაპირო ხაზის გამგებლობა, ნება მებოძოს ასე ვთქვა, ანატოლიასთან ვაჭრობის საქმეში პასიურობას წარმოადგენს, რადგან ანატოლიის ვაჭრობა ერთადერთია და აქ რუსული ვაჭრობა თითქმის სრულიად არ არსებობს.

სანაპირო ხაზის გამგებლობას ურთიერთობა აქვს რუსეთის საელჩოსთან სტამბოლში, ეს ღონისძიება არ კმარა, რადგან თვით პორტას უმაღლეს მთავრობას ნაკლები გავლენა აქვს კერძო საქმიანობაზე, ანუ მცირე აზიის ზოგიერთ საფაშოების შინაურ განკარგულებებზე, რომლებიც ხშირად პორტას ცენტრალური მთავრობის სურვილებს ეწინააღმდეგებიან. ბათომსა, ტრაპიზონსა, რიზესა, სინოპსა და სამსუნში აშკარად გროვდებიან ხოლმე გემები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან აკრძალული ვაჭრობისათვის. იქ იმყოფებიან მუდმივად აფხაზეთიდან წასულნი და გარდახვეწილნი ადიგენი, რომლებთანაც გროვდებიან ის მთიელები, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურთ. პორტას უმაღლესი მთავრობა, რომ მოისურვოს კიდევაც, ამას ვერ მოსპობს. ფაშა და ადგილობრივი გამგებლობა, რომელთ შეეძლოთ, არ ისურვებენ მის მოსპობას. ამიტომ ამ ქალაქებში ჩვენი კონსულები სუსტად მოქმედებენ, ან სრულიად ვერავითარ ღონისძიებას ვერ ხმაროობენ.

სანაპირო ხაზის გამგებლობა დაშორებულია მცირე აზიას მცირეოდენი სივრცით, მაგრამ ისეთით, რომელიც მასზე არაა დამოკიდებული, მას არაა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ურთიერთობა ტრაპიზონის ფაშასა და იქაურ ჩვენს კონსულებთან. იმერეთის, სამეგრელოს და გურიის სამხედრო ნაწილის გამგეს ასეთი ურთიერთობა აქვს, მაგრამ ეს სრულიად ამაოა სანაპირო ხაზისთვის, რომლისათვისაც ამას სწორედ ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. სანაპირო ხაზის გამგებლობას არაა აქვს წინასწარი ცნობები, საკმარისი ძალღონე არ შესწევს პოლიციური ღონისძიებებით კონტრაბანდა მოსპოს, ან საერთო განკარგულებებითა მთელ სანაპიროებზე ღონისძიებათა ხმარებით შეამციროს მაინც ეს ბოროტება. იგი იმაშიაცაა დარწმუნებული, რომ გემთა ზვერვა არ კმარა და შეუძლებელია საბაჟო და საკარანტინო ღონისძიებათა გაძლიერება; იგი იძულებულია დასჯერდეს ისეთ განკარგულებებს, რომლებსაც დიდი შედეგი არა მოჰყვება რა; იგი ხშირად სავსებით უძლურია და ამიტომ იძულებულია, ასე ვთქვათ, მხოლოდ სტატისტიკური ცნობები აგროვოს იმის შესახებ, თუ როგორ მიდის კონტრაბანდის საქმე მისდამი რწმუნებულ მხარეში. სამეგრელოს და გურიის დატოვება აღმოსავლეთის სანაპიროების დანარჩენ დანაწილებისგან განკერძოებულად — კიდევ უფრო საყურადღებოა სამხედრო მხრითაც.

იმერეთის, სამეგრელოს და გურიის სამხედრო ნაწილის გამგებლობა ჩაბარებული აქვს ერთ პირს (ამჟამად პოლკოვნიკ ბრუსილოვს), რომელიც უშუალოდ კავკასიის ცალკე კორპუსის უფროსს ემორჩილება. მის განკარგულებაშია საქართველოს ორი სახაზინო ბატალიონი № 1 იმერეთში (შტაბი იმყოფება ქ. ქუთაისს) და № 2 გურიაში (შტაბი — დ. ოზურგეთშია).

სამეგრელოში არავითარი ჯარი არ არის, გარდა ცხენისწყლის პოსტთან და რედუტ-ყალაში მყოფ მცირეოდენი რაზმებისა. 1841 წელს გურიაში შემოღებულია სამოქალაქო მმართველობა და ეს ოლქი შეადგენს ქართლ-კახეთ-იმერეთის გუბერნიის მაზრას. აქედან ცხადია, რომ ჩვენი მდგომარეობა იმერეთსა, სამეგრელოს და გურიაში დაფუძნებულია იმ რწმენაზე, რომ ამ სამი ოლქის მცხოვრებნი სავსებით ჩვენი ერთგულნი არიან. ვბედავ მოგახსენოთ, რომ ამ მხარეთა მდგომარეობა უფრო მეტს და მტკიცე საფუძველს მოითხოვს ჩვენი საზღვრების უშიშროებისათვის.

მე უკვე დავახასიათე გურიის მჭიდრო კავშირი ამ პროვინციის იმ ნაწილთან (ქობულეთთან), რომელიც ოსმალეთის ხელში დარჩა. ეს გარემოება, გურიის მოსაზღვრე მდგომარეობა, ლაზების და აჭარლების, ამ მთიელ ყაჩაღების (მსგავსად აქაური უბიხების და შაფსუღებისა) მეზობლობა, ამ მხარეში ოსმალეთის მთავრობის სისუსტე—გვიბადებს სამართლიან შიშს ჩვენი საზღვრის უშიშროებისთვის იმ სამხედრო სისუსტის დროს, რასაც ამჟამად აქ ადგილი აქვს. ოსმალეთთან ყოველი ომის დროს გურია უეჭველად იქნება შემოტევის ასპარეზი და მას საშუალება არ აქვს ამას წინააღუდგეს. ა/კავკასიის უახლოესი ჯარები დაბანაკებულნი არიან—დ. მანგლისში (ტფილისის მაზრა)—ტფილისის ეგერთა პოლკი და დ. ბელიკლიუჩში (ბორჩალოს დისტანცია) — სამეგრელოს ეგერთა პოლკი, სულ 10 ბატალიონი. ეს ორი პოლკი ერთადერთი მფარველია საზღვრისა დაწყებული სიმაგრე ალექსანდროპოლიდან წმ. ნიკოლოზის სიმაგრემდე (დაახლოებით 300 ვერსი) და დაშორებულია ამ უკანასკნელს 275 ვერსით. რუკის ერთი გადახედვაც საკმარისია დავრწმუნდეთ, რომ ამნაირი მდგომარეობის დროს გურიაში შემოჭრა სულ იოლი საქმეა. მეორე მხრით მე დარწმუნებული ვარ, რომ გურიაში ამ შემოჭრას აურაცხელი შედეგი მოჰყვება მთელი აღმოსავლეთის სანაპიროებზე ჩვენი მფლობელობისთვის.

გურიის შარშანდელმა ამბოხებამ ცხადჰყო, რომ ჩვენი მდგომარეობა იქ მტკიცე არ არის, ცხადჰყო, რომ ა/კავკასიის ამ ნაწილში გადატრიალება შესაძლებელია მოხდეს ოსმალეთთან ომის გარეშეც.

უნებური მოწმე ამ ამბისა, რომელმაც ჩამიფუშა ყველა ჩემი მოსაზრებანი უბიხთა მიწაწყალზე ექსპედიციის შესახებ, მე ვხედავდი, თუ რა სწრაფად მოედო გურიის აჯანყების ამბავი მთელ აღმოსავლეთ სანაპიროებს, რა დიდი სიმპატია და იმედები აღძრა მან არა მარტო ჯერეთ დაუმორჩილებელ ერებში, არამედ იმათშიაც კი, რომელნიც დიდი ხანია სარგებლობენ ჩვენი მთავრობის ფრთათა ქვეშე მოქალაქეობის ყველა სარფიანობით. ამბოხების დაწყებისთანავე ადგილობრივი ჯარები შემწყვდეულ იქმნენ ოზურგეთში, გურულებს კი ბევრი თანამოაზრე აღმოუჩნდათ იმერეთსა და სამეგრელოში: ამ უკანასკნელის მოსაზღვრე ადგილებში ამკარა აჯანყებაც კი დაიწყო. ქართლ-კახეთიდან დახმარება

მოვიდა ისეთი სისწრაფით, რანაირიც კი შეიძლებოდა. მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ამ ოლქებში წესიერების აღდგენა მოჰყვა ორ გარემოებას, რომლებიც, ჩემის აზრით, შემთხვევითი ხასიათისაა, სახელდობრ ესაა: ... ბეგ თავად თავდგირიძის მოქმედება, რომელმაც მოულოდნელად საქმეში მონაწილეობა მიიღო ჩვენს სასარგებლოდ და ჩინებული გონიერება პოლკოვნიკ თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, რომელსაც გურიის ამბოხების ჩაქრობა ჰქონდა მინდობილი. მან უარი სთქვა ომი ეწარმოებინა თავისი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, მიხვდა რა, რომ თუ პირველი სროლის ხმა გურიაში გაისმება, უკანასკნელი შეიძლება გაისმას ანაპასა და კასპიის ზღვის ნაპირებზე. გურიის აჯანყების მიზეზი იყო სამოქალაქო მმართველობის ფორმები, კანონიერნი და საკეთილონი ხალხისთვის, მაგრამ ამ ოლქის ზნე-ჩვეულებასა და შინაურ ყოფა-ცხოვრებასთან შეუგუებელნი, იმ ოლქისა, რომელიც ნაკლებად არის შემზადებული საამისოდ განათლებითა და სამოქალაქო კეთილმოწყობის საჭიროებით. შემოიღეს რა სამოქალაქო მმართველობა გურიაში, ა/კავკასიის შიდაპროვინციების მსგავსად, მგონია, მხედველობაში არ მიუღიათ ამ ოლქის მოსაზღვრე მდგომარეობა და ის გავლენა, რომელიც შეიძლება იქონიონ მასზე იმ მეზობელმა ტომებმა, რომელნიც ოსმალეთის იმპერიის ვითომდა ქვეშევრდომები არიან. თუ მოუხერხებელია გურიაში კვლავ სამხედრო მმართველობის შემოღება, ყოველ შემთხვევაში სასარგებლო იქნება სამოქალაქო მმართველობა ისე მაინც შეიცვალოს, რომ იგი დაუმორჩილდეს უახლოეს სამხედრო უფროსობას. ამით შესაძლებელი გახდება წინასწარი ღონისძიებანი ვიხმაროთ ხოლმე ამ მხარეში სიწყნარის დასაცველად.

Дело канцелярии Наместника Кавказского, განყ. 3, გვ. 1, 1842 წ. № 22 (არქივისა № 29) „О подчинении Мингрелии и Гурийского уезда начальнику Черноморской береговой линии, об образовании из них 4 отделения этой линии и пр.“ საქმ. ფ. 3-17.

(მოხსენება ეკუთვნის ანრეპს. აქ მოყვანილია მოხსენების ის ნაწილი, რომელიც გურიას ეხება. ფ. 2).

მოხსენების ზაპისკა

გურიის კნიაზის პოდპოლკოვნიკის დავით მაჭუტაძისა

თებერვლის ი-სა დღესა ჩყმდ — წელსა.

განცხადებითა სხვადასხვათა საჭიროებათა გურიის ვეზდისათა.

მე ვითარცა ძირეული მცხოვრები გურიის და მცნობელი სრულებით ხასიათთა ზნეთა და ადგილობითისა მდგომარეობისა აქაურისა ერისა ვალდებულებად ვრაცხ მოვალეობითა ერთგულ ქვეშევრდომილებისათა, რათა განუცხადო თქვენსა მაღალ აღმატებულებასა ვითარცა არჩეულსა ერთ მთავრისა მიერ კეთილსა მზრუნველსა და მამასა კავკასიის მხარეთ აქეთელთა საჭიროებანი და გარემოებანი გურიის უეზდისანი.

ა,დ გურიაში არ მოდის ბამბა, არ არის მატყლი, არ შეჩუჩვიან ჯერეთ კეთებასა აბრეშუმისა და ტილოსასა. ამის გამო მცხოვრებნი გურიისანი იძულებულ იქმნებიან მოპოებაღ ყოველთა ხელსაწყოთა სხვათა ადგილთაგან ფდ დიდ ფასად, რო-

მელთაც გარდახთა მათ არ შეუძლიათ და ესრედ უდიდესი ნაწილი მათგანი ითმენენ თვით უკიდურესსა ნაკლულოვანებასა ტანისა მისსა შინა იქადმდე, რომელ როგორც მე პირდაპირ ვიცი, მრავალნი არიან ესრეთნი სახლობანი, რომელთა შინა დიდითგან ვიდრე მცირედმდე ყველანი შიშველნი არიან, ხოლო გაბსაკუთრებით გლეხის კაცის შვილები ვიდრე მეათე წლადმდე უკანასკნელი პერანგიც არ ეღირსებათ.

აღსამსუბუქებლად ამისა მცხოვრებს უკეთუ რაოდენსამე დროსა მაინც ნებართულ იქნების შემოტანა გურიაში ქობულეთით აღკრძალულთა საქონელთა უბაჟოდ ამისა, რომელ, გურულნი მიჩვეულ არიან რა შემოსად სამოსლისა ოსმალო ხელმოქმედებისაგან და აქვსთ რა საზოგადო სახმარებელად შემოღებული თათრული ტანსაცმელი, რომელთაც იგინი კარანტინის განწესებამდე ყიდულობდენ ქობულეთს ფდ იაფ ფასად, აწ და ესევე ამგვარისა ტანისამოსისა მიაჩნიათ როგორლაც იწროებასავით.

დ

ბ.-, გურიაში სიღარიბე გავრცელებულ არს უკანასკნელ ხარისხათ უმეტეს მის გამო, რომელ მდაბლისა ხალხისა კაცთა აღრეულთა შფოთიანთა დროთაგან ზედასმისაგან მტერთასა მიუღიესთ გარდუცვალებელ აქამომდე ჩუსულებად დაფარვად ოჯახობათა თვისთა განშორებით სხვათაგან, ამათ შორის შეგროვდებიან რა სხვადასხვანი ოჯახებრივნი უკმაყოფილებანი წარმოებულნი უმეტესი ნაწილით დედაკაცთაგან, ძვირად იქნება სახლობა, შინამკვიდრნი ძმანი ანუ მამა და დაცოლშვილიანებულნი ძენი სცხოვრობდენ ერთად, და ესრედ შეხვდება ერთსა მუშა კაცსა სარჩენად რაუდენიმე ესრეთნი სულნი, რომელთაც არავითარის შემწეობის მიცემა სახლთ მმართველობისა შინა მისდამი არ შეუძლიანთ. — ნაწარმოებნი ჩუსნის ქუსყნისანი ესე იგი სიმიდი და ღომი ესეოდენ დიდსა მოითხოვენ მუშაკობასა რომელ მუშაკობის ოცის თავი სარგებლობა მათგან არ გამოდის. — დასასრულად ყოვლისა ამის მოხდების რომელ მარტოხელთა მცხოვრებთა არა თუ ოდენ ხშირად ექმნებათ თვით უკიდურესი ნაკლულევანება ტანისა და ფეხის სამოსში არამედ არსებითსა საზრდოსა შინაცა და ამის გამო იძულებულნ იქმნებიან ხელყოფად გასყიდვად უძრავისა მამულისა, წარმოებად პირტყვთ ქურდობისა და სხვათა უკანასკნელ განულტოლვადცა სადმე. — აღმოსაფხვრელად ამისა მე ვგონებდი მცა, რათა დაედგინოსთ ვალდებულებად ადგილობითთა მთავრობათა აქვნდესთ ფიცხელი დაცულება მცხოვრებთა ზედა რათამცა მათ არ გაბედონ განყოფა უკეთუ ოჯახობაში არ იქმნეს ხუთი სული მაინც მოწიფული მამაკაცი, მაშინ მცხოვრებთა ექმნებათ გაუძნელებელნი საშვალებანი ერთთა ვაჭრობისა, მეორე ფულის მოგებისა და ზოგთა ხვნისა და თესვისა, ღვინის კეთებისა და სხვათა მოქმედებეთა.

დ

გ.-, სახელმწიფონი ყმანი, რომელთაცა შეწერილი აქვსთ ფულის ბეგარა სულზედ და რომელნიცა სცხოვრობენ მარტო ხელად და ჰყავსთ მცირე წლოვანნი შვილები ჰგრძნობენ ეგრეთვე დიდსა უკიდურესობასა ზღვევასა შინა ბეგრი-

სასა, ამის გამო უმჯობეს იქმნებოდა უკეთუ მიენდობა თვით სოფლის საზოგადოებისა შემოტანა ბეგრისა სულის ანგარიშით, ესრეთ რომელ თვით მცხოვრებთა გააგდონ ურთიერთისა შორის ანგარიში შეძლებულზედ. მომეტებულ და მეტ-ძლებელზედ მცირე, ხოლო თითოეულსა ოჯახში მყოფს სულის რიცხვზედ ნუ მოეკიდებიან აწ., უკეთუ ნაცვლად ფულისა მოეთხოვებათ ხორაგი როგორც ესე იყო დროსა გურიის მთავართასა მაშინ ამის მიერ ხალხი მიიღებს დიდსა სიმსობუქესა და იქმნება მათთვის პირველ საგნად თვისის მდგომარეობის უმჯობეს ყოფნისა.

დ. ე. ზემოორე განცხადებულსა გლახაკობითსა მდგომარეობისა თანა გურიის მცხოვრებთასა, მათ ზედა დადებულ არს დაცვა კორდონის საყარაულოებისა, რომელსაც ზედა მიჩენილ არს მიუცილებლად თვისის ანგარიშით სამას ორმოცდა ათი დაიარაღებულნი კაცნი. — მსახურებასა ამას აღასრულებენ გაანგარიშებით და რიგით ყოველთა წოდებათა გლეხნი კაცნი. — შეხვდებათ ასე რომ მარტოხელს მცხოვრებს შეემთხუსს რიგი ასეთს დროს რომ მან უნდა დაკარგოს შემთხვევა დათესვისა ანუ გაბარვისა ანუ მოწევისა წლიურისა თვისისა მოსავალისა, და ამის გამო მთელს წელს ოჯახობითურთ თვისით უნდა დაშთენ მშიერნი, მოსამსუბუქებლად ამისასა ხალხი მოუწოდს მხოლობითსა შემბრალეობასა მთავრობისასა და პატივის დებასა უკიდურესისა თვისისა სილარიბისასა, რათა საყარაულოებზედ ექმნესთ შემსუბუქება, თუ სამარადისოდ არა, ნახევრობით მაინც რეღულიარნის ჯარის დაყენებით.

დ

ე.-, მცხოვრებთა გურიისათა როგორც მაღლისა ეგრეთვე მდაბლისა ხარისხისათა აქვსთ, ურთიერთშორის ფდ დიდ რიცხვნი ცილობანი, ყმათა ადგილ მამულთა და სხვათა ზედა რომელთათვის შორს მდგომარეობისა გამო ქალაქის ქუთაისისა იქაურსა უეზდნის სუდსა შინა ეძნელებად მსვლელობაი და ამისთვის მიუცილებელ საჭიროდ იხედების დაწესება გურიაშიდ სუდისა, დანიშვნითა მას შინა ჩლენებისათა აქაურთა თავადთაგან აღმორჩევითა საზოგადოებისათა და რათამცა ამა სუდსა შინა დაბოლოებულ იქმნებოდა სასისხლონი საქმენიცა.

დ

ვ.-, განსანათლებლად ყრმათა მიუცილებლად საჭიროა რათა დაიწესოს გურიაშიდ სასწავლებელი.

დ

ზ.-, გურია შემოსრულ არს მმართებლობისა შინა როსსისასა ჩყკ — წელში, ვიდრე ამა ჟამამდე იმართებოდა იგი ადგილობრივთა ჩუსულებითა და კანონითა საქართველოის მეფის ვახტანგისათა. ათწლობითნი სუდში და ათ კვირაობითნი პოლიციაში. დიდ ხნოვანებანი არაოდეს გურიაში გამოცხადებულ არ ყოფილან და ამის გამო მცხოვრებნი ოდესმე მოაკლდებიან უბრალოდ თვისსა საკუთრებასა. თანასწორითავე სახითა გავრცელებულ არს გურიასა ზედა უჯუროთ განკარგულება განთავისუფლებისათვის მებატონედ მფლობელობისაგან — სამღვდელოთ შვილთა ჩყი.-წლითგან, მაშინ როდესაც გურიაში განკარგულებასა ამას უნდა მიეღოს ძალი თვისი უკეთუ არა იმჟამითგან ოდესცა იგი გამოცხადდა, ესე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ჩყლ.—წლიდგან, მაშა ჩყკ.-წლიდამ მაინც ესე იგი იმდროიდამ როდესაც გურია შევიდა რუსეთის მმართებლობასა შინა.

დ

Ц-, გარემისაქცეველად ყოველთა სიყალბეთა და სხვათა ბოროტმოქმედებათა ფდ სასარგებლო იქმნებოდა, რათა მოეთხოვოს გურიის მცხოვრებთა ყოველნი ქონებულნი მათთანა ძველნი საბუთნი და მათგან გარდალებულ იქმნენ პირნი, ვითარცა ესე მოხდენილ არს საქართველოსა და იმერეთსა შინა.

მაღალ აღმატებულო ღენერალო ვითხოვ სულგრძელობითსა მოტევებასა მისთვის რომელ მე გავბედე დამძიმება თქვენი ამა უმდაბლესითა მოხსენებითა ჩემითა რომლისა მოწევნა ცნობადმდე თქვენდა მე მიუცილებელ მოვალეობად შემირაცხიეს.

პოდპოლკოვნიკი გურიის კნიაზი მაჭუტაძე დავით.

Ц. Архив. „Гурийского дела“ № 28.

КОНФИРМАЦИА

КАВКАСИИС ЦАЛКЕ КОРПУСИС САРДЛИСА

ამიერ-კავკასიაში სამოქალაქო მმართველობის დამყარების შემდეგ, ამ მხარეში საფინანსო სისტემის შემოღების პროექტის საფუძველზე, 1841 წლიდან პროდუქტებისა და ნაწარმოების ნაცვლად დაწესებულია ფულადი გადასახადი სახაზინო გლეხებზე 1 მანეთი სულზე, ხოლო მემამულეებისა და საეკლესიო გლეხებზე 50 კაპ. ვერცხლით. ამასთანავე დაწესებულია საერობო ბეგარისათვის ფულადი გადასახადი 35 კაპ. თვითეულ კომლზე და ამას გარდა 9 კაპ. ვერცლით მემამულეთა გლეხებზე.

1841 წლის მაისში საერობო გადასახადის შემოღების დროს სოფელ ლანჩხუთის გლეხებმა, არ ვიცით რატომ, არ გადაიხადეს ეს ფული და გააძევეს ფულის ამკრები, ხოლო შემდეგ, 27 მაისს, აკეთის გლეხებიც, რაკი გაიგეს, რომ ლანჩხუთის მცხოვრებლებმა არ გადაიხადეს ეს ფული, რიცხვით ექვსი კაცი დაესხენ თავს გზად მიმავალ ფულის ამკრებს, წაართვეს მას სოფელში აკრებილი 10 მანეთი ვერცხლის ფული და სცემეს.

როცა ეს ამბავი გაიგო აკეთის ყოფილმა საუბნო მსაჯულმა თავადმა ბარათოვმა, თვით წავიდა დამნაშავეთა დასაპატიმრებლად, მაგრამ რაკი ისინი ბარათოვის მიახლოვებისთანავე გაიქცენ სახლებიდან, მან უბრძანა თანმხლებ ხელოსნებს, რომ ფულის ნაცვლად ჩამოერთვათ მცხოვრებლებისათვის სამი ქვაბი და ორი ძროხა; მაგრამ ამ დროს თავი მოიყარა 50 გლეხმა და განდევნეს იგი საკუთარ ბინამდე. გლეხები ემუქრებოდენ მას და მის მხლებლებს სიკვდილით, განზრახული ჰქონდათ მისი სახლის დაწვა, ქვებით ჩაუმტვრიეს კა-

რები და ფანჯრები, დასჭრეს ერთი აზნაური და ერთიც გლეხი. მათ გაიტაცეს თავიანთი ქვაბები და პირუტყვი და თავი შეაფარეს ტყეს. შემდეგ, მეორე დღეს, 28 მაისს, იგივე გლეხები და სხვა სოფლების გლეხებიც, რიცხვით სამასამდე კაცი, შეიარაღებულნი კეტებით, მივიდენ თავად ბარათოვის ბინაზე და სთხოვეს მას, რომ ეცნობებია მაზრის უფროსისათვის: 1) რომ ისინი კისრულობენ იმ ბეგარას, რომელსაც წინად იხდიდენ, ხოლო საერობო ბეგარის გადახდა არას შემთხვევაში არ შეუძლიათ მათი უკიდურესი სიღარიბის გამო; 2) რომ აპატიონ მათ, რომელთაც მოახდინეს უწესოება, ვინაიდან მასში მონაწილეობას იღებდა გურიის მთელი გლეხობა და 3) რომ გამოიცვალოს აკეთის ნაცვალი.

ამ უწესოების აღსაკვეთად მაზრის უფროსი გაემგზავრა აკეთში ჯარისკაცთა რაზმის თანხლებით; მისი მიახლოებისთანავე გლეხები დაიშალენ, მაგრამ რაზმის გაბრუნების შემდეგ, 1 ივნისს, დაჰკრეს ნაღარა და კვლავ შეიკრიბა 2000-მდე კაცი. მათ ჩამოიარეს სოფლები, წაართვეს მცხოვრებლებს ღვინო და საკვები და გაიყოლიეს მათი მომხრე ახალი ამხანაგები. პირველად ისინი თხოულობდენ მხოლოდ ფულადი გადასახადისაგან განთავისუფლებას, ხოლო შემდეგ დაიწყეს ჩივილი, რომ სამღვდელოება ახდევინებს მათ უზომო გადასახადს მღვდელთმსახურების შესრულებისათვის, რომ ავიწროვებენ მესაკუთრეებს, რომ აუტანელია ის სახაზინო მუშაობა, რაც წარმოებდა 1840 წელს, რომ ვითომდა ხელისუფლების მიერ უდანაშაულოდ არიან დაპატიმრებულნი ზოგიერთი პირები და სხვა. მაზრის უფროსის მიერ გაგზავნილ ოთხი მოხელის დარიგებამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო აჯანყებულ გლეხთა შორის. მათ სთქვეს, რომ განზრახული აქვთ მოაწყონ აჯანყება მთელს მაზრაში, ხოლო შემდეგ მივლენ თურქეთის საზღვაზე და გამოაცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს. სხვათა შორის, აჯანყებულებმა გადახერგეს ორი გზა, მიმავალი ოზურგეთიდან ნაგომარსა და ჩოხატაურში, ამავე გზებითაა მიმოსვლა იმერეთს; ხოლო შემდეგ, ივლისის დასაწყისში, თავს დაესხენ სოფელ გურიანთას, მაგრამ რაკი ისინი მოიგერიეს თავადმა ნაკაშიძეებმა, დაიწყეს თავიანთ სახლებში წასვლა.

ამ დროს, სახელდობრ 12 ივლისს, გურიაში ჩამოვიდა ქართლ-იმერეთის ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი კოხანოვი, რომელმაც სხვადასხვა სოფლიდან დაიბარა გლეხები, დაარიგა ისინი და შესწყვიტა შფოთი; მაგრამ მისი გაბრუნების შემდეგ, 17 ივლისს, ასკანის სამოურაოს მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ მანამ არ დათანხმდებიან ფულის გადახდაზე, სანამ მას არ შეიტანენ აკეთის მცხოვრებლები, ამის მიზეზად დაასახელეს ის რომ წინედ ისინი აკეთის მცხოვრებლების მიერ ძალით იყვნენ ჩათრეული აჯანყებაში და ეხლა ეშინიათ, რომ თუ უწინ დაიწყებენ ფულის გადახდას, კვლავ არ აიძულონ და მონაწილეობა არ მიაღებინონ წინააღმდეგობის გაწევაში. შემდეგ დაიწყო უწესოება აკეთშიაც და, ბოლოს, კვლავ შეიქმნა ჯგუფები (პარტიები) შემოქმედში 50 კაცი, ჯვარიცხეში 300 და საერისთაოში 1500 კაცი. ზოგიერთი მათგანი აჯანყების მიზეზად ასახელებდა იმ შევიწროებას, რასაც მათ აყენებდა მემამულე თავადის ასული ელისაბედ გურიელი, ხოლო სხვები კი აიძულებდენ ფულის ამკრებლებს დაებრუნებიათ მათთვის ფული, სცემდენ მათ და ანადგურებდენ მათ ოჯახებს.

ამ ახალი უწესოების აღსაკვეთად გაიგზავნა რაზმი 100 კაცის შემადგენლობით და რამდენიმე მილიციელი შტაბს-კაპიტან ღოლობერიძის მეთაურობით, რომელიც მივიდა აჯანყებულებთან და მოსთხოვა მათ, რომ დაშლილიყვნენ. ამასთანავე ერთმა მილიციელმა თავადმა ანტონ ერისთავმა განიზრახა ერთი გლეხის დაპატიმრება, მაგრამ ამ გლეხმა დასჭრა იგი ხანჯლით სახეში. ამის შემდეგ აჯანყებულნი გაეშურენ საჯევახოსა და სხვა სოფლებში და საყვირებით აგროვებდენ სხვა გლეხებს.

28 ივლისს გენერალ-მაიორი კოხანოვი კვლავ ჩავიდა გურიაში და მოითხოვა თვითეულ პარტიისაგან რამდენ-რამდენიმე კაცი, რომელთაც მათ განუცხადეს, რომ სისწორით შეასრულებენ მის ბრძანებას, დაბრუნდებიან თავიანთ სახლებში და შეიტანენ გადასახადს, და დაიწყეს დაშლა. მხოლოდ მეთაურები არ დამორჩილდენ, მათ აკეთში სცემეს ხელოსანს, მოახდინეს უწესოება სახალხო მსაჯულის ბარათოვის ბინაში, ეს 15 კაცი იმალებოდა ტყეში, ისინი თავს დაესხენ სამ ჯარისკაცს ნაგომარის საგუშაგოზე; მაგრამ შემდეგ ჩანჩეთისა და ზომლეთის მცხოვრებლების თხოვნით გენერალმა კოხანოვმა ამ გლეხებსაც ნება დართო დაბრუნებულიყვნენ სახლში, რითაც მათ ისარგებლეს.

ამ რიგად შეწყდა მეორე აჯანყება და საერობო ბეგარის გადახდაც გაგრძელდა. უცებ, არ ვიცით თუ რა მიზეზით, ოზურგეთის უბნის, სოფელ თხინვალის გლეხებმა და სხვებმა უარი განაცხადეს ფულის შეტანაზე და დაიწყეს სხვა სოფლების მცხოვრებლების შეკრება. მაზრის უფროსმა გაგზავნა მათთან მოხელეები და მღვდელი, რომელთაც გლეხებმა განუცხადეს, რომ აკეთისა და საერისთაოს გლეხებმა დაარწმუნეს ისინი, რომ მათ ფულს აღარ ახდევინებენო. ყოველგვარი რწმუნება, რომ ისინი მოტყუებულნი არიან, უშედეგო გამოდგა. მათ ფიცი მიაღებინეს აზნაურ ბოლქვაძეებს, რომ მხარი დაუჭირონ გლეხთა მოთხოვნებს, მოახდინეს სხვადასხვა უწესოება, ჩამოიარეს სოფლები, გაიყოლიეს მცხოვრებლები და მიაღებიეს მათ და აზნაურებს ფიცი, რომ არ გასცენ ურთიერთი. შემდეგ აკეთშიაც დაიწყო უწესრიგობა, რასაც ახდენდენ სახლში დაბრუნებული მეთაურები და ბოლოს, შესდგა პარტიები. იყო ხმა, როგორც ეს გვაუწყა გურიის მაზრის უფროსმა, რომ 20 აჯანყებულთაგანი დადიოდენ თურქეთში და ქობულეთში და იღებდენ იქაური ბეგის ხასან თავდგირიძისაგან თოფისწამალსა და ტყვიას, და რომ ბეგი დაპირებია მათ დახმარებას ადამიანებითაც.

9 აგვისტოს აჯანყებულებმა გაძარცვეს ნატანების საბაჟო და ჩოლოქის ხაზინა, გაიტაცეს სურსათით დატვირთული ურმები, გაგზავნილი ნიკოლოზის სიმაგრეში, და მოკლეს რამდენიმე ჯარისკაცი, რომლებიც თან მიყვებოდენ სოფელ გურიანთაში მდგარ როტისათვის გაგზავნილ სურსათს. რომ დარწმუნებულიყო, თუ რამდენად მართალია ეს ამბავი, იმერეთისა და გურიის სამხედრო ნაწილების გამგე პოლკოვნიკი ბრუსილოვი გაემგზავრა ოზურგეთიდან ორი როტით აჯანყებულთა ბანაკში, მაგრამ ისინი შეხვდენ მას სროლით და აიძულეს დაეხია უკან, თან მოუკლეს და დაუჭრეს 20 კაცი.

ამის შემდეგ აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ოზურგეთს, მოხსნეს თურქეთის საზღვარზე მდგომი მცველები, დასწვეს ოზურგეთის ძველი კარანტინი,

გაძარცვეს წმ. ნიკოლოზის ციხეში სასურსათო მაღაზია, საბაჟო, ყაზახთა საგუშაგო და კარანტინი, გაძარცვეს საბაჟო და ყაზახთა საგუშაგოები ოზურგეთიდან რედუტ-ყალაში მიმავალ გზაზე, გადასწვეს გურიაში დაბანაკებულ ჯარის საცხოვრებლები. ორი სახაზინო აგურის ქარხანა, ახლად აშენებული კარანტინი ჩოლოქში და ყაზახთა საგუშაგოები ნაგომარსა და ჩოხატაურში. შემდეგ, 18, 19 და 20 აგვისტოს გაუმართეს ბრძოლა სამეგრელოს მფლობელს თავად დადიანს, რომელიც მილიციელების თანხლებით მიიწევდა ოზურგეთისაკენ, და აიძულეს ის დაეხია უკან, თან მოუკლეს და დაუჭრეს ორმოცამდე კაცი. 23 აგვისტოს ბრძოლა ჰქონდათ პოლკოვნიკ თავად წერეთელთან, ვინაიდან ისიც იმერელ მილიციელების თანხლებით მიიწევდა ოზურგეთისაკენ, აიძულეს დაეხია უკან, მოუკლეს 7 და დაუჭრეს 22 კაცი.

სხვათა შორის, ოზურგეთიდან გაიქცა 50 თურქი ვაჭარი და შეუერთდა აჯანყებულებს. 30 აგვისტოს ამ თურქებმა ოზურგეთიდან გაგზავნილ ყაზახთა რაზმს მოუკლა ერთი და დაუჭრა ორი კაცი, ხოლო შემდეგ აჯანყებულებმა ტყვიები დაუშინეს ოზურგეთს. 31 აგვისტოს სროლა მათი მხრიდან არ შეწყვეტილა. აჯანყებულებმა მოაწყვეს ბატარეა ერთი ზარბაზნისაგან, ხოლო 1 სექტემბერს გადმოვიდენ იერიშით ოზურგეთზე, მაგრამ ეს იერიში მოგერიებულ იქნა. შემდეგ გამოგზავნეს მღვდელი წინადადებით, რომ რუსები გასულიყვნენ გურიიდან. მათ უბრძანეს დამორჩილებულიყვნენ. 3 და 4 სექტემბერს სროლა აჯანყებულთა მხრიდან არ შეწყვეტილა. დაბოლოს, 5 სექტემბერს, პოლკოვნიკი თავადი არღუთინსკი-დოლგორუკი, რომელიც გამოგზავნილი იყო გურიაში ჯარის რაზმით მშვიდობიანობის აღსადგენათ, მიუახლოვდა ოზურგეთს და გაფანტა აჯანყებულნი. ამ დროს თავად არღუთინსკი-დოლგორუკის რაზმიდან მოჰკლეს და დასჭრეს 18 კაცი. ამრიგად საბოლოოდ შეწყდა აჯანყება. ამ აჯანყებას შედეგად მოჰყვა ზემოდაღნიშნული ზარალი ხაზინის მხრივ და გარდა ამისა მრავალი კერძოც.

აჯანყების დასრულების შემდეგ, პოლკოვნიკმა თავადმა არღუთინსკი-დოლგორუკიმ დააპატიმრა გურიის აჯანყების გამომწვევნი და მეთაურები, სულ 48 კაცი. გარდა ამისა მან წარმოადგინა აჯანყების იმ 10 მეთაურის სია, რომელნიც გაიქცენ თურქეთში, მათი რიცხვიდან ერთი შემდეგ დააპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს *).

სამხედრო სასამართლოს გამოძიებით დამნაშავენი აღმოჩნდენ:

პირველი თანრიგის დამნაშავენი:

პირველი ხარისხის: სოფელ აკეთის გლეხები: ენუქა ვადაჭკორია 18 წ. ათანა ვადაჭკორია 17, გოგია ვადაჭკორია 18, ნიკოლოზ ვადაჭკორია 17, დათიკო მეგრელაძე 17, და მათე ჩენჩაბაძე 18 წლისა. მათ ბრალდებათ: ხელოსანისათვის ფულის წართმევა, თავდასხმა სხვებთან ერთად სახალხო მსაჯულის თავად ბარათოვის სახლზე, ამასთანავე ენუქი, ათანა და გოგია ვადაჭკორიებმა დასჭრეს ერთი აზნაური და ერთი გლეხი. ყოფილ სახალხო მსაჯულის თავად

*) სასამართლოზე გადაცემულთაგან სამი კაცი გარდაიცვალა.

ბარათოვის ცნობით იგინივე იყვნენ მთავარი ხელმძღვანელები და შედგენილი ყავდათ ფირალთა ჯგუფი; მას შემდეგ, რაც მათ ხელოსანს წაართვეს ფული, შეადგინეს ფირალთა ეს ჯგუფები და მონაწილეობას იღებდენ მთავრობის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში: ზოგი ოზურგეთთან, ზოგი ნაგომართან და ზოგიც ჩოხატაურთან.

მეორე ხარისხის: გლეხები: ნიკოლოზ ჩენჩებაძე 30 წ. და ლაზარე ვადაჭკორია 16 წლისა, ბრალდებათ თავდასხმა სხვებთან ერთად სახალხო მსაჯულის სახლზე, მონაწილეობა იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდენ ფირალები მთავრობის ჯართან.

და **მესამე ხარისხის:** გლეხები: გრიგოლ კვაჭანტირაძე 18 წ., ესიკა ხუხუნაიშვილი 20 წ., ივანე ნიკოლოზის-ძე მახარაძე 22 წ., ივანე გრიგოლის-ძე მახარაძე 17 წ., ესიკა გელაძე 32 წ., და გოგია დუმბაძე 20 წ. მათ ბრალდებათ ფირალობა და მონაწილეობის მიღება მთავრობის ჯართან ბრძოლაში. ყველა დასახელებულმა 14 კაცმა აღიარა დანაშაული, გარდა მთავრობის ჯართან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისა, მაგრამ ამ უკანასკნელ ბრალდებას ადასტურებენ მოწმეები თავიანთი ჩვენებებით.

დამნაშავენი მეოთხე თანრიგისა:

პირველი ხარისხის: პროპორჩიკი თავადი ამბაკო შალიკაშვილი, 48 წ., სახაზინო აზნაურები სიმონ ქარცივაძე, სიმონ ჭყონია და თავად კასიმ გუგუნავას უკანონო შვილი ქაიხოსრო გუგუნავა, — მათ ბრალდებათ აჯანყებულთათვის ხელმძღვანელობის გაწევა. ამათგან შალიკაშვილი იყო დაბა ოზურგეთის მილიციელთა შორის და აჯანყებულთა მიერ ამ დაბის ალყის შემორტყმის დროს გაიქცა იქიდან და შეუერთდა მათ, იკისრა მათი უფროსობა და მონაწილეობა მიიღო ოზურგეთზე ალყის შემორტყმაში; ჭყონია მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში ნაგომართან და ოზურგეთთან, გუგუნავა ნატანების საგუშაგოს დაწვაში და ოზურგეთზე ალყის შემორტყმაში, ხოლო ქარცივაძის შესახებ ამოწმებს პოლკოვნიკი თავადი არღუთინსკი-დოლგორუკი, რომ ის იძულებით შეუერთდა აჯანყებულებს და ხელმძღვანელობდა ხალხის ბრბოებს, პირველსავე დაუმორჩილებლობის დროს მან მაიორ თავად ნაკაშიძესთან ერთად უკან დაახევინა აჯანყებულებს და არ გაუშვა ისინი შეჭრილიყვნენ გურიაში. შემდეგ გუგუნავა პირველი გამოცხადდა თავად არღუთინსკი-დოლგორუკთან. მონაწილეობას იღებდა რაზმის ყველა მოქმედებაში და აღმოუჩინა მას დახმარება დამნაშავეთა დაპატიმრებაში. აჯანყებამდე იგი, მცხოვრებლების სიტყვით, არაფერ ცუდში შემჩნეული არ ყოფილა.

მეორე ხარისხის: გლეხები: ესაკი მამულაშვილი 50 წ., გოგია ჯიბლაძე, 26 წ., მახარბელ ჯიბლაძე 19 წ., ესიკა ჯიბლაძე 16 წ., ნიკოლოზ თოიძე 50 წლის, და გოგიჩაი გორდელაძე 26 წ. მათ ბრალდებათ საერობო ბეგარის გადახდაზე უარის თქმა, რაც იყო აჯანყების მიზეზი. მათგან მამულაშვილმა პირველმა უთხრა გადასახადის ამკრებს, რომ სოფელი კახური (თუ ლეხაური?) არ შეიტანს ფულს მანამ, სანამ სხვა სოფლები არ გადაიხდიან საერობო ბეგარას,

ხოლო შემდეგ, როცა საყვირებით დაიწყეს გლეხთა შეკრება, იგი შეუერთდა აჯანყებულთ და მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ბრძოლებში მთავრობის ჯარის წინააღმდეგ; გოგია, მახარობელ და ესიკა ჯიბლაძეებმა, როდესაც განსვენებული თავადი სიმონ ერისთავი ჩავიდა სოფელ ამაღლებაში და განაცხადა, რომ გურიაში დაიწყო აჯანყება, არიგებდა გლეხებს არ გაეწიათ ურჩობა მთავრობისათვის, — სთქვეს, რომ მათ არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ აჯანყებულებს, რომლებიც, ალბად, დასწვავენ მათ სახლებს, თუ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ აჯანყებაში, შემდეგ ყველა ჯიბლაძეები სხვა აჯანყებულებთან ერთად იყვნენ ჩოხატაურში და იქიდან დაბრუნდნენ სახლში; თოიძემ და გორდელაძემ პირველებმა უთხრეს თავად დავით მაჭუტაძეს, რომ სოფელი ლეხაური მხოლოდ მაშინ შეიტანს ფულს, როცა სხვები გადაიხდიან საერობო ბეგარას, ხოლო შემდეგ, როცა აჯანყებამ ყველგან იფეთქა, ისინი შეუერთდენ აჯანყებულებს და მონაწილეობას იღებდენ ყველა ბრძოლებში მთავრობის ჯარის წინააღმდეგ.

მესამე სარისხის: გლეხები: მამუკა ანთაძე 40 წ., მახარობელ დოლიძე, 60 წ., იასე შეწირული, 58 წ., და სიმონ ჭყონია 30 წ. მათ ბრალდებათ მცხოვრებლების აჯანყება და მონაწილეობის მიღება მთავრობის ჯარის საწინააღმდეგო ბრძოლებში. ამათგან ანთაძემ და დოლიძემ აამხედრა ასკანის სამოურაოს გლეხები, რომ არ შეეტანათ საერობო ბეგარა, შეაგროვეს ჯგუფი და სურდათ თავდასხმა სოფელ ასკანაზე, მაგრამ აქ ისინი არ დაუშვა თავადმა დიმიტრი ერისთავმა. შემდეგ ისინი შეუერთდენ აჯანყებულთ და მონაწილეობას იღებდენ ყველა ბრძოლებში მთავრობის ჯარის წინააღმდეგ. შეწირული და ჭყონია შეუერთდენ აჯანყებულთ თავიანთი სურვილით და თუმცა შეწირულს იარაღი არ ჰქონია, მაგრამ სიტყვით მოქმედებდა აჯანყებულებზე, ხოლო ჭყონიამ გაიწვია სხვებიც და მონაწილეობა მიიღო, როგორც მოწმეები ადასტურებენ ხმების მიხედვით, ნიკოლოზის სიმაგრის გაძარცვაში და ყიდდა სახაზინო ფქვილს.

ყველა ზემოთ აღნიშნული 14 კაცი არ გამოტყდა თავის დანაშაულში, მაგრამ მათ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს ადასტურებენ მოწმეები.

დამნაშავენი მესამე თანრიგისა:

სახაზინო აზნაური ალექსანდრე ნაკაიძე 30 წ., და გლეხები: ესიკა კვაჭანტირაძე 30 წ., ბუჩა ჩხატარაიშვილი 30 წ., მაქსიმე ჯორბენაძე 17 წ., გაბილა ბაქანიძე 35 წ. და დათა ღლონტი 20 წ., პირველი მონაწილეობას იღებდა ნიკოლოზის სიმაგრის გაძარცვაში და სახაზინო ფქვილის გაყიდვაში, ხოლო დანარჩენები მონაწილეობას იღებდენ ბრძოლაში მთავრობის ჯარის წინააღმდეგ თავიანთი ნებაყოფლობით. კვაჭანტირაძე და ჩხატარაიშვილი—ყველა ბრძოლაში, ჯორბენაძე და ღლონტი—ოზურგეთზე ალყის შემორტყმაში, ხოლო ბოლქვაძე მარტოოდენ გოლეტასთან (?) ბრძოლაში, სადაც დაიჭრა ფეხში მუხლს ქვემოდ ტყვიით. გარდა ამისა ის უგზავნიდა აჯანყებულთ გასამხნევებელ წერილებს. ბრალდებულთაგან მხოლოდ ბაქანიძემ აღიარა თავისი დანაშაულობანი, ხოლო დანარჩენების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს ადასტურებენ მოწმეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავენი მეოთხე თანრიგისა:

პირველი ხარისხის: მემამულის აზნაური გოგია ქარცივაძე 19 წ., სახელ ზინო აზნაურები: გოჯასპირ ჭყონია 45 წ., ლევან ჭყონია 25 წ., მღვდლის შვილი დათიკო კუტიძე 20 წ. და გლეხები: სიმონიკა კოკილაძე 30 წ. და პეტრე მოქია 60 წ. მათ ბრალდებათ მონაწილეობის მიღება მთავრობის ჯარის საწინააღმდეგო ბრძოლაში იძულებით. ამაში მათ ამართლებს მოწმეების ჩვენება.

მეორე ხარისხის: მემამულის აზნაური ალექსანდრე ქარცივაძე 40 თუ 45 წლისა, და გლეხები გრიგოლ სიამაიშვილი 27 წ., გრიგოლიტა გოგიჩაიშვილი 30 წ., სიმონიკა ლომაძე 19 წ., ნიკოლოზ სულაბერიძე 50 წ. და დათიკა მჟავანაძე 23 წ. მათ ბრალდებათ აჯანყებულებთან ყოფნა იძულებით, არ მიუღიათ მონაწილეობა ბრძოლაში მთავრობის ჯარის წინააღმდეგ.

გარდა ამისა ამ საქმის გამო აღმოჩნდა:

32 ბრალდებულმა მისცა ჩვენება, რომ აჯანყებულთა ხელმძღვანელნი, გარდა საქმეში აღნიშნულ პირთა, იყვნენ თავადი დათო გუგუნავა და აზნაურები: კონსტანტინე ჯაყელი და გოგია მამუკას-ძე ქარცივასე და 12 კიდევ სხვა.

პოლკოვნიკმა ბრუსილოვმა, კაპიტანმა გაბაევმა, პოდპორუჩიკმა თავადმა თავდგირიძემ და პრაპორშჩიკმა თავადმა გიორგი ერისთავმა მისცეს ჩვენება, მათგან გაბაევმა ფიცს ქვეშ, რომ თავადი გუგუნავა იმყოფებოდა რა ოზურგეთის მილიციელთა შორის, ამ დაბაზე აჯანყებულთა მიერ ალყის შემორტყმის დროს გაიქცა იქედან და ხელმძღვანელობას უწევდა აჯანყებულთ ოზურგეთზე თავდასხმაში.

ამის გამო კომისიის განკარგულებით დაპატიმრებულია თავადი გუგუნავა, ხოლო დანარჩენ ორთა დასაპატიმრებლად გაცემულია განკარგულება გურიის მაზრის უფროსის მიერ.

სამხედრო სასამართლოში დაკითხვის დროს თავადმა გუგუნავამ აჩვენა, რომ ის ოზურგეთში ყოფნის დროს გახდა ავად ციებით და სურდა ესარგებლნა შინაური საშუალებებით, წავიდა ოზურგეთიდან, მაგრამ გზაში ის დააპატიმრეს აჯანყებულებმა და აიძულეს, რომ მათთან ყოფილიყო ოზურგეთზე ალყის შემორტყმის დროს. მას კი არავითარი მონაწილეობა არ მიუღია აჯანყების საქმეში იმიტომ, რომ ავად იყო და არც სურდა აეღო იარაღი მთავრობის წინააღმდეგ, არც ჰქონდა საამისოდ რაიმე მიზეზი. მეოთხე დღეს მოშორდა აჯანყებულთ და გამოცხადდა თავად არღუთინსკი-დოლგორუკთან; ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია აჯანყებულთა საქმეში, რომ წაყვანილი იყო მათ მიერ ძალით და იყო ავად. წამოაყენა მოწმეებად ერთი აზნაური და 6 გლეხი. ამ ადამიანებმა, რომლებიც დაკითხული იყვნენ დაუფიცებლად, დაადასტურეს თავად გუგუნავას ჩვენება.

ხოლო პირისპირ მასთან შეხვედრისას უჩვენეს: კაპიტანმა გაბაევმა, რომ მან მხოლოდ დაინახა გუგუნავა აჯანყებულთა შორის და გაიგონა მცხოვრებლებისაგან, რომ ის იყო მათი მეთაური, მაგრამ მოქმედებდა თუ არა ის, ამის მტკიცება არ შეუძლია. ბრალდებულთაგან მხოლოდ 15 კაცმა დაადასტურა თავისი ჩვენება, რომ ის იყო მეთაური, ხოლო დანარჩენებმა კი შესცვალეს რა თა-

ვიანთი ჩვენება, სთქვეს, რომ ფიქრობდენ, რომ ის იყო მეთაური, როგორც თავადი, მაგრამ მას რომ მონაწილეობა მიეღოს ბრძოლაში მთავრობის ჯარის წინააღმდეგ, ეს არავინ არ უჩვენა.

თავადმა გუგუნავამ კი ამის საწინააღმდეგოდ განმარტა, რომ ბრალდებული გლეხები, რომელნიც მას ხელს ადებენ, ეკუთვნიან თავად შალიკაშვილებს, ისინი შურს ძიობენ გუგუნავაზე იმისათვის, რომ მისმა ბიძამ, თავადმა მამუკა გუგუნავამ დააპატიმრა აღნიშნული გლეხები. გარდა ამისა მათ წაართვეს იმერელ მილიციელებს 6 ცხენი, რომელიც გუგუნავამ ჩამოართვა შემდეგ მათ და დაუბრუნა პოლკოვნიკ თავად წერეთელს, რომლისაგანაც აქვს ამის შესახებ ხელწერილი. ხოლო პოდპორუჩიკ თავად თავდგირიძეს, რომელიც აბრალებს მას ვითომდა მონაწილეობას იღებდა ოზურგეთზე ალყის შემორტყმაში, დიდი ხნიდან აქვს მასთან მემკვიდრეობითი მტრობა, რაც იციან გურიის ყველა თავადებმა და აზნაურებმა, თავად გიორგი ერისთავს კი ჰქონდა მტრობა მისი გუგუნავას მამასთან იმისათვის, რომ მან არ მისცა გუგუნავას ნება ცოლად შეერთო ერისთავის ქალიშვილი. გარდა ამისა გიორგი ერისთავს დიდი ხნიდან, ჯერ კიდევ გურიის მფლობელთა დროიდან, ჰქონდა მტრობა გუგუნავას მამასთან იმისათვის, რომ მამამისი იყო მფლობელთა მომხრე და ეწინააღმდეგებოდა ერისთავს, რომელიც არ ემორჩილებოდა გურიის მფლობელთ, რაც იცის აგრეთვე მთელმა გურიამ.

ამ საქმის გამო შეკრებილ ცნობებით გამოირკვა, რომ 15 ბრალდებულთა ის ნაწილი, რომელიც ამტკიცებს, რომ გუგუნავა იყო აჯანყებულთა მეთაური, მართლაც ზოგიერთი მათგანი ეკუთვნის მემამულე შალიკაშვილებს და ყველანი ნამდვილად დაპატიმრებული იყვნენ ბრალდებულ გუგუნავას ბიძის, თავად მამუკა გუგუნავას მიერ.

პოდპორუჩიკ თავად თავდგირიძეს და პრაპორშჩიკ გიორგი ერისთავს, როგორც გვაცნობა გურიის მაზრის უფროსმა და აკეთის უბნის მსაჯულმა, რომლის უბანში ცხოვრობდა თავადი გუგუნავა, მართლაც აქვთ მტრობა დათა გუგუნავასთან და მათგან ერისთავს სურდა მიეცა ცოლად გუგუნავასთვის თავისი ქალიშვილი, მაგრამ გუგუნავა ამაზე არ დათანხმდა.

გუგუნავას ყოფაქცევის შესახებ მაზრის უფროსი და უბნის მსაჯული კარგი აზრის არიან. აჯანყებულთა ბრბოში ყოფნის შესახებ ამ უკანასკნელმა მაცნობა რომ, გურულების სიტყვით, გუგუნავა იმყოფებოდა აჯანყებულთა შორის ხუთი თუ ექვსი დღე ძალდატანებით, ხოლო მაზრის უფროსმა მაცნობა, რომ გუგუნავას აჯანყებაში მონაწილეობის შესახებ არ შეიძლება დავემყაროთ გურულების ჩვენებას, რომელთაგან ერთნი ლაპარაკობენ მის სასარგებლოდ, ხოლო მეორენი კი გუგუნავას საზიანოდ ან მემკვიდრეობითი კავშირისა, ან და მისდამი მტრობისა და უკმაყოფილების გამო; საღი მოსაზრებით კი ამ აზრს უნდა დავემყაროთ, რომ თავად გუგუნავას, წარჩინებულ გვარის შვილს, არ შეეძლო დარჩენილიყო ხელმძღვანელად აჯანყებულთა ბრბოში, რომელიც უმთავრესად შესდგებოდა უბრალო, გაუნათლებელ გლეხებისაგან. პოლკოვნიკმა თავადმა არღუთინსკი-დოლგორუკიმ მაცნობა, რომ თავადი დათა გუგუნავა მართლაც იმყოფე-

ბოდა აჯანყებულ მცხოვრებლების ბრბოში, რომელთაც ის მოშორდა ალოუთინსკის გურიაში ჩასვლისთანავე და გამოცხადდა მასთან 4 სექტემბერს ნაგომარის საგუშაგოზე.

ამ საქმეზე გაწეულია სამხედრო სასამართლოს კომისიაში მივლინებულთა საგზაო, დღიური და სხვა ხარჯები, გადარიცხული დამნაშავეთა ანგარიშზე: ტფილისის საკომისარო კომისიიდან 136 მან., $25^1/_2$ კაპ. ვერცხლით და ეკსტრა ორდინალურ თანხიდან 180 მან. ვერცხლით და გარდა ამისა დახარჯულია სამხედრო სასამართლოს წევრების მიერ გურიაში გამოსაძიებლად გამგზავრების დროს 88 მან., 28 კაპ. ვერცხ., სულ 404 მან. $53^1/_2$ კაპ. ვერცხ..

განვიხილე რა განსაკუთრებულის ყურადღებით გურიაში მომხდარ აჯანყების ყველა გარემოებანი, მე ვფიქრობ, რომ ამის პირველი საბაბი იყო საერობო ბეგარად ფულის შეკრების შემოღება, რასაც უწინ იხდიდენ პირადათ და შეჰქონდათ ნატურალური ნაწარმოებებით. ეს ხარკი, თუნდაც უმნიშვნელო, მაინც საგრძნობი იყო ღარიბი ხალხისათვის, რომელიც არ იცნობს არავითარ მრეწველობას, ამასთანავე ბოროტგამზრახველებმა ისარგებლეს ამით, რომ გურულებში აღეძრათ შიში, რომ ახალი გადასახადი მომავალში თანდათან გაიზრდება და უკიდურესად შეავიწროებს ხალხსო.

საქმიდან სჩანს, რომ პირველი ცდა წინააღმდეგობა გაეწიათ ფულადი გადასახადის შეკრებისათვის, მიზნად ისახავდა მიეღოთ მთავრობის თანხმობა მის გაუქმებაზე; მაგრამ რაკი ეს წარმატებით არ დამთავრდა, დაიჟინეს თავიანთი მოთხოვნანი და ბრბოები, წახალისებულნი მეამბოხეთა მიერ, კიდევ უფრო შორს წავიდენ და შემდეგ, ეშინოდათ რა დასჯისა, გაბედეს ემოქმედათ შეიარაღებული ხელით. ამრიგად მათ ხელი მიჰყვეს სახაზინო შენობების განადგურებას, სახაზინო და კერძო ქონების ძარცვას, დაეუფლენ ჩვენი სამხედრო მიმოსვლის გზებს და, ბოლოს, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს სამხედრო რაზმებს, გაგზავნილთ ხალხის დასამშვიდებლად.

ხელისუფლების ყოველგვარი ცდა, რომ დაემშვიდებია ხალხი, უშედეგო გამოდგა: საჭირო გახდა სამხედრო მოქმედების დაწყება.

ამასთანავე მეამბოხენი, შეპყრობილნი ყოველგვარი ჟინიანობით, რაკი ჯერ კიდევ არ ხედავდენ ისეთ ძალას, რომელსაც შეეძლო მათი ალაგმვა, გაიმსჭვალენ იმედით, რომ მათ შეუძლიათ სავსებით განდევნონ რუსები გურიიდან და ამ მიზნისათვის დაიწყეს დამხმარეთა ძებნა თურქეთში, სადაც აღმოაჩინეს თავიანთი უგნური საქმის ღირსეული თანამებრძოლნი, და თურქთა ბრბოები შემოვიდენ გურიაში, რათა მონაწილეობა მიეღოთ ნადავლში. თუმცა ხელმძღვანელთა შორის იყო გურიის თავადებისა და აზნაურების მცირე რიცხვი, მაგრამ საერთოდ ამ კლასმა არ უღალატა თავის მოვალეობას და გაგზავნილ ჯართან ერთად დიდად შეუწყო ხელი ჯერ აჯანყებულთა დათრგუნვას და შემდეგ მეამბოხეთა დაპატიმრებას.

არ შეიძლება უარვყოთ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავიანთი მოთხოვნით გურულების მიმართ საერობო გადასახადის ფულად შეტანის შესახებ, ზედმეტი და არაკეთილგონიერი დაჟინებით გააღიზიანა ეს ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუყრია იარაღი და მუდამ მზადაა გამოიყენოს

იგი თავისუფლებისაკენ ველურ სწრაფვის დროს, მაგრამ, ვუშვებ რა ყოველივე ამას, არ ვხედავ პატივსადებ მიზეზებს, რასაც შეეძლო მიეყვანა გურულები ასეთ უკიდურესობამდე, რომ შეწყნარებული იქნას ყველა ის ბოროტმოქმედება, რაც მათ ჩაიდინეს.

კანონიერ ხელისუფლების დაუმორჩილებლობა, რასაც თან მოჰყვა ბოროტმოქმედება და აშკარა შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა სამხედრო ძალისათვის, საიდანაც უნდა წარმოიშვას და რა მიზნისათვისაც უნდა იჩინოს თავი, არას გზით არ შეიძლება გამართლებული იქნას და დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

ამიტომ გურულების გაუნათლებლობისა და უგნურების მხედველობაში მიღების მიუხედავად, აუცილებლად ვსცნობ რა, რომ ნაჩვენები იქნას სისასტიკის მაგალითი აჯანყების ხელმძღვანელებზე, მე განვუჩინე სასჯელი ამ უკანასკნელთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1) პირველი თანრიგის დამნაშავენი (სასამართლოში მეორე) პირველი ხარისხისა: პრაპორშიკი ამბაკო შალიკაშვილი, სახაზინო აზნაურები: სიმონ ჭყონია, სიმონ ქარცივაძე და თავად ყასიმ გუგუნავას უკანონო შვილი ქაიხოსრო გუგუნავა, რომელთაც იკისრეს მეამბოხეთა ხელმძღვანელობა, რომელთაგანაც პირველი ამისათვის გაიქცა ოზურგეთიდან, სადაც იგი იმყოფებოდა მილიციელთა შორის,—ჩამოერთვას თავად შალიკაშვილს, აზნაურ ჭყონიასა და ქაიხოსრო გუგუნავას ყველა უფლებები და ქონება; პირველს გადაემტვრეს ჯალათის საშუალებით თავზე ხმალი, ხოლო ქაიხოსრო გუგუნავა დაისაჯოს შპიცრუთენებით ხუთას კაცს შორის ორჯერ გავლით, სამივენი გაიგზავნონ ციმბირში საკატორლო სამუშაოზე და შალიკაშვილსა და ჭყონიას ჩამოერთვას მამული და გადაეცეს ხაზინას; აზნაური სიმონ ქარცივაძე კი იმ პატივსადებ გარემოების გამო რომ ნებაყოფლობით გამოცხადდა და აჯანყებულთა შორის იმყოფებოდა იძულებით, განთავისუფლდეს სასამართლოსაგან ყოველგვარ სასჯელის გარეშე და მიცემულ იქნას თავდებში.

2) დამნაშავენი მეორე ხარისხისა: ესიკა მამულაიშვილი, გოგია ჯიბლაძე, მახარბელ ჯიბლაძე, ესიკა ჯიბლაძე, ნიკოლოზ თოიძე, გოგიჩაი გორდელაძე, რომელთაც გასწიეს წინააღმდეგობა და არ შეიტანეს ფული, რაც საბაბი გახდა სხვებისათვის, და რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში; და დამნაშავენი მესამე ხარისხისა: მამუკა ანთაძე, მახარბელ დოლიძე, იასონ შეწირული და სიმონ ჭყონია, რომელნიც ამხედრებდენ მცხოვრებლებს, რომ გაერთიანებულიყვნენ და არ გადაეხადათ საერობო ბეგარის ფული, რომელთაგან პირველი სამი მონაწილეობას იღებდა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო უკანასკნელი კი მონაწილეობას იღებდა ნიკოლოზის სიმაგრის გაძარცვაში, — დაისაჯონ ყველანი, გარდა ესიკა ჯორბენაძისა, შპიცრუთენებით თვითეულის ორ-ორჯერ ხუთას კაცს შორის გატარებით და გაიგზავნონ პატიმართა როტაში ბობრუისკს ათი წლით; ხოლო ესიკა ჯორბენაძე, მისი ახალგაზრდობის გამო, დაისაჯოს გაწკეპლვით, ას ოცი დაკვრით და გაიგზავნოს იმავე პატიმართა როტაში ათი წლით.

3) მეორე თანრიგის დამნაშავენი (სასამართლოს მიხედვით პირველი) პირველი ხარისხის: ენუქი ვადაჭკორია, ათანა ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია, ნიკოლოზ ვადაჭკორია, დათიკო მეგრელაძე და მათე ჩენჩებაძე, რომელთაც პირველად ასტეხეს შფოთი ხელოსანისათვის ფულის წართმევით, რაც მას შეგროვილი ჰქონია საერობო ბეგარისათვის, და თავს დაესხენ სხვებთან ერთად მსაჯულის სახლს, ხოლო შემდეგ კი შეადგინეს განსაკუთრებული ბრბო დაუმორჩილებელთა სახელწოდებით და ჰქონიათ ბრძოლა მთავრობის ჯართან, — ამათგან: ენუქი ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია და მათე ჩენჩებაძე შპიცრუთენებით თვითეულის ორ-ორჯერ ხუთას კაცს შორის გავლით და გაიგზავნონ პატიმართა როტაში სევასტოპოლში ათი წლით; ხოლო ათანა ვადაჭკორია, ნიკოლოზ ვადაჭკორია, დათიკო მეგრელაძე, მათი ახალგაზრდობის გამო, დაისაჯონ წკეპლის თვითეული ასოცი დაკვრით და გაიგზავნონ პატიმართა როტაში ბრესტ-ლიტოვსკს ათი წლით.

4) მეორე ხარისხის დამნაშავენი, გლეხები: ნიკოლოზ ჩენჩებაძე და ლაზარე ვადაჭკორია, რომელნიც სხვებთან ერთად თავს დაესხენ მსაჯულის სახლს, იმყოფებოდენ ურჩთა ბრბოში და მონაწილეობას იღებდენ ბრძოლაში ჯარის წინააღმდეგ, — პირველი გატარებული იქნეს შპიცრუთენებით ხუთას კაცს შორის ორჯერ, ხოლო უკანასკნელი, მისი ახალგაზრდობის გამო, დაისაჯოს წკეპლის ასოცი დაკვრით, გაიგზავნონ ორივე პატიმართა როტაში ბობრუისკს ათი წლით.

5) მესამე ხარისხის დამნაშავენი: გრიგოლ კვაჭანტირაძე, ესიკა ხუხუნაიშვილი, ესიკა გელაძე და გოგია დუმბაძე, რომელნიც იყვნენ ურჩთა ბრბოში და მონაწილეობას იღებდენ ბრძოლაში ჯარის წინააღმდეგ, — დაისაჯონ, ივანე გრიგოლის-ძე მახარაძის გარდა, შპიცრუთენებით თითოჯერ ხუთას კაცს შორის გავლით და შემდეგ გაიგზავნონ პატიმართა როტაში სევასტოპოლს შვიდი წლით, ხოლო ივანე გრიგოლის-ძე მახარაძე, მისი ახალგაზრდობის გამო, დაისაჯოს წკეპლის ასხუთი დაკვრით და გაიგზავნოს იმავე პატიმართა როტაში შვიდი წლით.

6) დამნაშავენი მესამე ხარისხისა, სახაზინო აზნაური ალექსანდრე ნაკაიძე და გლეხები: ესიკა კვაჭანტირაძე, ბუჩა ჩხატარაიშვილი, მაქსიმე ჯორბენაძე, გაბილა ბაქანიძე და დათო ღლონტი, რომელნიც შეუერთდენ მეამბოხეებს თავიანთი სურვილით და მონაწილეობა მიიღეს: პირველმა ნიკოლოზის სიმაგრის გაძარცვაში და სახაზინო ფქვილის გაყიდვაში, ხოლო დანარჩენებმა კი — ბრძოლაში მთავრობის ჯარის წინააღმდეგ, ბაქანიძე კი ამას გარდა აჯანყებულთ უწერდა წამქეზებელ წერილებს, — პირველს ჩამოერთვას ყველა უფლებები და ქონება და გაიგზავნოს ციმბირში საკატორღო სამუშაოზე, ხოლო მამული ჩამოერთვას და გადაეცეს ხაზინას; ჯორბენაძე, მისი ახალგაზრდობის გამო, დაისაჯოს წკეპლის ასხუთი დაკვრით და გაიგზავნოს პიტიმართა როტაში ბრესტლიტოვსკს შვიდი წლით; ხოლო ესიკა კვაჭანტირაძე, ჩხატარაიშვილი და ბაქანიძე გატარებული იქნან შპიცრუთენებით ხუთას კაცს შორის თითოჯერ თვითეული და გაიგზავნონ იმავე პატიმართა როტაში შვიდი წლით.

ყველა ის დამნაშავენი, რომელნიც ახალგაზრდობის გამო დასჯილნი არიან მსუბუქად და იგზავნებიან პატიმართა როტაში ვადით, თუ ისინი [illegible] ფაქტევით დაიმსახურებენ შეწყნარებას და გამოდგებიან სამხედრო [illegible] სათვის სავარგისნი, გაიგზავნონ ჯარში და ჩაირიცხონ შიდარუსეთის ცალკე გარნიზონებში.

7) დამნაშავენი მეოთხე თანრიგისა, პირველი ხარისხის, მემამულის აზნაური: გოგია ქარცივაძე, სახაზინო აზნაურები: გოჯასპირ ჭყონია, ლევან ჭყონია, მღვდლის შვილი დათიკო ქუტიძე, გლეხები: სიმონიკა კაკილაძე და პეტრე მოქია, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მთავრობის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში მეამბოხეების მიერ ძალდატანებით, და მეორე ხარისხის: მემამულის აზნაური ალექსანდრე ქარცივაძე, გლეხები: გრიგოლ სიამაიშვილი, გრიგოლიტა გოგიჩაიშვილი, სიმონიკა ლომაძე, ნიკოლოზ სულაბერიძე და დათიკო ჯოვანაძე, რომელნიც მეამბოხეთა შორის იმყოფებოდენ იძულებით და მონაწილეობა არ მიუღიათ ბრძოლაში ჯარის წინააღმდეგ, სამხედრო დადგენილებათა კრებულის 1 წიგნის, მე-3 ნაწილის, 177 მუხლის თანახმად, არ ჩაეთვალოთ ეს დანაშაულად და განთავისუფლებული იქნან ყველანი სასამართლოსაგან ყოველგვარი სასჯელის გარეშე და მიცემული იქნან თავდებში.

8) თანრიგს გარეშე მყოფი თავადი დათა გუგუნავა, რომელსაც ბრალდებოდა ოზურგეთში მყოფ მილიციელებიდან წასვლა და აჯანყებულთა ხელმძღვანელობა, ვინაიდან მან არ აღიარა, რომ იგი თავისი ნებით შეურთდა აჯანყებულთ, ხოლო ამის საწინააღმდეგო საბუთი კი არ არსებობს, ამას გარდა ვიღებ რა მხედველობაში მის ნებაყოფლობით გამოცხადებას, რის შემდეგ იგი მონაწილეობას იღებდა აჯანყების ჩაქრობაში, ხოლო შემდეგ კი იყო უბიხების წინააღმდეგ გაგზავნილ ექსპედიციაში, სადაც დაიჭრა, — განთავისუფლებული იქნას სასამართლოსაგან ყოველგვარი სასჯელის გარეშე და მიცემული იქნას თავდებში.

9) აზნაურები: კონსტანტინე ჯაყელი და გოგია მამუკას-ძე ქარცივაძე, რომელთაც ბრალდებულნი ბრალს სდებენ აჯანყებულთა ხელმძღვანელობაში, და იმალებიან; თავადი მიხეილ მაქსიმელიშვილი, აზნაურები: გიტო გოგორიკიძე, სიმონიკა გოგოლიშვილი და გლეხები: გოგია გორდელაძე, დავით მეგრელიშვილი, იორდანე პაიჭაძე, ალექსანდრე ანთაძე, როსტომ სიხარულიძე და მაქსიმე ხუხუნაიშვილი, რომელნიც გაიქცენ თურქეთში: პირველი ორი დაპატიმრების შემდეგ, ხოლო უკანასკნელნი კი უცხოეთიდან გადმოცემის შემდეგ გადაეცენ სამხედრო სასამართლოს, მათი ქონება კი ეხლავე გადაეცეს სახაზინო უწყებას; შემდეგ ყოველგვარი ძიება ამ საქმის გამო შეწყდეს.

10) სამოსამართლო ძიებაზე გაწეული ხარჯები; გზის ფული და დღიური 404 მან. $53^1/_2$ კაპ. ვერცხლით ანაზღაურებული იქნას ბოროტმოქმედ თავად შალიკაშვილისა და აზნაურების სიმონ ჭყონიას და ალექსანდრე ნაკაიძის მამულიდან და გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ საკომისარიატო და ეკსტრა-ორდინალურ ფონდში. ამასთანავე სასამართლოს წევრების მიერ დახარჯული 88 მან. და 28 კაპ. ვერცხლით მიეცეთ მათ ეკსტრაორდინალურ თანხიდან.

და 11) იმ ზარალის ანაზღაურება, რაც განიცადა ხაზინამ გურულების აჯანყების დროს, რაც უმთავრესად მდგომარეობს შენობათა განადგურებაში, ეცადოს კისროს გურიის ყველა მცხოვრებლებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში, დაეკალოს მათ, რომ შენობათა აღსადგენად მიაწოდონ მუშა-ხელი და ხე-ტყის მასალა. ხოლო კერძო პირებს მიეცეს უფლება ეძიონ დაკმაყოფილება თავისი ზარალის ასანაზღაურებლად სამოქალაქო ხელისუფლების საშუალებით, რომელიც ვალდებულია გამოირკვიოს მათი პრეტენზიების სისწორე, ხოლო ამათგან გამოყოს ის პირნი, რომელთაც მთავრობა განსაკუთრებულ პატივსადებ მიზეზის გამო მიაქცევს ყურადღებას.

შედგენილია ქალაქ ტფილისს, აპრილის 14-ს, 1842 წელს.

სწორია: მაიორი (ხელმოწერა).

ც. არქივი. Дело штаба отдельн. Кавк. Корпуса № 311, ფ. 105—122.

(ჩაწერილია—„მიღებულია 12 მაისს").

სამხედრო მინისტრის მიმართვა ა/კ ცალკე კორპუსის სარდლისადმი

ასლი.

სამხედრო მინისტრისა
(ტფილისში) 12 მაისს, 1842.
№ 22

(წარწერილია ფანქრით: განაჩენი სისრულეში მოიყვანოს უფროსმა სამხედრო პირმა ქუთაისში სათანადო წესით. (ხელმოწერა).

„ასლი გადაეცეს სამოქალაქო კანცელარიას თანდართვით, რომ სამხედრო ნაწილის მიერ სათანადოთ შესწორებულია".

(წარწერილია მელნით: „პოლკოვნიკ ბრუსილოვს, 12 მაისი, № 1340. გენერალ მაიორს სკელონს 18 492).

ბატონ სარდალს კავკასიის ცალკე კორპუსისა

სამხედრო სასამართლოს საქმის განხილვის შემდეგ, რასაც აწარმოებდა ქუთაისში სამხედრო სასამართლოს კომისია გასულ წელს გურიაში მომხდარ აჯანყების წამომწყებთა მიმართ, და ამ საქმეზე თქვენი უაღმატებულესობის კონფირმაციის გამო ხელმწიფე იმპერატორმა თუმცა ინება სცნოს, რომ უმაღლეს ხელისუფლებისათვის ყოველგვარი ურჩობის გაწევა, რასაც თან სდევს აშკარა წინააღმდეგობა სამხედრო ძალის მიმართ, რა საწყისიდან და რა მოსაზრებიდანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას, და რომ, ამიტომ, ბრალდებულნი თუმცა კანონის ძალით ღირსნი არიან უმკაცრესი სასჯელისა, მაგრამ თავისი გამოუთქმელი მაღალხემწიფური სათნოებით მიიღო წყალობა ჯერეთ გაუნათლებელი, საწყალი ხალხის მიმართ, და მიიღო რა მხედველობაში, რომ გურულები ჩათრეულნი იყვნენ დანაშაულობაში არა ბოროტი განზრახულობით, არამედ უფრო მთავრობის ჭეშმარიტ მოსაზრებათა გაუგებრობით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ თა-

ვისი პირდაპირი მოვალეობის შემცდარი შესრულებით, — ყოვლად მოწყალეობითა თვისითა ანიჭებს პატიებას ყველას, ვინც მსჯავრდადებულია ამ საქმის გამო, გარდა პრაპორშჩიკის თავადის ამბაკო შალიკაშვილისა, რომელიც იმყოფებოდა რა მილიციონერთა შორის, გაიქცა ოზურგეთიდან და იკისრა რა მეამბოხეთა უფროსობა, აშკარად ჩაიდინა ღალატი ბოროტი განზრახვით, მით უფრო დანაშაულებრივი, რომ რაკი მას ჰქონდა რუსი ოფიცრის სახელწოდება, იგი ვალდებული იყო წმინდათ დაეცვა ფიცი და ეჩვენებია სიმტკიცის მაგალითი და მორჩილება მთავრობის სურვილისადმი. ამიტომ მისმა უდიდებულესობამ ბრძანა: პრაპორშჩიკ თავად ამბაკო შალიკაშვილს ჩამოერთვას ყველა უფლებები და ქონება და გადასახლებულ იქნას ციმბირში.

ვავალებთ რა თქვენს მაღალიმატებულებას უზენაესი სურვილის სისრულეში მოყვანას თავად ამბაკო შალიკაშვილის მიმართ, პატივი მაქვს დავუმატო, რომ ყოვლად მოწყალე პატიება ყველა დანარჩენ პირებს ზეიმით გამოეცხადება ჩემთან მყოფ ფლიგელ-ადიუტანტის გვარდიის შტაბს-როტმისტრის გრაფ ბენკენდორფის საშუალებით, რომელიც ხვალვე გამოემგზავრება ქუთაისს.

ხელმწიფე იმპერატორი დარწმუნებულია, რომ ასეთი დიდი მოწყალება იმ პირთადმი, რომელნიც აღმოჩნდენ დამნაშავენი ამ საქმის გამო, არა თუ აღავსებს მათ გულს უცხოველესი მადლობითა და მოკრძალებით მონარქის მოწყალებისადმი, არამედ შთააგონებს ყველა მათ თანამოძმეებს მხურვალე ერთგულებას, რათა შეურყეველად დაიცვან მათ მიერ მიცემული ფიცის სიწმინდე და ემსახურონ ერთგულებითა და სიმართლით ტახტსა და სამშობლოს.

სამხედრო მინისტრი გენერალ-ადიუტანტი თავადი ჩერნიშევი.

ცენტრ. არქივი. Дело штаба отд. Кавк. Корп. Отд. судное. გამოუქვეყნ. ფონდი. № 311. ფ. 144—145.

კორპუსის სარდლისაგან

№ 1340

12 მაისი, 1842.

ასლი

პოლკოვნიკ ბრუსილოვს

სამხედრო სასამართლოს საქმის განხილვის შემდეგ, რასაც აწარმოებდა ქუთაისში სამხედრო სასამართლოს კომისია გასულ წელს გურიაში მომხდარ აჯანყების წამომწყებთა მიმართ და ამავე საქმეზე ჩემი კონფირმაციის გამო, ხელმწიფე იმპერატორმა ინება მოეღო უმაღლესი ბრძანება: პრაპორშჩიკ თავად ამბაკო შალიკაშვილს, რომელიც იმყოფებოდა რა მილიციელთა შორის, გაიქცა ოზურგეთიდან და იკისრა მეამბოხეთა ხელმძღვანელობა, აშკარად ჩაიდინა ღალატი ბოროტი განზრახვით, მით უფრო დანაშაულებრივი, რომ რაკი მას ჰქონდა რუსი ოფიცრის სახელწოდება, ვალდებული იყო წმინდათ დაეცვა ფიცი და ეჩვენებია სიმტკიცის მაგალითი და მორჩილება მთავრობის სურვილისადმი, — ჩამოერთვას ყველა უფლებები და ქონება და გადასახლებული იქნას ციმბირში.

ამ უზენაესი სურვილის შესასრულებლად ვავალებ თქვენს მაღალკეთილშობილებას გამოუცხადოთ პრაპორშჩიკ ამბაკო შალიკაშვილს ზემოდ განმარტებულ განაჩენის შესახებ, მოხსნათ მას ოფიცრის სახელწოდების ნიშნები სათანადო წესით და შემდეგ გადასცეთ სამოქალაქო უწყებას კონფირმაციის საბოლოოდ შესრულებისათვის.

სწორია: მაიორი (ხელმოწერა)

ც. არქივი. Д. штаба Отд. Кавк. Корп.
გამოუქვეყნ. ფონდი, № 311,
ფ. 144—145.

ბატონ სარდალს კავკასიის ცალკე კორპუსისა

წარწერილია: მოხსენება თავად მიხეილ მაქსიმელიშვილის და სხვების გურულების აჯანყებისათვის პატიების შესახებ.

დართული არა აქვს თავად არლუტინსკის ბრძანების ასლი, იგი აუცილებელია, რომ გამოირკვეს ამ ადამიანების დანაშაულობა.

ბ. ჯ. კ.—ბრძანა გამოეცხადოს ამ გურულებს, რომ იგი ნებას მისცემს მათ დაბრუნდენ გურიაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ ეს შეასრულონ ყოველგვარი პირობის გარეშე, მთავრობა მოიქცევა ისე, როგორც საჭიროდ დაინახავს.

ფანქრით წარწერილია: „ასლი არაა".

გურიის მაზრის უფროსმა მაცნობა, რომ გასული წლის აჯანყების მონაწილე გურულები თავადი მიხეილ მაქსიმელიშვილი და აზნაურები: გიტო გოგორიკიძე და სიმონ გოგოლიშვილი გაიქცენ და, როგორც ვიცით, ამჟამად ცხოვრობენ დაბა ქობულეთში, ან-და მეზობელ სოფლებში, თურქეთის სამფლობელოში. ამ ბოროტმოქმედებმა პირადათ, ან სხვა ვინმეს საშუალებით ღამით გააკრეს სოფელ ლეხაურის ეკლესიის კედელზე მათ სახელზე შედგენილი თხოვნა, საიდანაც სჩანს, რომ თავადი მაქსიმელიშვილი და აზნაურები გოგორიკიძე და გოგოლიშვილი სთხოვენ სოფელ ლეხაურის საზოგადოებას იკისრონ შუამდგომლობა მათი პატიების შესახებ.

ვაუწყებთ რა ამის შესახებ თქვენს მაღალმატებულებას, ვბედავ უმორჩილესათ გთხოვოთ ნებართვა: შეუძლიათ თუ არა აღნიშნულ ბოროტმოქმედთ ისარგებლონ ყოველად მოწყალე პატიებით, რაც ბოძებული იქნა ამა წლის მაისში, თუ მათ უნდა მოვეპყრათ როგორც მოღალატეებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოცხადდებიან გურიაში. ამასთანავე ვარდგენ რა გასათვალისწინებლად აღნიშნული თხოვნის თარგმანს და გურიაში მყოფ რაზმის უფროსის პოლკოვნიკ თავად არლუთინსკის მიერ ლეხაურის მოურავისადმი მოწერილ განკარგულების ასლს, მაქვს პატივი გაგახსენოთ, რომ პატიების მთხოვნელთა შორის გოგოლიშვილმა გარდა იმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მონაწილეობა მიიღო აჯანყებაში, თოფით მოჰკლა დასაპატიმრებლად გამოდევნებული პრაპორშჩიკი ღოლობერიძე.

გენერალ-მაიორი სკალონ

კანცელარიის მმართველი ლამერმანი.

ც. არქივი. Д. Шт. Отд. Кавк. Корп.
Отдел. Судное. 311. ф. 158—163.

სოფელ ლეხაურის მცხოვრებლების, ტყვეობაში მყოფთა რამოდენიმე აზნაურისა და ყველა გლეხებისათვის თავად მიქელა მაქსიმელიშვილის, აზნაურების— გიტო გოგორიკიძის და სიმონ გოგოლიშვილის

უმორჩილესი თხოვნა.

ჩვენ შევცდით თქვენთან შეთანხმებით და ამ ჩვენი დანაშაულის შემდეგ გავიგეთ ყოველად მოწყალე ხელმწიფის სათნო პატიების შესახებ. ამიტომ ჩვენ გთხოვთ დაიხმარიოთ მოურავი და ყველა ისინი, რომელნიც თანახმანი არიან იშუამდგომლონ ჩვენი პატიების შესახებ. თქვენ უკვე გეპატივათ და ვინაიდან ჩვენ თქვენზე მეტი დანაშაული არ მიგვიძღვის, ამიტომ ვსთხოვთ ხელისუფლებას პატიებას, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ამის შესახებაც გვაცნობეთ, რომ შევძლოთ საბოლოოდ გარდავიხვეწოთ.

სთარგმნა თავადმა წულუკიძემ.

ც. არქივი. Дело шт. Отд. Кавк. Корп.
Отд. Судное. № 311. ф. 159.

ა ს ლ ი

ლეხაურის მოურავს ძაიხოსრო თაყაიშვილს

ლეხაურის მცხოვრებლები თავადი მიხეილ მაქსიმელიშვილი და აზნაურები გიტო გოგორიკიძე და სიმონ გოგოლიშვილი ყოველთვის განირჩეოდენ თავიანთი ბოროტი განზრახვით მთავრობის წინააღმდეგ, აწარმოებდენ ძარცვა-გლეჯას საზღვარზე და ითრევდენ მრავალ ლეხაურლებს სხვადასხვა ბოროტმოქმედებაში, ბოლოს კი მიიღეს მხურვალე მონაწილეობა გურიის უკანასკნელ აჯანყებაში. ყველა ამ ბოროტმოქმედებათა გამო ისინი ჩემის განკარგულებით დაპატიმრებული უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ ეს აცნობეს ზოგიერთმა არასაიმედო ადამიანებმა და ხელიდან გაგვიძვრენ, და ამჟამად ლტოლვილნი არიან

ამის გამო განკარგულებას გაძლევთ თქვენ გამოუცხადოთ ლეხაურის სამოურაოს ყველა მცხოვრებლებს ჩემი სახელით, რომ მათ აუცილებლად დააპატიმრონ აღნიშნული თავადი და აზნაურები და მომიყვანონ მე ოზურგეთში, თუ ცოცხალი არა, მათი გვამი მაინც. ამ საქციელით ისინი დაამტკიცებენ თავიანთ ერთგულებას მთავრობისადმი და მით საესებით ისარგებლებენ მისი მაღალალმატებულების ბატონ კორპუსის უფროსის მიერ ბოძებულ პატიებით.

ხოლო თუ ვინმე სამოურაოს მცხოვრებთაგანი შეივრდომებს და დაფარავს აღნიშნულ ბოროტმოქმედთ, ან-და დაინახავს მათ და არ მიიღებს რაიმე ზო-

მებს მათი დაპატიმრებისათვის, ან არ მოჰკლავს და, ერთი სიტყვით, ამკარად ან მალულად დაეხმარება მათ, ან მიაწოდებს პურსა და სანოვაგეს, — მე ბმას ჩავთვლი მთელი სამოურაოს თანამონაწილეობად ბოროტმოქმედობა-ანაბაულობაში და მონაწილეობა ესე დასჯილი იქნება მთელი მათი სახლების, ბაღებისა და ქონების სრული განადგურებით.

ვიმეორებ, რომ მოწერილობა ესე უნდა გამოეცხადოს ლეხაურის სამოურაოს მცხოვრებთ, მათ უნდა ჩამოერთვათ ხელწერილი იმისა, რომ ეს წაიკითხეს და მოისმინეს და დაუყონებლივ წარმომიდგინოთ პირადად მე.

გურულებმა უკვე იციან, რომ მე მაქვს საშუალება შეურყეველად შევასრულო ხელისუფლების სურვილი და ამიტომ დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათ მიერ გულმოდგინეობის გამოუჩენლობა ხელისუფლების განკარგულების შესრულებაში ჩაეთვლებათ ურჩობად მთავრობის წინაშე და დაისჯებიან მთელი მათი საცხოვრებელის განადგურებით.

დედანს ხელს აწერს გურიის რაზმის უფროსი პოლკოვნიკი თავადი არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

სწორია: მდივანი (ხელმოწერა),

№ 651.

ნოემბრის 11 დღესა
1841 წელსა
ოზურგეთი.

ც. არქივი. Дело шт. Отд. Кавк. Корп. Отдел. Судное № 311. ф. 160-161.

საიდუმლოდ

ქართლ-კახეთ-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს ბატონ ვენერალ-მაიორს და კავალერს სკალონს

ეუწყოს სამხედრო
გუბერნატორს
1841 წელსა

ქუთაისის მაზრის უფროსის

პ ა ტ ა კ ი

სამხედრო ნაწილის გამგის პოდპოლკოვნიკ ჩერნიკოვის აქ არ ყოფნის გამო... რიცხვს № 30 განვმარტე: დაირხა აქ ხმა, თითქოს რამდენიმე გურული მეამბოხე იმყოფება ქუთაისში იმ განზრახვით, რომ გამონახონ ხელსაყრელი შემთხვევა, შეიჭრან საარტილერიო საწყობში, სადაც ინახება დენთი და თავის განწირვით ააფეთქონ იგი ჰაერში. თუმცა ეს ხმები, გავრცელებული, არ ვიცით ვისგან, შეიძლება მართალი არ იყოს, მაგრამ ეხლანდელ პირობებში მას, ბ-ნ ჩერნიკოვს არ შეეძლო დაეტოვებია იგი უყურადღებოდ და ყოველი შემთხვევისათვის გასცა განკარგულება, რათა გაძლიერებული აქნას დღისით და განსაკუთრებით ღამით საარტილერიო საწყობის დაცვა მოსალოდნელ ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად; მაცნობა რა ამის შესახებ, მთხოვა გამეცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულება, რათა ამხანად ქალაქში ჩამოსულ საეჭვო პირებს მიექცესთ სასტიკი ყურადღება.

ამის შესახებ ვაცნობე ქუთაისის პოლიციის უფროსს და მივწერე სასწრაფოდ გასცეს განკარგულება უბნის ზედამხედველთა მიმართ—საიდუმლოების დაცვით ადევნონ სასტიკი თვალყური ქალაქ ქუთაისში ახლადჩამოსულ პირებს, გამოარკვიონ, თუ ვინ არიან ისინი, საიდან და რისთვის ჩამოვიდენ. თავისთავად იგულისხმება, თუ ვინმე მათ შორის აღმოჩნდება საეჭვო, მაშინვე უნდა დააპატიმრონ და წარმომიდგინონ მე.

ჩემს უმორჩილეს მოვალეობად ვსთვლი ვაცნობო ამის შესახებ თქვენს აღმატებულებას.

(ხელმოწერა).

№ 201

31 აგვისტო, 1841 წ.

ქუთაისი.

ც. არქივი. Дело Канц. Груз. Имерет гражд. губ. აღწერით № 345. ф. 209.

ქართლ-კახეთ-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს გენერალ-მაიორს და კავალერს სკალონს

ეუწყოს მთავარმართ.

ქუთაისის მაზრის უფროსის თანამდებობის
აღმასრულებელის

პ ა ტ ა კ ი

ამიერ-კავკასიის ბატონმა მთავარმართებელმა, მისი მაღალ-აღმატებულების ქალაქ ქუთაისში ყოფნის დროს, განიხილა რა სამაზრო სამმართველოში არსებული საქმე საბეჭოს უბნის მცხოვრებლებს შორის მომხდარ მღელვარების შესახებ გასული სექტემბრის 12-ს № 241 ქუთაისის მაზრის უფროსისადმი გამოგზავნილ მოწერილობით გვაუწყა, რომ ამ მღელვარების საბაბი გახდა არა გადასახადისა და ბეგარის ზედმეტი სიმძიმე, როგორც ამას ვფიქრობდით პირველად, არამედ უზომო და დაუშვებელი მოთხოვნანი უახლოესი საერობო ხელისუფლების მხრივ. მცხოვრებლებს შეეძლოთ აღეძრათ ამის გამო საჩივარი და უნდა დაეცადათ უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებისათვის, მაგრამ ამის ნაცვლად მათ გაუწიეს ურჩობა თავის უფროსებს და გამოიჩინეს რა განზრახვა მიებაძათ გურულების მაგალითისათვის, შეჰფიცეს ურთიერთს ერთაზროვნობა, ამრიგად, მათ ჩაიდინეს რა დანაშაული მთავრობის წინააღმდეგ, ცხადია, დაიმსახურეს სასტიკად დასჯა; მაგრამ გარდა პირველი მიზეზებისა, მიიღო რა მხედველობაში ისიც, რომ ისინი დამორჩილდენ, ბეგარა გადაიხადეს და ამას გარდა თავიანთი წრიდან გამოყვეს მთავარი დამნაშავენი, რაც არ ჩაუდენიათ აჯანყებულ გურულებს, მისი მაღალაღმატებულება ფიქრობს, რომ მათ რამდენიმედ დაიმსახურეს შეწყნარება თავიანთი გაუნათლებლობითა და კანონების უცოდინარობით და ეს შეწყნარება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში,

რომ იგი ათავისუფლებს მათ ძიებისა და გასამართლებისაგან, ამოლოდ მომავალში მათ აღარ უნდა გაბედონ ხელისუფლების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, თუ არ სურთ დაისაჯონ სასტიკად. მათ ეხლანდელი დასაშაული უნდა გამოისყიდონ თავიანთი გულმოდგინეობით, რაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ ზარალის ასანაზღაურებლად გაგზავნილ ეხლანდელ ექსპედიციისათვის ხელის შეწყობაში. ამასთანავე მისმა მაღალალმატებულებამ დაავალა მაზრის უფროსს გასცეს განკალგულება, რათა იქ გაიგზავნონ ამჟამად გურიაში მყოფი საბექოს მცხოვრებლები იმათთან ერთად, რომლებიც სახლში იმყოფებიან და განაცხადებენ ამაზე თანხმობას. ამ მორჩილების მიხედვით მის მაღალალმატებულებას შეუძლია განსაჯოს, თუ რამდენად გულწრფელად ინანიებენ ისინი თავიანთ შეცდომას.

მოურავი ლორთქიფანიძე, რომელსაც საბექოელები აბრალებენ იმაზე მეტი გადასახადის მოთხოვნას, ვინემ მათ უნდა გადაიხადონ, ეხლავე ჩამოშორებული იქნას მცხოვრებლებისაგან და დაევალოს უბნის მსაჯულს აირჩიოს მის ნაცვლად სხვა კეთილსაიმედო პირი.

რაც შეეხება ქუთაისის ჰაუპტვახტში მყოფ გლეხებს — რამაზ და სეხნია დვალიშვილებს, ისინი უნდა გაიგზავნონ თავიანთ სოფელში და დაისაჯონ წკეპლის ასი დაკვრით, იმისათვის, რომ მათ გაჰბედეს გამოცხადებულიყვნენ შეიარაღებულნი თავის უფროსთან, გაუწიეს საერობო ხელისუფლებას წინააღმდეგობა და მიიღეს მონაწილეობა ღვთის საწინააღმდეგო ფიცში, — ამის შემდეგ ისინი გაშვებული უნდა იქნან სახლში და შთაეგონოს მათ და სხვა სოფლელებს, რომ მისი მაღალალმატებულება კვლავ აღარ შეიწყნარებს ასეთ უწესრიგობას, თუ ისინი კვლავ განიმეორებენ მას.

ყოველივე ამის სისწორით შესრულების შესახებ უნდა ეუწყოს თქვენს ალმატებულებას და თქვენის საშუალებით—მის მაღალალმატებულებას.

მაზრის უფროსის მაგიერ (ხელმოწერა).

№ 7388

25 ოქტომბერი, 1841 წ.

ქ. ქუთაისი.

ცენტრ. არქივი. Дело канц. Груз.-Имерет. гражд. губ. აღწერით № 345. ფ. 259.

ძალთ-კახეთ-იმერეთის საშინაოს გუბერნატორს ბატონ გენერალ-მაიორს და კავალერს კოხანოვს

ქუთაისის მაზრის უფროსის

პ ა ტ ა კ ი

საბექოს უბნის მსაჯული გუბერნსკი სეკრეტარი მაზანდაროვი ამა ივნისის 3-ს № 1071 ჩემ მიერ ამჟამად მიღებული პატაკით იუწყება: მისადმი რწმუნებულ უბნის მოურავმა პრაპორშჩიკმა თავადმა ბესო ლორთქიფანიძემ, რომელიც იმყოფება იქ იმისათვის, რათა აიძულოს მცხოვრებლები, რომ მათ შეიტანონ ამა 1841 წლისათვის დაწესებული საერობო ბეგარა, ივნისის 3-ს აცნობა უბნის მსაჯულს,

რომ სოფელ ონჯოხეთის, გადიდის, უხუთის და დვალიშვილების მცხოვრებლებმა, სადაც ირიცხება 300 კომლამდე მემამულეთა გლეხი, უარი განაცხადეს ამ ფულის გადახდაზე, სოფელ ონჯოხეთში მოიწვიეს კრება, რომელსაც დასწრო 500-მდე კაცი, ჰქონდათ თან იარაღი და არ დაუშვეს კრებაზე არც მოურავი და არც მის მიერ გაგზავნილი გადასახადთა ამკრებნი. ამ ცნობის მიღებისთანავე მსაჯული მყისვე გაემგზავრა კრებაზე ონჯოხეთში, რაც დაშორებულია 15 ვერსით იმ ალაგზე, სადაც ის სცხოვრობს, და მდებარეობს ახალციხის მხარის მთებში, და თუმცა თავის მხრივ მიიღო ყოველივე ზომები, რომ გამოეყვანა ისინი ამ შეცდომისაგან და დაენახვებია მათთვის მთელი ის უბედურება, რაც თავს დაატყდებათ სიმშვიდისა და სიწყნარის დამრღვევთ, მაგრამ მათ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ამ შთაგონებას, განშორდენ მას ოცი საჟენით, აღმართეს იარაღი, რაც მათ ხელთ ჰქონდათ, და ერთბაშად დასძახეს: „ერთ დღეს დავბადებულვართ და ერთ დღეს მოვკვდებით, მაგრამ ფულს, რასაც ჩვენ გვთხოვენ, არ მივცემთ და თუ შენ (მაზანდაროვი), ანდა შენ მიერ გამოგზავნილი მოგვიახლოვდებიან, უსათუოდ მოვკვლავთ“. დიდხანს იცადა მაზანდაროვმა და ეცადა, რომ კეთილი შთაგონებით დაემშვიდებია მათი ბრაზმორეული გული, მაგრამ ამაოდ. ამიტომ გამოითხოვა ამ საქმისა გამო მაზრის უფროსის განმარტება, თან დაუმატა, რომ საბეჭოს უბნის სხვა სოფლებში საერობო ბეგარის ნაწილი აკრებილია და შეტანილია ხაზინაში, ზოგიერთ სოფელში უკვე შეკრებილია და მალე მიღებული იქნება.

რათა შეამოწმოს მსაჯულის ცნობები და იმ შემთხვევაში, თუ იგი სწორი გამოდგება, დასაწყისშივე ჩააღრჩოს კანონიერ ხელისუფლებისადმი დანაშაულებრივი ურჩობის გაწევა, თუ შესაძლებელია პირადი შთაგონების საშუალებით, თუ არა და, უკანასკნელ შემთხვევაში, პოლიციური ზომების მიღებით, — ლიაშჩენკო გაემგზავრა ადგილობრივად და, გაითვალისწინა რა კანონთა კრებულის მე-14 ტომის წესდება გაფრთხილებისა და დანაშაულის აღკვეთის შესახებ, მუხ. 148, 149, 130, 133, 155 და 309 და ინსტრუქცია ჯარების უფროსების ურთიერთობის შესახებ ამიერ-კავკასიის საზღვრებზე და ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფლებასთან — პარაგ. 13 და 14, — აცნობა ამის შესახებ სამხედრო ნაწილის გამგეს პოდპოლკოვნიკ ჩერნიკოვს იმ შემთხვევისათვის, თუ ამ საქმეში წარმატებას ვერ მიაღწევს ბ-ნი ლიაშჩენკო, პირველ ცნობისთანავე დაუყონებლად გაუგზავნოს მას მეამბოხეთა დასამორჩილებლად სათანადო სამხედრო რაზმი.

№ 3368

4 ივნისი, 1841 წ.

ქ. ქუთაისი.

ცენტრ. არქივი. Дело канц. Груз. Им. гражд. губ. № 345. ф. 14-14.

28 თებერვალი, 1842 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონ ამიერ-კავკასიის მთავარმართებელს

დიდბრიტანეთის ქვეშევრდომი იაკობ მარრი 1822 წელს ჩამოვიდა ამიერ-კავკასიაში სავაჭროდ და რაკი ამ საქმეში ვერ იხეირა, დასახლდა გურიის სამთავროში, სოფელ ბუკისციხეში, იმ მიწაზე, რომელიც მას უბოძა თავადმა მამია გურიელმა. მან შეისყიდა სხვა მიწაც და თავისი მცირერიცხოვანი ოჯახობით შეუდგა სოფლის მეურნეობას. ამ დროიდან და მაშინაც, როცა გურია შეუერთდა იმერეთს, ბ-ნმა მარრმა ოცი წლის განმავლობაში მოიპოვა გურიისა და იმერეთის მცხოვრებლების საყოველთაო სიყვარული, პატივისცემა და ნდობა, ხოლო თავისი მეურნეობით ახდენდა სასარგებლო გავლენას ამ მხარეში, მას ამ საქმეში არავინ არ ეხმარებოდა და არც ახალისებდა.

1841 წლის აგვისტოში, გურიაში მომხდარ აჯანყების დროს, ბ. მარრი გულმოდგინედ ხელს უწყობდა პოლკოვნიკ თავად წერეთელს, რომელსაც ეკავა ჩოხატაურის პოზიცია, აწვდიდა მას სოფელ ბუკისციხიდან სურსათს და აგრეთვე არ აძლევდა მეამბოხეებს საშუალებას, რომ დაეკავებიათ ბუკისციხე; ამ საქმისთვის პოლკოვნიკმა თავადმა წერეთელმა ჩააბარა მას თავისი რაზმიდან 30 მილიციელი, ხოლო ბ-ნმა მარრმა მათ შეუერთა ერთგული 15 ადგილობრივი მცხოვრები. მარრის აშკარა მოქმედებამ მოამბოხეთა წინააღმდეგ ისე აღაშფოთა ეს უკანასკნელნი, რომ მათ შური იძიეს და მთავრობის ერთგულებისათვის დასწვეს მისი შენობები, გაიტაცეს ყველაფერი, რაც მას ებადა, და სავსებით გაანადგურეს მისი მეურნეობა.

გურიაში ყოფილ რაზმის უფროსის პოლკოვნიკ თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვის თხოვნითა და განკარგულებით შესდგა კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ რა თანხას უდრიდა მარრის ზარალი. ფორმალური გამოძიებით გამოირკვა, რომ მართლაც, გასული წლის აგვისტოში გურულმა მეამბოხეებმა დასწვეს მარრის კუთვნილი შენობები და დაიტაცეს მისი ქონება, რის გამო მარრი, რომელსაც მანამდე ჰქონდა სრული მეურნეობა და არაფერში არ განიცდიდა ხელმოკლეობას, ამჟამად იმყოფება უკიდურეს მდგომარეობაში. საკრებულოში შემდგარ საგამომძიებლო კომისიის ნაფიც შემფასებლების მიერ შეყენებული შეფასებით ბ-ნი მარრის ზარალი უდრის 1824 მან. 24 კაპ. ვერცხლით.

პირადათ ვინახულე რა გასულ სექტემბერში ბ-ნ მარრის განადგურებული მეურნეობა და მივიღე რა მხედველობაში ის უკიდურესი მდგომარეობა, რომელშიაც ის ჩავარდა მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის აშკარა ერთგულებისათვის, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გურულები არ შეეხებოდენ მის სახლკარსა და მეურნეობას, რასაც ჰქონდა სასარგებლო გავლენა და რასაც მომავალშიაც შეუძლია იყოს სასარგებლო იმ მხარეში, სადაც მთელი სოფლის მეურნეობა მეტად განუვითარებელია, თუ მთავრობის მხრივ აღმოეჩინება დახმარება,—ჩემს მოვალეობად ვსთვლი წარვუდგინო ყოველივე ეს თქვენი მაღალამტებულების სათნოებასა და კეთილმობიერებას და დაბეჯითებით გთხოვოთ, რათა ანაზღაურებული იქნას ბ-ნი მარრის ზარალი ზემოთმოყვანილ საგამომძიებლო კომი-

სიის შეფასების მიხედვით იმ ღრმა რწმენით, რომ ბ-ნი მარრი თქვენი მაღალ-ალმატებულების სათნო მოწყალებით ალადგენს რა თავის სასარგებლო მეურ-ნეობას, მეტად სასარგებლო მოღვაწე იქნება ამ მხარისათვის მთავრობის საკეთილდღეოდ.

სწორია: მაგიდის უფროსი (ხელმოწერა გაურკვეველია).

ქართლ-იმერეთის სამოქალაქო გუბერ-ნატორის კანცელარიის საქმე, სისხლის სამართლის მაგიდა, № 1842. 164/85 „დიდბრიტანეთის ქვეშევრდომის იაკობ მარრის გურულ მეამბოხეთა მიერ განად-გურებულ ქონების ანაზღაურების შესა-ხებ". ფ. 1.

41 წლის გურიის აჯანყების შესახებ *)

1841 წელს გურიაში გავრცელდა ხმა, რომ რუსეთის მთავრობას განზრა-ხული აქვს დააკისროს გლეხობას გადასახადი 30 კაპ. თვითეულ კომლზე. ამ ხმამ ლეხაურამდეც მიაღწია. გლეხთა შორის მან გამოიწვია სხვადასხვანაირი მითქმა-მოთქმა. ყველგან, სადაც კი იკრიბებოდა ხალხი — დაკრძალვაზე, ქორ-წილზე, დღეობაში, ანდა საოჯახო ნადიმზე — ყველგან იწყებდენ ლაპარაკს ამ გადასახადის ირგვლივ. აქა-იქ გამოსთქვამდენ აზრს, რომ ამ გადასახადის მიცე-მაზე უარი უნდა განაცხადონ. ამ მოძრაობას ლეხაურში სათავეში ედგენ შემ-დეგი პირები: 1. სიმონ გოგოლიშვილი, 2. გიტო გოგორიკიძე, 3. ვანო ლომ-ჯარია, 4. გოგოჩია გორდელაძე, 5. მიხეილ მაქსიმელიშვილი, 6. ამბაკო შალი-კაშვილი და 7. ათარმიზა თოიძე. ხალხს არ ჰქონდა საკმაო ტყვია-წამალი და იარაღი. იმ შემთხვევაში, თუკი მოხდებოდა შეტაკება მთავრობასთან, ყოველივე ეს აუცილებელი იყო. იმ დროს ლეხაურის ახლოს, მდინარე ჩოლოქი საზღვრავდა რუსეთსა და თურქეთს. ჩოლოქის გაღმა მხარეზე, თურქეთის ტერიტორიაზე, სცხოვრობდენ ქართველი მუსლიმანები, რომელთაც მუდმივი კავშირი ჰქონდათ ლეხაურის მცხოვრებლებთან.

იმ დროს ქობულეთის ბეგი იყო ჰასან-ფაშა, შთამომავლობით ქართველი. აჯანყების მეთაურებმა მიმართეს ჰასანს დახმარებისათვის, თუ მათ გადასახადის გამო მოუხდებოდათ შეტაკება რუსეთის მთავრობასთან. ჰასან თავდგირიძემ შეჰ-პირდა მათ დახმარება ტყვია-წამლითა და იარაღით. მთავრობის გადაწყვეტი-ლება გადასახადის აკრების შესახებ ურყევი რჩებოდა. გლეხობა აღელდა და მიიღო გადაწყვეტილება უარი ეთქვათ მთავრობის აგენტებისათვის გადასახადის მიცემაზე, ხოლო თუ ძალას მიმართავდენ, ეპასუხათ მითვე. ზემოდ აღნიშნული

*) ეს გვიამბო, ჩვენის თხოვნით, ლეხაურის თემის, სოფელ ჭანიეთის გლეხმა ალფესი შავიშვილმა. შავიშვილი დაიბადა 1852 წელს. გურიის აჯანყების ამბავი მას გაუგონია მამისა-გან, რომელიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას ამ მოძრაობაში. როგორც მკითხველი და-რწმუნდება, მიუხედავად ხანდაზმულობისა, შავიშვილი საკმაოდ სწორად ყვება 41 წლის ამბებს გურიის ერთი რაიონის მონაწილის თვალსაზრისით.

პირების მეთაურობით ლეხაურლები უახლოესი საზოგადოებების გლეხებთან ერთად შეიარაღდენ და შემოარტყეს ალყა ოზურგეთს, სადაც იდგა რუსეთის ჯარის უმნიშვნელო რაზმი. ამ რაზმმა ვერ გაბედა გაელაშქრა აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ. დამხმარეთა მოლოდინში რაზმი ჩაიკეტა ეგრეთწოდებულ „ოზურგეთის ციხეში“. იმ დროს საჯევახოში იდგა რუსეთის ჯარი, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი, ვიდრე ოზურგეთის რაზმი. ამ ჯარმა არაფერი იცოდა ოზურგეთის რაზმის გასაჭირის შესახებ. აქ მოხდა ღალატი; აზნაურმა გლახუნა ძნელაძემ იკისრა საიდუმლოდ ოზურგეთის რაზმისაგან მიეტანა ცნობა საჯევახოში მდგარ ჯარის ნაწილისათვის. გაიგო რა ოზურგეთის რაზმის კრიტიკული მდგომარეობა, საჯევახოს ჯარი დაიძრა ოზურგეთის რაზმისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მოხდა შეტაკება გლეხებსა და სამხედრო ნაწილებს შორის. გააფთრებულ და სისხლის მღვრელ ბრძოლის შემდეგ, რეგულიარულმა ჯარმა გაიმარჯვა, გლეხობა დამარცხდა, რის შემდეგ აჯანყებული ხალხი გაიფანტა.

რუსეთის ჯარის სარდალს არლუთინსკის დიდი დახმარება აღმოუჩინა თავადაზნაურობამ აჯანყების მეთაურების გაწყვეტისა და დაპატიმრების საქმეში. ნაკაშიძემ და გურიელმა, რომელნიც აჯანყების დასაწყისში თითქო მხარს უჭერდენ გლეხებს, შემდეგ უღალატეს მათ და მიემხრენ მთავრობას. ისინი გადაელობენ მდინარე სკურბუბზე გამავალ მეამბოხეებს და გაჰფანტეს. ამ დროს მოჰკლეს ექვსი კაცი. მოკლულთა შორის აღმოჩნდენ: იაკობ ურუშაძე, კაცია ლომჯარია, გოგიჩია ვაშაყმაძე. აზნაურმა თაყაიშვილმა შეიპყრო ლტოლვილი მეთაურები, რომელთაგან ზოგიერთები მოჰკლეს შეპყრობის დროს, ხოლო სხვები კი გაგზავნეს გასასამართლებლად ქუთაისში.

ამბაკო შალიკაშვილი გაგზავნილი იყო კატორღაში და იქედან სამშობლოში დაბრუნდა 20 წლის შემდეგ. ივანე ლომჯარიას უღალატა მუსლიმანმა ჯენათ-ოღლიმ და მოჰკლეს. გიტო გოგორიკიძე გადაიხვეწა თურქეთში და იქ ცხოვრობდა.

აჯანყებას მოჰყვა დიდი მსხვერპლი, ხოლო მიზანს კი ვერ მიაღწია. ხალხი ძლიერ დაზარალდა და ნანობდა თავის გამოსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

		გვ.
I	40-ანი წლების გურიის სოციალ-ეკონომიური დახასიათება	3
II	აჯანყების უშუალო მიზეზები	28
III	აჯანყება	43
IV	დამარცხება და აჯანყების შედეგები	59
V	დოკუმენტები:	
1)	ანრეპის მოხსენება	76
2)	თ-დ დავით მაჭუტაძის მოხსენება	80
3)	კონფირმაცია კავკასიის ცალკე კორპუსის სარდლისა	83
4)	სამხედრო მინისტრის მიმართვა ა/კ ცალკე კორპუსის სარდლისადმი	95
5)	ცალკე კორპუსის სარდლის მიმართვა პოლკ. ბრუსილოვისადმი	96
6)	ქართლ-კახეთ-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის მიმართვა კავკასიის ცალკე კორპუსის სარდლისადმი	97
7)	გურიის რაზმის უფროსის პოლკ. თ-დ არღუთინსკის მიმართვა ლეხაურის მოურავ ქ. თაყაიშვილისადმი	98
8)	ქუთაისის მაზრის უფროსის პატაკი ქართლ-კახეთ-იმერეთის გუბერნატ. სკალონისადმი	99
9)	ქუთაისის მაზრის უფროსის თანამდ. აღმასრულებელის პატაკი სკალონისადმი	100
10)	ქუთაისის მაზრის უფროსის პატაკი გუბერნ. კოხანოვისადმი	101
11)	ქართლ-კახეთ-იმერეთის გუბერნატ. მიმართვა ა/კ მთავარმართებელისადმი	103
12)	41 წლის გურიის აჯანყების შესახებ.	104

საქართველოს სახ. საჯ. ბიბლიოთეკა
საქართველო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა